თავი V
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

1.1. მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 35 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

1.1.1. მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02 01)

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით;
- სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფილი იქნა იანვარში 732.4 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 733.6 ათასზე მეტი პირი, მარტში - 734.3 ათასზე მეტი პირი, აპრილში -735.6 ათასზე მეტი პირი, მაისში - 737.3 ათასზე მეტი პირი, ივნისში - 738.2 ათასზე მეტ პირი, ხოლო სახელმწიფო კომპენსაცია იანვარ-მაისში ყოველთვიურად გაიცა 21.8 ათასზე მეტ პირზე და ივნისში - 21.9 ათასზე მეტ პირზე.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 854.1 მლნ ლარი.

1.1.2. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 35 02 02)

- საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობამ იანვარში შეადგინა 456.6 ათასზე მეტი, თებერვალში – 453.8 ათასზე მეტი, მარტში – 453.1 ათასზე მეტი, აპრილში -451.5 ათასზე მეტი, მაისში- 449.8 ათასზე მეტი და ივნისში - 449.0 ათასზე მეტი;
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება გაეწია იანვარში 1 144 პირს, თებერვალში - 1 044 პირს, მარტში – 1 034 პირს. აპრილში - 1 078 პირს, მაისში - 961 პირს და ივნისში - 1 081 პირს;
- დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იანვარში შემწეობით უზრუნველყოფილ იქნა 222.8 ათასზე მეტი პირი, თებერვალში 230.4 ათასზე მეტი პირი, მარტში – 228.7 ათასზე მეტი პირი, აპრილში - 228.1 ათასზე მეტი პირი, მაისში - 228.1 ათასზე მეტი პირი და ივნისში - 228.1 ათასზე მეტი პირი;
- რეინტეგრაციის შემწეობა იანვარში გაიცა 448 ბავშვზე, თებერვალში – 447 ბავშვზე, მარტში – 448 ბავშვზე, აპრილში – 446 ბავშვზე, მაისში – 440 ბავშვზე და ივნისში – 438 ბავშვზე;
- სოციალური პაკეტი იანვარში გაიცა 166.2 ათასზე მეტ პირზე, თებერვალში - 166.2 ათასზე მეტ პირზე, მარტში - 166.1 ათასზე მეტ პირზე, აპრილში - 165.9 ათასზე მეტ პირზე, მაისში - 165.7 ათასზე მეტ პირზე, ხოლო ივნისში - 165.8 ათასზე მეტ პირზე;
- საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ პირთა რაოდენობამ იანვარში შეადგინა 26.5 ათასზე მეტი პირი, თებერვალში – 26.3 ათასზე მეტი პირი, მარტში – 26.1 ათასზე მეტი პირი, აპრილში – 26.0 ათასზე მეტი პირი, მაისში – 25.8 ათასზე მეტი პირი, ხოლო ივნისში– 25.7 ათასზე მეტი პირი;
- შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით იანვარში დახმარება მიიღო 980 პირმა, თებერვალში - 974 პირმა, მარტში - 966 პირმა, აპრილში - 963 პირმა, მაისში - 960 პირმა, ხოლო ივნისში - 955 პირმა;

- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ფულადი სოციალური დახმარება მიიღო იანვარი-თებერვალში ყოველთვიურად 11.7 ათასამდე პირმა, ხოლო მარტი - ივნისში ყოველთვიურად 11.7 ათასზე მეტმა პირმა;
- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ივნისში დაიწყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ყოველთვიური სოციალური დახმარების (180 ლარი) გაცემა, საანგარიშო პერიოდში დახმარება გაიცა 583 პირზე;
- „9 მაისის - ფაშიზმზე გამარჯვების 73-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად მეორე მსოფლიო ომის მონაწილემ (445 პირი) მიიღო ფულადი დახმარება 600 ლარის ოდენობით და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგულმა (246 პირი) - 300 ლარის ოდენობით.

სულ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამაზე საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 320.4 მლნ ლარი.

1.1.3. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (პროგრამული კოდი 35 02 03)

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია:

- „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის'' ფარგლებში იანვარში მომსახურება გაეწია - 921 ბენეფიციარს, თებერვალში - 947, მარტში - 928, აპრილში - 979, მაისში - 1 117, ხოლო ივნისში - 973 ბენეფიციარს. დახმარება გაწეულ იქნა ხელოვნური კვების ვაუჩერით;
- „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 638 ბენეფიციარს, თებერვალში - 809 ბენეფიციარს, მარტში - 876 ბენეფიციარს, აპრილში - 928 ბენეფიციარს, მაისში - 974 ბენეფიციარს, ივნისში - 930 ბენეფიციარს;
- „ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, მომსახურება გაეწია იანვარში 27 ბენეფიციარს, თებერვალში - 729 ბენეფიციარს, მარტში - 925 ბენეფიციარს, აპრილში - 718 ბენეფიციარს, მაისში - 903 ბენეფიციარს;
- „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 1 614 ბენეფიციარს, თებერვალში - 1 588, მარტში - 1 653 ბენეფიციარს, აპრილში - 1 671 ბენეფიციარს, მაისში - 1 672 ბენეფიციარს, ივნისში - 1 689 ბენეფიციარს; მათ შორის:
    - ✓ მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების შემთხვევაში: იანვარში - 457 ბენეფიციარს, თებერვალში - 449, მარტში - 457, აპრილში - 461, მაისში - 464, ივნისში - 472;
    - ✓ შშმ ბავშვების შემთვხვევაში: იანვარში - 596 ბენეფიციარს, თებერვალში - 575, მარტში - 617, აპრილში - 630, მაისში - 628 , ივნისში - 641;
    - ✓ 18 წლისა და მეტი ასაკის შშმ პირების შემთხვევაში: იანვარში - 515 ბენეფიციარს, თებერვალში - 518, მარტში - 532, აპრილში - 534, მაისში - 536, ივნისში - 533;
    - ✓ მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების შემთხვევაში: იანვარში - 46 ბენეფიციარს, თებერვალში - 46, მარტში - 47, აპრილში - 46, მაისში - 44, ივნისში - 43;
- „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში გათვალისწინებულ მომსახურებათა შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა: იანვარში - 16 შემთხვევა, თებერვალში - 109 შემთხვევა, მარტში - 230 შემთხვევა, აპრილში - 194 შემთხვევა, მაისში - 406 შემთხვევა, ივნისში - 291 შემთხვევა; მათ შორის:

- ✓ სავარძელ–ეტლებით (მექანიკური) უზუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტის შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: თებერვალში - 22 შემთხვევა, მარტში - 39 შემთხვევა, აპრილში - 31 შემთხვევა, მაისში - 50 შემთხვევა;
- ✓ სავარძელ–ეტლებით (ელექტრო) უზუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტიის ფარგლებში თებერვალში - 6 შემთხვევა, მარტში - 34 შემთხვევა, აპრილში - 20 შემთხვევა, მაისში - 15 შემთხვევა;
- ✓ საპროთეზო–ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის მომსახურების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: თებერვალში - 65 შემთხვევა, მარტში - 107 შემთხვევა, აპრილში - 103 შემთხვევა, მაისში - 91 შემთხვევა;
- ✓ ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებით და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურებების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: თებერვალში - 4 შემთხვევა, მარტში - 10 შემთხვევა, აპრილში - 2 შემთხვევა, მაისში - 7 შემთხვევა;
- ✓ კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: იანვარში - 16 შემთხვევა, თებერვალში - 12 შემთხვევა, მარტში - 40 შემთხვევა, აპრილში - 38 შემთხვევა, მაისში - 58 შემთხვევა, ივნისში - 32 შემთხვევა;
- ✓ სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწონებული მომსახურების შემთხვევაში რაოდენობამ შეადგინა: მაისში -185 შემთხვევა, ივნისში - 259 შემთხვევა.

- „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია: იანვარში 312 ბენეფიციარს, თებერვალში - 314 ბენეფიციარს, მარტში- 323, აპრილში- 325, მაისში - 339, ივნისში - 333;
- „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია: იანვარში 243 ბენეფიციარს, თებერვალში - 247, მარტში - 244, აპრილში - 244, მაისში - 248, ხოლო ივნისში - 252 ბენეფიციარს;
- „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარში 160 ბენეფიციარს, თებერვალში – 146, მარტში - 180, აპრილში - 140, მაისში - 151, ხოლო ივნისში -170 ბენეფიციარს;
- „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია: იანვარში 65 ბენეფიციარს, თებერვალში - 63, მარტში-71, აპრილში - 72, მაისში - 64, ხოლო ივნისში - 58 ბენეფიციარს ;
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია: იანვარში 129 ბენეფიციარს, თებერვალში - 133, მარტში -142, აპრილში - 144, მაისში - 147 ბენეფიციარს;
- „მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია: იანვარში 1 465 ბენეფიციარს, თებერვალში - 1 474, მარტში - 1 468, აპრილში-1 490, მაისში-1 491, ხოლო ივნისში - 1 496 ბენეფიციარს;
- „ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა“ ფარგლებში მარტში მომსახურება გაეწია 19 ბენეფიციარს, აპრილში - 9 ბენეფიციარს, მაისში - 9 ბენეფიციარს;
- „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარ-ივნისში მომსახურება ყოველთვიურად გაეწია- 7-7 ბენეფიციარს;
- „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია: იანვარში 40 ბენეფიციარს, თებერვალში - 41, მარტში - 39, აპრილში - 40, მაისში - 40 ბენეფიციარს.

1.1.4. სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (პროგრამული კოდი 35 02 04)

პროგრამის ფარგლებში:

- ✓ სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირთა პენსიის დანამატი იანვარში მიიღო 66.4 ათასზე მეტმა პირმა, თებერვალში - 66.7 ათასზე მეტმა პირმა, მარტში - 66.8 ათასზე მეტმა პირმა, აპრილში - 66.9 ათასზე მეტმა პირმა, მაისში - 67.0 ათასზე მეტმა პირმა, ხოლო ივნისში - 67.1 ათასზე მეტმა პირმა;

- ✓ სოციალური პაკეტის დანამატი იანვარში მიიღო 12.9 ათასზე მეტმა პირმა, თებერვალი - მარტში 13.0-13.0 ათასზე მეტმა პირმა, ხოლო აპრილი - ივნისში ყოველთვიურად 13.1 ათასზე მეტმა პირმა;
- ✓ ელექტროენერგიის შეღავათი გავრცელდა იანვარში 70.3 ათასზე მეტ აბონენტზე თებერვალში - 69.9 ათასზე მეტ აბონენტზე, მარტში - 71.0 ათასზე მეტ აბონენტზე, აპრილში - 73.7 ათასზე მეტ აბონენტზე, მაისში - 75.8 ათასზე მეტ აბონენტზე, ხოლო ივნისში - 76.3 ათასზე მეტ აბონენტზე;
- ✓ სამედიცინო პერსონალის დანამატი იანვარში მიიღო 1 493 ექიმმა და ექთანმა, თებერვალში - 1 475 ექიმმა და ექთანმა, მარტში - 1 492 ექიმმა და ექთანმა, აპრილში - 1 503, მაისში - 1 498 და ივნისში 1 505 ექიმმა და ექთანმა.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 22.8 მლნ ლარი.

1.1.5. სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02 05)

- ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მოქმედებდა ცხელი ხაზი, რომლის მომსახურებით ისარგებლა 19-მა მოქალაქემ;
- ტრეფიკინგის მსხვერპლებს გაეწიათ სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება, მათ შორის: თავშესაფრით მომსახურება – 3 პირს, ფსიქოლოგიური - 3 პირს, სამედიცინო - 1 პირს, სამართლებრივი კონსულტაცია -2 პირს და კანონიერი ინტერესების დაცვა - 2 პირს;
- ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის საკითხებზე:
  - ✓ ცხელი ხაზის მომსახურებით ისარგებლა 1 037-მა მოქალაქემ;
  - ✓ თავშესაფრების მომსახურებით ისარგებლა 250-მა პირმა (მათ შორის სრულწლოვანი - 98, არასრულწლოვანი - 13, დამოკიდებელი პირი - 139);
  - ✓ ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარება/რეაბილიტაცია გაეწია სულ 182 პირს (მათ შორის სრულწლოვანი - 93, არასრულწლოვანი/დამოკიდებული პირი - 77, არასრულწლოვანი - 12);
  - ✓ სამართლებრივი კონსულტაცია/დახმარება გაეწია სულ 79 პირს (მათ შორის სრულწლოვანი - 67, არასრულწლოვანი/დამოკიდებული პირი - 3, არასრულწლოვანი - 9);
  - ✓ სამედიცინო მომსახურება გაეწია სულ 123 პირს (მათ შორის სრულწლოვანი - 54, არასრულწლოვანი/დამოკიდებული პირი - 66, არასრულწლოვანი - 3;
- დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოში წარსადგენად მომზადდა 18 განცხადება; განქორწინების, ალიმენტის დანიშვნისა და საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით მომზადდა 16 სარჩელი; მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით - 2 სარჩელი; ქონებრივ დავასთან დაკავშირებით მომზადდა 1 სასარჩელო განცხადება; ზიანის ანაზღაურება მოძალადისგან - 1 სარჩელი; შემაკავებელი ორდერის გასაჩივრების 4 შემთხვევაში განხორციელდა მსხვერპლის ინტერესების დაცვა; პირის/ბენეფიციარის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის და მხარდამჭერის დანიშვნის მოთხოვნით წარდგენილ იქნა 3 განცხადება, ხოლო სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობა განხორციელდა 10 სისხლის სამართლის საქმეზე;
- განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (183 ბენეფიციარი), ხანდაზმულთა (153 ბენეფიციარი) და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა (91 ბენეფიციარი) მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, დღის და სადღეღამისო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები;
- სახელმწიფო ზრუნვის ინსტიტუციურ ფორმებში მყოფი ბავშვების ალტერნატიულ ფორმებში გადაყვანილ იქნა 6 ბენეფიციარი (თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი).

1.2. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“

1.2.1. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 01)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების 352.2 ათასზე მეტი შემთხვევა, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების - 152.0 ათასზე მეტი შემთხვევა, კარდიოქირურგიის - 2.0 ათასზე მეტი შემთხვევა, მშობიარობისა და საკეისრო კვეთის 21.0 ათასამდე შემთხვევა, მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურების -1.2 ათასზე მეტი შემთხვევა, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის - 29.6 ათასზე მეტი შემთხვევა, გეგმური ამბულატორიის 1.9 ათასზე მეტი შემთხვევა, გეგმური ქირურგიული მომსახურების (გარდა კარდიოქირურგიისა) – 50.1 ათასზე მეტი შემთხვევა, ინფექციური დაავადებების მართვის - 12.0 ათასზე მეტი შემთხვევა.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 360.0 მლნ ლარი.

1.2.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)

1.2.2.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 02 01)

- „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში სხვადასხვა სახის სკრინინგული კვლევა ჩაუტარდა 29.9 ათასზე მეტ ბენეფიციარს, მათ შორის: ძუძუს კიბოს სკრინინგი - 10.2 ათასზე მეტ, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი (Pap–ტესტი) – 12.2 ათასამდე, კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - 2.5 ათასზე მეტს, პროსტატის კიბოს სკრინინგი - 3.6 ათასზე მეტ, ხოლო კოლონოსკოპიური სკრინინგი - 174 ბენეფიციარს და კოლონოსკოპიური სკრინინგი მორფოლოგიით 23 ბენეფიციარს, საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებულ სკრინინგის პილოტის კომპონენტში კვლევა ჩაუტარდა 481 ბენეფიციარს (მოცვის მაჩვენებელი 59.8%);
- „ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში კონსულტაცია გაეწია 1-6 წლის ასაკის 493 ბავშვს; მათ შორის ჩატარდა ნევროლოგის კონსულტაცია, ძილის დარღვევების კვლევა - 476, ნეიროფსიქოლოგიური კვლევები - 456, ეპილეფტოლოგიური და ელექტროფიზიოლოგიური კვლევები - 27;
- „ეპილეფსიის ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში სულ კონსულტირებულ იქნა 753 პაციენტი, პირველადი ეპილეფტოლოგიური სკრინინგი ჩაუტარდა 753 პაციენტს, 570-ს ელექტროენცეფალოგრაფიული სკრინინგი, 441-ს - ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება, ხოლო 442-ს ეპილეპტოლოგიური დასკვნითი დიაგნოსტიკა;
- დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგის პილოტის კომპონენტის ფარგლებში პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა 299 ბენეფიციარს; დაფიქსირდა განმეორებითი კვლევის 793 შემთხვევა.

1.2.2.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 02 02)

- რუტინული ვაქცინაციის კომპონენტის ფარგლებში სულ ჩატარებულია: ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ (სამშობიარო –1 წლამდე ასაკი) 19 188 აცრა, დაიხარჯა 55 540 დოზა ბცჟ ვაქცინა,

ჰეპატიტი B საწინააღმდეგოდ (სამშობიარო) 19 112 აცრა, დაიხარჯა 19 575 დოზა ჰეპატიტი B მონოვაქცინა, პოლიომიელიტის საწინააღმდეგოდ (15 წლამდე ასაკი) 57 551 აცრა, დაიხარჯა 89 784 დოზა ბოპ ვაქცინა, ჰექსა ვაქცინით (2 თვე – 2 წლამდე ბავშვები) 65 361 აცრა, დაიხარჯა 69 058 დოზა დყტ+ჰეპB+ჰიბ +იპ ვაქცინა, დიფთერია-ყივანახველა-ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინით (1–6 წელი) ჩატარებულია 23 027 აცრა, დაიხარჯა 34 392 დოზა დტ ვაქცინა, დიფთერია - ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინით (1–6 წელი) ჩატარებულია 30 200 აცრა – დაიხარჯა 41 254 დოზა დტყ ვაქცინა, ტეტანუსი–დიფთერიის საწინააღმდეგოდ (7–14 წელი) 21 142 აცრა, დაიხარჯა 26 992 დოზა ტდ ვაქცინა, წითელა, წითურა, ყბაყურას საწინააღმდეგოდ (1–14 წელი და უფროსი) ჩატარებულია 85 646 აცრა, დაიხარჯა 96 334 დოზა წწყ ვაქცინა (ამ რიცხვში შედის წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების ფარგლებში წითელა, წითურა, ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილთა რაოდენობა, რომელიც შეადგენს 32 834. როტას საწინააღმდეგოდ (12–24 კვირა) ჩატარებულია 34 363 აცრა, დაიხარჯა 34 527 დოზა როტა ვაქცინა, პნევმოკოკის საწინააღმდეგოდ (2 თვე–2 წლამდე ბავშვები) ჩატარებულია 59 482 აცრა, დაიხარჯა 68 436 დოზა პკვ ვაქცინა);

- ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგოდ ქ.თბილისში, ქუთაისში და აჭარის ა/რ-ში ჩატარებულია 2 344 აცრა, გაიხარჯა 2 369 დოზა ვაქცინა;
- სპეციფიკური შრატების და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვის კომპონენტის ფარგლებში ანტიდიფთერიული შრატი არ დახარჯულა, ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატი (ადამიანის) – გახარჯულია 12 კოპლექტი, დაფიქსირებულია ტეტანუსის 1 შემთხვევა, გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი - გახარჯულია 6 კოპლექტი, ანტიბოტულინური შრატი გახარჯულია: A ტიპი – 8, B ტიპი – 8, E ტიპი - 8 კომპლექტი, დაფიქსირებულია ბოტულიზმის 9 შემთხვევა, ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინა დაიხარჯა 216 დოზა, აცრა ჩაუტარდა 208 ბენეფიციარს;
- ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში ანტირაბიული იმუნოგლობულინი მოხმარდა 3.9 ათასზე მეტ ბენეფიციარს, რაზეც დაიხარჯა 9 284 ფლაკონი, ანტირაბიული ვაქცინით აცრა ჩაუტარდა 17.9 ათასზე მეტ ბენეფიციარს, გაიხარჯა 69 374 დოზა ვაქცინა; ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა;
- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნა მიღებული მედიკამენტების, შპრიცების, ვაქცინებისა და შრატების გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან ადმინისტრაციულ ერთეულებამდე.

1.2.2.3 ეპიდზედამხედველობა (პროგრამული კოდი 35 03 02 03)

- განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევების (სისხლის სქელი წვეთი და ნაცხები) შედეგების გადამოწმება ცენტრის ლაბორატორიაში და აგრეთვე, პრეპარატების ხარისხის კონტროლი. შემოსულია 69 პრეპარატი, ყველა მათგანის შედეგი იყო უარყოფითი; ჩატარდა მალარიაზე საეჭვო 2 პაციენტის სისხლის ლაბორატრიული კვლევა. მალარიოგენულ ტერიტორიებზე ფუნქციონირებადი 13 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალურ ცენტრს მიეწოდა მალარიაზე საეჭვო პაციენტების კვლევისთვის (სისხლის სქელი წვეთის) საჭირო ლაბორატორიული მასალები, სჯდ ცენტრების მიერ ზემოაღნიშნული კვლევა ჩაუტარდა 738 პირს, დაავადებაზე დადებითი შემთხვევები არ გამოვლენილა; კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა კერებში გადამტანის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებები, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ინსექტიციდით დამუშავება. ქვეყნის მასშტაბით განისაზღვრა რეგიონები (აჭარა, გურია, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი, ქვ. ქართლი) 25 მუნიციპალიტეტი, რომელთა ტერიტორიებზეც სეზონურად განხორციელდება სადეზინსექციო სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ინსექტიციდით დამუშავდა 1 601 850 კვ.მ. ფართობი (გეგმის 16.7%);

- ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომოპნენტის ფარგლებში ჩატარდა 208 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა;
- ვირუსული დიარეების კვლევის კომპონენტის ფარგლებში სულ განხორციელდა მწვავე დიარეის 92 შემთხვევის ფეკალის ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევა;
- WHO-ს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია) პროექტში ჩართული საყრდენი ბაზიდან მოწოდებული 121 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა.
- გრიპზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნებისა და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირების კომპონენტის ფარგლებში ლაბორატორიულად გამოკვლეულია გრიპზე საეჭვო პაციენტების 159 ნიმუში. 18 შემთხვევაში იდენტიფიცირებულია B ტიპის გრიპის ვირუსი, ხოლო 1 შემთხვევაში - A/H1P ტიპის გრიპის ვირუსები.

1.2.2.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 02 04)

- პროგრამაში ჩართულ სისხლის ბანკებში განხორციელდა 43.9 ათასამდე დონაცია, მათგან 27.7 ათასზე მეტი იყო კადრის (რეგულარული) დონორი, 6.0 ათასამდე - ნათესავი და 10.5 ათასამდე - უანგარო დონორი. დონორის სისხლის ნიმუშების კვლევისას გამოვლინდა აივ-ინფექცია/შიდსზე სავარაუდო დადებითი 30 შემთხვევა, C ჰეპატიტზე სავარაუდო - 281, B ჰეპატიტზე - 247, ხოლო სიფილისზე კვლევისას - 176 სავარაუდო შემთხვევა.

1.2.2.5 პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 02 05)

- პროგრამის ფარგლებში 3 საწარმოში ჩატარდა ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური კვლევები;
- მომზადდა ტექნიკური რეგლამენტის პროექტები:
  - ✓ „ვიბრაციისა და მანგანუმის ერთობლივი მოქმედების თავისებურებები ადამიანის ორგანიზმზე“;
  - ✓ „ადამიანების ორგანიზმზე მანგანუმის ნაერთების მოქმედების თავისებურებანი“.

1.2.2.6 ინფექციური დაავადებების მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 06)

- პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2.1 ათასზე მეტი შემთხვევა;

1.2.2.7 ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 07)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 22.6 ათასზე მეტი ამბულატორიული მომსახურების შემთხვევა, მომსახურება გაეწია 14.3 ათასზე მეტ პაციენტს;
- სტაციონარული მომსახურება გაეწია 1.2 ათასზე მეტ პირს და დაფიქსირდა 48.0 ათასზე მეტი შემთხვევა;
- ლაბორატორიული კონტროლის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 19.9 ათასამდე ბაქტერიოსკოპული კვლევა; სადიაგნოსტიკო კვლევა 10.6 ათასამდე, ხოლო ქიმიოკონტროლი - 9.2 ათასზე მეტი, ჩატარებული ბაქტერიოლოგიური (კულტურალური) კვლევების რაოდენობა - 7.2 ათასზე მეტი, ანტიბიოტიკომგრძნობელობა I რიგის ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატების მიმართ - 1 704, ანტიბიოტიკომგრძნობელობა II რიგის ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატების მიმართ - 520; GeneXpert აპარატით ჩატარებული კვლევების რაოდენობა - 10.6 ათასამდე, FAST სტრატეგიის ფარგლებში GeneXpert აპარატით ჩატარებული კვლევების რაოდენობა 1.4 ათასზე მეტი, ფილტვგარეშე ტუბერკულოზი - 823; განხორციელდა 3 064 ამანათის ტრანსპორტირება;
- პირველი რიგის მედიკამენტებით მკურნალობაში ჩაერთო 1 184 ტბ პაციენტი;
- 722-მა MDR პაციენტმა მიიღო ფულადი წახალისება მკურნალობაზე კარგი დამყოლობისათვის;

- 1 264-მა სენსიტიურმა პაციენტმა მკურნალობაზე კარგი დამყოლობისათვის მიიღო ფულადი წახალისება გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამიდან.

1.2.2.8 აივ ინფექციის/შიდსის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 08)

- დაფიქსირდა აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურების 23.9 ათასამდე შემთხვევა. ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 4.0 ათასზე მეტმა პირმა, ჩატარდა 48 972 სკრინინგული გამოკვლევა, მათგან გამოვლინდა 383 სავარაუდო დადებითი შემთხვევა და დადასტურდა 358. ასევე ჩატარდა 17 942 ტესტის წინა და 17 835 ტესტის შემდგომი კონსულტაცია, 383 კონფირმაციული კვლევა იმუნოგლობულინის მეთოდით და 54 პოლიმერიზაციის ჯაჭვური რექციის (პჯრ) მეთოდით;
- აივ-ინფექციის/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტებით მკურნალობა ჩაუტარდა 3 529 შიდსით დაავადებულ პაციენტს, ხოლო მეორე რიგის მედიკამენტებით მკურნალობა - 814 პაციენტს;
- დაფიქსირდა აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურების 358 შემთხვევა, მკურნალობით ისარგებლა 298-მა ბენეფიციარმა.

1.2.2.9 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 02 09)

- ინფექციებზე კომბინირებული ტესტ-სისტემებით („B“ და „C“ ჰეპატიტი, სიფილისი, აივ ინფექცია/შიდსი) გამოკვლეულ ორსულთა რაოდენობა შეადგენს 22.3 ათასზე მეტ ორსულს. სიფილისის სწრაფი მარტივი ტესტებით ორსულობის მესამე ვიზიტზე სკრინინგი ჩაუტარდა 13.9 ათასზე მეტ ბენეფიციარს;
- კონფირმაციული კვლევით გამოკვლეული იქნა: B ჰეპატიტზე - 380 სისხლის ნიმუში (დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა - 365); სიფილისზე - 64 სისხლის ნიმუში (დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა - 15, ხოლო საეჭვო შემთხვევების რაოდენობა -6); აივ-ინფექცია/შიდსზე საეჭვო შემთხვევის რაოდენობაა - 25 (უარყოფითი შედეგი -19, 1 ორსულზე მიმდინარეობს მიდევნება, დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა - 5, მ.შ. ორსული (ადრე დადასტურებული) იმყოფება მკურნალობის ქვეშ, ხოლო 4 ორსულს (ახალგამოვლენილი შემთხვევები) დაუდასტურდა ინფექცია, დარეგისტრირდა და იმყოფება მეთვალყურეობის ქვეშ;
- C ჰეპატიტზე გამოკვეულ იქნა სულ 21.7 ათასზე მეტი ორსული (მათ შორის, სკრინინგით დადებითი შემთხვევების რაოდენობა შეადგინა 121);
- C ჰეპატიტზე საეჭვო შემთხვევების რაოდენობაა - 108;
- B ჰეპატიტის იმუნოგლობულინი გაუკეთდა 375 ბენეფიციარს;
- სმენის სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში ქ. თბილისის სამშობიარო სახლებში საანგარიშო პერიოდში გამოკვლეულ იქნა 5.2 ათასამდე ახალშობილი. 2018 წლის 1 მარტიდან პერინატალური სერვისის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებს დაევალათ ახალშობილთა სმენის პირველად სკრინინგულ (ოტოაკუსტიკური ემისიის მეთოდით) კვლევაზე ხელმისაწვდომობა, ხოლო პროგრამის მიმწოდებელს უზრუნველყოფა პირველადი სკრინინგით გამოვლენილი სმენის დარღვევების მქონე ახალშობილების მეორადი სკრინინგი და საჭიროების შემთხვევაში მათი ჩაღრმავებული კვლევები (ტიმპანომეტრულ კვლევა და კომპიუტერული აუდიომეტრია). საანგარიშო პერიოდში სმენის მეორადის სკრინინგი ჩაუტარდა 330 ახალშობილს;
- ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა ორსულთა ვიზიტების 76.7 ათასზე მეტი შემთხვევა;
- გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის 2.1 ათასზე მეტი შემთხვევა;
- ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე კომპონენტის ფარგლებში გამოკვლეული იქნა 23.6 ათასზე მეტი ბენეფიციარი.

1.2.2.10 ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 02 10)

- ჩანაცვლებითი თერაპიით მომსახურება გაეწია 8.1 ათასზე მეტ ბენეფიციარს, ხოლო სტაციონარული დეტოქსიკაციითა და რეაბილიტაციით ისარგებლა 392 პაციენტმა;
- ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურებით ისარგებლა 221-მა პირმა.

1.2.2.11 ჯანმრთელობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 35 03 02 11)

- განხორციელდა რიგი ღონისძიებები შემდეგი მიმართულებებით: თამბაქოს მოხმარების კონტროლის ღონისძიებები; ჯანსაღი კვების შესახებ განათლება; ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერება; ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა; C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა.

1.2.2.12 C ჰეპატიტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 12)

- დიაგნოსტიკის კომპონენტით ისარგებლა 14.2 ათასზე მეტმა პირმა;
- სკრინინგული კომპონენტის ფარგლებში C ჰეპატიტის სკრინინგის ელექტრონულ ბაზაში, აღნიშნული და სხვა პროგრამებით C ჰეპატიტზე დასკრინულ ბენეფიციართა რაოდენობა სულ შეადგენს 403.1 ათასამდე ბენეფიციარს, მათგან საეჭვო დადებითი აღმოჩნდა 12.1 ათასამდე (3%) მათ შორის:
    - ✓ C ჰეპატიტის მართვის პროგრამის ფარგლებში - ცენტრის ლაბორატორიებისა და გამსვლელი ბრიგადებით - 11.2 ათასზე მეტი ბენეფიციარი, ამბულატორიული დაწესებულებების მიერ - 138.2 ათასზე მეტი ბენეფიციარი;
    - ✓ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამით ჩატარდა 21.7 ათასზე მეტი ორსულის სკრინინგული კვლევა;
    - ✓ უსაფრთხო სისხლის პროგრამის ფარგლებში, დონორთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემებით - 45.3 ათასამდე დონორი;
- სკრინინგული კვლევა ჩაუტარდა 186.6 ათასზე მეტ ჰოსპიტალიზებულ პაციენტს.

1.2.3 მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 03)

1.2.3.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 01)

- ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 19.8 ათასამდე ბენეფიციარმა;
- ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა 65 ბენეფიციარს;
- ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ფარგლებში მომსახურება გაიარა 168 ბენეფიციარმა;
- ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია განხორციელდა 345 ბენეფიციართან;
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურებით ისარგებლა - 321 ბენეფიციარმა;
- ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურების კომპონენტით ისარგებლა 3.2 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა;
- ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 103 ბენეფიციარს.

1.2.3.2 დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 02)

- შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურების კომპონენტით ისარგებლა 1 404 ბენეფიციარმა, ხოლო სპეციალიზებული აბულატორიული დახმარების კომპონენტით ისარგებლა 2.6 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა.

1.2.3.3 ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 03)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების 4.9 ათასამდე შემთხვევა და პროგრამით ისარგებლა 93-მა ბენეფიციარმა.

1.2.3.4 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 35 03 03 04)

- პროგრამის ფარგლებში ჩართული იყო 3.0 ათასამდე პაციენტი; სულ დაფიქსირდა ჰემოდიალიზის 185.1 ათასზე მეტი შემთხვევა (2 816 ბენეფიციარი), პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფის 441 შემთხვევა (93 ბენეფიციარი);
- დაფიქსირდა თირკმლის ტრანსპლანტაციის 9 შემთხვევა.

1.2.3.5 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 35 03 03 05)

- ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 10.5 ათასზე მეტი შემთხვევა, 580 პაციენტს გაეწია შესაბამისი მომსახურება;
- ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 11.1 ათასზე მეტი საწოლ-დღე, მომსახურება გაეწია 789 პაციენტს.

1.2.3.6 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 03 06)

- სტაციონარული მომსახურება გაეწია იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის 336 ბავშვს (460 შემთხვევა);
- ამბულატორიული მომსახურება გაეწია 166 ბავშვს;
- ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა გაეწია 206 პაციენტს, დაფიქსირდა 1.9 ათასზე მეტი შემთხვევა.

1.2.3.7 სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 35 03 03 07)

- ცენტრის მართვაში არსებული 219 ბრიგადის მეშვეობით განხორციელდა 393 000-მდე გამოძახების შესრულება; სამთო-სათხილამურო სეზონთან დაკავშირებით 1 ბრიგადა დაემატა დაბა გუდაურში, 3 ბრიგადა - ბაკურიანში, 1 ბრიგადა - მესტიაში, ხოლო 1 ბრიგადა - გოდერძის უღელტეხილზე;
- სამედიცინო ტრანსპორტირება-რეფერალური დახმარების კომპონენტის ფარგლებში შესრულდა 9.4 ათასამდე გამოძახება;

1.2.3.8 სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 35 03 03 08)

- სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები უზრუნველყოფილი არიან პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით (ექიმთან ვიზიტი, ექიმის ვიზიტი ბინაზე, ლაბორატორიული

გამოკვლევები, ექიმის მეთვალყურეობა და სხვა). ასევე გათვალისწინებულია სპეცდაფინანსება მაღალმთიან, სასაზღვრო და ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე რეგიონებში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის;

- პროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტებული იყო 1 210 სოფლის ექიმი და 1 450 ექთანი; პროვაიდერების ჩათვლით: 1 279 ექიმი და 1 544 ექთანი.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში გადარიცხულ იქნა 12.5 მლნ ლარი.

1.2.3.9 რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 09)

- დაფიქსირდა სტიქიური უბედურებების, კატასროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ სხვა განსაზღვრულ შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების 8.1 ათასზე მეტი შემთხვევა, მომსახურება გაეწია 6.2 ათასამდე პაციენტს.

1.2.3.10 სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 35 03 03 10)

- გამოკვლეულ იქნა 9.3 ათასზე მეტი წვევამდელი. მათ შორის, ამბულატორიული კომპონენტით ისარგებლა 8.7 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა, ხოლო დამატებითი კვლევების კომპონენტით 600 პირმა.

1.2.3.11 ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 03 03 11)

- განხორციელდა გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა, დიაბეტის (ტიპი 2) სამკურნალო და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა. აღნიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფილია 13 140 ბენეფიციარი.

1.2.4 დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 35 03 04)

- 2018 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში განხორციელდა მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებისათვის საექიმო სპეციალობების მაძიებელთა დიპლომისშემდგომი განათლების დაფინანსება. იანვარში ჩართული 22 მაძიებლიდან 14-მა დაასრულა მზადება;
- ერთიან დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მაღალი შეფასების მქონე 9 საექიმო სპეციალობის მაძიებელმა მიიღო ფინანსური მხარდაჭერა (თითოეულმა მაძიებელმა 2 200 ლარის ოდენობით).

1.3 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- მიმდინარეობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, პენსიონერთა და მათი ოჯახის წევრთა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა

სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდებოდა მათი ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია; მოსამსახურეების საბაზისო სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა; ტარდებოდა პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზი, ასევე შასაბამისი ღონისძიებები ეფექტურობის ამაღლების მიზნით;

- თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის მიერ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისთვის განხორციელდა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება:
  - ✓ ამბულატორული მომსახურება - 7 870 თანამშრომელი;
  - ✓ სტაციონალური მომსახურება - 1 005 თანამშრომელი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კომპანია "Otto Bock HealthCare GmbH"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საგარანტიო მომსახურეობა (შემოწმება) ჩაუტარდა 7 დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურის Genium X3 საპროთეზო მუხლებს
- საპროთეზო - ორპედიული მომსახურება ჩაუტარდა 10 დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეს;
- საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოგისტიკის ცენტრის (აღმოსავლეთი) მარო მაყაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილიტაციო სამსახურში ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსი გაიარა საქართველოს შეიარაღებული ძალების 78 სამხედრო მოსამსახურემ და 45 ოჯახის წევრმა. ასევე აღნიშნული კურსი გაიარა აღმოსავლეთ უკრაინის ანტიტერორისტულ ოპერაციებში უკრაინის სამხედრო ძალების 16 სამხედრო მოსამსახურემ, ასევე საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაჭრილმა ორმა გერმანელმა სამხედრო მოსამსახურემ და 2 ოჯახის წევრმა;
- სამხედრო სამსახურში, სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სამინისტროს სისტემის ქვედანაყოფებში მისაღები კანდიდატების, მისიაში წამსვლელი, მისიიდან დაბრუნებული პირადი შემადგენლობის ფსიქოლოგიური შერჩევა/მონიტორინგი, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, სუიციდის პრევენციის ფარგლებში ფსიქოლოგიური შემოწმება, დაჭრილ/დაშავებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია - განხორციელდა 2 036 პირთან;
- სამედიცინო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დახმარება გაეწია - 91 სამხედრო და 24 სამოქალაქო მოსამსახურეს; კონტრაქტის დახმარებით უზრუნველყოფილია თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის 795 მოსამსახურე; მძიმე და ნაკლებად მძიმე ტრამვების ანაზღაურება მიიღო შესაბამისად 4-მა და 15-მა მოსამსახურემ; შვილის შეძენასთან დაკავშირებული დახმარება გაიცა 769 მოსამსახურეზე; მინისტრის ინდივიდუალური აქტით დახმარება კი მიიღო 340-მა მოსამსახურემ.

1.4. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
- სსიპ - „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“

1.4.1 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 35 01 01)

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება.

1.4.2 სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 02)

- მიმდინარეობდა სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი.
- დასრულდა 341 საკითხის შესწავლა/განხილვა. 5 სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელდა სახელმწიფო პროგრამების გეგმიური და 1 დაწესებულებაში - არაგეგმიური რევიზია. სალიცენზიო, სანებართვო და ტექნიკური რეგლამენტის პირობები შემოწმდა 39 სამედიცინო დაწესებულებაში, ხოლო ინფექციების კონტროლის სისტემის ფუნქციონირება შემოწმდა 16 სტაციონარულ დაწესებულებაში;
- სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციით, შენიშვნა მიეცა 37 სამართალდამრღვევს, საქმე შეწყდა 3 შემთხვევაში. დაჯარიმდა - 242 სამართალდამრღვევი;
- სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია გაიცა 4 სამედიცინო დაწესებულებაზე, ხოლო უარი ეთქვა 2 სამედიცინო დაწესებულებას. სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია გაიცა 1 დაწესებულებაზე.
- განხილულ იქნა დიპლომისშემდგომი მზადების განხორციელების უფლების მქონე/მაძიებლის (სამედიცინო დაწესებულება/სასწავლებელი) 91 სააკრედიტაციო განაცხადი;
- გაცემულია 37 ნებართვა ავტორიზებულ აფთიაქზე და ფარმაცევტულ წარმოებაზე. შეტყობინების საფუძველზე რეალიზაციის უფლება მიეცა 263 აფთიაქს. გაუქმდა 34 ფარმაცევტული დაწესებულება. შეტყობინების საფუძველზე რეალიზაცია შეწყვიტა 144-მა ფარმაცევტულმა დაწესებულებამ. ნებართვის გაცემეზე უარი ეთქვა 12 ავტორიზებულ აფთიაქს. გაიცა ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის 21 ნებართვა (საერთაშორისო კვლევები). კლინიკური კვლევის ნებართვის გაცემაზე უარი ეთქვა 5 მაძიებლს (საერთაშორისო კვლევები);
- ფარმაცევტული პროდუქტის ეროვნული რეჟიმით რეგისტრაცია გაიარა 362 ფარმაცევტულმა პროდუქტმა; ეროვნული რეჟიმით რეგისტრაცია გაიარა 598-მა პროდუქტმა. გაკეთდა 793 განსხვავებული შეფუთვა-მარკირებით შემოტანის შეტყობინება. უარი ეთქვა, აღიარებითი რეჟიმით რეგისტრაციაზე 11 ფარმაცევტულ პროდუქტს, ეროვნული რეჟმით რეგისტრაციაზე - 59 ფარმაცევტულ პროდუქტს. უარი ეთქვა განსხვავებული შეფუთვა-მარკირებით შემოტანის 30 შეტყობინებას; ეროვნული რეჟმით გაუქმდა 52 ფარმაცევტული პროდუქტი;
- განხორციელდა ფარმაცევტული საქმიანობის კონტროლის 390 ღონისძიება, 376 შემთხვევაში გამოვლინდა სამართალდარღვევის ფაქტები;
- 13 დაწესებულებაში შემოწმდა შშმპ სტატუსის მინიჭების მართლზომიერება. განმეორებით გამოკვლევაზე გადაიგზავნა სულ 156 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, გადამოწმებაზე არ გამოცხადდა 8 შშმ პირი, სტატუსი არ დაუდგინდა 3 შშმ პირს, სტატუსი დაუდასტურდა 116 შშმ პირს;
- 47 ფარმაცევტულ დაწესებულებაში განხორციელდა 136 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა.

1.4.3 დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა (პროგრამული კოდი 35 01 03)

- მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი;

- მიმდინარეობდა ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა;
- განხორციელდა ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა;
- მიმდინარეობდა იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა.

1.4.4 სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01 04)

- მიმდინარეობდა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის, დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარებისა და სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება, შესაბამისი საინფორმაციო ბაზების განახლება და კომპეტენციის ფარგლებში მართვა;
- მიმდინარეობდა სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული) ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება;
- განხორციელდა ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად/შვილობილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის წარმართვა და კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკის წარმოება;
- განხორციელდა მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების შესყიდვა და მონიტორინგი.

1.4.5 სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მართვა (პროგრამული კოდი 35 01 05)

- სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომლებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩატარდა 15 ტრენინგი სოციალური მუშაობის, კომუნიკაციისა და უკუკავშირის, ოჯახის დაგეგმვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების გამოძიების, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთათვის მხარდაჭერის გაწევის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა მხარდაჭერის, ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების და სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით;
- ფონდის მიერ გამოცემული დისციპლინური ზომების (შენიშვნა, გაფრთხილება, საყვედური) რაოდენობამ შეადგინა - 4.

1.4.6 საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა (პროგრამული კოდი 35 01 06)

- პროგრამის ფარგლებში რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში (გარდა თბილისისა) უზრუნველყოფილი იქნა მოსახლეობისათვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- უზრუნველყოფილ იქნა სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის რაიონული სამსახურების ბრიგადების მიერ მიღებული და შესრულებული გამოძახებები. ინფორმაცია დამუშავდა და ხდებოდა მისი ყოველდღიური ანალიზი;
- ცენტრის საკუთრებაში არსებული, ეროვნულ სასწავლო ცენტრის ბაზაზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად გადამზადება გაიარა 330-მა თანამშრომელმა. გადამზადებულა 82- ექიმი, 164-ექთანი და 84 მძღოლი;

- ცენტრის რაიონულ სამსახურებში საკადრო დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, შეიქმნა „სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ექიმამდელი, პრეჰოსპიტალური, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სპეციალისტი-პარამედიკოსის სპეციალიზაციის კურსი“, რომლის ფარგლებში გადამზადდა 13 პარამედიკოსი.

1.5. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 35 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

- დაფინანსდა შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მართვაში არსებული ლანჩხუთის სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის საჭირო რენტგენოგრაფიული სისტემის შესყიდვა;
- სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისთვის შესყიდულ იქნა სპეციალიზებული ფორმები (ფეხსაცმელი), 16 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ქვედანაყოფში განხორციელდა ახალი ოფისების აღჭურვა ავეჯით, საოჯახო ტექნიკითა და ინვენტარით;
- შესყიდულ იქნა სამედიცინო მოწყობილობები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კრწანისში (იაღლუჯი) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტისა და საქართველოს დაზვერვის სამსახურისათვის;
- განხორციელდა აზომვითი ნახაზების შედგენა/დაზუსტების მომსახურების შესყიდვა (სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მიწის ნაკვეთის გამიჯვნისა და საკადასტრო რუკის განახლება, ტუბერკულოზის ეროვნული სათავო/რეფერენს ლაბორატორიისა და სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ გაერთიანებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის შედგენა და შენობა-ნაგებობის დატანა, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე-ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობის საკადასტრო აზომვითი ნახაზის და ტოპოგრაფიული რუკის შედგენა).

1.6 სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (პროგრამული კოდი 37 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური;
- ✓ ა(ა)იპ სპორტული კლუბი არმია

- ვახტანგ გორგასლის I, II და III ხარისხის ორდენებით დაჯილდოებულ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისა და თავდადებისთვის, საქართველოს შეიარაღებული ძალების 71 სამხედრო მოსამსახურის ოჯახებს გადაეცათ სახელმწიფო ჯილდოები;
- 50-მდე საჯარო სკოლაში გაიხსნა ვეტერანთა კუთხე;
- საქართველო-უკრაინის დიპლომატიის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. ოდესაში ჩატარდა ქართულ-უკრაინული ერთობლივი ღონისძიებები სახელწოდებით: „ენა, მამული, სარწმუნოება“;
- გამოიცა ჟურნალი „ვეტერანი“, რომელშიც ასახულია ვეტერანთა ისტორიები;
- ვეტერანებისთვის მაღალი ხარისხის საპროთეზო საშუალებების დამზადების მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრა მსოფლიოში ლიდერი საპროთეზო ცენტრის „OttoBock”-ის აღმოსავლეთ ევროპის ზონის და შშმ პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის თანამშრომლებს შორის;
- იურიდიული კონსულტაცია გაეწია 784 ბენეფიციარს;

- ვეტერანის სტატუსი მიენიჭა 1 284 პირს, სტსტუსის მინიჭებაზე უარი ეთქვა 23 პირს, ხოლო სტატუსი შეუჩერდა 1 253 პირს;
- დაფინანსდა ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება. ამ მიზნით სამსახურს მომართა 3 076 ბენეფიციარმა, კომისიის მიერ განხილულ იქნა და გაიცა საგარანტიო წერილები 1 380 ბენეფიციარზე, ხოლო ადგილობრივ თვითმართველობასთან და ცენტრალურ სახელისუფლებო სტრუქტურებთან 799 ბენეფიციარს გაეწია შუამდგომლობა. გარდაცვილი ვეტერანის ოჯახებზე გაიცა ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება 500 ლარის ოდენობით;
- ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის, საქართველოს საპატრიარქოსა და არასამთავრობო სექტორის ხელშეწყობით დაიწყო პროექტის „ომის ვეტერანები მომავალი თაობისათვის" განხორციელება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დარგული იქნა 150 ძირი ხეხილის ნერგი;
- დედის დღესთან დაკავშირებით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით, ვეტერანების შვილებისა და შვილიშვილებისთვის გაიმართა სპორტული და გასართობი ღონისძიება „მხიარული მარათონი“.
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ასევე, ვეტერანთა ღვაწლის, დამსახურებისა და პატივისცემის გამოხატვის მიზნით, ასი წლის და ას წელს გადაცილებულ ვეტერანებს, დაბადების დღესთან დაკავშირებით გადაეცათ, სამახსოვრო საჩუქრები;
- მოხუცებულთა თავშესაფრებში მცხოვრებ ომის ვეტერანებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს და სააღდგომო ნობათი დაურიგეს;
- გაიმართა სამუშაო შეხვედრა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აფხაზეთის, სამაჩაბლოს და 2008 წლის აგვისტოს ომებში მონაწილე საბრძოლო შენაერთების მეთაურებთან, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში, შეხვედრის მიზანი იყო საბრძოლო შენაერთების მეთაურებისგან დაკარგული მებრძოლებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების საფლავების ან მათი ნეშთის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მიღება და გაცვლა;
- სამსახურის მიერ საქართველოს ეროვნული არქივიდან მოძიებულ იქნა ფოტონეგატივები და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გაიხსნა ფოტოგამოფენა „სამშობლოსათვის“;
- უწყების ბენეფიციართათვის, ჩატარდა საქართველოს მასშტაბით უფასო სამედიცინო გამოკვლევები აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ექიმების მიერ.
- საერთაშორისო ორგანიზაციამ ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ შშმ პირებს გადასცეს ეტლები, სხვადასხვა სახის მედიკამენტები და გაუწიეს უფასო სამედიცინო დახმარება. ლაიონსების თვალის ცენტრის მიერ ვეტერანებსა და მათი ოჯახის წევრებს უფასო პირველადი ოფთალმოგიური კვლევა ჩაუტარდათ;
- პასპორტიზაციის სახე ეძლევა თითოეული მებრძოლის პირად საქმეს. შეიქმნა რაიონების მიხედვით დაზუსტებული სიები და გადამოწმდა ოჯახებში არსებული პირადი ინფორმაციები;
- მიმდინარეობს მმართველობის სფეროში მყოფი შპს. ვ.სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ქ. თბილისი კედიას ქ. N7).
- ეროვნულ ჩემპიონატში რაგბის გუნდმა გამართა 8 მატჩი, რომელთაგანაც 1 მატჩი მოგებით დაასრულა. აღნიშნულ ჩემპიონატში გუნდმა დაიკავა მე-9 ადგილი.
- რაგბში მიმდინარეობდა „ა“ და „ბ“ ლიგის ასაკობრივი გუნდების გარდამავალი ჩემპიონატი. ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდმა „გოჩა აბაშიძის თასის“ გარდამავალ ტურნირზე (აღმოსავლეთი) გამართა 9 მატჩი. 1 მოგებით დაასრულა და დაიკავა მე-8 ადგილი, ხოლო ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდმა „თენგიზ ჩერგოლეიშვილის თასის“ ტურნირზე (აღმოსავლეთი „ა“) გამართა 9 მატჩი, რომელთაგან 2 მოგებით და 1 ფრედ დაასრულა;

1.7 შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;

- დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის ფარგლებში (www.worknet.gov.ge) ვებპორტალზე რეგისტრაცია გაიარა 43.0 ათასზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა. 448 დამსაქმებელმა დაარეგისტრირა 3 726 თავისუფალი სამუშაო ადგილი;
- შრომის ბაზარზე ქცევის წესების გაცნობის მიზნით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ყველა რაიონულ განყოფილებაში სამუშაოს მაძიებლებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური და ჯგუფური ზოგადი კონსულტირებები.
    - ✓ ჯგუფურ კონსულტირებაში მონაწილეობა მიიღო 911-მა სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის: ქალი - 597, ახალგაზრდა - 221, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა - 273, იძულებით გადაადგილებული პირი - 81, შშმ პირი- 19;
    - ✓ ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა 6 407 სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის: ქალი - 4 533, ახალგაზრდა - 1 739, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა - 5 557, იძულებით გადაადგილებული პირი - 1 063;
- სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების მიერ კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების მომსახურებები ჩატარდა თბილისსა და საქართველოს ხუთ რეგიონში.
    - ✓ ინდივიდუალური პროფესიული კონსულტირება ჯამში გაეწია 355 ბენეფიციარს მათ შორის: ქალი -241, ახალგაზრდა 15 წლიდან 29 წლის ჩათვლით - 207, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა - 202, იძულებით გადაადგილებული პირი - 46;
    - ✓ ჯგუფური პროფესიული კონსულტირება გაეწია 274 ბენეფიციარს. მათ შორის: ქალი - 167, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა - 65, იძულებით გადაადგილებული პირი - 67;
- დამსაქმებელთან შეხვედრის შედეგად მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა მოიძიეს 221 ვაკანსია შშმ პირთათვის. მხარდაჭერითი მომსახურება გაეწია 193 შშმ პირს (თბილისი - 82, რეგიონი - 111). აღნიშნული აქტივობის ფარგლებში დასაქმდა 27 შშმ პირი (თბილისი - 2, რეგიონი - 25);
- დასაქმების კონსულტანტების მხარდაჭერით, სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 13 დამსაქმებელი და 23 შშმ პირი. 2017 წლის პროგრამის ფარგლებში სუბსიდირების კომპონენტში ჩართული ბენეფიციარებიდან, 2018 წელს დასაქმდა 15 შშმ პირი (თბილისი - 6, რეგიონი - 9);
- ჩატარდა 6 დასაქმების ფორუმი, ფორუმებში მონაწილეობა მიიღო სულ 92-მა დამსაქმებელმა და 1 000-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა;
- შრომის პირობების ინსპექტირების პროგრამის ფარგლებში შრომის უსაფრთხოებისა და შრომის პირობების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით ქვეყნის მასშტაბით შემოწმდა 55 კომპანია, გამოვლენილ დარღვევებზე კი გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები;
- იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის წესის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით შემოწმდა 103 კომპანია გეგმიურად, ხოლო ერთი კომპანია არაგეგმიურად;
- სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპი ხორციელდება ქალაქ თბილისში და 15 მუნიციპალურ ერთეულში:
    - ✓ პროგრამაში მიმწოდებლად ჩართულია 41 პროფესიული სასწავლებელი (15 -სახელმწიფო კოლეჯი; 26 -კერძო). რეგისტრაციის პროცესი გაიარა 2347 სამუშაოს მაძიებელმა. პროგრამაში ჩართულია 187 იძულებით გადაადგილებული პირი, 384 სოციალურად დაუცველი პირი, 23 ყოფილი პატიმარი, 1 პრობაციონერი და 72 შშმ პირი;

- ✓ კვალიფიკაციის ამაღლების (სტაჟირების) კომპონენტის ფარგლებში მიმწოდებლად დარეგისტრირდა 40 ორგანიზაცია, მათ შორის თბილისში - 8, ხოლო რეგიონებში -32. სტაჟიორად დარეგისტრირდა 162 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი 32, იძულებით გადაადგილებული პირი - 9. დღეის მდგომარეობით (სტაჟირების) კომპონენტის ფარგლებში უკვე დასაქმებულია 20 სამუშაოს მაძიებელი;
- ✓ ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად 2018 წლის 1 ივლისის მგდომარეობით დასაქმებულია 651 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 45 შშმ პირი.

1.8 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსაურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

- განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაშავებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახების წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;
- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით, განხორციელდა ბენეფიცართა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება;
- დადგენილი წესით ჩატარებული იქნა სამხედრო-საექიმო კომისიები;

1.9 ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი (პროგრამული კოდი 39 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი

- სოლიდარობის ფონდმა ფინანსური მხარდაჭერა გაუწია სიმსივნით დაავადებული და სისხლმბადი ორგანოს დაავადებების მქონე ბავშვსა და 22 წლამდე ასაკის ახალგაზრდას (ჯამში 540, ახალი შემთხვევა - 79) აღნიშნული მხარდაჭერა მოიცავდა ძვირადღირებული სადიაგნოსტიკო/სამკურნალო მომსახურებას და მედიკამენტების დაფინანსებას (126 შემთხვევა);
- განხორციელდა 480-მდე საჯარო უწყების 100 000-ზე მეტი თანამშრომლის ყოველთვიური ინდივიდუალური დონაცია, 76 თანამშრომლობითი მემორანდუმის ფარგლებში საჯარო და კერძო სექტორში ინოვაციური დაფინანსების ინიცატივების გააქტიურება, 11 საქველმოქმედო შემოქმედებითი პროგრამა, ასევე ინდივიდუალური ინიციატივის ფარგლებში დონაციები.

2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

2.1 საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება - (პროგრამული კოდი 30 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია

- დასრულდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პირველი ფაზის საპილოტე რეჟიმში მუშაობა, ასევე მისი შეფასების დოკუმენტზე მუშაობა. დაიწყო და მიმდინარეობდა მეორე ფაზის დაგეგმვა. პროგრამაში ჩართული პირების შესაძლებლობების განვითარების მიზნით, 2018 წლის 1 მარტიდან ექვსმა ანალიტიკოსმა გაიარა სტაჟირება შსს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში. დასრულდა შემუშავებული პროექტის (e-Police) ტექნიკური დავალების შემუშავების პროცესი და გრძელდებოდა მუშაობა მის განვითარებაზე;
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, რომელშიც სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად მონაწილეობას იღებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, განხორციელდა საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ.
- 31 მაისს ჩატარდა პოლიციელის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღონისძიებაზე სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებს ჰქონდათ საშუალება მოსახლეობისთვის გაეცნოთ სამომავლო გეგმები თავიანთი სფეროს მიმართულებით;
- განხორციელდა მართლწესრიგის ოფიცრის კამპანია, რომელიც ემსახურებოდა რეკრუიტინგის მიმართულებით საინფორმაციო კამპანიის წარმოებას, ასევე აქტიურად ხორციელდებოდა საზოგადოების ინფორმირება კრიმინალთან ბრძოლის მიმართულებით, რაც მოიცავდა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს და მესიჯებს, მათ შორის ვიდეორგოლებს, ღია კარის დღეს, საინფორმაციო საშუალებებს და ა.შ.;
- საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის, დანაშაულის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი 92 სერვერის შესყიდვის მიზნით;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროსა და პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტების მიერ 1 837 ერთეული ზოგადი ხედვის ვიდეოკამერის (ასევე, კვების ბლოკი), ასევე მათთვის გათვალისწინებული 1 100 ლიცენზიის სერვერული ინფრასტრუქტურის შეძენის მიზნით გაფორმა შესყიდვის ხელშეკრულებები;
- სილქნეტთან გაფორმდა 5 წლიანი ხელშეკრულება, რომლის ფარგელბშიც საქართველოს მასშტაბით 2 094 საკომუნიკაციო წერტილზე განხორციელდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის/რადიო-სარელეო ხაზის მოწყობა და სამუშაოების შესრულება;
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, განხორციელდა შემდეგი ძირითადი ღონისძიებები:
  - ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში, რომლის ფარგლებში ქ. ანკარასა და სტამბულში გაიმართა ერთობლივი კომისიის შეხვედრები, სადაც განხილული იქნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისა და ორმხრივი საპოლიციო თანამშრომლობის საკითხები;
  - ✓ ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე“ ურთიერთგაგების მემორანდუმს და „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის მეკავშირეობის შესახებ“ შეთანხმებას;

- ✓ მიმდინარეობდა ინფორმაციის გაცვლა „საქართველოს მთავრობასა და სერბეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების პროექტსა და „საქართველოს მთავრობასა და სერბეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების პროექტის შესახებ, მათი ხელმოსაწერად მომზადების მიზნით. აგრეთვე, მოხდა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის მართვის საკითხში სერბეთის გამოცდილების გაზიარება;
- ✓ ხელი მოაწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმს;
- ✓ ხელი მოეწერა ერთობლივ განცხადებას შვედეთთან, დანაშაულის, განსაკუთრებით კი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ზომების შემდგომი გაძლიერების შესახებ;
- ✓ სამინისტროს მოსამსახურეების ვიზიტი ქ. კიევში სუამ–ის კიბერუსაფრთხოების სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მიზნით. სამუშაო ჯგუფმა განიხილა და შეათანხმა სუამ–ის წევრ სახელმწიფოებს შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის ტექსტი;
- შინაგან საქეთა სამინისტროს საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ფარგლებში 89 საჯარო სკოლის 11-ე და 9-ე კლასის მოსწავლეებს ჩაუტარდათ საინფორმაციო-საგანმანათლებლო სემინარები კიბერუსაფრთხოების, მართლწესრიგის, ოჯახში ძალადობის და „ბულინგის“ თემატიკაზე. მოსწავლები ასევე, ესტუმრნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს: სსიპ-112-ს, საექსპერტო–კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს, შსს აკადემიას, სასაზღვრო პოლიციასა და სსიპ - მომსახურების სააგენტოს;
- სამინისტროსა და მისი დანაყოფების საქმიანობის შესახებ მომზადდა საინფორმაციო ტიპის ვიდეო და გრაფიკული რგოლები.
- ქვეყნის მასშტაბით ყველა იზოლატორისთვის შეძენილი იქნა ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი სამაგიდე თამაშები (დომინო და ჭადრაკი). აღნიშნული აქტივობის განხორციელებით გათვალისწინებული იქნა ევროპის წამების პრევენციის კომიტეტის რეკომენდაცია;
- კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა აღკვეთის მიზნით, საანგარიშო პერიოდში:
  - ✓ სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის დაკავებული იქნა - 37 პირი;
  - ✓ სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობაზე დაკავებული იქნა - 61 პირი;
  - ✓ სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისთვის დაკავებული იქნა - 517 პირი;
  - ✓ სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მიერ, საქართველოს საზღვაო სივრცეში დაფიქსირდა 51 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და სისხლის სამართლის დანაშაულის 2 ფაქტი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული თანხის ოდენობამ შეადგინა დაახლოებით 680.0 ათასი ლარი;
  - ✓ საქართველოს საზღვაო სივრცის აფხაზეთის ოკუპირებულ მონაკვეთზე გამოვლენილი იქნა „ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესების“ დარღვევის 57 ფაქტი;
  - ✓ ჩატარდა სამაშველო ოპერაციები ზღვაზე ადამიანის ძებნის და მისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით;
  - ✓ სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებმა საანგარიშო პერიოდში გაიარეს სასწავლო კურსები, როგორც ქვეყნის შიგნით ასვე, ქვეყნის გარეთ;
- დაიწყო, მიმდინარეობდა და რიგ შემთხვევებში დასრულდა შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგი ადმინისტრაციული შენობების მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, მათ შორის:
  - ✓ დასრულდა ქ. თბილისში, გულუას ქუჩა N6-სა და N8-ს შორის მდებარე შსს ბალანსზე რიცხულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების მეორე ფაზა (დაიწყო 2017 წელს) - რკინა-ბეტონის კარკასის დასრულების სამშენებლო სამუშაოები;

- ✓ დასრულდა ქ. თბილისში, ნოე რამიშვილის ქ. N38-ში განთავსებულ ადმინისტრაციულ შენობაში საპატრულო პოლიციის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის მოწყობის სამუშაოები და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტული მოედნის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ დასრულდა ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. N5-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შეიარაღების სამმართველოს სახელოსნო-საწყობის სარემონტო სამუშაოები (დაიწყო 2017 წელს);
- ✓ დასრულდა ქ. ზუგდიდში, გორის ქ. N 3-ში მდებარე, შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციული შენობაშის სარემონტო სამუშაოები (დაიწყო 2017 წელს);
- ✓ დასრულდა ქ. თბილისში, ი. ცურტაველის ქუჩა N29-ში შსს ადმინისტრაციულ შენობასთან არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტის მოწყობის, ყაზარმის სარემონტო სამუშაოები და ქ. თბილისში, კ. ჩალაძის ქ. N1-ში მდებარე ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და ტერიტორიაზე გადახურული ფარდულის მოწყობის სამუშაოები (დაიწყო 2017 წელს);
- ✓ დასრულდა ქ. თბილისში, პოლიციის ქ. N10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო და ახალი ავტოფარეხის სამშენებლო სამუშაოები (დაიწყო 2017 წელს);
- ✓ დასრულდა ქ.თბილისი, გულუას ქ.N10-ში მდებარე, შსს ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე, ოფიციალური ბრიფინგების ჩასატარებლად დარბაზის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ დასრულდა ქ. ზუგდიდში, სოხუმის ქუჩა N1-ში მდებარე, პოლიციის სამმართველოს შენობის სარემონტო სამუშაოების, ქ. ზუგდიდში, სოფელ ანაკლიაში მდებარე, პოლიციის განყოფილების სარემონტო სამუშაოების, ქ. ზუგდიდში, ბერანძის ქუჩა N9-ში მდებარე, გდდ-ს ტერიტორიაზე ავტოფარეხის სამშნებლო სამუშაოების და ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩა N146-ში მდებარე პოლიციის განყოფილების სარემონტო სამუშაოები;
- ✓ დასრულდა დუშეთის რაიონში სოფ. ოძისში მდებარე შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალგორის რაიონული სამმართველოს საოკუპაციო საზღვრის გამტარ პუნქტზე სველი წერტილის მოწყობის და სასადილოს სარემონტო სამუშაოების, ქ. გორში, მშვიდობის ქ. N2-ში მდებარე შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო სამუშაოების და ქ. გორში, სუხიშვილის ქ. N2-ში მდებარე შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო და შენობის ცენტრალური შესასვლელი კიბის მოპირკეთების სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა ქ. თბილისში, გოგოლის ქუჩა N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა სოფელ ავრანლოში მდებარე, წალკის რაიონული სამმართველოს ავრანლოს განყოფილების შენობასა და შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს გაჩიანის პოლიციის განყოფილების შენობაში სარემონტო და შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს ვაზიანის პოლიციის განყოფილების ტერიტორიაზე საშხაპის, სველი წერტილის და საკანალიზაციო ჭის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოს და გორის რაიონის სოფელ დიცში მდებარე, ქურთის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოები;

2.2 თავდაცვის მართვა (პროგრამული კოდი 29 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- შემუშავდა დოკუმენტი „მინისტის დირექტივები 2018“, რომელიც წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს, გენერალური შტაბისა და დაქვემდებარებული ქვედანაყოფების სახელმძღვანელო დოკუმენტს და ასახავს მოკლევადიანი დაგეგმვის ღონისძიებებს 2018 წლისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად;
- „თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელოს 2019-2022“ შემუშავების მიზნით, მიმდინარეობდა გასული წლების პროგრამების აღსრულების შესახებ ინფორმაციის ანალიზი. შემუშავებულია დოკუმენტის საბოლოო პროექტი;
- ნატოს კვირეულის ფარგლებში თავდაცვის სამინისტროსა და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით სამხედრო ბაზებზე ჩატარდა სემინარები და ვიზიტები ჟურნალისტებისთვის, ეთნიკური უმცირესობებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვის.
- ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, ქ. ბრიუსელში, გაიმართა სამუშაო შეხვედრები, სადაც განხილული იყო ვერიფიკაციის საკოორდინაციო კომიტეტის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა „VERITY WORKSHOP“;

2.3. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

- პენიტენციური სისტემის სრულყოფისათვისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით მიმდინარეობს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ამავე მიზნით, გაგრძელდება ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

2.3.1.პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 27 01 01)

- პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული, სახელობო და საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამები, სადაც დაფიქსირდა 687 მონაწილე, მათ შორის 204 ქალი;
- ზოგად განათლების პროგრამაში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 44 მსჯავრდებულის მონაწილეობა (მათ შორის 2 სრულწლოვანი მსჯავრდებული), ხოლო უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამით სარგებლობს 15 მსჯავრდებული;
- ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში და ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში დაფიქსირდა 794 მონაწილე, მათ შორის 142 არასრულწლოვანი და 113 ქალი მსჯავრდებული;
- 50 სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორის ინტელექტუალურ და შემეცნებით შეხვედრებში და კონკურსებში დაფიქსირდა 884-ზე მეტი მონაწილე, მათ შორის 262 არასრულწლოვანი და 234 ქალი მსჯავრდებული;
- დასაქმების პროგრამებში ჩაბმულია 606 მსჯავრდებული, მათ შორის 77 ქალი. მსჯავრდებულები დასაქმებულები არიან სამეურნეო სამსახურში, სილამაზის სალონებში, დასაქმების მინიკერებსა და საწარმოო საქმიანობაში (სამკერვალო და პურის საცხობი), ასევე ინდივიდუალურ საქმიანობაში (ხელნაკეთი ნივთების შექმნა-რეალიზაცია);
- საზოგადოებრივ მისაღებებში საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა 98.6 ათას მომსახურებაზე მეტი;

- პენიტენციურ სისტემაში შენარჩუნებულია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა 3-ჯერადი კვებითი მომსახურება სხვადასხვა საჭიროების მქონე ჯგუფებისათვის, კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით;
- პენიტენციური დეპარტამენტის, პენიტენციური დაწესებულებების სპეციალური წოდების მქონე, სოციალური სამსახურის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა 100% უზრუნველყოფილ იქნა სამედიცინო დაზღვევით, მათი სოციალური დაცულობის გაუმჯობესების მიზნით.

2.3.2. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 01 02)

- მიმდინარეობდა პენიტენციურ დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურების მომარაგება მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით;
- ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა გამოვლენის მიზნით ჩატარდა 29.0 ათასზე მეტი სკრინინგული გამოკვლევა, მათ შორის 1 317 ჩაუტარდა ქალს და 115 არასრულწლოვანს. “DOTS”, “DOTS+” მკურნალობის პროგრამაში ახალჩართულთა რაოდენობამ შეადგინა 37, ქალ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა და არასრულწლოვანთა ჩართვის შემთხვევა არ დაფიქსირებულ;
- აივ-ინფექცია/შიდსის გამოვლენის მიზნით ჩატარდა 2.3 ათასი სკრინინგი (მათ შორის ქალი - 154, არასრულწლოვანი - 24). აივ-ინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 4 ახალი პაციენტი;
- C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 2.7 ათასზე მეტი სკრინინგი. მკურნალობაში ჩაერთო 564 ბრალდებულ/მსჯავრდებული, მათ შორის 7 ქალი;
- საანგარიშო პერიოდში 16.4 ათასზე მეტ ბრალდებულ/მსჯავრდებულებს გაეწიათ კონსულტაცია სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების მიერ. 2.2 ათასამდე შემთხვევა დაფიქსირდა სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით სამოქალაქო სექტორის კლინიკებში ბრალდებულ/მსჯავრდებულების სარგებლობის და 1.5 ათასამდე შემთხვევა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში.

2.3.3. პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 27 01 03)

- პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი დაწესებულებების შექმნის მიზნით:
  - ✓ დასრულდა ორი პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ბუფერული ზონის მოსწორების სამუშაოები და ერთ დაწესებულების ტერიტორიაზე კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, ხოლო ერთ დაწესებულებაში განხორციელდა გათბობის სისტემის მონტაჟის კაპიტალური სამუშაოები;
  - ✓ განხორციელდა სპეციალურ ავტომობილებში ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მიწოდება-მონტაჟის სამუშაოები, ასევე სისტემისთვის 30 ცალი თაღოვანი მეტალოდეტექტორის და 13 ცალი ტურნიკეტის მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობს პენიტენციური დაწესებულებების საჭიროებისათვის მავთულხლართების მიწოდება და მონტაჟი.

2.4 ლოგისტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- განხორციელდა საბრძოლო მზადყოფნისა და სამხედრო გადაზიდვების სამუშაოები, ასევე მატერიალური საშუალებების შემოტანა, დასაწყობება, აღრიცხვა და გაცემა. მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურული და საპროექტო სამუშაოები;
- განხორციელდა საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური საშუალებების შეძენა.

2.5 თავდაცვის შესაძლებლობათა შენარჩუნება/განვითარება (პროგრამული კოდი 29 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მხარდაჭერის შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და პროგრამით გათვალისწინებული გეგმების განხორციელების მიზნით მიმდინარეობდა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

2.7 საერთაშორისო სამშვიდობო მისიები (პროგრამული კოდი 29 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ (RSM) ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ მტკიცე მხარდაჭერის მისიის (RSM) ფარგლებში შეერთებული შტატების კონტინგენტის შემადგენლობაში იმყოფებოდა 31-ე ბატალიონი, რომელიც როტაციის წესით ჩაანაცვლა მე-11 ბატალიონმა; რეიჯერების გაძლიერებული ასეული როტაციის წესით ჩაანაცვლა 21-ე ბატალიონის გაძლიერებულმა ასეულმა;
  - ✓ მტკიცე მხარდაჭერის მისიის (QRF, RSM) ფარგლებში, გერმანიის კონტინგენტის შემადგენლობაში მე-3 ბრიგადის სადაზვერვო ასეული, რომელიც 2018 წლის იანვარში ჩაანაცვლა მე-4 ბრიგადის ნაკრებმა ასეულმა.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები როტაციის წესით მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა მისიებში:
  - ✓ ცენტრალურ აფრიკაში ევროკავშირის სამხედრო მრჩეველთა მისიაში (EUTM RCA);
  - ✓ მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვნელ მისიაში (EUTM Mali);

2.8 გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პროკურატურა

- სასჯელს განრიდებულ იქნა 1 322 პირი, მათ შორის: 260 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე ასაკის პირი), 18-დან 21 წლამდე ასაკის – 220 პირი და 21 წლიდან ზემოთ ასაკის – 842 სრულწლოვანი პირი. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ მომსახურება გაეწია 6 426 პირს;
- შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შესახებ. მომზადებული კანონპროექტები ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილებების შეტანას, რის საფუძველზეც მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ხდება პროცესის მონაწილე;

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, შემუშავდა ერთობლივი სახელმძღვანელო დოკუმენტი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისა და პროკურორებისთვის. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის, მისი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების, პროკურორისა და კოორდინატორის ერთობლივი მუშაობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ;

- პროკურორებისათვის შემუშავდა რეკომენდაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და განრიდების საკითხებზე, დამტკიცდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს პროკურატურის სამოქმედო ინსტრუქცია;
- განისაზღვრა პროკურატურის გამომძიებლებისა და პროკურორების სპეციალიზაციის წესი ოჯახური დანაშაულის საქმეებზე; საქართველოს პროკურატურაში ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სპეციალიზაცია 83-მა პროკურორმა და სისტემის გამომძიებელმა გაიარა. არასამთავრობო სექტორთან კოორდინირებული მუშაობისა და ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა მულტისექტორული სამუშაო ჯგუფი, რომელიც ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და სხვა პრიორიტეტული მიმართულებებით იმუშავებს;
- დაიწერა 2017 წლის გამამართლებელი განაჩენების ანალიზი; შესწავლილ იქნა 2012 და 2017 წლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით დაწყებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული შემდეგი კვალიფიკაციით: სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე, 108-ე, 19,109-ე, 109-ე, 117-ე მუხლები და დაიწერა შედარებითი ანალიზი; განხორციელდა პროკურორთა დატვირთვის ანალიზი;
- „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა 688 ღონისძიება, მათ შორის: 540 – საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, 65 – კულტურული, 46 – სპორტული სახის და 37 – სხვადასხვა სახის სოციალური აქცია. მონაწილეობა მიიღო 34 400-მა პირმა;
- სკოლის მოსწავლეებისთვის გამოცხადდა ვიდეორგოლების კონკურსი – „ჩვენ უარს ვამბობთ იარაღსა და ბულინგზე“. რაიონის მასშტაბით გამარჯვებული ვიდეორგოლები უკვე გამოავლინეს ხელვაჩაურის, თელავის, მარნეულის, ფოთის, ბათუმის, ზუგდიდის, სენაკის, მესტიის, ზესტაფონის, საჩხერის, გურჯაანის, ახალციხის, ახალქალაქის და მცხეთის რაიონულმა პროკურატურებმა;
- პროკურატურის თანამშრომლების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და არსებული საჭიროების გათვალისწინებით:
  - ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე ჩატარდა 2 სპეციალიზაციის კურსი, რომელთა ფარგლებშიც სწავლება გაიარეს პროკურატურის სხვადასხვა ტერიტორიული ორგანოსა და სტრუქტურული დანაყოფის მენეჯერებმა, პროკურორებმა და პროკურატურის გამომძიებლებმა;
  - ✓ პროკურორებისა და სისტემის გამომძიებლების მოსამზადებლად ჩატარდა სპეციალიზაციის 3 კურსი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე. ტრენინგი გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა;
  - ✓ ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალიზებული პროკურორებისათვის ევროპის საბჭოს „HELP“-ის დისტანციური სწავლების პლატფორმის გამოყენებით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე განხორციელდა 1 სასწავლო კურსი;
  - ✓ სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) თემაზე ჩატარდა 7 ტრენინგი, რომელთა ფარგლებშიც სწავლება გაიარეს პროკურორებმა, სისტემის გამომძიებლებმა და სტაჟიორებმა. ტრენინგები ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით ხორციელდება;
  - ✓ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თემაზე ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა 2 ტრენინგი პროკურორებისა და სისტემის გამომძიებლებისთვის;

- ✓ დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სტანდარტების თემაზე პროკურორებისა და სისტემის გამომძიებლებისთვის ჩატარდა 1 ტრენინგი (კურსი ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ხორციელდება);
- ✓ ტრეფიკინგისა და საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის თემაზე განხორციელდა 4 სასწავლო აქტივობა;
- ✓ მიმდინარეობდა პროკურორების გადამზადების პროცესი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარების თემაზე, განხორციელდა 2 ტრენინგი; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თემაზე თბილისში ჩატარდა ქართველი მოსამართლეებისა და პროკურორების სამუშაო შეხვედრა ამერიკელ მოსამართლესთან, სადაც მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და სამუშაო პრაქტიკა. აქტივობები აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტთან (DOJ) თანამშრომლობით განხორციელდა;
- ✓ ევროკავშირთან თანამშრომლობით პროკურორებისთვის სამართლებრივი მართლწერის საკითხებზე განხორციელდა 2 ტრენინგი;
- ✓ პროკურატურის სისტემის თანამშრომლებისათვის ჩატარდა 9 ტრენინგი პროფესიული ეთიკის, ინტერესთა შეუთავსებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე;
- ✓ კიბერდანაშაულის გამოძიების თემაზე ჩატარდა 3 ტრენინგი, რომელიც ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატო-ს სამეკავშირეო ოფისისა და აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) მხარდაჭერით ჩატარდა;
- ✓ ახალი კადრების პროფესიული განვითარებისა და სისტემაში ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პროკურატურაში დაინერგა მენტორობის პროგრამა. შერჩეული მენტორების მომზადების მიზნით ჩატარდა 2 ტრენინგი, რომლებიც მათთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურებოდა (პროექტი ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) მხარდაჭერით ხორციელდება);
- ✓ საქართველოს პროკურატურის ცხელი ხაზის თანამშრომლების გადამზადების მიზნით განხორციელდა ტრენინგი ეფექტური სატელეფონო კომუნიკაციის თემაზე;
- ✓ დასრულდა სტაჟიორთა 2 ჯგუფის მოსამზადებელი კურსი, რომელთა ფარგლებშიც მონაწილეებმა გაიარეს ყველა ის მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული სწავლება, რაც მათ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოადგებათ. სტაჟიორებმა დამატებით შეისწავლეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თემა, სადაც გაეცნენ კორუფციული დანაშაულების ტიპებს, პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებსა და მათთან ბრძოლის მექანიზმებს;

- პროკურორებისა და გამომძიებლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დამატებით ჩატარდა ტრენინგები შემდეგი მიმართულებებით: სასამართლო ექსპერტიზა; ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა; პროფესიული წერა და კომუნიკაცია; ტრენერთა ტრენინგი; გამოძიების ტექნიკები; კორუფციის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა; ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა.

2.9 სამეცნიერო კლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (პროგრამული კოდი 29 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა";
- ✓ სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა;
- ✓ სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი;

- ჩატარდა ვადაგასული, გამოუყენებელი საბრძოლო მასალების, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის დახარისხება, შეფასება, უტილიზაცია, ფეთქებადი ნივთიერებების გადამუშავება, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო, საწარმოო-ტექნოლოგიური სამუშაოები და ასევე, ჰუმანიტარული განაღმვითი სამუშაოები;
- განხორციელდა ნატოს ენერგოუსაფრთხოების კურსის ორგანიზება, სამედიცინო საევაკუაციო ჯავშანმანქანის მოდერნიზაციის სამუშაოები;
- მზადყოფნაში იყო სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემაზე ჩატარდა მეტეოროლოგიური რადიოლოკატორის ტექნიკური მომსახურება, შეძენილ იქნა რადარის წლიური მომსახურების პაკეტი;
- მიმდინარეობდა მუშაობა GENA-120 მმ ნაღმტყორცნზე და საექპორტოდ საუდის არაბეთისთვის განკუთვნილ მედევაკზე მუშაობა;
- მიმდინარეობდა მუშაობა წყლის ჩამოსასხმელი მოწყობილობის (BCY-5 ან BCY-5A) საცდელ-ექსპერიმენტალური ნიმუშის დამზადებისათვის;
- მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევები სახვადასხვა სფეროში: გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკის სფეროში, მანქანათმშენებლობის სფეროში, გამოყენებითი ოპტიკის სფეროში, მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სფეროში, მიკრო და ნანოელექტრონულ ტექნოლოგიაში;

2.10 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 29 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- იფრასტრუქტურული განვითარებისა და უზრუნველყოფის კუთხით მიმდინარეობდა სამუშაოები სულ 89 ობეიქტზე, მათ შორის:
  - ✓ მიმდინარე რემონტი - 18 ობიექტი, მათ შორის დამთავრებული - 15;
  - ✓ კაპიტალური რემონტი - 46 ობიექტი, მათ შორის დამთავრებული - 23;
  - ✓ მშენებლობა - 25 ობიექტი.მათ შორის დამთავრებული - 9;

2.11 ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

- გამოვლენილ იქნა სულ 694 სამართალდარღვევა, რომელთაგანაც ყველა საქმეზე დაწყებულია და უკვე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.
- იმ პირთა რაოდენობამ, რომელთა მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, შეადგინა 463 ერთეული, ხოლო აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 239-ის მიმართ. ამავე დროს პირთა რაოდენობამ, რომელთა მიმართ შეწყდა წინასწარი გამოძიება, შეადგინა 162 ერთეული.
- ევროპის ქვეყნებში ეკონომიკური დანაშაულის ბრძოლის მეთოდების გაცნობის მიზნით, მონაწილეობა იქნა მიღებული CEPOL-ის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში ბულგარეთის, რუმინეთის და მოლდავის რესპუბლიკებში, სადაც ტარდებოდა სემინარები ინტელექტუალური საკითხების უფლების განხილვაზე.
- სამსახურის თანამშრომლები მიწვეულები იყვნენ სასწავლო ვიზიტით ევროკავშირის მიერ დაგეგმილ პროექტში „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა“ (თემა

„ციფრული მტკიცებულებების როლი ეკონომიკურ დანაშაულში“);

2.13 ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

- მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების და ეროვნული საგანძურის ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევებში, ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა, ასევე, მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება და ფულადი სახსრების, სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- შეძენილ იქნა ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისათვის 3 ერთეული დაჯავშნილი ავტომანქანა;
- გარემონტდა 57 ერთეული დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო დაცვის საგუშაგო ჯიხური;
- დაიწყო და მიმდინარეობდა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ინკასაციის სამმართველოს შენობის კაპიტალური რემონტი.

2.14 მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (პროგრამული კოდი 29 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- ბიუროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მავნე პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის გაცვლის პლატფორმის მართვის სასწავლო კურსში;
- განხორციელდა აშშ-ს ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის კიბერექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ბიუროში კიბერთავდაცვის განვითარების 5-წლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში. აღნიშნული ექსპერტები ჩართულები არიან კიბერრეზერვის შექმნის პროცესში როგორც მოსამზადებელი პროგრამის შემუშავებაში, ასევე გამოცდილების გაზიარების კუთხით;
- ბიუროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ნატოს გაერთიანებული ძალების საწვრთნელ ცენტრში ქ. ბიდგოში (პოლონეთი) გამართულ სწავლებაში Brilliant Joust 18. ასევე NATO-ს გონივრული თავდაცვის პროექტის „მრავალეროვნული კიბერთავდაცვის განათლებისა და ტრენინგ პროგრამის“ და ,,მრავალეროვნული მავნე პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ“ სამუშაო ჯგუფის მორიგ შეხვედრებში;
- ჩატარდა უწყებათაშორისი სამეთაურო-საშტაბოსწავლება INFO-2018, სადაც მონაწილეობა მიიღე სსსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს თანამშრომლებმა;
  ბიუროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღოქ. ტალინში (ესტონეთის რესპუბლიკა), ნატო-ს კოოპერაციული კიბერთავდაცვის ცენტრის (CCDCOE) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „კიბერკონფლიქტი 2018“;

2.15 ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (პროგრამული კოდი 24 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- მიმდინარეობდა სამუშაოები საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების, კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობის, ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების, აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწოფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიმართულებით;
- განხორციელა ქვეყნის მასშტაბით მგზავრთა საჰაერო გადაყვანა რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის.

2.16. სრულყოფილი პრობაციის სისტემა (პროგრამული კოდი 27 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

- 2018 წლის 1 იანვრიდან შინაპატიმრობა გავრცელდა სრულწლოვან მსჯავრდებულებზე, სანგარიშო პერიოდში პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღსასრულებლად შემოვიდა სრულწლოვან მსჯავრდებულთა შინაპატიმრობის 16 საქმე (2016 წლის იანვრიდან შინაპატიმრობის შეფარდება შესაძლებელი იყო მხოლოდ არასრულწლოვანი მსჯავდებულების მიმართ);
- საანგარიშო პერიოდში ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩაერთო 2 570, პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში - 124, საზოგადოებრივ–კულტურულ საქმიანობაში მონაწილეობდა - 229 და დასაქმდა 45 პირობით მსჯავრდებული;
- კომისიური წესით ჩატარებული განხილვების შესაბამისად 215 პრობაციონერს, ვადაზე ადრე, მოეხსნა პირობითი მსჯავრი და გაუუქმდა ნასამართლეობა, ხოლო 146-ს აღუდგა ჩამორთმეული უფლებები;

2.18 დანაშაულის პრევენცია და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (პროგრამული კოდი 26 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი

- ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროექტის ფარგლებში:
  - ✓ სულ ჩართულია 569 ბენეფიციარი, მათ შორის - 53 ქალი. დასაქმდა 5 ბენეფიციარი, სარეაბილიტაციო კურსის გავლის შედეგად 18 ბენეფიციარი დასაქმდა დამოუკიდებლად, პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით 5-მა ბენეფიციარმა წამოიწყო მცირე ბიზნესი;
  - ✓ ჯანმრთელობის პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამისი სამედიცინო მომსახურება მიიღო 44-მა ბენეფიციარმა;
  - ✓ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის გაცნობის მიზნით პროგრამის სოციალური მუშაკები პენიტენციურ დაწესებულებებში შეხვდნენ 604 პატიმარს;
  - ✓ ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის მომსახურება მიიღო 29 ბენეფიციარმა, მათ შორის, პროექტის ფსიქოლოგის მომსახურება – 18-მა ბენეფიციარმა, სხვა პარტნიორი ორგანიზაციების

ფსიქოლოგიური მომსახურება – 6-მა ბენეფიციარმა, სხვა პარტნიორ ორგანიზაციაში ფსიქიატრის მომსახურებით ისარგებლა 5-მა ბენეფიციარმა;

- ✓ იურიდიული მომსახურება მიიღო 48 ბენეფიციარმა, მათ შორის, პროექტის იურისტის იურიდიული კონსულტაცია მიიღო 37-მა ბენეფიციარმა, სხვა მხარდამჭერი და კონტრაქტორი ორგანიზაციების იურიდიული მომსახურეობა მიიღო 11-მა ბენეფიციარმა;
- ✓ სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაიარა 93-მა ბენეფიციარმა;
- ✓ 2018 წლის 6 თვეში პროგრამის ცხელ ხაზზე განხორციელდა 213 ზარი;
- ✓ სპორტულ/კულტურულ/გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩაერთო 34 მონაწილე;
- ✓ უფასო სამგზავრო ბარათი დაუმზადდა 48 ბენეფიციარს;
- ✓ პირადობის დამადასტურებელი ID ბარათი დაუმზადდა 8 ბენეფიციარს.

- დანაშაულის პირველი დონის პრევენციის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებში სულ ჩაერთო 1 314 უნიკალური მონაწილე:
  - ✓ „ორი თაობა“ – სკოლის მოსწავლეების მოხალისეობრივ ჩართულობა თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის საქმიანობაში. ჩართულია 72 უნიკალური მონაწილე, მათ შორის, განრიდების პროგრამის მონაწილეები;
  - ✓ „მოხალისე“ – ახალგაზრდების მოხალისეობრივ ჩართულობა იუსტიციის სახლების საქმიანობაში. ჩართულია 364 უნიკალური მონაწილე;
  - ✓ „ბულინგის წინააღმდეგ მიმართული კამპანია“ – საინფორმაციო შეხვედრებi და სამდღიანი ტრენინგები მოსწავლეებთან, პედაგოგებსა და მშობლებთან. შეხვედრებს 154 მოსწავლე, 143 პედაგოგი და 92 მშობელი დაესწრო;
  - ✓ 59 ახალგაზრდა ეწვია ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონს, საცავებსა და ლაბორატორიებს;
  - ✓ „იმიტირებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი“ – ჩატარდა გორსა და თელავში, ჩაერთო 72 უნიკალური მონაწილე;
  - ✓ „სასწავლო ვიზიტი პოლიციის აკადემიაში“ – 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდებში სახელმწიფო უწყებების მიმართ ნდობის ამაღლება, ჩაერთო 64 უნიკალური მონაწილე;
  - ✓ „სამოქალაქო უსაფრთხოების წესების სწავლება“ – 12-14 წლის მოსწავლეებისთვის საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სსიპ - 112-ს ეწვია 108 მონაწილე;
  - ✓ „სასკოლო კლუბი“ – სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და სასკოლო გარემოს გაუმჯობესება, ჩართულია 18 არასრულწლოვანი;
  - ✓ SKYE (ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა) – ახალგაზრდებში აქტიური მოქალაქეობის, დასაქმების, ლიდერობის და სოციალური მეწარმეობის შესახებ ცოდნის მიწოდება, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბება. დაინერგა საქართველოს 6 ქალაქში (თბილისში, გორში, ბათუმში, ლაგოდეხში, რუსთავსა და თელავში) და 6 თვის განმავლობაში ახალგაზრდებთან სისტემურ ტრენინგებსა და აქტივობებს მოიცავდა, ჩაერთო 130 უნიკალური მონაწილე.
- დანაშაულის მეორე დონის პრევენციის მიმართულებით ცენტრი მოემსახურა 270 არასრულწლოვანს (182 გოგო და 78 ბიჭი); ტრენინგსემინარები და საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ბავშვებთან მომუშავე 76 სპეციალისტთან. გაწეულ იქნა შემდეგი მომსახურებები:
  - ✓ გოგონათა კლუბი თბილისში – 14-დან 18 წლამდე გოგონებში ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება, ჩართული იყო 19 გოგონა;
  - ✓ „კარიერული განვითარება“ – დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების მხარდაჭერა მომავალი პროფესიის არჩევასა და დასაქმებაში, ჩართული იყო 26 ბენეფიციარი (15 გოგო და 11 ბიჭი);
  - ✓ პიროვნული განვითარება – გრძნობების გამოხატვისა და გაზიარების წახალისება, ჩართული იყო 9 ბენეფიციარი (3 გოგო და 6 ბიჭი);

- ✓ ახალგაზრდული კლუბი სკოლაში – არაფორმალური განათლების ტექნიკების დანერგვა 123-ე საჯარო სკოლის სივრცეში, ადგილზე ახალგაზრდული კლუბის ჩამოყალიბება და კლუბის წევრების ინტერესების მიხედვით სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა/განხორციელება. ჩართულია 40 ბენეფიციარი (31 გოგო და 9 ბიჭი);
- ✓ „შენ ნიჭიერი ხარ“ – (საპილოტე) ხელოვნების სტუდიის ჩამოყალიბება. სულ შეირჩა 22 ბავშვი: 12 – მუსიკალურ ბენდში, 10 – ფოტოგრაფიის წრეზე (13 გოგო, 9 ბიჭი);
- ✓ ვიზიტები თეატრებში – ჩატარდა სამი ვიზიტი თეატრში (მუსიკისა და დრამის თეატრი, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები). დაესწრო 70 ბენეფიციარი (52 გოგო და 18 ბიჭი);
- ✓ ადრეული პრევენცია განათლების სისტემაში – განათლების სისტემაში დასაქმებული სპეციალისტების ცოდნისა და უნარების გაძლიერება დანაშაულის პრევენციის მიმართულებით. ჩაერთო თბილისის საჯარო სკოლების 38 მასწავლებელი;
- ✓ ადრეული პრევენცია ზრუნვის სისტემაში – ზრუნვის სისტემაში დასაქმებული სპეციალისტების ცოდნისა და უნარების გაძლიერება დანაშაულის პრევენციის მიმართულებით. პროექტში ჩაერთო 34 სპეციალისტი;
- ✓ კულტურულ-შემეცნებითი ტური თბილისში – თბილისის ძველ, ისტორიულ ნაწილში გიდის თანხლებით. ბენეფიციარები გაეცნენ თბილისის იმ ნაწილს, რომელსაც 1936 წლამდე „ტიფლისი“ ეწოდებოდა. მათ მოისმინეს ისტორიები სხვადასხვა შენობა-ნაგებობების შესახებ, მიიღეს ინფორმაცია XIX-XX საუკუნეების თბილისში არსებული კულტურისა და ტრადიციების შესახებ. პროექტში ჩართული იყო 12 ბენეფიციარი (8 გოგო და 4 ბიჭი);
- ✓ კინოსაღამოები – მოზარდებისთვის მათთვის საინტერესო ფილმების ჩვენებას და შემდეგ მათ ირგვლივ მსჯელობას. მონაწილეობა მიიღო 26 ბენეფიციარმა (17 გოგო, 9 ბიჭი);
- ✓ შეხვედრები ახალგაზრდებთან – არასრულწლოვნების აზრის გაგება, მათთვის აქტუალური და მტკივნეული თემების გამოკვეთა და სასურველი აქტივობების დასახელება. ჩატარდა 3 შეხვედრა სამ მცირე საოჯახო ტიპის სახლში, რომელთაც დაესწრო ჯამში 31 ბავშვი;

- განრიდებისა და მედიაციის მიმართულებით:
  - ✓ განრიდებულ იქნა 480 პირი, რომელთაგან 184-ის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაციის კომპონენტი და შედგა მედიაციის 151 კონფერენცია. განრიდების პროცესი დაიწყო 63 პირის მიმართ;
  - ✓ ჩატარდა ორი ტრენინგი (სამუშაო შეხვედრა), რომელთა ფარგლებშიც მედიაციის ხარისხის კონტროლის მექანიზმთან დაკავშირებით მედიაციის სახლში შედგა სამუშაო შეხვედრა „ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ მიერ მოწვეულ ექსპერტთან; გაიმართა სამუშაო შეხვედრა მედიატორებსა და პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულ სხვა პირებთან. გაიმართა ინტერვიზიის 3 სესია მედიატორთა მონაწილეობით.
- ხორციელდებოდა ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს ბენეფიციარებისთვის ინგლისური ენის კურსების პროგრამა. კურსებს 17 ბენეფიციარი დაესწრო. მათგან 14-მა შეძლო ინგლისური ენის კურსების წარმატებით დასრულება;
- აჭარის რეგიონში (ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, ხულო, შუახევი) ჩატარდა საგანმანათლებლო სისტემაში მომუშავე სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის ადამიანებით ვაჭრობის – ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით საინფორმაციო კამპანია. დაესწრო 140 მონაწილე;
- მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია – „ჯანსაღი დამოკიდებულება – ჯანსაღი ცხოვრება“, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებმა მოისმინეს ინფორმაცია შემდეგი საკითხების შესახებ: ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების უარყოფითი შედეგები; ჯანსაღი ცხოვრების წესის კერძოდ, ახალგაზრდებში სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ჩართულობის მნიშვნელობა; ჯანმრთელობის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. კამპანიაში მონაწილეობა მიიღეს საჯარო სკოლების IX, X და XI კლასების მოსწავლეებმა. იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში 21 შეხვედრა გაიმართა, შეხვედრებს მთლიანობაში 413 მონაწილე დაესწრო.

3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი - 25 02)

3.1.1 საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი - 25 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

- შემუშავებულ იქნა საქართველოს კანონების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების და საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტები;
- კომპეტენციის ფარგლებში, განხილულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები;
- კომპეტენციის ფარგლებში, მიმდინარეობდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- კომპეტენციის ფარგლებში, მიმდინარეობდა 30 ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების მონიტორინგი და მართვა.

3.1.2 გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 25 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

- „საავტომობილო გზების რეაბილიტაციის“ ღონისძიების ფარგლებში:
  - ✓ მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 26 გარდამავალ ობიექტზე (2017-2018);
  - ✓ 17 გარდამავალ ობიექტზე (2017-2018 წლები) დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულ ახალი ობიექტების უმეტეს ნაწილზე გაფორმდა ხელშეკრულებები და მიმდინარეობდა შესაბამისი სამუშაოები, ხოლო ნაწილზე მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები;
  - ✓ 4 ახალ ობიექტზე დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა ახალი ასფალტობეტონის საფარის მოწყობა, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაცია;
  - ✓ რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 30.3 კმ; ხიდი - 8; აშენებული ახალი ხიდი - 5.
- „საავტომობილო გზების პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში“ ღონისძიების ფარგლებში მიმდინარეობდა:
  - ✓ 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული მიმდინარე შეკეთების სამუშაოები საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე;
  - ✓ მიწის ვაკისის, საავტომობილო გზის სავალი ნაწილის, ხელოვნური ნაგებობების, სადრენაჟო სისტემების, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების, საავტომობილო გზის კუთვნილების კეთილმოწყობის სამუშაოები;
  - ✓ ზამთრის მოვლა-შენახვის და საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე პერიოდული შეკეთების სამუშაოები.

- „სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების“ ფარგლებში:
  - ✓ მიმდინარეობდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები 4 გარდამავალ ობიექტზე (2017-2018 წლები);
  - ✓ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით, 5 გარდამავალ ობიექტზე (2017-2018 წლები) დასრულდა სამუშაოები;
  - ✓ 6 ახალ ობიექტზე გაფორმდა ხელშეკრულებები და მიმდინარეობდა შესაბამისი სამუშაოები.
- „სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოების“ ფარგლებში:
  - ✓ მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები 1 გარდამავალ ობიექტზე (2017-2018);
  - ✓ 2 გარდამავალ ობიექტზე (2017-2018 წლები) დასრულდა ნაპირსამაგრი სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა სამუშაოები 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულ 12 ახალ ობიექტზე;
  - ✓ 2018 წლის გეგმით გათვალისწინებულ 5 ახალ ობიექტზე დასრულდა სამუშაოები;
  - ✓ 3 ახალ ობიექტზე მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.
- „დევდორაკის გვირაბის მშენებლობის“ სამუშაოების ფარგლებში:
  - ✓ დასრულდა გვირაბის კონტურის გამაგრების, თაღის მუდმივი სამაგრებისა და გვირაბთან მისასვლელ გზებზე მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა გვირაბში განათების, ვენტილატორებისათვის საკიდების და ბეტონის საფარიანი საგზაო სამოსის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა პორტალების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა გვირაბში ელექტრო-მექანიკური აღჭურვილობებისათვის კაბელების მონტაჟის სამუშაოები.
- „ბაღდათი-აბასთუმანის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის“ ფარგლებში საავტომობილო გზის 3.2 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობაზე გაფორმდა ხელშეკრულება და მიმდინარეობდა შესაბამისი სამუშაოები;
- „სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობის“ ფარგლებში საავტომობილო გზის 11.6 კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები;
- „ზემო იმერეთი (საჩხერე) - რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობის“ ფარგლებში საავტომობილო გზის 5.7 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობაზე გაფორმდა ხელშეკრულება და მიმდინარეობდა შესაბამისი სამუშაოები;
- „სტეფანწმინდა-სამების ეკლესიის საავტომობილო გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობის“ ფარგლებში მიმდინარეობდა მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები და საგზაო სამოსის კონსტრუქციის ქვესაფუძვლის და საფუძვლის მოწყობის სამუშაოები;
- „შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის (WB)“ ფარგლებში:
  - ✓ გარდამავალ (2017-2018 წლები) ადგილობრივი მნიშვნელობის ნატანები-შრომა-ურეკის საავტომობილო გზის კმ1-კმ18 მონაკვეთზე მიმდინარეობდა აღდგენითი სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა „PBC“ ობიექტებზე მოვლა-შენახვის და სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ დასრულდა 13.3 კმ საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
  - ✓ საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობდა მცირე მასშტაბის სამუშაოები ქვემო ქართლის (ლოტი 1), იმერეთის, გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში (ლოტი 2).
- „შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის (WB)“ ფარგლებში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და პროექტირება 3 გარდამავალ ობიექტზე (2017-2018 წლები), კერძოდ:
  - ✓ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ალპანა-მამისონის უღელტეხილის საავტომობილო გზის კმ50-კმ70 (ლოტი1) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 4 კმ-იან მონაკვეთზე ასფალტობეტონის ზედა ფენის მოწყობა;

- ✓ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის (გურჯაანის შემოვლითი) საავტომობილო გზაზე - მიწის სამუშაოები და ხიდების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ6-კმ15 მონაკვეთზე - მიწის სამუშაოები, წყალგამტარი მილების, საყრდენი კედლებისა და სახიდე გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები.

- „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (WB)“ შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის (OPRC) ფარგლებში:
  - ✓ ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ16+00-კმ25.5 (ლოტი 1) პირველ 4 კმ-იანი მონაკვეთზე მიმდინარეობდა არსებული ასფალტობეტონის მოფრეზვა, მიწის სამუშაოები, წყალგამტარი მილების მოწყობა, ხოლო დარჩენილ 5.5 კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და განხილვა-შეთანხმების პროცედურები;
  - ✓ ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ25.5-კმ32 (ლოტი 2) პირველ 4 კმ-იან მონაკვეთზე შეთანხმდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია, ხოლო დარჩენილ 3.5 კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და განხილვა-შეთანხმების პროცედურები;
  - ✓ თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზის კმ1-კმ30 10 კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობდა არსებული ასფალტობეტონის მოფრეზვა, მიწის სამუშაოები, წყალგამტარი მილების მოწყობა, ხოლო დარჩენილ მონაკვეთზე მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და განხილვა-შეთანხმების პროცედურები;
  - ✓ ჭრებალო-ნიკორწმინდის საავტომობილო გზის კმ1+00-კმ14+600 (ლოტი 1) პირველ 5 კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობდა არსებული ასფალტობეტონის მოფრეზვა, მიწის სამუშაოები, წყალგამტარი მილებისა და საყრდენი კედლების მოწყობა, ხოლო დარჩენილ 8.6 კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და განხილვა-შეთანხმების პროცედურები;
  - ✓ ჭრებალო-ნიკორწმინდის საავტომობილო გზის კმ14+600-კმ25+800 (ლოტი 2) პირველ 4 კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობდა არსებული ასფალტობეტონის მოფრეზვა, მიწის სამუშაოები, წყალგამტარი მილების მოწყობა, ხოლო დარჩენილ 7.4 კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და განხილვა-შეთანხმების პროცედურები;
  - ✓ ხიდისთავი-ატენი-ბოშურის საავტომობილო გზის კმ12.4-კმ22.5 მონაკვეთზე მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ მიწის სამუშაოები, წყალგამტარი მილების, საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები.
- „ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის (Kuwait Fund)“ ფარგლებში მიმდინარეობდა ხელშეკრულების გაფორმებისათვის საჭირო და განსახლების პროცედურები;
- „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის (ADB)“ ფარგლებში მიმდინარეობდა მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები, ასევე - განსახლების პროცედურები;
- „საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების“ ფარგლებში:
  - ✓ დასრულდა ქუთაისის შემოვლითი გზის სამტრედიის მონაკვეთზე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობის მიზნით (II ლოტი) განსაზღვრული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის კაბელის მონტაჟის სამუშოები;
  - ✓ გაფორმდა ხელშეკრულება ელექტროენერგიის ქსელის გაყვანის სამუშაოების შესყიდვაზე, რომელიც მოიცავს ქ. სამტრედიის ახალი შემოვლითი საავტომობილო გზის კმ 0+000-კმ 24+045 ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემისთვის ელექტროენერგიის ქსელის გაყვანის სამუშაოებს და ქ. ქუთაისის ახალი შემოვლითი საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 17+300 ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემისთვის ელექტროენერგიის ქსელის გაყვანის სამუშაოებს;

- ✓ გაფორმდა ხელშეკრულება ელექტროენერგიის ქსელის გაყვანის სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც მოიცავს ქ. სამტრედიის ახალი შემოვლითი საავტომობილო გზის კმ 0+000-კმ 24+045 ვიდეო-სამეთვალყურეო (საკონტროლო) სისტემის ელექტრო მომარაგების (მკვებავი საკაბელო ქსელი) მოწყობის სამუშაოებზე და ქ. ქუთაისის ახალი შემოვლითი საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 17+300 ვიდეო-სამეთვალყურეო (საკონტროლო) სისტემის ელექტრო მომარაგების (მკვებავი საკაბელო ქსელი) მოწყობის სამუშაოებზე.

3.1.3 ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი 25 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი IV (აგარა - ზემო ოსიაური) (WB)“ ღონისძიების ფარგლებში:
  - ✓ მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
  - ✓ თბილისი-სენაკი-ლესელიძის ნატახტარი-რუისის მონაკვეთზე გარემოს გაუმჯობესების სამუშაოების ფარგლებში, დასრულდა სამუშაოები და მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
  - ✓ დასრულდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რუისი-აგარა კმ95-114 მონაკვეთის გასწვრივ (ეტაპი 2) ხრეშოვანი გზების მოწყობის სამუშაოები და მიმდინარეობდა კონტრაქტით განსაზღვრული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი, ასევე დასრულდა განათების სამუშაოები და მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტის (ზემო ოსიაური-რიკოთი) (EIB, WB)“ ფარგლებში:
  - ✓ (ლოტი 1) კმ0+000-კმ5+800 მონაკვეთზე მიმდინარეობდა მცენარეული ფენის მოხსნის და დასაწყობების სამუშაოები, ასევე მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები. დაიწყო რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების ფუნდამენტების მოწყობის სამუშაოები და ხიდებზე რკინა-ბეტონის ნაბურღნატენი ხიმინჯების ბურღვისა და ბეტონირების სამუშაოები. განხორციელდა გეოლოგიური კვლევების სამუშაოები.
  - ✓ (ლოტი 2) კმ5+800-კმ14+050 მონაკვეთზე მიმდინარეობდა მცენარეული ფენის მოხსნის და დასაწყობების სამუშაოები, ასევე დაიწყო მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობდა ადგილობრივ საავტომობილო გზებზე ასფალტობეტონის საფარისა და სადრენაჟე სისტემების მოწყობის, წყალგამტარი მილების ფუნდამენტის მოწყობის და N1 გვირაბის აღმოსავლეთ პორტალის ექსკავასიის სამუშაოები.
- „ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა (ADB)“ ღონისძიების ფარგლებში:
  - ✓ N9 ხიდზე (სიგრძე - 1 180 მ) დასრულდა მონოლითური უჭრკოჭოვანი მალის ნაშენის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ დასრულდა გვირაბის N2 ელექტრო-მექანიკური მოწყობილობებით აღჭურვა;
  - ✓ დასრულდა გვირაბის რკინა-ბეტონის ფუნდამენტისა და თაღის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ დასრულდა N2 გვირაბზე უკუჩაყრის სამუშაოები და გვირაბის ელექტრო-მექანიკური მოწყობილობებით აღჭურვის სამუშაოები;
  - ✓ დასრულდა გვერდულებისა და ლითონის მრუდხაზოვანი ძელების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ დასრულდა 18 კმ-იანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა გარე განათების პროექტის მომზადების სამუშაოები.
- „ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა (ADB, AIIB)“ ღონისძიების ფარგლებში მიმდინარეობდა:
  - ✓ განსახლების პროცედურები;
  - ✓ მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები;

- ✓ ხეების მოჭრის სამუშაოები;
- ✓ განთვისების ზოლის ფარგლებში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოები.

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი–ქუთაისი–სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (JICA)“ ღონისძიების ფარგლებში:
  - ✓ ზესტაფონი-ქუთაისის ახალი შემოვლითი საავტომობილო გზის კმ0-კმ15.2 მონაკვეთზე დასრულდა სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობდა კონტრაქტით განსაზღვრული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
  - ✓ აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ქუთაისის შემოვლითი გზის (კმ0-კმ17.3) გარე განათების სამუშაოებზე მიმდინარეობდა დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
  - ✓ აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ქუთაისი-სამტრედიის გზის (კმ0-კმ15.4) მონაკვეთის გარე განათების სამუშაოებზე მიმდინარეობდა დეფექტების აღომფხვრის პერიოდი;
  - ✓ აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ქუთაისი-სამტრედიის გზის (კმ15.4-კმ24.0) გარე განათების სამუაოებზე მიმდინარეობდა დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
  - ✓ დასრულდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის (კმ0-კმ15.2) მონაკვეთის გარე განათების სამუშაოები, მიმდინარეობდა დეფექტების აღომფხვრის პერიოდი;
  - ✓ ჭიშურას ფერდის გამაგრების სამუშაოების ფარგლებში დასრულდა მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები. მიმდინარეობდა: მიწის ექსკავაციის და ფერდების პროფილირების სამუშაოები; პროექტით განსაზღვრულ ადგილებზე ბეტონის ბლოკების საშუალებით კედლის მშენებლობა; ფერდების გამაგრებითი სამუშაოები ლითონის ბადეებით, ანკერების საშუალებით.

- „სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის (EIB, EU)“ ფარგლებში:
  - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის (ლოტი 1) კმ0-კმ11.5 მონაკვეთზე მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.
  - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის (ლოტი 2) კმ11.5-კმ30 მონაკვეთზე მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები, რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები, ხიდებზე რკინა-ბეტონის ხიმინჯების, როსტვერკების, ბურჯების, რიგელების მოწყობის სამუშაოები, წინასწარდაძაბული მალის ნაშენის კოჭების დამზადება-ტრანსპორტირება და კოჭების მონტაჟის სამუშაოები. დაიწყო საგზაო სამოსის კონსტრუქციის, ქვესაფუძვლის, საფუძვლის მოწყობის სამუშაოები და ასფალტობეტონის საფარის ქვედა ფენის მოწყობის სამუშაოები.
  - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის (ლოტი 3) კმ30-კმ42 მონაკვეთზე მიმდინარეობდა მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები, ასევე აღდგენა-დაკვალვის სამუშაოები. დაიწყო მცენარეული ფენის მოხსნისა და დასაწყობების სამუშაოები.
  - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის (ლოტი 4) კმ42-კმ51.6 მონაკვეთზე მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები, სადრენაჟე სისტემების ბეტონის და გრუნტის არხების მოწყობის სამუშაოები, ხიდებზე რკინა-ბეტონის ხიმინჯების, როსტვერკების, ბურჯების მოწყობის სამუშაოები და წინასწარდაძაბული მალის ნაშენის კოჭების დამზადება-ტრანსპორტირება.

- „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ძირულა არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობის (JICA)“ ფარგლებში მიმდინარეობდა მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები;
- „სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ48-კმ64 გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობის (EIB)“ ფარგლებში მიმდინარეობდა სატენდერო და განსახლების პროცედურები.

3.2 რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03);

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა 2018 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების განხორციელება. ასევე, დაიწყო სხვადასხვა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტის დაფინანსება, რომლებიც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა მუნიციპალური და კულტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, წყალარინების, ნაპირსამაგრი, კულტურული, ტურისტული, საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას.

3.2.1 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი - 25 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში მიმდინარეობდა ადგილობრივი მნიშვნელობის 12 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის და საკანალიზაციო სისტემის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში, 9 აპრილის ქუჩის (სიგრძით 1 კმ) რეაბილიტაცია;
- დასრულდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმის სამშენებლო სამუშაოები, მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორება;
- დასრულდა ახმეტის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ალავერდის მონასტრის ტერიტორიაზე არსებული შუა საუკუნეებით დათარიღებული აბანოს შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა;
- მიმდინარეობდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდაში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „ტაძარი ნიკორწმინდა“-ს მიმდებარე ინფრასტრუქტურის, მათ შორის აღნიშნულ ძეგლამდე მისასვლელი 600 მ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ტაბაკინის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერთან მისასვლელ 2,7 კმ - იან საავტომობილო გზაზე;
- დასრულდა ცაგარის მუნიციპალიტეტში ხვამლის ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან მისასვლელი გზის პროექტირება;
- მიმდინარეობდა გორის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის პროექტირება;
- დასრულდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ტობა-ვარჩხილის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციისა და მშენებლობის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა ქალაქ ფოთში მალთაყვის ტერიტორიაზე მშენებარე 30 სახლიანი საცხოვრებელი უბნისთვის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა;
- დასრულდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში „NEXT LEAGUE PVT“ სასტუმრო კომპლექსის წყალარინების გარე სისტემის მშენებლობა;
- დასრულდა კურორტ ბახმაროს გარე ელექტრომომარაგების რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს გარე ელექტრომომარაგების სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოები;

- მიმდინარეობდა დაბა ურეკში, ბულვარის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- მიმდინარეობდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის წარმომადგენლობის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ქალაქ ქობულეთის ნაპირდაცვისა და სანაპირო ზოლის მოწყობის სამუშაოები 300 მ-ზე;
- მიმდინარეობდა დაბა ბაკურიანში მრავალფუნქციური ყინულის მოედნის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და კონცეპტუალური პროექტის მოსამზადებლად შესაბამისი მომსახურების შესყიდვა;
- მიმდინარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში „ჯინო ველნეს გრუპი“-ს დასასვენებელ-გამაჯანსარებელი კომპლექსის გაზმომარაგების სისტემის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში ქუჩების და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- დასრულდა მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წეროვანთან და აღნიშნული სოფლის საბავშვო ბაღთან მისასვლელი 2 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა კობი-გუდაურის სამთო-სათხილამურო არეალების დამაკავშირებელი მაგისტრალური სასრიალო ტრასების ინფრასტრუქტურის მშენებლობა-კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) მფლობელობაში არსებული შენობის (ქ. თბილის, კოსტავას ქ. N5) ლიფტის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა რეგიონალური ინოვაციების ჰაბისა და ინოვაციების ცენტრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ქალაქ თბილისში, ლეონიძის ქუჩის N3-ში მდებარე საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

3.2.2 მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (ADB) (პროგრამული კოდი - 25 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) 6.8 კმ - იანი საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაცია (II მონაკვეთი);
- მიმდინარეობდა ქალაქ თბილისში მეტროპოლიტენის მეორე ხაზის გაგრძელებისა და მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ დასრულებულ მშენებლობის პროექტზე საბოლოო ანგარიშსწორება. ასევე მიმდინარეობდა მეტროსადგურის აღჭურვილობისთვის სათადარიგო ნაწილების შეძენა;
- მიმდინარეობდა ქალაქ ბათუმის ნაპირდაცვა და სანაპირო ზოლის მოწყობა 1 750 მ-ზე;
- მიმდინარეობდა თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მშენებლობასთან დაკავშირებული განსახლების პროცედურები;
- აზიის განვითარების ბანკის საინვესტიციო პროექტების ფარგლებში, მიმდინარეობდა პროექტების მართვის საოპერაციო, ადმინისტრაციული, სესხის მომსახურების, საკონსულტაციო, ზედამხედველობისა და აუდიტორული ხარჯების დაფინანსება.

3.2.3 რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (WB) (პროგრამული კოდი - 25 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორება, ქალაქ თელავში ბატონის ციხის დასრულებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (მუზეუმი და ტერიოტრია) - ფაზა 2;
- დასრულდა საბოლოო ანგარიშსწორება თელავში ბატონის ციხის მუზეუმისათვის მიწოდებულ საექსპოზიციო აღჭურვილობაზე, საოფისე ავეჯზე (სკამები), კომპიუტერებზე და ელექტრო ტექნიკის შესყიდვაზე;
- დასრულდა საბოლოო ანგარიშსწორება ქ. თელავში ბატონის ციხის ტერიტორიაზე ახალი მუზეუმის მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების საპროექტო მომსახურებაზე;
- მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორება, ყოვლადწმინდაში წყალმომარაგების სისტემის დასრულებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე;
- დასრულდა საბოლოო ანგარიშსწორება შუამთისა და იყალთოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის მიწოდებულ სხვადასხვა სახის აღჭურვილობაზე (დაცვის სისტემების მიწოდება და მოწყობა);
- დასრულდა საბოლოო ანგარიშსწორება თელავში ტურიზმის რეგიონალური მართვის ორგანიზაციისთვის (DMO) მიწოდებული ავეჯის, კომპიუტერების და ციფრულ ტექნიკის შესყიდვაზე;
- ძველი შუამთის, ახალი შუამთისა და იყალთოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით, დასრულდა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება;
- დასრულდა დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი და დამატებითი სამუშაოები ალავერდის ტურისტული ინფრასტრუქტურისთვის;
- დავით-გარეჯის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით, დასრულდა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება;
- მიმდინარეობდა დავით გარეჯის ლავრის მონასტერში არსებული საყრდენი კედლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოები;
- კახეთის რეგიონისათვის დასრულდა სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების (PPI) კომპონენტის ფარგლებში, შერჩეული კომპანიების ობიექტებისთვის 4 ჭაბურღილის, 1 საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის და 1 სანიაღვრე არხის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მსოფლიო ბანკის საინვესტიციო პროექტების ფარგლებში მიმდინარეობდა პროექტების მართვის საოპერაციო, ადმინისტრაციული, საკონსულტაციო, ზედამხედველობის და აუდიტორული ხარჯების დაფინანსება.

3.2.4 რეგიონალური განვითარების პროექტი II (იმერეთი) (WB) (პროგრამული კოდი - 25 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა ქალაქ ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეკონსტრუქცია - ფაზა 3;
- მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორება ვანის არქეოლოგიური ძეგლების დამცავი გადახურვის და ვანის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე;

- კეთილმოწყობილი კულტურული მემკვიდრეობის ზონებზე (უბისა, გელათი, კაცხი) დასრულდა დეფექტების აღმოფხვრის პერიოდის შემდგომი საბოლოო ანგარიშსწორება;
- დასრულდა იმერეთის რეგიონში ტურისტული სექტორის შეფასებისა და მონიტორინგის საკონსულტაციო მომსახურებაზე საბოლოო ანგარიშსწორება;
- მიმდინარეობდა გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების გადახურვის, ცოკოლის და სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა კაცხის სვეტთან კელიების და მომსახურების შენობის მშენებლობა;
- მიმდინარეობა რეგიონული განვითარების პროექტი II-ის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება;
- მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება „მოწამეთა“-ს სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის;
- მიმდინარეობდა კახეთის და იმერეთის რეგიონებისთვის ტურიზმის მარკეტინგის და პრომოუშენის, ონლაინ დაფარვის და დანიშნულების მართვის ოფისების საკონსულტაციო მომსახურება;
- დასრულდა იმერეთის რეგიონში ტურისტული სექტორის შეფასებისა და მონიტორინგის საკონსულტაციო მომსახურება;
- დასრულდა საწურბლიას მღვიმემდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

3.2.5 რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) (პროგრამული კოდი - 25 03 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- დასრულდა დარიალის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე პარკირებისა და მონასტრის რეზიდენციამდე მისასვლელი 0.5 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტზე საბოლოო ანგარიშსწორება;
- მიმდინარეობდა დუშეთის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა მცხეთის კინოთეატრის შენობის არქეოლოგიურ მუზეუმად ადაპტაციის მიზნით, სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა დაბა სტეფანწმინდაში, რეაბილიტირებულ ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსზე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდის შემდგომი საბოლოო ანგარიშწორება;
- მიმდინარეობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გერგეთში მისასვლელი 1.8 კმ - იანი საავტომობილო გზის და გერგეთის სამებასთან მისასვლელი საფეხმავლო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ზედაზნის მონასტერთან მისასვლელი 6.1 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ავტოსადგომისა და ეკლესიამდე მისასვლელი ბილიკის მოწყობის პროექტზე ტენდერის გამოცხადება და გაფორმდა ხელშეკრულება;
- დასრულდა ხერთვისის ციხის კომპლექსთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- მიმდინარეობდა ვარძიის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- მიმდინარეობდა მიტარბის და კოხტას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის, დიდველის ინფრასტრუქტურის და პარკინგის მოწყობის, გუდაურის ახალ საბაგიროსთან მისასვლელი გზის, პარკინგის და ინფრასტრუქტურის მოწყობის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და შეფასება;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ბორჯომის კავალერიის შენობის მუზეუმად ადაპტაციისთვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;

- ასპინძაში, მიმდინარეობდა ვანის ქვაბებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება;
- მიმდინარეობდა ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფელ მირაშხანამდე მისასვლელი 2.7 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დაბა აბასთუმანში, მიმდინარეობდა აბასთუმნის ისტორიული ხის სახლების რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა აბასთუმანში ასტროფიზიკური ობსერვატორიის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგაშენის მისასვლელი 7.4 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და უსაფრთხოების ზომების პროექტზე საბოლოო ანგარიშსწორება;
- მიმდინარეობდა ზარზმის მონასტრის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისა და გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა აბასთუმნის ურბანული განახლების პროექტის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად კომპანიის შერჩევის პროცედურები;
- მიმდინარეობდა ბაკურიანის რეკრეაციული პარკის რეაბილიტაციის პროექტის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად კომპანიის შერჩევის პროცედურები;
- მიმდინარეობდა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოსთვის UNESCO-ს საკონსულტაციო მომსახურება კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში;
- მიმდინარეობდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ბიზნესის დაწყების/განვითარების საკონსულტაციო მომსახურება მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის;
- მიმდინარეობდა სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების (PPI) კომპონენტის ფარგლებში შერჩეული 3 კომპანიის ობიექტისთვის გაზმომარაგების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა რეგიონალური განვითარების პროექტი III-ის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება;
- მსოფლიო ბანკის საინვესტიციო პროექტების ფარგლებში, მიმდინარეობდა პროექტების მართვის საოპერაციო, ადმინისტრაციული და სხვადასხვა საკონსულტაციო ხარჯების დაფინანსება.

3.2.6 რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF) (პროგრამული კოდი - 25 03 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ქალაქ ქობულეთში ნაპირდამცავი 1.9 კმ - იანი კედლის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანის სპორტული კომპლექსის (შენობა, ეზო, კომუნიკაციები და სხვ.) და 1.3 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა დაბა მესტიაში ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის რეაბილიტაცია;
- ქალაქ ხაშურში დასრულდა თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე N7 საბავშვო ბაღის (შენობა, ეზო, კომუნიკაციები და სხვ.) რეაბილიტაცია, მიმდინარეობდა სტადიონის რეაბილიტაციის ქვეპროექტის მასალების მომზადება;
- მიმდინარეობდა გარდაბნის 5 სოფლის წყალმომარაგების სისტემის (რეზერვუარები, მილსადენები 52.1 კმ, საქლორატორო, სატუმბო სადგური, ჭები და სხვ.) ქვეპროექტის მასალების მომზადება;
- მიმდინარეობდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ეშტიის 4.5 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვები;
- დასრულდა ქალაქ თელავის წყალარინების კოლექტორის რეაბილიტაცია;

- მიმდინარეობდა სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების (PPI) კომპონენტის ფარგლებში შერჩეული 3 კომპანიის ობიექტისთვის გაზმომარაგების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, მიმდინარეობდა ტექნიკური დახმარება, კერძოდ: პროექტების მართვაში, სივრცით დაგეგმარებაში, აქტივების მართვასა და ძირითადი კაპიტალდაბანდებების დაგეგმვაში, ფისკალური დისციპლინისა და ანგარიშგების სისტემის გასაუმჯობესებლად;
- მსოფლიო ბანკის საინვესტიციო პროექტების ფარგლებში მიმდინარეობდა პროექტების მართვის საოპერაციო, ადმინისტრაციული, ზედამხედველობისა და აუდიტორული ხარჯების დაფინანსება.

3.2.7 საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (EIB) (პროგრამული კოდი - 25 03 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულ წალენჯიხა-ნაკიფუ-ლეწურწუმე-ჩხოროწყუს 9.2 კმ-იან საავტომობილო გზაზე, მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორება;
- დასრულდა წალენჯიხის N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სოფელ პალურის გზის რეაბილიტაციის პროექტის სატენდერო და საკონტრაქტო პროცედურები;
- მარტვილის მუნიციპალიტეტში, ონოღია-ნაჯახაოს 5 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტზე, მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორება;
- მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სერგიეთში საფეხბურთო სკოლის ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობის სამუშაოებზე, მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორება;
- აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფელი წყემის 8.3 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტზე, მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორება;
- ხობის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა „თუთარჩელა“-ს შენობაში მრავალფუნქციური სპორტდარბაზის მოწყობა;
- ქალაქ ფოთში, მიმდინარეობდა მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის პროექტირება-მშენებლობის პროექტზე საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ხონის მუნიციპალიტეტში ივანდიდი-პატარა ჯიხაიშის 3.5 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის საბოლოო ანგარიშსწორება.
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დასრულდა სოფელ როდინაულის სასოფლო 15 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების საირხესა და ჭორვილას წყალსადენის მოწყობა, ხოლო ჩიხის და გორისას ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. ასევე, გორისა-ჯალაურთას 5.9 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ღვანკითის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია;
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ღორეშა-ბაზალეთის 10.8 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების სოფლების, როხის და სალომინაოს 3.5 კმ - იანი საავტომობილო გზის ორი მონაკვეთის რეაბილიტაცია;
- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში, დასრულდა წმინდა გიორგის უბნის საბავშვო ბაღის მშენებლობა;

- ჩოხატაურის მუნიციპლიტეტში, დასრულდა ბუკისციხე-ზემო სურების 16.6 კმ - იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა დაბა ლაითურის წყალსადენის რეაბილიტაცია;
- თელავის მუნიციპალიტეტში, არსებული უსახელო ხევის დასრულებული სამშენებლობო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორება;
- ქალაქ თელავში, მიმდინარეობდა რეაბილიტირებული „თელავის ხევი“-ს საბოლოო ანგარიშსწორება;
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ბოლოკიანი-კართუბნის, ნაწისქვილარი-კართუბნის და სოფელ ნაწისქვილარის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის პროექტზე, მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორება;
- ქალაქ ლაგოდეხში მიმდინარეობდა ვაშლოვანის ქუჩის რეაბილიტაცია;
- დასრულდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზისუბანში 1.6 კმ საუბნო საავტომობილო გზებზე საბოლოო ანგარიშსწორება;
- მიმდინარეობდა გორის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტების კონფლიქტისპირა სოფლებისთვის წყლის 17 ჭაბურღილის მოწყობა;
- ახალციხის ქუჩებში რეაბილიტირებული გარე განათების ქსელზე მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორება;
- დასრულდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბის წყალსადენის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ბაკურიანის შემოვლითი გზის პროექტირება მშენებლობის პროექტის სატენდერო და საკონტრაქტო პროცედურები;
- წალკის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სოფელ კუშთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა დაბა სტეფანწმინდაში სპორტული კომპლექსის რეკონსტრუქცია;
- მიმდინარეობდა წყნეთი-ბეთანიის გზის (წყნეთის ბოლოდან მეწყრის ზონამდე და მეწყრის ზონიდან კოჯორი-სამადლოს გზის კვეთამდე) რეაბილიტაცია;
- მდინარე ვერეს კალაპოტში დასრულდა 3 ერთეული ნატანდამჭერი ნაგებობების მოწყობა;
- მიმდინარეობდა 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული წყნეთი-სამადლოს და წყნეთი-ახალდაბის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (დიზაინი და მშენებლობა);
- მიმდინარეობდა მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირების სამუშაოები.

3.2.8 საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (EIB) (პროგრამული კოდი - 25 03 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა პროექტების მოსამზადებელი სამუშაოები.

3.2.9 ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტი (Government of France) (პროგრამული კოდი - 25 03 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- ჭიათურის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა არსებული ძველი საბაგირო სადგურებისა და საბაგირო-სატრანსპორო სისტემების სადემონტაჟო სამუშაოებისა და ახალი რევერსიული გონდოლებიანი საბაგიროს სამონტაჟო და შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოები;
- ჭიათურის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა მუხაძის ხაზის საბაგირო გზის რეაბილიტაცია.

3.2.10 მთის კურორტებზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03 10)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა კობი-გუდაურის საბაგირო გზის სამშენებლო სამუშაოები (ლოტი N1).

3.2.11 სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03 11)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- ქ. თბილისში, ლეონიძის ქუჩა N 3-ში მდებარე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებული შენობების რემონტისათვის (ადაპტაციისათვის) მიმდინარეობდა საჭირო დამატებითი საქონლის მიწოდება და სარემონტო სამუშაოები.

3.3 წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 04)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- მიმდინარეობდა, როგორც 2017 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების, ასევე მიმდინარე წელს დაწყებული ახალი პროექტების განხორციელება, რომელიც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგების, წყალარინების და მასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავდა რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას.

3.3.1 ქობულეთის წყალარინების პროექტი (EBRD, ORET) (პროგრამული კოდი - 25 04 01)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- დასრულდა ქალაქ ქობულეთის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ნაგეგობის გადაცემასთან დაკავშირებული პროცედურები.

3.3.2 წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (EIB, EU) (პროგრამული კოდი - 25 04 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- დასრულდა ქალაქ ბოლნისის, წალკის, ქარელის და წნორის წყალსადენის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ქალაქების და მუნიციპალიტეტების: ახმეტის, ტყიბულის, სიღნაღის, საგარეჯოს, ხობის, ქ. ზესტაფონის, ლაგოდეხის, ქ. თელავში - სოფელ კურდღელაურის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ქალაქებისა და სოფლების: ქ. დუშეთის (მეორე ფაზა), წალკის და ბოლნისის (მეორე ფაზა), ლიკანისა და წაღვერის (მეორე ფაზა) წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია;
- პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება.

3.3.3 საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი (SIDA) (პროგრამული კოდი - 25 04 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა ქალაქ თელავის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქალაქ წყალტუბოს წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა;
- მიმდინარეობდა წყალტუბოსა და თელავის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობისათვის საზედამხედველო მომსახურება.

3.3.4 ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB) (პროგრამული კოდი - 25 04 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;

✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- პროექტი REG-01 ფარგლებში, მოწყობილია ნაბადას საქლორატორო და მიმდინარეობდა სამუშაოები ნოსირი N2-ზე (მილების და შიდა გზის მოწყობა, სატრანსფორმატოროს შენობის სამშენებლო სამუშაოები, ელექტრო სამუშაოების ინსტალაციები, შემოღობვა); ნოსირი N1-ის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია 28 ერთეული ჭის გამრეცხი;
- პროექტი REG-02 ფარგლებში, ანაკლიის წყალარინების გამწმენდ ნაგებობაზე მიმდინარეობდა დეფექტების აღმოფხვრის სამუშაოები. დასრულდა გამწმენდის სამშენებლო სამუშაოები; განახლდა მესტიაში კლიმატური პირობების გამო შეჩერებული სამშენებლო სამუშაოები;
- პროექტი URE-01 ფარგლებში, ურეკში მიმდინარეობდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა, კერძოდ: წყლის სატუმბი სადგურიდან რეზერვუარ N1-ზე მიმავალი მილების ინსტალაცია, დასრულდა რეზერვუარ N1-ზე სამშენებლო სამუშაოები, მომზადდა

რეზერვუარი N3-ის დეტალური დიზაინი, მიმდინარეობდა მიწისქვეშა ურდულების, სახანძრო ჰიდრანტების და ინდივიდუალური ჭების მონტაჟი;

- პროექტი URE-02 ფარგლებში, მიმდინარეობდა ქ. ურეკის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, კერძოდ: სავენტილაციო კამერის მოწყობა, შიდა გზების სამუშაოები, მოეწყო მიმღები კამერა, დასრულდა შემოღობვა, მიმდინარეობდა მიწის სამუშაოები.
- პროექტი KUT-01 ფარგლებში (II ფაზა), მიმდინარეობდა ქ. ქუთაისში რეზერვუარის, სატუმბი სადგურის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა; მოწყობილია წყალმომარაგების ქსელი 262 კმ-ზე, ალფალსტის სამუშაობი;
- პროექტი ZUG-01 ფარგლებში, მიმდინარეობდა ქ. ზუგდიდის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა, კერძოდ: გამანაწილებელი ქსელის, ბაშის რეზერვუარის, ინგირის სატუმბი სადგურის და 9 ჭაბურღილის მშენებლობა, მოწყობილია წყალმომარაგების ქსელი 239 კმ, მოწყობილია 9 კმ გადამცემი ხაზი; დამტკიცებულია „SCADA“-ს დიზაინი;
- პროექტი ZUG-02 ფარგლებში, მიმდინარეობდა „CCTV“ გამოკვლევა, პროექტის განახლება, არსებული წყალარინების მილების გაწმენდა, წყალარინების ქსელების მშენებლობა - მოწყობილია 38.6 კმ; წყალარინების ჭები - 1055 ერთეული; გახორციელდა 1777 ერთეული სახლის დაერთება;
- პროექტი POT-01 ფარგლებში, მიმდინარეობდა მობილიზაციის სამუშაოები; მიმდინარეობდა მასალების შეთანხმებისა და დეტალური დიზაინის სამუშაოები;
- პროექტი POT-02 ფარგლებში, მიმდინარეობდა მობილიზაციისა და პროექტირების სამუშაოები;
- პროექტი JVARI-01 ფარგლებში, მიმდინარეობდა ჯვარში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა - მოწყობილია 20.18 კმ. ასევე მიმდინარეობდა დატკეპვნის სამუშაოები;
- პროექტი REG-03a ფარგლებში, მიმდინარეობდა მოსამზადებელი და პროექტირების სამუშაოები;
- პროექტი TBI-01 ფარგლებში, განახლდა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სათაო ოფისის სამშენებლო სამუშაოები; მიმდინარეობდა განახლებული ხარჯთაღრიცხვის შეთანხმება დონორ ორგანიზაციასთან;
- პროექტი CHI-01 ფარგლებში, მიმდინარეობდა მაგისტრალური მილის მოწყობის სამუშაოები - მოწყობილია 4.4 კმ. ასევე, მიმდინარეობდა სამუშაოები წყალმომარაგების ქსელზე - მოწყობილია 3.6 კმ.

3.3.5 რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები (პროგრამული კოდი - 25 04 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- დასრულდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის ქალაქ გურჯაანში 80 საცხოვრებელი კორპუსის ინდივიდუალური გამრიცხველიანება და ამავე საცხოვრებელი კორპუსების წყალმომარაგების შიდა სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა დაბა აგარაში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საპროექტო მომსახურების შესყიდვა;
- დასრულდა ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა ადიგენში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვა;
- მიმდინარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში წყალმომარაგების სისტემის I ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- დასრულდა ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტში, საბაგირო სადგურის დასახლების ზედა ნაწილში, წყალარინების ქსელის სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში წყლის ხელოვნური რეზერვუარის (მოცულობით დაახლოებით 100 000 m^3) მოწყობისთვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები;
- შეწყდა დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალში, წყალარინების ქსელის სარეაბილიტაციო და გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;
- შეწყდა ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანში წყალარინების სისტემის სარეაბილიტაციო და გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვა;
- შეწყდა დუშეთის მუნიციპალიტეტის ქალაქ დუშეთში წყალარინების ქსელის სარეაბილიტაციო და გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;
- მიმდინარეობდა ხაშურის წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის დეტალური პროექტირების საპროექტო მომსახურების შესყიდვა;
- დასრულდა ონის სერვისცენტრის ოფისის (შენობის) რეაბილიტაციისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა;
- დასრულდა ქუთაისის სერვის ცენტრების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. ურაველში ე.წ. „ურაველის“ მაგისტრალური მილსადენის გადატანისა და მასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა;
- მიმდინარეობდა ახალციხის მუნიციპალიტეტში დევნილი ოჯახებისთვის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა;
- მიმდინარეობდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისში კომპანიის აბონენტების გამრიცხველიანებისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების, აგრეთვე სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის I ეტაპის სამუშაოების შესყიდვა;
- მიმდინარეობდა ონის მუნიციპალიტეტის ქალაქ ონში „ჟიჟორეთის“ სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მდინარე რიონზე 150 მეტრი სიგრძის ნაპირსამაგრი კონსტრუქციების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ახალციხის მუნიციპალიტეტში ამორტიზებული რეზერვუარების ნაცვლად ახალი რეზერვუარების სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა;
- მიმდინარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნარუჯას წყალსადენის სათავე ნაგებობის, ჰორიზონტალური დრენაჟის დამცავი ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვაში მიმდებარე ქალაქ თერჯოლის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის მიმდებარედ, მდინარე ჩოლაბურზე, დაახლოებით, 250 მეტრის სიგრძის ნაპირსამაგრი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.

3.3.6 ქუთაისის წყალარინების პროექტი (EIB, EPTATF) (პროგრამული კოდი - 25 04 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- მიმდინარეობდა საკონსულტაციო მომსახურეობა.

3.4 სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 24 14)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

3.4.1 ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი (პროგრამული კოდი 24 14 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- „220 კვ ხაზის „ახალციხე–ბათუმი“ მშენებლობა (ADB, IBRD, WB)“ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა პროექტის II ფაზით გათვალისწინებული (I სეგმენტი, შუახევი-ახალციხის 94.5კმ-იანი მონაკვეთი) სამშენებლო სამუშაოები. პროექტის II ფაზის მშენებლობის პროგრესი საშუალოდ შეადგენს 73%-ს, ხოლო პროექტის საერთო ჯამური პროგრესი - 82%-ს;

3.4.2 საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა (პროგრამული კოდი 24 14 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- მიმდინარეობდა „500 კვ ეგხ-ის „ქსანი–სტეფანწმინდა“ მშენებლობა (EBRD, EC, KfW, WB)“ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები (ეგხ-ის ანძების 247 ფუნდამენტიდან დამონტაჟდა 212 ფუნდამენტი, აწყობილია და დამონტაჟდა 209 ანძა, გრძელდებოდა ხაზის გაჭიმვის პროცესი, დასრულდა 68 კმ ხაზის სამონტაჟო სამუშაოები) და განსახლების გეგმის განხორციელება;
- მიმდინარეობდა „ელექტროგადამცემი ხაზი „ჯვარი–ხორგა“ (EBRD, EC, KfW, WB)” პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:
  - ✓ 500კვ ეგხ-ის „კავკასიონი“ - პროექტით გათვალისწინებული ეგხ-ის ანძების 21 ფუნდამენტიდან მოეწყო 20, აწყობილი და დამონტაჟებულია 18 ანძა, მიმდინარეობდა სადენის მონტაჟის სამუშაოები, ანძებს შორის სადენის გაჭიმვის სამუშაოები და დამონტაჟდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი ენგურიდან პირველ ანძამდე;
  - ✓ 220კვ ეგხ-ის ჯვარი-ხორგა (ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე დაახლოებით 60 კმ.) - პროექტით გათვალისწინებული 171 ფუნდამენტიდან დამონტაჟებულია 161, აწყობილია 71 ანძა. მიმდინარეობდა განსახლების გეგმის განხორციელება.

3.5 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

- მოეწყო 70 პრეს და გაცნობითი ტური, სადაც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა მიზნობრივი ქვეყნებიდან მოწვეულმა ჟურნალისტებმა და ტუროპერატორებმა (353 პრესის წარმომადგენელი და 141 ტუროპერატორი);
- „გაიცანი საქართველო“-ს პროექტის ფარგლებში მოეწყო 11 პრეს ტური საქართველოს რეგიონებში;
- გაიმართა ზაფხულის სეზონის გახსნა რაჭაში და მოეწყო ვარძიის სათავგადასავლო ტურნირი;
- საქართველო წარმოდგენილ იქნა 16 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში: FITUR (მადრიდი); EMITT (სტამბული); IMTM (თელ-ავივი); ITB (ბერლინი); UITT (კიევი) ; „Matka 2018“

(ფინეთი); „Tourest 2018“ (ტალინი); „International Tourism Trade Show 2018“ (ვროცლავი) და „Green Week 2018“ (ბერლინი); „CTF 2018“ (თბილისი); „IMEX 2018“ (ფრანკფურტი); „AITF 2018“ (ბაქო); „COTTM 2018“ (პეკინი); „KITF 2018“ (ალმა-ატა); „ATM 2018“ (დუბაი); „Batumi Expo 2018“ - ბათუმი;

- საქართველო წარმოდგენილ იქნა საქმიანი ტურიზმის გამოფენაში „IBTM Arabia 2018“, რომელიც გაიმართა არაბთა გაერთიანებულ საემიროებში (ქ. აბუდაბი). მონაწილეობა იქნა მიიღებული ქ. ბერლინში გამართულ ფესტივალში „Berlin Travel Festival“;
- ქ. კიოლნსა და ქ. ბრიუსელში გაიმართა ახალ პირდაპირ ფრენებთან (კიოლნი - თბილისი, ბრიუსელი - თბილისი) დაკავშირებული პრეზენტაციები. საერთაშორისო ტელეარხ „Euronews“-ზე გადაიცემოდა საქართველოს ზაფხულის სეზონის საპრომოციო ვიდეო რგოლი. გაზეთ „The Holland Times”-ში, გერმანულ ჟურნალ „Das Erbe Unserer Welt“-ში და ავიაკომპანიის საბორტო ჟურნალ „Qatar Airways Oryx magazine“-ში განთავსდა სარეკლამო გვერდი საქართველოს შესახებ;
- ყაზახეთის, უკრაინისა და რუსეთის წამყვან ტელე-არხებზე გავიდა ზაფხულის 15-30 წამიანი საპრომოციო ვიდეო-რგოლი საქართველოს შესახებ და განთავსდა სატელევიზიო რეკლამა, ხოლო უკრაინისა და რუსეთის რეიტინგულ ტელე-არხებზე განთავსდა გადაცემა „Heads and Tails. Marine season“;
- ინტერნეტ კამპანია „Tripadvisor“-ზე, „National Geographic”-ზე, „Expedia“-სა და „Lonely Planet“-ზე მიმდინარეობდა ზაფხულის სეზონის ამსახველი სარეკლამო კამპანიები;
- ევროპის 7 ქალაქში ჩატარდა საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის პრეზენტაცია (სამიზნე ბაზრები შეირჩა ახალი პირდაპირი ფრენების დანიშვნის გათვალისწინებით - პრაღა, ვენა, ბარსელონა, ბოლონია, რომი, პარიზი, ამსტერდამი);
- ორგანიზება გაეწია B2B შეხვედრას უკრაინელ ტურ-ოპერატორებსა და ქართველ ტურ-ოპერატორებს შორის;
- გაიმართა შეხვედრა ტურისტული კომპანიების, ავიაკომპანიების, სასტუმროების, ღვინის მარნების, მწარმოებლების წარმომადგენლებთან და გიდების ასოციაციის წევრ გიდებთან, სადაც შეჯამდა გასული 2017 წელი, განხილულ იქნა მიმდინარე წლის გეგმები, მარკეტინგული აქტივობები, საქართველოს ცნობადობის გაზრდის მიზნით მათთან შესაძლო თანამშრომლობის საკითხები, ტურიზმის სექტორში არსებული პრობლემები და მათი მოგვარების გზები;
- გაიმართა სამუშაო შეხვედრები სკანდინავიის ქვეყნებიდან მოწვეულ ტურ-ოპერატორებთან, რომელსაც ესწრებოდნენ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაში რეგისტრირებული ტურისტული კომპანიები;
- ჩატარდა ფორუმი ქვემო ქართლის ტურისტული პოტენციალის შესახებ;
- „Welcome to Georgia National Awards“-ის ფარგლებში ჩატარდა ტურიზმისა და მასპინძლობის მე-3 კონფერენცია და ასევე, გაიმართა „Welcome Challenge“-ის პრეზენტაცია, რომელიც წარმოადგენს მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიის ინოვაციების ყოველწლიურ მსოფლიო ფორუმს და ინვესტორ-სტარტაპების დამაკავშირებელ ღონისძიებას;
- გაიმართა შეხვედრა მსოფლიოს საუკეთესო სტუმართმასპინძლობის სკოლის „Les Roches’’ წარმომადგენლებსა და საქართველოში არსებული სასტუმროების მენეჯმენტ- ჯგუფებთან;
- კერძო სექტორის ხელშეწყობის მიზნით გაიმართა ინფო-ტურები სოფელ ვეჯინში მდებარე შატოში „ხარიტონა“, კარდენახში - „ნაღდი მარანში“ და თბილისში „არტ ჰაუსი“- ში;
- ქ. თბილისში ჩატარდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლების ტრენინგები. განხორციელდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრების საქმიანობის მონიტორინგი. განახლდა საინფორმაციო ბაზაში არსებული კულტურული ობიექტების ნუსხა;
- დაბა სტეფანწმინდაში გაიხსნა ტურისტული საინფორმაციო ცენტრი;
- ქ. თბილისის და ქ. მცხეთის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებს ჩაუტადათ ინფო-ტური კახეთის რეგიონში;
- ჩატარდა თბილისში მოქმედი ტურისტული კომპანიების კვლევა სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტების მონაწილეობით და დაიწყო მონაცემების დამუშავება;

- მინდინარეობდა საზღვრის კვეთის, განთავსების საშუალებებისა და საავიაციო ბაზრის სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, პრეზენტაციის/ანგარიშის მომზადება, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებგვერდზე. მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ტენდენციების გამოქვეყნება სტატიების სახით;
- ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და სტრატეგიული მიზნები“;
- მომზადდა პუბლიკაცია „ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2017“ ქართულ და ინგლისურ ენებზე განახლებული მეთოდოლოგიით. ტურიზმის სტატისტიკის მარტივად აღსაქმელად მომზადდა ინოვაციური გრაფიკული ვიდეო. გაიმართა ტურისტული კომპანიების და საერთაშორისო ვიზიტორების კვლევის შედეგების პრეზენტაცია;
- ჩატარდა ტრენინგები („ღვინო და კულინარია“, „მარკეტინგი და გაყიდვები“, „ჰიგიენა და უსაფრთხოება“, „პირველადი სამედიცინო დახმარება“; „ინგლისური ენის კურსები“, „საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგება“, „შშმ პირთა მომსახურების უნარ-ჩვევების ტრენინგი“, „გიდების ტრენერთა ტრენინგი“ და „მართვის უნარ - ჩვევები“) ტურიზმის სფეროში დასაქმებულთათვის, რის შედეგად გადამზადდა 792 ადამიანი;
- საქართველოს ტურიზმის სფეროში დაგროვილი გამოცდილების გაზიარების მიზნით ადმინისტრაციამ უმასპინძლა ყირგიზეთის, უზბეკეთის და ყაზახეთის დელეგაციებს;
- ადმინისტრაცია წარმომადგენელ იქნა საქართველო-რუმინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-2 სხდომაზე (ქ. ბუქარესტი), საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მე-2 თემატური ჯგუფის რიგით მესამე სხდომაზე (ქ. ბრიუსელი), გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (მტო) ევროპის კომისიის შეხვედრაზე (ქ. პრაღა);
- შემუშავდა ქვეყანაში არსებული ასოციაციების ბაზა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთაშორისო ორგანიზაციებში და გაიმართა 30-მდე შეხვედრა აღნიშნული ასოციაციების წარმომადგენლებთან, ქვეყანაში სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიების მოზიდვის ხელშეწყობის კუთხით;
- საქართველოს ტურიზმის სფეროს შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით და საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების ინფორმირების თვალსაზრისით, ორგანიზება გაეწია ტურიზმის სფეროში კარიერის დაგეგმვის ღონისძიებას „Career Fair“;
- საუდის არაბეთის სამეფოში (ქ. ჯედა), კომპანია „Turkish Airlines“-ის მხარდაჭერით, გაიმართა პრეზენტაცია საქართველოს ტურისტული პოტენციალისა და ქვეყანაში საქმიანი ტურიზმის კუთხით არსებული შესაძლებლობების შესახებ;
- ქ. მოსკოვში, კომპანია „აჭარა ტური“-ის მხარდაჭერით, საქართველოს უკეთესად წარმოჩენისა და ტურისტული პოტენციალის გაცნობის მიზნით რუსი ტურ-ოპერატორებისათვის გაიმართა პრეზენტაციები საქართველოს შესახებ;
- მონაწილეობა იქნა მიღებულიო ესპანეთში (ქ. ოვიედო) გამართული კონფერენციის მუშაობაში „2nd UNWTO World Conference on Smart Destination“, რომლის მთავარ საკითხებს წარმოადგენდა ტურისტული დანიშნულების ადგილების ციფრული ტრანსფორმაცია, ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების მართვა, მონაცემთა ხელმისაწვდომობა და კიბერ-უსაფრთხოება;
- საქართველოში სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით გაიმართა ათამდე შეხვედრა ქვეყანაში არსებული ასოციაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- ცხელი ხაზის, Viber-ის და „Online Chat“-ის მეშვეობით 24 საათიან რეჟიმში ხორციელდებოდა ტურისტების ზარებისა და შეტყობინებების მონიტორინგი, ანალიზი და მათზე სწრაფი რეაგირება. მიმდინარეობდა პრობლემების პორტალზე ატვირტულ სხვადასხვა სახის მნიშვნელოვან პრობლემებზე ეფექტური და სწრაფი რეაგირება. განხორციელდა ტურისტების კმაყოფილების გამოკითხვა;

- პროექტ „Check in Georgia“-ს ფარგლებში, ჩატარდა ტურისტულად მნიშვნელოვანი სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: კლასიკური საგუნდო ფესტივალი; გამოფენები („აღორძინების ეპოქის გრაფიკა“ და „ტიციანიფერთა დიდოსტატი“); ლაგოდეხში ვაშლოვანის 167-ში „Blues Fest“; მიუზიკლი „Welcome to Georgia“; კულტურული ღამის ტურები, სადაც მონაწილეობდნენ ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი „სუხიშვილები“ და „თეატრალური კვარტეტი“; საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი; მუსიკალური ფესტივალი არტარეა; ვოკალისტთა საერთაშორისო კონკური „Opera Crown“; კონცერტი „საქართველოს სიმფონიეტა”; მუსიკალური ფესტივალი „Tbilisi Open Air 2018“; ფერების ფესტივალი და სხვა ღონისძიებები.

3.6 ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 24 13)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- „ენგურისა და ვარდნილის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტის“ ფარგლებში, ენგურჰესზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება EBRD-თან და რატიფიცირებულ იქნა პარლამენტის მიერ. გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე საკონსულტაციო კომპანია „Lahmeyer“-მა დაიწყო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

3.7 მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი - 25 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

- მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტებისთვის ნაგვის კონტეინერების მიწოდება, ნაგავსაყრელების კეთილმოწყობა და ოპერირება. აღნიშნული პროგრამის დაფინანსება ხორციელდებოდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) საკრედიტო და საგრანტო რესურსებიდან და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3.7.1 ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი (EU, KfW) (პროგრამული კოდი - 25 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

- მიღებულ იქნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნებართვა;
- მიმდინარეობდა სამშენებლო ნებართვების მოპოვების პროცედურები;
- ტენდერში გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიასთან მიმდინარეობდა საკონტრაქტო პირობების შეთანხმება;
- მიმდინარეობდა საკონსულტაციო მომსახურეობა.

3.7.2 ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA) (პროგრამული კოდი - 25 05 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

- შერჩეულ იქნა ნაგავსაყრელის ასაშენებელი ტერიტორია, რაზედაც მიმდინარეობდა შესაბამისი კველვითი სამუშაოები და კონცეპტუალური პროექტის შემუშავება;
- მიმდინარეობდა საკონსულტაციო მომსახურეობა.

3.7.3 საქართველოში მყარი ნარჩენების მართვა (პროგრამული კოდი - 25 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

- მიმდინარეობდა ქ. საჩხერეს ნაგავსაყრელის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
- დასრულდა მესტიის გადამტვირთი სადგურის ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
- საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემად შეძენილ იქნა ნარჩენების 10 000 კონტეინერი და გადაეცა მუნიციპალიტეტებს;
- გაფორმდა ხელშეკრულება ქ. რუსთავის ნაგავსაყრელის მყარი ნარჩენების დახარისხების საამქროსათვის გათბობის, ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემის მონტაჟზე;
- მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები ქ. რუსთავის ნაგავსაყრელისათვის ბულდოზერის შეძენაზე;
- მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები ქ. თერჯოლას ნაგავსაყრელის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე;
- მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები ქ. ფოთის ნაგავსაყრელის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე;
- დასრულდა ქ. ქუთაისის ნაგავსაყრელზე ელექტროგადამცემი ხაზის გადატანისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

3.7.4 საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (პროგრამული კოდი - 25 05 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- შეძენილი და გადაცემულია საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის 1 554 ერთეული ნაგვის კონტეინერი.

კახეთისა და სამეგრელო–ზემო სვანეთის ნარჩენების მართვის პროექტი (EU, KfW) (პროგრამული კოდი - 25 05 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

- დასრულდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა;
- მიმდინარეობდა წინასწარი სატენდერო პროცედურები პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტის და პროექტის დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტის შესარჩევად.

3.8 საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD) (პროგრამული კოდი 24 12)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

- პროგრამის ფარგლებში დასრულდა: 2 ინოვაციების ცენტრის და ერთი ინოვაციების ჰაბის გახსნის მოსამზადებელი სამუშაოები, 2018 წლის პირველი სტარტაპ თანადაფინანსების გრანტების პროგრამა და „ინტერნეტი განვითარებისათვის“ პროგრამის ცნობიერების გაზრდის ტრენინგები;
- მიმდინარეობდა 2 ინოვაციების ცენტრის (რუხი, ახმეტა) და ერთი ინოვაციების ჰაბის (თელავი) სარემონტო/აღჭურვის სამუშაოები.

3.9 რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 25 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი;
- ✓ სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო.

- განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დაფინანსებული იქნა 539 ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის: ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, წყალმომარაგების სისტემების, საბავშვო ბაღების და ა.შ. მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- შემუშავებული იქნა 2 საკანონმდებლო აქტი, საქართველოს მთავრობის დადგენილების 15 და საქართველოს მთავრობის განკარგულების 110 პროექტები;
- განხილულ იქნა 25 სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სფეროში, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური გაძლიერებისა და მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად შემუშავდა წინადადებები;
- სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სექტორებსა და დარგებში მიმდინარეობდა დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და კოორდინაცია;
- საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფის მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები;
- კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაციის ხელშეწყობა;

- მიმდინარეობდა საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;
- განხორციელდა საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებისა და გაწვევის ღონისძიებების კოორდინაცია;
- მიმდინარეობდა საქართველოში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობასთან, მართვასთან და დახურვასთან, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა და გადაწყვეტილებების მიღება;
- უფლებამოსილების ფარგლებში სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, განხორციელდა საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობა;

3.10 ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 24 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- განხორციელდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, აგრეთვე იმ სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის 2017 წლის 1 დეკემბრიდან 2018 წლის 1 მაისამდე პერიოდში მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება 5.9 მლნ ლარის ოდენობით. მოხმარებულმა ბუნებრივი აირის ოდენობამ შეადგინა 10.41 მლნ მ^3.

3.11 საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;
- ✓ ა(ა)იპ - ოუფენ ნეტი

- დაიწყო მსოფლიო ბანკის თანადაფინანსების გრანტების პროგრამა, გამოცხადდა განაცხადების მიღება. ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებებით (ანდროიდი, ios, voip, helpdesk, გაყიდვები, triz, კიბერუსაფრთხოება, front-end მიმართულებებით);
- სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მიერ ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა (Fab talks, LEGO Robotics, Product exhibition და სხვა);
- მიმდინარეობდა მუშაობა ინოვაციის ცენტრების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით;
- გაიმართა სტარტაპ-ბიტსის ღონისძიებები. დაიგეგმა პირველი რეგიონული ბუთქემფი ქართველი და აზერბაიჯანელი სტარტაპერების მონაწილეობით. გატარდა ღონისძიებები ქართული სტარტაპ ეკოსისტემის საერთაშორისო მედიაში წარმოჩენის მიზნით (Emerging Europe);
- საგრანტო პროგრამის ფარგლებში 202 საპროექტო განაცხადიდან დაფინანსდა 54 პროექტი;
- ტექნოპარკში გაიმართა ღონისძიება „ქალი და ინოვაცია“. გაიმართა ქართული სტარტაპების პირველი მითაფი დიდი მონაცემების დამუშავების თემატიკის ირგვლივ (data talks) და ბლოკჩეინ ტექნოლოგიების კვირეული;
- MIT ერთად ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი Arduino, Lego Robotics და Little Bits მიმართულებით;

- მხარი დაეჭირა ქართული სტარტაპების 3 საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობას (ქ. მინსკი, საერთაშორისო გამოფენა/ფორუმი „TIBO 2018"; ქ. ლონდონი, „Google-ის მიერ ორგანიზებული Start-Up Grind" ღონისძიება; ქ. თბილისი, „Google-ის მიერ ორგანიზებული Start-Up Grind" ღონისძიება);
- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. ბრიუსელში გამართულ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მე-4 თემატური ჯგუფის (რომელიც მოიცავს ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობას) მესამე სხდომის მუშაობაში;
- ქ. ბუქარესტში საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრები რუმინეთის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან სამომავლო თანამშრომლობის საკითხების განხილვის მიზნით;
- „EuroDIG 2018" („ევროპული დიალოგი ინტერნეტმმართველობის საკითხებზე"") ღონისძიების ფარგლებში ტექნოპარკში გაიმართა YOUthDIG, სადაც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და 20-ზე მეტი ქვეყნის ახალგაზრდა წარმომადგენლებმა;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. ლავალში გამართულ ღონისძიებაში „EON Experience Fest 2018", რომელიც ვირტუალური რეალობის მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა;
- უცხოელი პროფესიონალების მონაწილეობით საქართველოში ჩატარდა პირველი საჯარო ღონისძიებების ციკლი Fab Talks, რომელიც ეხებოდა ფაბლაბ/სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის თემატიკას;
- ჩატარდა STEAM მიმართულებით საბავშვო ვორქშოფები (Arduino, Lego Robotics, Little Bits, 2D ვორქშოფები) და ტრენინგი „როგორ მუშაობს ფაბლაბი", სადაც მონაწილეებმა შეისწავლეს თანამედროვე დანადგარებთან მუშაობა;
- ფაბლაბმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში (წარმოდგენილ იქნა FABCAFE-ითა და სტარტაპების გამოფენა-გაყიდვით), საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონში გამართულ ღონისძიებაში „ევროპის დღეები 2018" და სოციალურ ღონისძიებაში „Sharing Fest";
- ტექნოპარკის ფაბლაბისა და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარდა კვირეული „ინოვაციური სწავლება პროფესიულ სწავლებაში";
- გაიმართა ,,დაიწყე ბიზნესი ფაბლაბთან ერთად'' პროექტის მე-5 ეტაპის დასკვნითი ღონისძიება (მონაწილე სტარტაპების გამოფენა-გაყიდვა);
- ფაბლაბისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ,,პროპაგანდა''-ს ორგანიზებით ჩატარდა სახელოვნებო კონკური. მონაწილეობა იქნა მიღბული ახალგაზრდა არქიტექტორთა თბილისის ოლიმპიადაში, სადაც მონაწილეებმა უსასყიდლოდ გამოიყენეს სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიის დანადგარები;
- პრეზიდენტის ადმინისტრაციის და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა სტარტაპ-კვირეული თბილისსა და ზუგდიდში, სადაც დამსწრე საზოგადოება გაეცნო იმ სახელმწიფო და კერძო პროგრამებს, რომლებიც ეხმარება სტარტაპებს განვითარებაში;
- ამოქმედდა პროგრამა „სტარტაპ მეგობრული", რომელიც აერთიანებს კერძო, ლოკალურ და საერთაშორისო კომპანიებს (საიტზე განთავსებულია 30 სტარტაპზე მორგებული შეღავათიანი შეთავაზება);
- მიმდინარეობდა ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის აუცილებლი საქონლის, სამუშაოების და გასაწევი მომსხაურებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორცილება. მიმდინარეობდა მუშაობა საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებზე და სხვა.

3.12 ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

- მიმდინარეობდა მუშაობა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე. ამოქმედდა საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვით სამშენებლო საქმიანობის საექსპერტო შეფასება შეიძლება განახორციელონ აკრედიტებულმა ინსპექტირების ორგანოებმა;
- მიმდინარეობდა ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება ევროპის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. დაიწყო ევროკავშირის დახმარების ,,ტვინინგი"-ს პროექტის ,,ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განსავითარებლად" განხორციელება. პროექტის ფარგლებში ევროკავშირის ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა წინა წლებში ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები, აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები და ევროკავშირის ექსპერტების მიერ ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგები;
- ჩატარდა პილოტური კვლევა სამშენებლო პროდუქტის - ცემენტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- მშენებლობისა და ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ გაიცა V კლასის განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების მშენებლობის 60 ნებართვა, მათ შორის 9 ნებართვა ელექტრონული ფორმით;
  - ✓ ადმინისტრაციულ წარმოებაში მიღებულ იქნა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებიდან გადმოგზავნილი IV კლასის 48 სამშენებლო ობიექტი. სამინისტროებზე გაიცა 8 შეთანხმება მშნებლობაზე;
  - ✓ მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა განხორციელდა 55 ობიეტზე, ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 30 ობიექტი და არქიტექტურულ–სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა 51 ობიექტი;
  - ✓ ელექტრონული ფორმით გაცემულ იქნა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების 6 ნებართვა;
  - ✓ შემოწმებულ იქნა 894 მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი და გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა 60 ობიექტი;
  - ✓ ბაზარზე ზედამხედველობა განხორციელდა 5 იმპორტიორი კომპანიის სამომხმარებლო პროდუქტზე (სანთებელები).
  - ✓ გეოინფორმაციულ სისტემებში აისახა 160 ობიექტის მონაცემები.

3.13 მოსახლეობის ელეტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 24 15)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, განხორციელდა ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება და მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება.

3.14 ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა- კომპენსაცია (პროგრამული კოდი 24 16)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

- მიმდინარეობდა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის თოვლით დანამქვრისგან დამცავი დამატებითი ნაგებობების მშენებლობისთვის საჭირო და სარკინიგზო დერეფანში მდებარე მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის და მიწის გამოსყიდვისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს შემუშავებისათვის საჭირო სამუშაოები. ხორციელდებოდა პროექტის ადმინისტრირება, დაიგეგმა მიწის ნაკვეთების კვლევითი სამუშაოების განხორციელების ეტაპები. დასრულდა მუშაობა მიწის გამოსყიდვისა და კომპენსაციების განმსაზღვრელი სახელმძღვანელოს კონცეფციის მომზადებაზე.

4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

4.1 სკოლამდელი და ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)

4.1.1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

- დაფინანსებული იქნა ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 082 საჯარო და 220 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა;

4.1.2 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (32 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

- ,,უწყვეტი პროფესიული განვითარების“ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა საგნობრივი მიმართულებით ტრეინინგ-კურსები, რომელიც გაიარა 6 100-ზე მეტმა მონაწილემ;
- მოწვეული უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგები ტურიზმის მიმართულებით (40 მონაწილე). საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ თანამშრომლობით გერმანელმა ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგები მშენებლობის მიმართულების მასწავლებლებისათვის თბილისსა და ქობულეთში, რომელსაც დაესწრო 87 მონაწილე.
- ჩატარდა ტრენინგები 5 მოდულის მიხედვით პედაგოგიკაში, რომელიც სულ გაიარა 344-მა მონაწილემ. ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგები მოდულურ სწავლებაში (53 მონაწილე) და საორიენტაციო ტრენინგი დამწყები მასწავლებლებისთვის (34 მონაწილე);
- პროგრამის „eTwining Plus-ის“ ფარგლებში ჩატარდა კონკურსი, შეირჩა და პროგრამაში ჩაერთო 300 ახალი მასწავლებელი. 13 მასწავლებელი მივლინებული იქნა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხა სემინარებსა და კონფერენციებში. მოსწავლეებისთვის გამოცხადდა ტურისტული გზამკვლევების კონკურსი: ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 17 სკოლის 80-მდე მოსწავლემ. 30 მოსწავლე დაჯილდოვდა პროგრამის ფარგლებში გამართულ კონფერენციაზე. „eTwinning plus“-ის მონაწილე მასწავლებლებისთვის გაიმართა კონფერენცია: ,,კულტურული მემკვიდრეობა", რომელსაც დაესწრო

100 მასწავლებელი. ასევე, ჩატარდა ტრენინგები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომელსაც დაესწრო 200 ახლად რეგისტრირებული მასწავლებელი;

- ,,არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების" პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში გაიგზავნა 117 კონსულტანტ-მასწავლებელი, 111 დამხმარე მასწავლებელი და 50 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი (ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების დეფიციტის შევსების მიზნით). ქვეპროგრამის მონაწილეებს ჩაუტარდათ გადამზადება და ტრეინინგები. კონსულტანტ-მასწავლებლების მიერ, 41 არაქართულენოვანი სკოლის ჩართულობით, განხორციელდა პროექტი „საქართველო მზის ქვეშ";
- „ასწავლე საქართველოსთვის" პროგრამის ფარგლებში 194 კონსულტანტ-მასწავლებელი განაწილებული იყო 10 რეგიონის 106 საჯარო სკოლაში. პროგრამის მონაწილეთათვის ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგები „როგორ განვავითაროთ მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნება" და „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარება";
- „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" პროგრამის ფარგლებში ჩართული იყო 111 ადგილობრივი უცხოური ენის მასწავლებელი და 39 უცხოენოვანი მოხალისე მასწავლებელი, მათ შორის 19 ინგლისურენოვანი, 2 გერმანულენოვანი, 1 ფრანგულენოვანი და 17 ჩინურენოვანი მოხალისე მასწავლებელი, რომლებიც განაწილდნენ საქართველოს 10 სხვადასხვა რეგიონის 52 საჯარო სკოლაში და 3 პროფესიულ კოლეჯში;
- ჩატარდა ტრენინგი ადგილობრივი და უცხოენოვანი მოხალისე მასწავლებლებისთვის თემაზე „რესურსების შექმნა/გამოყენება; წერის სწავლება და შეფასება; განმავითარებელი შეფასება; გუნდური მუშაობა და დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები". შეხვედრას დაესწრო 36 უცხოენოვანი და 44 ადგილობრივი უცხოური ენის მასწავლებელი, მათ შორის პროფესიული სასწავლებლის 3 პედაგოგი.
- მოხალისე და ადგილობრივი უცხო ენის მასწავლებლების მიერ მიღებული გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩატარდა 5 სამუშაო შეხვედრა საქართველოს 5 რეგიონში: შიდა ქართლი, გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და კახეთი. შეხვედრას ესწრებოდა 51 საჯარო სკოლის უცხო ენის მასწავლებელი;
- ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა 9 მასწავლებელს, უფროსი - 93 და წამყვანი - 56 მასწავლებელს. მომზადდა ვიდეო-ინსტრუქციები შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტების შესაბამისად;
- განხორციელდა 281 სკოლის შეფასების ჯგუფების საქმიანობის შეფასება. დაიგეგმა გარე დაკვირვების პროცესი, მომზადდა გარე დაკვირვების რეგისტრაციის უფლების მქონე მასწავლებლების ბაზები, შედგა საინფორმაციო შეხვედრები გარე დაკვირვებაზე დარეგისტრირებულ პედაგოგებთან. 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში განხორციელდა 245 გარე დაკვირვება, მათ შორის 228 დადებითი და 17 უარყოფითი;
- ,,საგანმანათლებლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა" პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგმოდულის ,,ისტ-ის გამოყენება სასწავლო პროცესში" რედაქტირდა და განახლდა აღნიშნული მოდულის სახელმძღვანელო;
- განხორციელდა დისტანციური სწავლების მასწავლებლებთან ტრენინგი: ეფექტური კომუნიკაცია დისტანციური სწავლების პროცესში და 6 ონლაინ სამუშაო შეხვედრა. ქართული ენის დისტანციური სწავლების მიმართულების ფარგლებში განხორციელდა 1 032 ქართული ენის დისტანციური გაკვეთილი 208 მოსწავლისთვის;
- დამტკიცდა მოდულები: „2018-2024 წლების (დაწყებითი საფეხურის) ეროვნული სასწავლო გეგმა, საგანი - მე და საზოგადოება"და „2018-2024 წლების - „ჩვენი საქართველოს"(V – VI კლასები) საგნობრივი სტანდარტის გაცნობა" და ტრენინგმოდული „სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება". სატრენინგო პროგრამის „21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარება" ფარგლებში დამტკიცდა 12

მოდული. განხორციელდა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ერთობლივი პროექტი „მასწავლებელი - მეგზური ევროპისკენ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო განათლების, ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული ენისა და ლიტერატურის 88 მასწავლებლებმა მთელი საქართველოს მასშტაბით. საანგარიშო პერიოდში 10 ფიზიკის მასწავლებელი იმყოფებოდა ვიზიტად ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN).

- ,,სკოლამდელი აღზრდისა და განათლების“ პროგრამის ფარგლებში შემუშავდა აღმზრდელ-პედაგოგებისა და მეთოდისტების პროფესიული განვითარებისათვის განკუთვნილი ტრენინგ მოდულები;
- გამოიცა ჟურნალ „მასწავლებლის“ პირველი და მე-2 ნომერი , რომლებიც გადაეცა საქართველოს ყველა სკოლასა და რესურსცენტრს. ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“-ზე გამოქვეყნდა 480 საგანმანათლებლო სტატია. დაკაბადონდა და გამოსაცემად მომზადდა წიგნები „უსაფრთხო სკოლა“ და „ინკლუზიური განათლება“;
- ,,ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის“ ფარგლებში „ლიდერობის აკადემია 2-ის“ მოდულის მიხედვით ჩატარდა: ტრენინგი ქართულენოვანი საჯარო სკოლის დირექტორებისათვის, სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ფასილიტატორებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებისათვის (გაიარა 2 044-მა მონაწილემ), უმცირესობების მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები არაქართულენოვანი (უმცირესობების) საჯარო სკოლის დირექტორებისათვის და ფასილიტატორებისათვის (გაიარა 269-მა მონაწილემ). მომზადდა და დამტკიცდა „ლიდერობის აკადემია 3-ის“ ტრენინგ მოდული 1 (შეფასებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლეების ავტონომიურობის ხელშეწყობა) და მოდული 2 (ლიდერობა და ჯგუფის დინამიკა). მომზადებული მოდულების მიხედვით ჩატარდა საპილოტე და ტრენერთა მოსამზადებელი ტრენინგები;
- ჩატარდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები ზოგადპროფესიულ უნარებში;
- ჩატარდა მასწავლებელთა ეთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებული სკოლების მასწავლებლებისთვის ტრენინგები: ,,მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები” (2 069-მა მასწავლებელი) და ,,სასწავლო პროცესის პოზიტიურად მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისთვის” (2 100-მა მასწავლებელი);
- ჩატარდა მასწავლებელთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია „მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისას”. მონაწილეობდა ინგლისურის, მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და ქიმიის VII-XII კლასების დაახლოებით 250 მასწავლებელი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან;
- აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე ითარგმნა საგნობრივი მეთოდიკის 6 ტრენინგმოდული სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებისთვის;
- „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს“ საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში რეაბილიტირებული საჯარო სკოლის VII-XII კლასების საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მასწავლებლებისთვის ჩატარდა მოდული: „უსაფრთხოება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში“. ტრენინგი გაიარა 30 მასწავლებელმა;

4.1.3 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (32 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

- საგანმანათლებლო დაწესებულების 1 300 მანდატური უზრუნველყოფდა წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 458 საჯარო, 3 კერძო სკოლაში და 2 პროფესიულ სასწავლებელში;

- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის პროექტის ფარგლებში სპორტულ აქტივობაში ჩართული იყო - 449 საჯარო სკოლა, ჩატარდა - 15 147 სპორტული ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 218 900 მოსწავლემ;
- საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ინიციატივით ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროს სპეციალურმა აგენტმა ქალაქ თბილისის საჯარო სკოლების მანდატურებს ჩაუტარა ტრენინგი თემაზე: „სიტუაციის შესწავლა და ძალადობის შემთხვევები სკოლებში“. ტრენინგი გაიარა 51-მა მანდატურმა და 7-მა კოორდინატორმა;
- 458 სკოლაში ჩატარდა 8 304 გაცნობითი ხასიათის შეხვედრა მანდატურებსა და მოსწავლეებს შორის;
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებში (თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათუმი, ფოთი, გორი, რუსთავი) დაფიქსირდა 1 698 ახალი შემთხვევა, მათ შორის, 348 ნებაყოფლობითი. გაგრძელდა ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევა იმ 490 ბენეფიციარისათვის, რომლებთანაც მუშაობა დაწყებულ იქნა გასულ წელს;
- ბენეფიციართა საჭიროებიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტის მიერ შესაბამის უწყებებში, გადამისამართდა 105 ბენეფიციარი;
- „უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელოს“ დანერგვისათვის შეიქმნა ტრენინგ-მოდული, რომლის მიხედვითაც დაიწყო მანდატურების გადამზადება. საანგარიშო პერიოდში გადამზადდა 742 მანდატური და 13 კოორდინატორი.
- სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ბაზაზე შეიქმნა კრიზისული ინტერვენციის ჯგუფები;
- „ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია“ პროგრამის ფარგლებში 20 სკოლაში ჩატარდა ტრეინინგები, რომელსაც დაესწრო 219 მასწავლებელი;
- იმ საჯარო სკოლებისათვის, სადაც არ არის წარმოდგენილი საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად ხორციელდება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების შესაბამისი ტრენინგმოდულით გადამზადება. საანგარიშო პერიოდში ტრეინინგები ჩატარდა შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში და გადამზადდა 138 სკოლის წარმომადგენელი.

4.1.4 წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (32 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი.

- ჩატარდა 2017-2018 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე და მესამე ტური. საგნობრივი ოლიმპიადის მე-2 ტურში გადავიდა 7 153 მოსწავლე, ხოლო მონაწილეობა მიიღო 4 594 მოსწავლემ, მე-3 ტურში გადავიდა 601 მოსწავლე, ხოლო მონაწილეობა მიიღო 516 მოსწავლემ, გამოვლინდა 121 გამარჯვებული;
- ჩატარებულია ინფორმატიკის ოლიმპიადა და 3 ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდა 18 გამარჯვებული მოსწავლე.

4.1.5 განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლა

- განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოვებული 105 მოსწავლე, რომლებიც სარგებლობენ სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურებით, უზრუნველყოფილნი იყვნენ ხარისხიანი საკვებით, საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებით, მედიკამენტებით და აღმზრდელების მომსახურებით.

4.1.6 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (32 02 06)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- დარიგდა 528 976 სახელმძღვანელო და 342 987 რვეული. გასული წლის არსებული ნაშთიდან დაიწყო 2018-2019 სასწავლო წლისთვის საჭირო 7-12 კლასის სახელძღვანელოების განაწილება, რომლის ფარგლებშიც დარიგდა 35 723 ცალი სახელძღვანელო.

4.1.7 დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად (32 02 07)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- ,,შრომითი უნარების განვითარების საზაფხულო სკოლა“, ,,საზაფხულო ეკოსკოლა“, ,,ქართული ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ ,,ხელოვნების საზაფხულო სკოლის” ფარგლებში შეირჩა პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს საზაფხულო სკოლების ორგანიზებას 1 100-მდე მოსწავლისათვის.

4.1.8 ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 08)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- მიმდინარეობდა ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისათვის ფინანსური დახმარების გაწევა.

4.1.9 ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (32 02 09)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებისათვის ექსტერნად დარეგისტრირდა N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო, N8 და N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის, N16 დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი 19 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი. გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 17-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, რომლებმაც გამოცდები დაძლია პროგრამის სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე;
- *პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფმა 7-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა 2017-2018 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში, რომელიც დაძლია 4-მა პატიმარმა მოსწავლემ;*

- საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 2-მა არასრულწლოვანმა ბრალდებულმა მოსწავლემ და ორივე პირმა გადალახა აღნიშნული გამოცდები.

4.1.10 ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (32 02 10)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მიმდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება: საგნობრივი სასწავლო გეგმების რევიზია, საბაზო საფეხურის საათობრივ ბადეზე მუშაობა; ამ მიზნით მოეწყო სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან. დამტკიცდა განახლებული საბაზო საფეხურის სასწავლო გეგმა;
- დასრულდა მუშაობა დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდამჭერი გზამკვლევის სამუშაო ვერსიებზე;
- საქართველოს სკოლებიდან შემოსული ტესტური დავალებების საფუძველზე მომზადდა ექსტერნატის ტიპის ტესტური დავალებები მე-12 კლასელებისთვის შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ინგლისური ენა, ისტორია;
- დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესის ფარგლებში დაზუსტდა და დამატებითი განმარტებები მომზადდა გრიფირების ინდიკატორებისთვის, ხოლო საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესის ფარგლებში მომზადდა შეფასების ინდიკატორები;
- შემუშავდა საშუალო საფეხურის კონცეფცია და საგნობრივი სტანდარტები;
- დასრულდა საბაზო საფეხურის IX კლასის ბიოლოგიის სტანდარტის პილოტირება;
- დასრულდა ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტი მოსწავლეებისთვის „შეისწავლე ისტორია - გახდი მკვლევარი“;
- მიმდინარეობდა მუშაობა ეროვნული უმცირესობების ენებისთვის მომზადებული სტანდარტების შესაბამისად სომხური ენისა და ლიტერატურის (როგორც მშობლიური ენის), აზერბაიჯანული ენისა და ლიტერაურის (როგორც მშობლიური ენის) წლიური პროგრამებზე ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფციისა და დიზაინის გათვალისწინებით;
- მიმდინარეობდა მუშაობა მეორე უცხოური ენებისთვის მომზადებული სტანდარტების შესაბამისად ჩინური ენის წლიური პროგრამაზე V-IX კლასებისთვის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფციისა და დიზაინის გათვალისწინებით;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რევიზირებული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ფარგლებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლის დირექტორებთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან;

4.1.11 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (32 02 11)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

- უზრუნველყოფილი იქნა 1 244 საჯარო სკოლის 70 400 მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია.

4.1.12 სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 12)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- 379 საჯარო სკოლას დაუფინანსდა სხვადასხვა მიმართულების ექსტრაკულიკულარული წრეები, მათ შორის: სპორტის მიმართულებით პროექტები დაუფინანსდა 90 საჯარო სკოლას, კულტურა-ხელოვნების მიმართულებით - 95 საჯარო სკოლას და ინტელექტუალურ-შემეცნებითი მიმართულებით - 194 საჯარო სკოლას;
- ინდივიდუალური პროექტების კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 50-ზე მეტი პროექტი, რომლებიც ასევე ექსტრაკულიკულარული აქტივობების განვითარებაზეა ორიენტირებული.

4.1.13 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 13)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამაში ჩართული იყო 8 მსმენელი;
- ,,საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებთან ჩატარებული ტესტირების შედეგად გამოვლინდა მეორე ეტაპის მონაწილეები. გაიმართა ფინალური შოუ-კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მეორე ეტაპის კონკურსში გამარჯვებულმა 78-მა მოსწავლემ და მათ შორის გამოვლინდა 3 გამარჯვებული (გადაეცათ ტექნიკის მაღაზიის სასაჩუქრე ვაუჩერები);
- ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების მიზნით, ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების აბიტურიენტებსა და მასწავლებლებს უსასყიდლოდ გადაეცათ 27 ცალი სახელმძღვანელო და 60 ცალი ცნობარი აბიტურიენტებისათვის. გალის რაიონის პედაგოგების საგნობრივი წვრთნის მიზნით, ზუგდიდში მივლენილ იქნა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, რომლებმაც დაატრენინგეს 46 მასწავლებელი;
- 2018-2019 სასწავლო წლისთვის საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებისთვის გადასაცემად შესყიდულია 39 000 ცალი სასკოლო ჟურნალი;
- „სასკოლო კონკურსები“ პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორების მოსწავლეებისთვის ჩატარდა ქართულენოვანი სპექტაკლების კონკურსი სახელწოდებით „ჩემი პირველი ქართული როლი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 68 სკოლის 1 107 მოსწავლემ. გამოვლინდა 4 გამარჯვებული სკოლა და 1 ჟიურის სიმპათია, გამარჯვებული სკოლები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით.
- ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ფარგლებში ჩატარდა სლოგანებისა და ვიდეო რგოლების კონკურსი „ნაბიჯი თანადგომისკენ", რომელშიც მონაწილეობა მიიღო 151 სკოლის 1 702 მოსწავლემ. გამოვლინდა I, II, III საკონკურსო ადგილზე გასული ნამუშევრები;
- „ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა“ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელშიც ჩაერთო 1 700 სკოლის 100 000-მდე მოსწავლე.

4.1.14 ელექტრონული სწავლება (eLearning) (პროგრამული კოდი 32 02 14)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

- სოფლად მდებარე 213 საჯარო სკოლა, სადაც მე-10 - მე-12 კლასებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა შეადგენს 50-დან 250-მდე მოსწავლეს, უზრუნველყოფილ იქნა სასწავლო ელექტრონული რესურსებით.

4.2 უმაღლესი განათლება (32 04)

4.2.1 გამოცდების ორგანიზება (32 04 01)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

- ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდების, სტუდენტთა საგრანტო კონკურსის და პრაქტიკოს მსწავლებელთა საგნის გამოცდების ფარგლებში მოხდა სატესტო დავალებების აპრობაცია, საგამოცდო ტესტების მომზადება, გამსწორებელთა ტრეინინგი, საგამოცდო ცენტრების მოძიება, საგამოცდო პროცესში მონაწილე პირების შერჩევა. ჩატარდა გამოცდებზე რეგისტრაცია. სულ ერთიანი ეროვნული გამოცდაზე დარეგისტრირებულია 40 405 აბიტურიენტი, საერთო სამაგისტრო გამოცდებზე - 12 350 აპლიკანტი, მსწავლებელთა საგნის გამოცდაზე - 20 950 მასწავლებელი, სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ფარგლებში რეგისტრაცია გაიარა 4 539 სტუდენტმა;
- სკოლის გამოსაშვები გამოცდების ფარგლებში განხორციელდა სკოლის გამოსაშვები გამოცდის დაგეგმვა, მეთვალყურეებისა და სხვა პირების შერჩევა. მე-12 კლასელებს გამოცდები ჩაუტარდათ 4 საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენები, ისტორია, მათემატიკა), წარმატებით დაძლია 35 995 მოსწავლემ, ხოლო მე-11 კლასელებს გამოცდები ჩუტარდათ 4 საგანში (გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია), დასძლია 32 021 მოსწავლემ;
- პროფესიული ტესტირების ფარგლებში გაზაფხულის გამოცდებზე რეგისტრაცია გაიარა 6 953 აპლიკანტმა, სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 2 707 აპლიკანტმა;
- მოსწავლეთა შეფასების საერთაშორიოს პროგრამის (PISA) ფარგლებში მომზადდა და გამოიცა ეროვნული ანგარიში PISA 2015 ციკლის მონაცემების საფუძველზე. დაზუსტდა საერთაშორისო კვლევა PISA 2018-თვის შერჩეული სკოლების ბაზა. დაზუსტდა მოსწავლეთა მონაცემთა ბაზები. ჩატარდა კვლევა საქართველოს 323 სკოლაში და მიმდინარეობს მოსწავლეთა ნამუშევრების გასწორება;
- მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთასორისო კვლევის (TIMSS) ფარგლებში დასრულდა TIMSS-ის კვლევის პილოტირებისათვის დავალებების თარგმნა. დასრულდა მათემატიკისა და საბუნებისმტყველო ნაწილის ეროვნულ ანგარიშზე მუშაობა. ჩატარდა სკოლის კოორდინატორების ტრენინგები კვლევის (პილოტირების) ადმინისტრირებასთან დაკავშირებით. პილოტირება ჩატარდა საქართველოს 45 სკოლაში და გასწორდა მოსწავლეთა ნამუშევრები. შეიქნა კვლევის ინსტრუმენტების მონაცემთა ბაზა და გადაიგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციაში შემდგომი დამუშავებისათვის;
- სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო გამოკითხვის (TALIS) ფარგლებში დასრულდა ინსტრუმენტების რედაქტირება სამ ენაზე (ქართული, აზერბაიჯანული და რუსული). დაიბეჭდა დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის ინსტრუმენტები, რომელიც განთავსდა ინტერნეტ პლატფორმაზე. პროექტის ფარგლებში შეირჩა და გადამზადდა 334 კოორდინატორი;
- სახელმწიფო შეფასება მათემატიკაში ფარგლებში დასრულდა საცდელი ტესტირების ფსიქომეტრული ანალიზი და მის შედეგად შეირჩა ტესტური დავალებები. მომზადდა კვლევის ინსტრუმენტები, შეირჩა

კვლევაში მონაწილე სკოლები და კვლევა ჩატარდა საქართველოს 226 სკოლაში, მიმდინარეობს მოსწავლეთა ნამუშევრების გასწორება;

- სახელმწიფო შეფასება ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში (მე-9 კლასი) და ქართულში, როგორც მეორე ენა (მე-7 კლასი) ფარგლებში დასრულდა საბუნებისმეტყველო საგნების ეროვნულ ანგარიშზე მუშაობა;

4.2.2 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (32 04 02)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აპარატი, სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

- სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სამაგისტრო გრანტების მფლობელი სტუდენტები, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება და მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირები უზრუნველყოფილ იქნენ 2017-2018 სასწავლო წლის პირველი და მეორე სემესტრის სწავლის დაფინანსებით; ამ მიზნით სულ მიმართულ იქნა - 75.8 მლნ ლარი;
- ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში პრეზიდენტის სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით გამოეყო საქართველოს ათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 700-მდე სტუდენტს;
- „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსება“ პროგრამის ფარგლებში 2017-2018 სასწავლო წლის პირველი და მეორე სემესტრის სწავლის დაფინანსებით უზრუნველყოფილია 1 190-ზე მეტი გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, წალენჯიხის, ზუგდიდის, დუშეთის, ონისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები სტუდენტი.
- „ვისწავლოთ საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ევროსტუდენტის კონსორციუმის მიერ მოწოდებული წინა ფინალური საერთაშორისო ინგლისურენოვანი ანგარიშის შინაარსობრივი და სტატისტიკური ნაწილების განხილვა და აღმოჩენილი ხარვეზებისა და უზუსტობების შესახებ კომენტარების მიწოდება კონსორციუმისთვის. მომზადდა ევროსტუდენტი V -ის და ევროსტუდენტი VI-ის შედეგების შედარებითი ანალიზის ანგარიში. განხორციელდა „ევროსტუდენტი VI-ის“ კვლევის საბოლოო ანგარიშის შეფასება;
- „უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია“ პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ტრენინგ მოდული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტებისთვის. ტრენინგი ჩაუტარდა ექსპერტთა ოთხ ჯგუფს. ჩაუტარდათ ტრეინინგები უმაღლესი საგანმანათლბელო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტებს;
- „ცოდნის კარის“ პროგრამის ფარგლებში სწავლა დაუფინანსდა და სტიპენდია გაიცა საქართველოში მყოფ 55 უცხოელ სტუდენტზე.

4.2.3 უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (32 04 03)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

- შემუშავდა ვებგვერდის geofl.ge ახალი სტრუქტურა, შეიქმნა მაკეტების რამდენიმე ვერსია, რომელთაგან შეირჩა ოპტიმალური ვარიანტი, საიტზე განთავსდა A1 და A2 დონეების ინტერაქციული სავარჯიშოების კრებულები. შემუშავდა ონლაინ სავარჯიშოების (A2 დონის) სტრუქტურა და ტიპები, აღნიშნული ონლაინ სავარჯიშოებში დაიწერა გრამატიკული მასალის შესამოწმებელი ხუთი

სხვადასხვა ტიპის ტესტი. მომზადდა საქართველოს შესახებ მაღალი განვითარებული დონის (C1) სახელმძღვანელოს ოთხი თავი.

4.2.4 საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა (32 04 04)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი

- დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ჩეხეთის, ავსტრიის, იაპონიის, ესტონეთის, ლიტვის, უნგრეთის, გერმანიის, პოლონეთის, აშშ-ს, შვეიცარიის, საფრანგეთისა და ესპანეთის უნივერსიტეტებში საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სწავლა დაუფინანსდა 94 სტუდენტს;
- ,,სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში" პროგრამის ფარგლებში შეირჩა 7 სტიპენდიანტი, ,,საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები" - 4 სტიპენდიანტი, ,,საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები" - 5 სტიპენდიანტი, ,,საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა" - 10 სტიპენდიანტი, „სტიპენდია უნგრელი სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის" - 2 სტიპენდიანტი, ხოლო ,,ფულბრაიტის სამაგისტრო სასტიპენდიო პროგრამის" ფარგლებში გამოვლინდა 12 გამარჯვებული;
- ,,საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე საქართველოს 6 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგები.

4.3 ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს – მეორე პროექტი (32 09)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო (MCA - GEORGIA)

- დასრულდა 16 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში;
- დასრულდა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ რეაბილიტირებული 33 საჯარო სკოლის სასკოლო სამეცნიერო ლაბორატორიით აღჭურვა და დამატებით მოხდა 28 საჯარო სკოლისთვის ლაბორატორიების შეკვეთა და საქართველოში ჩამოტანა;
- „ლიდერობის აკადემია 2-ის" მოდულების ფარგლებში გადამზადდა 1209 დირექტორი, 1204 ფასილიტატორი და 30 რესურსცენტრის უფროსი;
- ზოგადპროფესიული უნარების კურსის ტრეინინგები გაიარა 6 706-მა მასწავლებელმა;
- ჩატარდა ტრენინგ-მოდული „უსაფრთხოება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში". ტრენინგზე მოწვეული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერების 74 მასწავლებელი;
- მომზადდა და გამოიცა საკლასო შეფასების სახელმძღვანელო სახელწოდებით „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება".
- მომზადდა, სკოლებში დარიგდა და ელექტრონულად აიტვირთა ლაბორატორიების მოხმარების სახელმძღვანელო ფიზიკა, ქიმიასა და ბიოლოგიაში.
- დასრულდა ზოგადპროფესიული კურსების ელექტრონულ ფორმატში გადატანის პროცესი და კურსების პილოტირება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 75-მა მასწავლებელმა თბილისიდან, აჭარიდან და იმერეთიდან.
- მომზადდა და დაიბეჭდა PISA და TIMSS ეროვნული ანგარიშები;
- „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 10 პროექტი;

- გამოიცა ჟურნალ „სკოლის მართვის'' პირველი და მეორე ნომრები;
- უმაღლესი განათლების პროექტის ფარგლებში 2018-2019 სასწავლო წლის მიღებისთვის ჩატარდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2 STEM აკადემია, რომლის ფარგლებში საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო დარგებით დაინტერესებული 100-მდე აბიტურიენტი გაეცნო ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის და ინჟინერიის სფეროს უახლეს აღმოჩენებსა და მიღწევებს, აშშ-ის უმაღლესი განათლების სისტემას, საერთაშორისო აკრედიტაციის მნიშვნელობას. სან დიეგოს ექვს საბაკალავრო პროგრამაზე, ჯამში სწავლობს 390 ქართველი და უცხოელი სტუდენტი;
- 6-მა ქართველმა პროფესორმა გაიარა პროფესიული განვითარების პროგრამა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (კალიფორნია).

4.4 საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07)

4.4.1 საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (32 07 01)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- „ჩემი პირველი კომპიუტერი" პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება 2018-2019 სასწავლო წლის პირველკლასელებისათვის 55 050 ერთეული პორტაბელური კომპიუტერის შეძენის მიზნით, შესყიდული პორტაბელური კომპიუტერებიდან მოწოდებულია 12 800 ერთეული;
- გასულ წელს შეძენილი კომპიუტერებიდან I-III კლასის მოსწავლეებს დაურიგდათ 156 ერთეული კომპიუტერი.

4.4.2 საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02)

4.4.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- დასრულებულია 6 მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და 21 საჯარო სკოლის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ზოგიერთი მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლისთვის გადასაცემად შესყიდულია 24 ერთეული სტანარტული პორტაბელური კომპიუტერი;
- დაფინანსდა 120 საჯარო სკოლა, სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით;
- „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა" და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, შესყიდული იქნა და გადაეცა კომპაქტით გათვალისწინებულ 7 საჯარო სკოლას 25 ცალი სტანდარტული პორტაბელური კომპიუტერი. ასევე, შეძენილი და გადაცემულია კომპაქტით გათვალისწინებული 29 საჯარო სკოლისა და ახალაშენებული სკოლებისათვის 404 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერები; აგრეთვე, გაფორმდა ხელშეკრულება კომპაქტით გათვალისწინებული 54 რეაბილიტირებული საჯარო სკოლისთვის 99 ერთეული პროექტორის და 7 ახალაშენებული საჯარო სკოლისთვის 12 ერთეული პროექტორის შესყიდვაზე.

- MCC-ის პროგრამის ფარგლებში დასრულებულია სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კარტიკამის საჯარო სკოლის ეზოს და ღობის მოწყობის სამუშაოები.

4.4.2.2 პროფესიული საგანანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- დასრულებულია სსიპ - პროფესიული კოლეჯის ,,თეთნულდი ’’ სასწავლო კორპუსის და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ფაზისი“ სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- შეძენილი იქნა და გადაეცა 11 პროფესიული/საზოგადოებრივ კოლეჯს 222 ერთეული სტანდარტული პორტაბელური კომპიუტერი და 8 პროფესიული/საზოგადოებრივ კოლეჯს 194 ერთეული პერსონალური კომპიუტერი;
- დაფინანსდა 9 პროფესიული სასწავლებელი, სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით .

4.4.2.3 უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- გამოეყო დაფინანსება 3 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და აღჭურვისთვის.

4.4.2.4 სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- დასრულდა ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სანიტარული კვანძების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და მისი არქივის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- შეძენილი იქნა და გადაეცა 50 საგანმანათლებლო რესურსცენტრს 185 ერთეული სტანდარტული პორტაბელური კომპიუტერი და 45 ერთეული პროექტორი.

4.4.2.5 საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (32 07 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

- დაიწყო და გრძელდება სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის 705 საჯარო სკოლის, აჭარა, გურია, აფხაზეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთის 807 საჯარო სკოლის, მცხეთა მთიანეთის და კახეთის 459 საჯარო სკოლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის 540 საჯარო სკოლის ინვენტარიზაცია (შენობა ნაგებობების აზომვითი სამუშაოების ჩატარება, კითხვარის და ფართოებების

ცხრილის შევსება). ამასთან, საჯარო სკოლების უძრავი ქონების ინვენტარიზაციისა და აზომვების მონაცემთა ბაზების დამუშავების მიზნით განხორციელდა პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა;

4.5 მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05)

4.5.1 სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

- ,,გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები“ და „ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით“ პროგრამების ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 5 პროექტი;
- „ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2014 წლის კონკურსში გამარჯვებული 45 პროექტი და 2016 წლის კონკურსის გამარჯვებული 13 პროექტი;
- „ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 2 პროექტი;
- ,,საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2017 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტი;
- მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2017 წლის საგრანტო კონკურში გამარჯვებული პროექტები: ინდივიდუალური (მობილობის) გრანტებში გამარჯვებული 12 პროექტი და ინსტიტუციურ (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები) გრანტებში გამარჯვებული 3 პროექტი;
- ,,ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 17 პროექტი და 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული 1 პროექტი;
- ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის მიზნით, ღონისძიების „სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირება უცხოეთში“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 1 პროექტი;
- მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 5 პროექტი და 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული 30 პროექტი;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო გრანტებით დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 30 პროექტი და 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული 26 პროექტი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 8 პროექტი;
- „მეცნიერება იწყება სკოლიდან - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამოვლინდა და დაფინანსდა გამარჯვებული 10 პროექტი;
- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი უკრაინაში (STCU) ერთობლივი კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული 7 პროექტი;
- დაფინანსდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის (JÜLICH) კვლევითი ცენტრის ორგანიზებით ჩატარებული ერთობლივი 2017 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 3 ახალგაზრდა მეცნიერი;
- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის (JÜLICH) კვლევითი ცენტრის მიზნობრივი პროგრამა SMART|EDM_lab ფარგლებში დაფინანსდა SMART|EDM ლაბორატორია;

- ერთობლივი კონკურსი ევროპული და რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში - საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა (CNRS) და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2015 წლის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტის“ (The International Scientific Cooperation Project - PICS) გამარჯვებული 1 პროექტი და 2017 წლის გამარჯვებული 1 პროექტი;
- დაფინანსდა 2 ქართული ჟურნალის მომზადება და გამოცემა ELSEVIER BV-ის პლატფორმაზე. ,,აგრარულ მეცნიერებათა მაცნე“ (Annals of Agrarian Science) (საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 2 ჟურნალი) და ,,ანდრია რაზმაძის მათემატიკური ინსტიტუტის ნაშრომები“ (Transactions of A. Razmadze Mathematical Institute) (საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 1 ჟურნალი).

4.5.2 სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (32 05 02)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

- სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მიერ გამოქვეყნდა 13 სტატია უცხოურ და 21 სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში. გამოქვეყნდა 9 სამეცნიერო თეზისი საერთაშორისო ფორუმებში და 73 თეზისი საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათის;
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის და სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მიერ მომზადდა ახალი სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა ,,უჯრედული ნეირომეცნიერება“;
- სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ფაგების მოლეკულურ-ბიოლოგიური, იმუნოლოგიური და ბიოლოგიური კვლევები, ახალი ბაქტერიოფაგების გამოყოფა და არსებული კოლექციის გამდიდრება, ბაქტერიოფაგების გამოყენება სხვადასხვა სამედიცინო და ვეტერინარული მიზნებით. შემოწმდა ინსტიტუტის კოლექციაში არსებული ფაგების აქტივობა ახლადგამოყოფილ ბაქტერიულ შტამებზე, რომლებიც გამოყოფილია ინფექციური დაავადებების მქონე პაციენტებიდან, ასევე ინფიცირებული ცხოველებიდან. ინსტიტუტი გახდა სამი ფაგური პრეპარატის (სეს, ფერსისი და ენკო) სასაქონლო ნიშნისა და ახალი ვეტერინარული ფაგური პრეპარატის სასარგებლო მოდელის და სასაქონლო ნიშნის თანამფლობელი;
- სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია 9 საერთაშორისო სამეცნიერო სტატია და 2 სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში;
- სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობდა დაცული ხელნაწერების, საარქივო მასალების, ისტორიული დოკუმენტებისა და საბიბლიოთეკო წიგნების დიგიტალური ვერსიების დამზადება, მათი დაცვისა და შენახვის მიზნით საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოები, ფონდების სისტემატიზაცია-კატალოგიზაცია, ახალი ფონდებით შევსება, სხვადასხვა ტიპის ელექტრონული კატალოგების მომზადება;
- გაიმართა აკადემიკოს მზექალა შანიძისადმი მიძღვნილი საღამო „ჩემი ცხოვრების გზა“. გაიმართა გამოფენები „დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობა“, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გამოფენა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - შეფასებები ოკუპირებულ რეალობაში“, „ილია ევროპელი“ რომელზეც წარმოდგენილი იქნა ილია ჭავჭავაძის არქივიდან ფოტო ასლები, გამოფენა „ძველი ქართული სამწიგნობრო კერები“. დედა ენის დღესთან დაკავშირებით ცენტრი ჩართული იყო სხვადასხვა ღონისძიებებში რომელიც ჩატრდა დედა ენის ბაღში

სადაც დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა თავისი ხელით „დაებეჭდა“ დედა ენის ფურცლები, ცენტრის საგამოფენო სივრცეში გაიხსნა გამოფენა „დედაენის ბეჭდვის საიდუმლო“. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მოეწყო გამოფენა „გენერალი გიორგი კვინიტაძე - გაცოცხლებული ისტორია“;

- სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გაიმართა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ბიბლიის (ძველი აღთქმა) პრეზენტაცია. აგრეთვე გაიმართა პრეზენტაციები წიგნის - „წამება ქეთევან დედოფლი“, პროექტის - „წიგნის მოვლის კულტურა“. საბუნებისმეტყველო მიმართულების სამეცნიერო კუთხის ქიმიის წრის მოსწავლეებისათვის ჩაატარეს ვორქშოფი „წიგნის მოვლის კულტურა“;
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ბენეფიციარებისათვის ჩატარდა საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრები ლექციით „ილია - ევროპელი“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წელს“;
- გაიმართა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ქართული ენის XI ოლიმპიადის დაჯილდოვება. ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა კალიგრაფიის კონკურსის ფარგლებში გამოავლინა ორი რჩეული კატეგორია: რჩეული კალიგრაფი და რჩეული კალიგრაფთა ოჯახი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური გამოცემითა და სიგელებით;
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 60 წლის იუბილის ღონისძიებათა ფარგლებში გაიხსნა გამოფენა - „ჩვენი მეხსიერება“, რუსთაველის გამზირზე გაიხსნა საგამოფენო პავილიონი, სადაც ხელნაწერების ფოტო ალსებია წარმოდგენილი. საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში მოეწყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა“.

4.5.3 სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (32 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

- ჩატარდა სამეცნიერო განყოფილებების სხდომები, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც 2017 წელს, ასევე საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ ანგარიშები და აგრეთვე, ჩატარდა სამეცნიერო საბჭოს სხდომები, სადაც განხილული იქნა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების მიერ ჩატარებული სამეცნიერო სამუშაოების შესახებ ანგარიშები და მოხსენებები;
- ,,მრგვალი მაგიდის“ ფორმატში ჩატარდა 2 სამუშაო შეხვედრა;
- მომზადდა და დაიბეჭდა 22 სამეცნიერო ნაშრომზე რეკომენდაცია და ერთი მონოგრაფია თემაზე ,,სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიები“.

4.5.4 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 04)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში შემავალი დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის 43 პროექტი;

4.6 პროფესიული სამხედრო განათლება (პროგრამული კოდი 29 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- ✓ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია;

- ✓ სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- დასრულდა ვირტუალური სიმულატორების კურსისათვის შენობის მშენებლობა;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ განხორციელდა წლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის საველე და გასვლითი სწავლებები იუნკერებისთვის და ოფიცრის საკანდიდატო კურსის მსმენელებისთვის;
- ნატოს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) ფარგლებში, გაიმართა სამუშაო შეხვედრები „საინფორმაციო ომის“ კურსის კურიკულუმის დახვეწის, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისთვის DEEP Faculty Development Workshop;
- გაერთიანებული სამსახურების სამეფოს ინსტიტუტთან (RUSI) გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მომზადდა თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის „ომის ტრანსფორმაცია - ჰიბრიდული და ასიმეტრიული ომების“ მოდულის სასწავლო პროგრამა და ჩატარდა ლექციები;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩატარდა მრავალეროვნული კომბინირებული ბრიგადის დონის საშტაბო სწავლება რუკის გამოყენებით - MAPEX, რომელშიც მონაწილეობდა ლიტვის თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კურსის 66 წარმომადგენელი და საქართველოს თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის 49 წარმომადგენელი;
- თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ორგანიზებით ჩატარდა 29 ღონისძიება (სასწავლო კურსები, ტრენინგები, ლექციები, სემინარები და დისკუსია);
- წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობაში ჩატარდა სასწავლო კურსები. მომზადდა 2 884 სამხედრო მოსამსახურე;
- საერთაშორისო მისიებისათვის ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრში (JTEC) მომზადება გაიარა 2011-მა სამხედრო მოსამსახურემ.
- პროფესიული განვითარების პროგრამაში ქვეყნის გარეთ განხორციელდა 67 ვიზიტი, ხოლო ქვეყნის შიგნით - 127 ვიზიტი, როგორც სამხედრო ასევე სამოქალაქო მოსამსახურეთა მონაწილეობით;

4.7 პროფესიული განათლება (32 03)

4.7.1 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (32 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი: პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯები/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმაახორციელებელი დაწესებულებები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი, სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

- საზოგადოებრივი/პროფესიული და პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით; 23 საზოგადოებრივი/პროფესიული და პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფილია პროგრამული/მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებით.
- „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების“ პროგრამის ფარგლებში მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებში პროფესიული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელების მიზნით ჩატარდა კონკურსი, რომელზეც ავტორიზებულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა პარტნიორ სკოლასთან თანამშრომლობით მოამზადეს და წარმოადგინეს საკონკურსო პროექტები. კომისიის მიერ შეირჩა და დაფინანსდა 28 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების

348 პროექტი, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში 125 პროექტი განხორციელდა და დასრულდა. პროფესიული უნარების კურსებში ჩართულია 4 800-მდე მოსწავლე;

- ,,მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა'' პროგრამის ფარგლებში მომზადდა ჩარჩო დოკუმენტების ცვლილებების ანალიზი. შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო და განხორციელდა ვერიფიკაციის კონცეფციის გადამუშავება, ვერიფიკატორების შერჩევა და ტრენინგი.

4.7.2 მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (32 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი: პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯები/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმნახორციელებელი დაწესებულებები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი.

- მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის მიზნით დაფინანსდა 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება, რომლებიც უზრუნველყოფენ 9 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩართულია 600-მდე მსჯავრდებულები პირი.

4.7.3 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (32 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

- ,,სახელმწიფო ენის სწავლება“ პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა ორი ახალი დარგობრივი მიმართულების პროგრამა - A2+ დონის პედაგოგებისათვის და B1+ დონის ,,სამოქალაქო განათლების“. აღნიშნული პროგრამებით სწავლება საპილოტე რეჟიმში განხორციელდა ორ ჯგუფში 26 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთან და მათგან 18 წარმატებულ კურსდამთავრებულს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები;
- ,,სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით“ სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში, რომლებიც მდებარეობს საქართველოს სამ რეგიონში (ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი) სწავლა დაასრულა 2017 წელს ჩარიცხულმა 1 072-მა და 2018 წელს ჩარიცხულმა 432-მა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელმა;
- ,,სახელმწიფო ენის სწავლების“ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 116 სასწავლო ჯგუფი და მათგან 76 მობილური ჯგუფი შედგა 43 სოფელში. პროგრამაზე ჩაირიცხა 1 564 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი;
- საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში შეიქმნა მოკლევადიანი სპეციალიზებული სასწავლო ტრენინგ-კურსები, ასევე გასვლითი ტრენინგ კურსი. ჯამში 12 მიმართულება. განხორციელდა გასვლითი ტრენინგ-კურსი „საქმისწარმოება და ელექტრონული მმართველობა“ 3 მუნიციპალიტეტში (ახალქალაქი, ბოლნისი, ახმეტა) და მასში მონაწილეობა მიიღო და სერტიფიკატი გადაეცა 55 მსმენელს;
- ,,კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი საბაზისო პროგრამის“ ფარგლებში შეიქმნა ახალი სასწავლო ჯგუფები. დმანისისა და გარდაბნის რეგიონულ სასწავლო ცენტრში სადაც ირიცხება 21 საჯარო მოხელე;

4.8 განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

- მიმდინარეობდა განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ამ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილ იქნა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობებით;
- ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 9 სხდომა და მიღებული იქნა 30 გადაწყვეტილება, მათ შორის: ავტორიზაცია მიენიჭა 10 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, ავტორიზაცია გაუუქმდა 2 დაწესებულებას, კონტინგენტი გაეზარდა 1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, წარმოება შეწყდა 17 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით;
- ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 10 სხდომა და მიღებულ იქნა 119 გადაწყვეტილება, მათ შორის, ავტორიზაცია მიენიჭა 5 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 3 გადაწყვეტილება, ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ მიღებულ იქნა 8 გადაწყვეტილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ მიღებულ იქნა 3 გადაწყვეტილება, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ მიღებულ იქნა 95 გადაწყვეტილება, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ მიღებულ იქნა 5 გადაწყვეტილება;
- ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 7 სხდომა და მიღებული იქნა 33 გადაწყვეტილება, მათ შორის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განმეორებითი ავტორიზაციის შესახებ მიღებულ იქნა 1 გადაწყვეტილება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 5 გადაწყვეტილება, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშრებით მიღებულ იქნა 1 გადაწყვეტილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 2 გადაწყვეტილება, ცვლილებები შევიდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 24 გადაწყვეტილებაში;
- ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 25 სხდომა და მიღებული იქნა 72 გადაწყვეტილება, მათ შორის, აკრედიტაცია მიენიჭა - 35 საგანმანათლებლო პროგრამას, პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა - 20 საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციის მინიჭებაზე უარი ეთქვა 17 საგანმანათლებლო პროგრამას;
- ჩატარდა პროფესიული განათლების დარგობრივი საბჭოს 12 სხდომა, დადებითი რეკომენდაცია მიეცა 36 პროფესიულ სტანდარტს, საგანმანათლებლო პროგრამის 16 ჩარჩო დოკუმენტსა და მოდულთა 3 ბლოკს. დამტკიცდა 11 პროფესიული სტანდარტი, 8 ჩარჩო დოკუმენტი, 1 მოდულთა ბლოკი;
- ჩატარდა უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს 18 სხდომა და დამტკიცდა დარგობრივი მახასიათებელი ვეტერინარის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამებისათვის, დადებითი რეკომენდაცია მიეცა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის პროექტს, დასრულდა დარგობრივი მახასიათებლის 2 პროექტი (სატყეო საქმის მიმართულების და აგრონომიის მიმართულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის);
- საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების თაობაზე წარმოდგენილ იქნა განცხადებები, 2 348 დოკუმენტთან დაკავშირებით დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება და მიღებული იქნა 1 751 დადებითი გადაწყვეტილება. საქართველოში

გაცემული ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებასთან დაკავშირებით განხილულ იქნა 5 575 დოკუმენტი. წარმოდგენილ იქნა 2577 განცხადება. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და შედეგად მომზადდა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების 2 791 დოკუმენტი აქედან 76 უარი.

- ლიკვიდირებულ და საგანმანათლებლო საქმიანობა შეწყვეტილ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით ან დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარების თაობაზე მომზადდა 144 გადაწყვეტილება განათლების მიღების ფაქტის დადასტურების/დადასტურებაზე უარის თქმის თაობაზე. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შესახებ მომზადდა 13 გადაწყვეტილება განათლების მიღების ფაქტის დადასტურების/დადასტურებაზე უარის თქმის თაობაზე, მათ შორის 11 დადებითი და 2 უარყოფითი. ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე მომზადდა 1 დადებითი გადაწყვეტილება;
- ევროპის განათლების ფონდთან (ETF) თანამშრომლობით დასრულდა მუშაობა კვალიფიკაციების სისტემის ანალიზის დოკუმენტზე „საქართველოს კვალიფიკაციების ჩარჩო 2017: სისტემის ბაზისური ანალიზი და კვალიფიკაციების აღწერა“;
- დამტკიცდა სამი ჩარჩო დოკუმენტი - რკინიგზის ოპერირება, საექთნო საქმე, სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტი. დასამტკიცებლად მომზადდა ოთხი ჩარჩო დოკუმენტი - სასტუმრო, რესტორანი და კვება; მხატვრული მინა; მხატვრული ქსოვილები და სახვითი ხელოვნება. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს დაემატა ექვსი პროფესიული კვალიფიკაცია - „ფარმაცია“; „საექთნო საქმე“, „ვებ-ტექნოლოგიები“, „სარკინიგზი ძრავიანი ტრანსპორტი“, „რკინიგზის ოპერირება“, „სამკერვალო წარმოება“;
- შემოწმდა და დადასტურდა 51 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწსებულების მიერ წარმოდგენილი 539 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
- 2017-2018 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის მობილობაზე პორტალის მომსახურებით ისარგებლა 2 761 -მა სტუდენტმა, აქედან მობილობის უფლება მოიპოვა 2 403 -მა სტუდენტმა.
- პროფესიული განათლების მიღების მსურველთა საგაზაფხულო მიღების უზრუნველსაყოფად მოდიფიცირდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებათა ვაკანტური ადგილების განთავსების სპეციალური პროგრამა და აპლიკანტთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა (www.vet.emis.ge), რომელშიც განთავსდა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი პროგრამების შესახებ სრული ინფორმაცია;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მიერ მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსების ადმინისტრირების პროცესის ავტომატიზაციის უზრუნველსაყოფად დაიწყო გრანტის დათვლის პროექტის UniGrants განხორციელება: მოხდა შესაბამისი ბიზნეს პროცესის კვლევა, ტექნიკური დავალებისათვის ტექნიკური სპეციფიკაციების ჩამოყალიბება, უსდ-ების რეესტრის მოქმედი ბაზიდან (EQEDB) სხვადასხვა ბიზნეს ობიექტებისთვის (დაწესებულება, სტუდენტი, საგანმანათლებლო პროგრამა) არსებული სტატუსებისა და მდგომარეობების ისტორიის ფორმირებისთვის და მიგრაციისთვის მეთოდოლოგიის შემუშავება და ამ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ინფორმაციის მიგრირება UniGrants-ის ბაზაში;
- სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პროგრამული სისტემისთვის (erofficers.emis.ge) განხორციელდა ახალი ფუნქციონალის შემუშავება, გატესტვა და გაშვება; მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების სამმართველოსათვის შემუშავდა ახალი საიტი „შეაჩერე ძალადობა“;
- სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ,,სკოლების მოვლა-პატრონობის" სისტემისთვის განხორციელდა ახალი ფუნქციონალის შემუშავება, გატესტვა, გაშვება. აგრეთვე, განხორციელდა განათლების სამინისტროს მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ელექტრონული სისტემისთვის http://hr.mes.gov.ge ახალი ფუნქციონალის შემუშავება, გატესტვა, გაშვება.

- მომზადდა და გაეშვა სკოლის ექსტერნატის გამოცდებისთვის საჭირო რეგისტრაციის პორტალი. აგრეთვე, განხორციელდა eschool.emis.ge-ის პორტალის მომზადება პირველკლასელთა რეგისტრაციისათვის;
- განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია / აკრედიტაციის QMS სისტემის ახალი ფუნქციონალების დამატება: სტანდარტების მიხედვით ხელახლა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების კითხვარის „გაელექტრონულება“, განაცხადის სტატუსების მიხედვით შეტყობინებების მოდულის შემუშავება, განაცხადის გენერაცია PDF ფაილის სახით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტის პროცესის ოპტიმიზაცია, საბჭოს სხდომის პროცესის დაგეგმვის მოდულის შემუშავება. ახალი მოდულების გატესტვა, დანერგვა. ასევე QMS სისტემის ფარგლებში განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ მასწავლებლების აფილირების პროგრამული მოდულის შემუშავება, გატესტვა, გაშვება.
- განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის პორტალებისთვის: (regadmin.eqe.ge და uni.eqe.ge) პრიორიტეტული პროგრამების პროგრამული მოდულის შემუშავება, გატესტვა და გაშვება;
- მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნა ერთაინ სისტემაში საქართველოს მაშტაბით ყველა უფროსის სტატუსი მქონე პედაგოგების გარე დაკვირვებაზე რეგიტრაცია, გარე დაკვირვების პერიოდის ასახვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool), გაკვეთილების 5 გეგმის ატვირთვა, რეფლექსიის ატვირთვა, მიღებული შეფასების განთავსება;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტი „ევრიკა“-ს უზრუნველსაყოფად, რომლის მიზანია საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ONLINE რეჟიმში სხვადასხვა თემატური ლექციების წარმართვა, განხორციელდა ოპტიმალურ - ინოვაციური გადაწყვეტილების შერჩევა ONLINE ვებინარებისათვის და ლექციებისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა პირდაპირ ეთერში ინტერნეტ ტრანსლაციის მეშვეობით წარიმართოს გადაცემა საქართველოში ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირით ჩართული ყველა სკოლისათვის, ასევე ტრანსლირებული ვიდეო ჩანაწერის ნახვის საშუალებას ყველა დანარჩენი სკოლისათვის.
- სკოლებში wi-fi ქსელის უზრუნველყოფისათვის 69 საჯარო სკოლაში განისაზღვრა ტექნიკური პარამეტრები, 33 საჯარო სკოლისთვის მომზადდა და გადაეცათ სისტემაში წვდომისთვის შესაბამისი ანგარიშები.

4.9 სახელოვნებო და სასპორტო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- ✓ სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები

- უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლებში განხორციელდა: ავტორიზაციის პროცესი, სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებები, მათ შორის: სამეცნიერო კონფერენცია, გამოიცა პუბლიკაციები;
- ჩატარდა: კონცერტები, საჯარო ლექციები, სპექტაკლები, საიუბილეო საღამოები, პრეზენტაციები, მასტერკლასები, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში საკონსულტაციო ხასიათის ტრეინინგი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის;.
- მოეწყო გასვლითი რეგიონალური ღონისძიებები, საზღვარგარეთ მობილობით მივლენილი იქნენ უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლების აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.

- სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი ღონისძიება - გაიმართა კონცერტები, გამოფენები, სპექტაკლი, მოეწყო საიუბილეო საღამოები. სასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსებში და საკონკურსო ფესტივალებში, ჩატარდა საჯარო ლექციები. სამუსიკო კოლეჯში მიმდინარეობს აქტიური მზადება ბავშვთა და ახალგაზრდული კოლექტივების საგუნდო კონკურსისთვის. გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და adjara.net.com-ს შორის. გატარდა ტრადიციული მრავალხმიანობის მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმის მოსამზადებელი სამუშაოები, განისაზღვრა სიმპოზიუმში მონაწილე 45 მეცნიერის და ანსამბლების რაოდენობა;
- გაიმართა საქართველოს სამუსიკო სკოლების მე-7 რეგიონალური კონკურსი, სადაც თელავის სამუსიკო სასწავლებლის თერთმეტმა მოსწავლემ წარმატებას მიაღწია, მათგან ოთხმა მოსწავლემ მოიპოვა I პრემია, სამმა- II პრემია, ორმა - III პრემია;
- სასპორტო განათლების მიმართულებით განხორციელებული შემდეგი ღონისძიებები: დამტკიცდა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2 სააკრედიტაციო პროგრამა; სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ბიბლიოთეკისათვის შეძენილი იქნა მეთოდური სახელმძღვანელო; გაიმართა შიდა პირველობები კალათბურთში; გაიმართა ახალგაზრდული შეხვედრები ფეხბურთსა და კალათბურთში კოლეჯსა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის; კოლეჯის აღსაზრდელი ექვსი მოსწავლე გახდა საქართველოს ჩემპიონი, სამი - ევროპის ჩემპიონი; უზრუნველყოფილი იქნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში პერსპექტიული სპორტსმენების მოძიება და სსიპ - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის სისტემაში მოზიდვა, მათი ინტენსიური საწვრთნელი პროცესების ხელშეწყობა.
- რესპუბლიკურ და საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი შედეგები: სხვადასხვა ოლიმპიურ სახეობებში და ასაკობრივ ჯგუფებში სასწავლებლის სტუდენტებმა მოიპოვეს ჯამში 80 ოქროს, 49 ოქროს, 74 ბრინჯაოს მედალი.
- ხელი შეეწყო: ლატვიაში ჰანს ბელვედერის ვოკალისტთა 37-ე საერთაშორისო კონკურსში საქართველოდან კონკურსანტების მონაწილეობას, ჯულიარდის სკოლაში ბაკალავრიატის საშემსრულებლო-საფოტრეპიანო მიმართულებასა და ბერკლის სამუსიკო კოლეჯის საშემსრულებლო ფაკულტეტის ჯაზ-ვოკალის სპეციალობაზე სტუდენტების სწავლის დაფინანსებას; ბრიუსელში „ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში „Merci, Maestro" - International Competition for Young Pianists in Brussels „Merci, Maestro“ მონაწილეობას; „რომა ოპერა კამპუსის“ მასტერკლასებისა და საოპერო სპექტაკლში მონაწილეობას, მენუჰინის მუსიკალურ სკოლაში გამგზავრებას, ბერგამოს წმ. ცეცილიას მუსიკალურ აკადემიაში მასტერკლასებზე დასწრებას. ნორჩ შემსრულებელთა საერთაშორისო ფესტივალზე „პარიზის ვარსკვლავი“ ა(ა)იპ „ჯადოსნური ხმების“ ანსამბლის „გვირილას“ დაფინანსებას, საფრანგეთში, ფრანგულ საგანმანათლებლო რეზიდენციაში სიკლიკში სტუდენტების მონაწილეობას. „ბრნოს თეატრალური სკოლების საერთაშორისო ფესტივალზე“ სსიპ - „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 2 პედაგოგის ვიზიტს; გერმანიის 3 ქალაქში საერთაშორისო პროექტის „კამერტონის“ ფარგლებში თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის 5 მოსწავლის საგასტროლო ტურნეს; კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში „ბერლინის UDK უნივერსიტეტში“, ქ. ტურინში რენატა სკოტოს მასტერკლასებში, ხმელთაშუაზღვის უნივერსიტეტში „MFI SCRIPT 2 FILM სცენარის განვითარების ვორკშოფში“ სტუდენტების და ახალგაზრდების მონაწილეობას. „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების IV ეროვნული კონკურსს“; „ე. მიქელაძის სახელობის საორკესტრო საკრავებზე ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა მე-3 საერთაშორისო კონკურსს“;ორ საერთაშორისო საგუნდო ფესტივალში დენვერსა და სან-ფრანცისკოში, სოლო კონცერტების გამართვას ფენიქსსა და ლოს ანჯელესში, ევროპის კულტურის ცენტრში სამ თვიან სტაჟირებაზე პროდუქციის დიზაინის შექმნასა

და მედიასთან კომუნიკაციის, კულტურული ღონისძიებების ორგანიზების მიმართულებით პროექტის „პრაქტიკა ევროპის კულტურის ცენტრში (ECC)-ვენეცია, იტალია“ დაფინანსებას.

- ხელი შეეწყო 18 საგანმანათლებლო პროექტს: საფრანგეთში საერთაშორისო თეატრალური პროექტის „კულტურა საზღვრებს გარეშე“ ფარგლებში პირველი ქართულ-ფრანგული კოპროდუქციული სტუდენტური სპექტაკლის მომზადებას; „ექსპერიმენტული ვორქშოფს - ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის - 21 საუკუნე“ პოლონელი დოკუმენტალისტების, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად პროექტის „ბათუმის ერთი დღე“ ფარგლებში სტუდენტური დოკუმენტური ფილმის გადაღებას, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მასტერკლასებს; პროექტის „საზაფხულო სკოლა შეკვეთილში“ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰარვარდისა და „გიტის“-ის სათეატრო სკოლების მასტერკლასში სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობას;
- შეიქმნა სტუდენტური ელექტრონული ჟურნალი ,,არტი და ტექსტი“. სპორტის, კულტურისა და ხელოვნების ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ქართველი და თურქი სტუდენტების ერთობლივი გამოფენა სახელწოდებით ,,ხელოვნებას საზღვრები არა აქვს“; სახელოვნებო განათლების მიმართულებით გამოსაცემად მომზადდა 9 სახელმძღვანელო და სასწავლო რესურსის მომზადება, დამუშავების პროცეშია 2 სახელმძღვანელო და გამოსაცემად ითარგმნა ,,მ. სთოქსთეიდისა და მ.ვ. ქოთრენის სახელმძღვანელო ,,Art History“;
- ინკლუზიური განათლების მიმართულებით სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე თბილისის ინკლუზიური საცეკვაო დასის „მაკ ჯორჯიას“ მხარდაჭერით წარმოდგენილ იქნა პირველი ინკლუზიური ცეკვის სპექტაკლი „სხვა გზა“.

4.12 საბიბლიოთეკო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა

- განხორციელდა საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებები;

4.13 სამართალდამცავი სრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (პროგრამული კოდი 30 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

- მიმდინარეობდა სწავლებები როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამების „საპოლიციო რეგულირების სამართალი“-სა და „პოლიციის მაგისტრის“ ფარგლებში;
- განხორციელდა საარქივო მასალის დამუშავება და სკანირება, ფონდების დეტალური აღწერილობის მონაცემთა ბაზაში შეყვანა, საარქივო მასალების რესტავრაცია;
- დისტანციური სწავლების დანერგვისა და გაუმჯობესების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით 6 დეპარტამენტის 10 სამმართველოში და 4 სასაზღვრო სამმართველოში მომზადდა სასწავლო გარემო. შესაბამის ცენტრებს გადაეცათ სწავლებისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი;
- შესაბამისი გადამზადება/მომზადების კურსები და პროგრამები გაიარეს:

- ✓ პატრულ-ინსპექტორთა (კანდიდატთა) მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (3 ჯგუფი - 31 კაცი);
- ✓ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა საბაზისო მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა (5 ჯგუფი - 87 კაცი);
- ✓ სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (2 ჯგუფი - 29 კაცი);
- ✓ მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (2 ჯგუფი - 38 კაცი);
- ✓ დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (1 ჯგუფი - 20 კაცი);
- ✓ სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა (11 ჯგუფი - 162 კაცი);
- ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი სპეციალიზირებული პოლიციელის მომზადების პროგრამა (8 ჯგუფი - 138 კაცი);
- ✓ პოლიციაში სამუშაოდ მისაღები და სამუშაოზე მიღებული წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა (5 ჯგუფი - 82 კაცი);
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ზღვაზე კანონაღსრულების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა (4 ჯგუფი - 12 კაცი);
- ✓ ტრენინგი „საპოლიციო დანაყოფის მენეჯმენტი“ (1 ჯგუფი - 13 კაცი);
- ✓ ტრენინგი „ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ინსტრუქტორთა მომზადების კურსი“ (1 ჯგუფი - 20 კაცი);
- ✓ ტრენინგი თემაზე - „მამხილებელთა დაცვა“ (1 ჯგუფი - 11 კაცი);
- ✓ ელექტრონული ლექცია თემაზე - „აკუსტიკური ხმაურის რეგულირება“ (1 ჯგუფი-20 კაცი);
- ✓ ელექტრონული ლექცია თემაზე - „სექტორზე მოქმედების სტანდარტული პროცედურები“ (1 ჯგუფი - 15 კაცი);
- ✓ ტრენინგი აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებაზე და თამბაქოს კონტროლის რეგულაციის შესახებ (29 ჯგუფი - 576 კაცი);
- ✓ ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი (ნახევრად ელექტრონული სწავლების მეთოდი) (5 ჯგუფი - 78 კაცი);
- ✓ საინკასაციო სამსახურის თანამშრომელთა სპეციალური მომზადების კურსი (3 ჯგუფი - 12 კაცი);
- ✓ დაცული ტერიტორიების თანამშრომელთა გადამზადების პროგრამა (1 ჯგუფი - 19 კაცი);
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების კურსი 65/1 (2 ჯგუფი - 33 კაცი);
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების კურსი 65/2 (2 ჯგუფი - 33 კაცი);
- ✓ საცეცხელე მომზადების ინტრუქტორთა სასწავლო კურსი (1 ჯგუფი - 1 კაცი);
- ✓ ეფექტური კომუნიკაცია, სერვის პლუსი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თემებთან დაკავშირებული ტრენინგი (მე-12 ოთახი) (2 ჯგუფი - 28კაცი);
- ✓ ტრენერთა ტრენინგი 112-ის ინციდენტების სამართლებრივ შეფასებაში (1 ჯგუფი - 6 კაცი);
- ✓ დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი (2 ჯგუფი - 22 კაცი);
- ✓ დაცვის პოლიციის თანამშრომლთა ტრენინგი სერვის პლუსში (4 ჯგუფი - 56 კაცი);
- ✓ ტრენინგი მართვის მოწმობის მისაღები გამოცდის თეორიული მომზადების კურსი (1 ჯგუფი - 13 კაცი);

- ✓ ტრენინგი თვითმმართველობის მოხელეებისთვის აკუსტიკური ხმაურის დასაშვების ნორმების შესახებ (1 ჯგუფი - 19 კაცი);
- ✓ სსიპ - დაცვის პოლიციის მოსამსახურეთა ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი (2 ჯგუფი - 39 კაცი).

4.14 ინკლუზიური განათლება (32 06)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

- თბილისისა და რეგიონის საჯარო, ასევე, კერძო სკოლები უზრუნველყოფილი იქნა მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურებით და იდენტიფიცირდა 635 სსსმ მოსწავლე. ხოლო, პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებელში სწავლის გაგრძელების მიზნით მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასდა 94 პირი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლაში სენსორული (სმენა) დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის, ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის №166 საჯარო სკოლაში, სსიპ - მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის №41 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ რუსთავის №21 საჯარო სკოლაში, სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №132 საჯარო სკოლასა და სსიპ - ქალაქ ბათუმის №13 საჯარო სკოლაში აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისათვის, სსიპ - ქალაქ თბილისის №214 საჯარო სკოლაში საშუალო, მძიმე ინტელექტუალური და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის, სსიპ - ქალაქ თელავის №9 საჯარო სკოლაში სხვადასხვა ტიპის დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის და სსიპ ქალაქ თბილისის N55 საჯარო სკოლაში აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებდა ინტეგრირებული კლასები;
- სსიპ - ქალაქ თბილისის №147 საჯარო სკოლის მიერ უზრუნველყოფილია იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება;
- გაზაფხულზე ორგანიზებულ პროფესიული ტესტირების ფარგლებში განხორციელდა სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ ტესტირებასთან დაკავშირებული პროცედურები. შედეგად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პროგრამებზე ჩაირიცხა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 74 აპლიკანტი;
- სოციალური ინკლუზიის ფარგლებში განხილულ იქნა საჯარო სკოლების მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები და შშმ, ბოშა და მესხი მოსწავლეების ინტეგრაციის მიზნით დაფინანსდა 5 საჯარო სკოლის პროექტი;
- განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის მიმართულებით სპეციალური სერვისი - ,,ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა“ მიეწოდა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიუსაფარი ბავშვების ექვსივე დღის ცენტრის 143-მდე ბენეფიციარს;
- სპეციალურ საგანმანთლებლო 8 დაწესებულებაში ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სრული სახელმწიფო მომსახურებით უზრუნველყოფილი იყო 560-ზე მეტი ბენეფიციარი, მათ შორის, 200-მდე ბენეფიციარმა დამატებით ისარგებლა სახელმწიფო სადღეღამისო მომსახურებით;
- ,,ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისათვის ადამიანური რესურსების განვითარება“ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა რეგიონული ტური სპეციალური მასწავლებლებისთვის. რეგიონული ტურის ფარგლებში ჩართული იყო 30 სპეცმასწავლებელი საქართველოს 10 რაიონიდან. მონაწილეებმა გაიარეს პრაქტიკული კურსი ინკლუზიური განათლების მიმართულებით თბილისის ყველაზე წარმატებულ სკოლებში;
- ინკლუზიური განათლების მიმართულებით 710 მასწავლებელმა გაიარა ტრენინგები;

- განახლდა და დამტკიცდა სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების კურსში შემავალი მოდულები.
- გერმანელ ტრენერებთან თანამშრომლობით ჩატარებული გამოცდის ფარგლებში მობილობა-ორიენტაციაში 12 მონაწილეს და ადრეული ჩარევის 20 სპეციალისტს ჩაუტარდა გამოცდა.

4.16 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

- ჩატარდა სოციალური უნარების, იურიდიული, ინფორმაციული და ფინანსური მიმართულებების სხვადასხვა ტრენინგები. ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის სულ 2 429 წარმომადგენელი. ასევე, ჩატარდა:
  - ✓ გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე;
  - ✓ კონფერენცია თემაზე: „ქალის როლი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში II“;
  - ✓ დედაენის დღისადმი მიძღვნილი პროექტი;
  - ✓ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრი;
  - ✓ საერთაშორისო სასამართლოების იმიტირებული პროცესი;
  - ✓ სულხან საბა-ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების ინსტიტუციური ვიზიტი სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში.
- ტესტირების კოორდინაციის სამსახურის სერვისით ისარგებლეს როგორც იუსტიციის სამინისტროს, ისე მისი მმართველობის სფეროში მოქმედმა უწყებებმა და თვითმმართველმა ორგანოებმა. საერთო ჯამში, ტესტირება გაიარა 3 171-მა პირმა; ტესტის შექმნის სამსახურმა შეასრულა 34 შეკვეთა, რისთვისაც შემუშავდა 1 134 ტესტური დავალება, შემოწმდა და განახლდა 869 ტესტური დავალება. ასევე, შეფასდა 393 აპლიკანტის წერითი ნაშრომი. ტესტური დავალებების შექმნასა და გადამოწმებაზე იმუშავა შესაბამისი სფეროს 21-მა ექსპერტმა;
- სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალში განხორციელდა 31 პროექტი, მონაწილეობდა 827 პირი.

4.17 მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

- გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 30 ტრეინინგი მოსამართლეებისთვის, ხოლო სასამართლოს სხვა მოსამსახურეთათვის 17 ტრენინგი.

4.18. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 27 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სამუშაო ჯგუფებში ახალი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული სასწავლო პროგრამების განახლება;

- სასწავლო ცენტრმა მოამზადა და განახორციელა 42 სასწავლო ღონისძიება/ტრენინგი. სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში. აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 695-მა მსმენელმა, კერძოდ: სამინისტროს აპარატის და პენიტენციური დაწესებულებების 525-მა, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 151-მა, სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 3-მა და სხვა უწყებების 16-მა წარმომადგენელმა, ამასთან, ელექტრონული ტესტირების პროგრამაში ტესტირება გაიარა 104 -მა მსმენელმა, დადგენილი ქულობრივი ბარიერი გადალახა 96%-მა;
- საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 4 441 კაც/ტრენინგ/დღე.

4.19 საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა თემაზე ჩატარდა 27 ტრენინგ კურსი, რომელსაც დაესწრო სულ 1 079 მსმენელი.
- ახალი კადრების შერჩევის ხელშეწყობის მიზნით, პროფესიული ტესტირებების ორგანიზების გზით, ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის:
  - ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტების სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე პროფესიული მიმართულების ტესტირება და ინგლისური ენის ტესტირება/გასაუბრება ჩაუტარდათ დასაქმების მსურველ კანდიდატებს (სულ 115 კანდიდატი, 6 ტესტირება).
  - ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტიას მერიასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე ჩაუტარდა პროფესიული მიმართულების ტესტირება, ტესტირება და გასაუბრება ინგლისურ და რუსულ ენებში, წერითი დავალება კომპიუტერულ პროგრამა-AutoCAD-ში (სულ 465 კანდიდატი, 4 ტესტირება).
- დაინტერესებული პირების (მათ შორის, ფიზიკური პირებისთვის, კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა თემაზე ჩატარდა 31 ტრენინგ კურსი, რომელსაც დაესწრო სულ 2 309 მსმენელი.
- საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და სასწავლო კურსების განხორციელების (მათ შორის, რეგიონალური) მიზნით სხვადასხვა თემაზე ჩატარდა სულ 11 ტრენინგ კურსი და დაესწრო 324 მსმენელი.
- სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში განხორცილებული ცვლილებების გაცნობის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ 1 დღიანი ტრენინგი „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ცვლილებების გაცნობა“ (სულ 600 მსმენელი).
- სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) მხარდაჭით უცხოელი ექსპერტის მიერ საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა პროექტი თემაზე: „საკვების საერთაშორისო სტანდარტები - კოდექს ალიმენტარიუსი“ და ტრენერთა ტრენინგი თემაზე: „რენტგენის გამოსახულების ამოცნობა“.

4.20 ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (პროგრამული კოდი 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო

- მიმდინარეობდა სახელმწიფო სიმბოლოების ნიმუშების ექსპერტიზა, მუშავდებოდა მათი გამოყენების შესახებ დასკვნები;
- მიმდინარეობდა „ჰერალდიკის შესახებ“ კანონპროექტზე მუშაობა;

4.21 მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ცენტრი

- სასწავლო ცენტრში განხორციელდა 1 გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა (საკონსულო პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამა), 6 მოკლევადიანი სასწავლო კურსი, 3 სემინარი, 3 საჯარო ლექცია, 2 ღია კარის დღე, 3 უცხო ენის (ესპანური, ფრანგული, თურქული) შემსწავლელი კურსი და ქართული ენის კურსი უცხოელი დიპლომატებისთვის. აღნიშნული კურსების ფარგლებში სულ გადამზადდა 230 საჯარო მოხელე;
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი 2 საერთაშორისო პარტნიორთან: უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენადი უდოვენკოს სახელობის დიპლომატიურ აკადემიასა და იტალიის რესპუბლიკის ადმინისტრირების ეროვნულ სკოლასთან;
- დიპლომატებისა და სხვა საჯარო მოხელეების მომზადების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარების მიზნით გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი 2 ადგილობრივ ორგანიზაციასთან;
- სასწავლო ცენტრს, კვლევითი კომპონენტის დამატებიდან გამომდინარე დაემატა 6 ელჩი, რომელთა მოვალეობები ითვალისწინებს, როგორც კვლევითი, ისე სასწავლო მიმართულებით მუშაობას.

4.22 საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

- შესყიდულ იქნა აკადემიის მეზღვაურთა სასწავლო, საწრთვნელი და სერთიფიცირების ცენტრისათვის დამატებით უახლესი სატრენაჟორო აპლიკაციები (ECDIS - ელექტრონული-კარტოგრაფიული მოწყობილობები და ინფორმაციული სიტემა - სასწავლო კაბინეტი 12 მსმენელზე; GMDSS - საზღვაო კავშირის გლობალური სისტემა (გამოიყენება ძიებისა და უბედური შემთხვევების დროს) - სასწავლო კაბინეტი 12 მსმენელზე; სამანქანე განყოფილების უახლესი ტრენაჟორი თაჩსქრინ ფუნქციით - სასწავლო კაბინეტი 12 მსმენელზე; თხევადი ტვირთის დამუშავების ტრენაჟორი (თხევადი ტვირთმზიდი გემების სატვირთო ეპერაციები) - სასწავლო კაბინეტი 12 მსმენელზე);
- კომპანია „NOVIKONTAS MARITIME COLLEGE“-საგან შესყიდულ იქნა ელექტრონული პუბლიკაციების პროგრამული პაკეტები, რომელიც მოიცავს მეზღვაურთა წვრთნის, სერთიფიცირებისა და ვახტაზე დგომის შესახებ საერთაშორისო კონვენციის (STCW) სასწავლო მასალას (ტრენინ პროგრამა, პრეზენტაციის ფაილები, პრაქტიკული დავალებები, პრაქტიკული დავალებების აღწერილობა ინსტრუქტორებისათვის და მსმენელთათვის);

- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ,,პროფესიული განათლება საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის'' პროექტის ფარგლებში აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრში არსებულ სიმულატორულ-კომპლექსებზე კომპანია „Applied Reserch International Pvd.Ltd (Ari Simulation)"-სგან შესყიდულ იქნა დამატებითი მოდულის პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები და მიმდინარეობდა არსებული პროგრამის განახლება;
- ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობდა აკადემიის ძირითადი სასწავლო კორპუსის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები (ხანძარსაწინააღმდეგო, ელექტროობის, ინტერნეტქსელის და გათბობის სისტემების მონტაჟი). აკადემიაში დამონტაჟდა შშმ პირებისათვის ადაპტირებული 2 ერთეული ლიფტი;

5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

5.1 მეწარმეობის განვითარება (პროგრამული კოდი 24 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - აწარმოე საქართველოში

- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები 39 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებაზე, მათ შორის ინდუსტრიულ ნაწილში - 27 ბენეფიციართან და სასტუმრო ინდუსტრიის ნაწილში - 12 ბენეფიციართან. აღნიშნული ბენეფიციარებიდან საბანკო სესხის კომპონენტით ისარგებლა 34 ბენეფიციარმა, ხოლო ლიზინგის კომპონენტით - 5 ბენეფიციარმა;
- „აწარმოე საქართველოში" პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში, სააგენტოს ორგანიზებით განხორციელდა მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა. აღნიშნული პროგრამა მოიცავდა გერმანიაში ვიზიტს, რის ფარგლებშიც ჩატარდა როგორც ტრეინინგები, ასევე ინდივიდუალური შეხვედრები გერმანიაში მოქმედი კომპანიების წარმომადგენლებთან. ღონისძიების ფარგლებში ქართველ მეწარმეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ გერმანელ კერძო მეწარმეთა სამუშაო პირობებს და სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, დაემყარებინათ კონტაქტები მათთვის საინტერესო კომპანიებთან. აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 25 კომპანიის წარმომადგენელმა;
- ჩატარა სექტორული შეხვედრა სასტუმრო ინდუსტრიის ბენეფიციარებთან, რომელიც მიზნად ისახავდა სფეროში არსებული გამოწვევებისა და კერძო სექტორის საჭიროებების იდენტიფიცირებას. შეხვედრაზე კერძო სექტორთან ერთად განიხილულ იქნა რეგიონებში სასტუმრო ინდუსტრიის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული სააგენტოს ინიციატივები;
- გაიმართა რეგიონული შეხვედრები (აჭარის, კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში) ადგილობრივ მეწარმეებთან „აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის გაცნობის მიზნით. გარდა ამისა, გაიმართა შეხვედრა პროგრამის ბენეფიციარებთან, მათთვის ხარისხის მართვის პრინციპების გასაცნობად. ჩატარდა შეხვედრა აჭარის რეგიონში არსებული კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართულები არიან პროგრამის განხორციელებაში. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მოეწყო პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის დეტალური პრეზენტაცია და ტექნიკური დეტალების/პროცედურების გაცნობა;
- „გადაიღე საქართველოში" პროგრამის ფარგლებში::
  - ✓ საქართველოში, ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის გაიმართა რიჩარდ გაის ინტენსიური სასწავლო კურსი „Movie Magic Scheduling and Budgeting", რომელიც მიზნად ისახავდა დამოუკიდებელი პროდიუსერებისა და ადგილობრივი საპროდიუსერო კომპანიების

წარმომადგენელებისათვის დასავლეთის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულ კომპიუტერულ პროგრამაში „Movie Magic" მუშაობის, დაგეგმარების და ბიუჯეტირების შესწავლას;

- ✓ პროგრამის პორტფელს დაემატა 5 პროექტი, რომელთა ინვესტიციის ჯამური მოცულობა შეადგენს 9.1 მლნ ლარს, კვალიფიციური ხარჯის ოდენობა უტოლდება 7.4 მლნ ლარს, ხოლო დასაქმებულთა რიცხვი - 452-ს;
- ✓ შეიქმნა ე.წ „Production Book", სადაც ასახულია საქართველოში არსებული საპროდიუსერო კომპანიების და ასევე, ზოგადად კინოინდუსტრიაში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა გადასაღებ ლოკაციებსა და ე.წ „Cash rebate" მექანიზმზე მოცემულ საინფორმაციო მასალასთან ერთად;
- ✓ ქვეყნისა და ზოგადად პროგრამის პოპულარიზაციის და ასევე, სათანადო კონტაქტების დამყარების მიზნით, საქართველოს სტენდი წარმოდგენილ იქნა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე „Berlinale", „India International Film Tourism Conclave (IIFTC)"-ზე (მუმბაი), პეკინის საერთაშორისო კინო ფესტივალზე „Beijing International Film Festival", საფრანგეთში ანიმაციის საერთაშორისო კინოფესტივალზე „Annecy" და კანის კინოფესტივალზე „Cannes Film Festival";

- ქვეყნის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ამერიკულ წამყვან ყოველკვირეულ ჟურნალში „Variety" გამოქვეყნდა საქართველოს შესახებ სტატია „Scout and About Georgia" და განთავსდა სარეკლამო მასალა;
- ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის წარმოჩენის მიზნით, სააგენტომ ორგანიზება გაუწია 18 საერთაშორისო ღონისძიებას (12 საერთაშორისო გამოფენა, 5 საერთაშორისო კონფერენცია და 1 სავაჭრო მისია), სადაც სააგენტოს მხარდაჭერით საერთო ჯამში 101-მა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა;
- საკვები და სასმელი პროდუქტების მიმართულებით, სააგენტოს ორგანიზებითა და თანადაფინანსებით ქართულმა კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ საერთაშორისო გამოფენებში: „Gulfood 2018" (დუბაი), „AGRITEQ QATAR 2018" (დოჰა), „SIAL CANADA 2018" (მონრეალი) და „SIAL CHINA 2018" (შანხაი);
- საფეიქრო ინდუსტრიის, მოდის დიზაინისა და საიუველირო პროდუქტების მიმართულებებით სააგენტომ ორგანიზება გაუწია ქართველი დიზაინერების მონაწილეობას შემდეგ საერთაშორისო გამოფენებში: „LineaPelle" (მილანი), „APLF Leather&Materials"(ჰონგ-კონგი), JVF (ვიჩენცა) და „Pitti Imagine Uomo" (ფლორენცია), „Paris Fashion Week-ის თანმდევ ღონისძიებებზე (პარიზი, საფრანგეთი) და მილანში მოდის კვირეულის ფარგლებში გამართულ საგამოფენო ღონისძიებაში (trade show) „Pitti Super", სადაც საქართველოსა და ქართველი დიზაინერებისათვის გამოიყო განსაკუთრებული სივრცე დასახელებით „Focus on Georgia";
- სათამაშოების მიმართულებით ორგანიზება გაეწია ქართული კომპანიების მონაწილეობას სათამაშოების მწარმოებელი კომპანიების საერთაშორისო გამოფენაზე „Spielwarenmesse" (ნიურნბერგი) და „Messe Frankfurt Exhibition GmbH" (ფრანკფურტი), რომელიც განათების ინდუსტრიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებაა;
- სააგენტომ IT მიმართულებით ორგანიზება გაუწია ქართული კომპანიების დასწრება/მონაწილეობას შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებზე: „Global Startup Grind" (აშშ), World Blockchain Forum (დუბაი), „Consensus 2018" (ნიუ-იორკი), „London Startup Grind" (ლონდონი);
- არქიტექტურისა და დიზაინის მიმართულებით სააგენტოს მხარდაჭერით ქართულმა არქიტექტურულმა კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს A'18-AIA „Conference on Architecture 2018" კონფერენციის მუშაობაში (ნიუ-იორკი);
- სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელდა ერთი სავაჭრო მისია ყაზახეთში (ალმათი);
- ადგილობრივ ბაზარზე ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიების ხელშეწყობის მიზნით სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა B2B შეხვედრები „აწარმოე საქართველოში" პროგრამის ბენეფიციარებსა და ადგილობრივ სერვის პროვაიდერებს შორის;
- საგანმანათლებლო კუთხით სააგენტომ უზრუნველყო ექსპორტის მენეჯერების სასერტიფიკატო კურსის ჩატარება (დაესწრო 43 პირი). გარდა ამისა დაიწყო „განავითარე შენი ბიზნესი" ახალი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებში ჩატარება 8 მასტერკლასი (ჯამურად დაესწრო 550-მდე მსმენელი);

- ინვესტიციების ხელშეწყობის მიმართულებით, გაიმართა შეხვედრები საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებულ მხარეებთან და კონსულტაცია გაეწია სხვადასხვა საკითხებზე 250-მდე პოტენციურ ინვესტორს (შეხვედრები ასევე მოიცავდა „aftercare"-ის მიმართულებას);
- მონაწილეობა იქნა მიღებული დუბაიში გამართულ ყოველწლიურ საინვესტიციო ფორუმში (AIM), სადაც საქართველო წარმოდგენილი იყო სტენდით, საინვესტიციო პოტენციალითა და უძრავი ქონების სექტორში მოღვაწე ქართული კომპანიებით;
- განხორციელდა კვლევების წარმოებისათვის საჭირო მონაცემთა ბაზების მოკვლევა/შემენა. ჩატარდა უძრავი ქონების ბაზრისა და ფეხსაცმლის, ჩანთების და აქსესუარების წარმოების კვლევები. მიმდინარეობდა სასტუმრო ინდუსტრიის და საგანანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პროექტი;
- დაიწყო „SME Linkages" პროექტის განხორციელება, რომელიც ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს აძლევს საქართველოში არსებულ მულტინაციონალურ და ე.წ „ფრენჩაიზინგის" კომპანიებთან დაკავშირების შესაძლებლობას;
- მიმდინარეობდა მუშაობა ექსპორტის სტრატეგიის განვითარებასთან დაკავშირებით;
- დაიწყო ნიდერლანდების საელჩოს ტრეინინგ-პროგრამის განხორციელება ქართველი მეწარმეებისთვის.

5.2 შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შემოსავლების სამსახური

- სსიპ - შემოსავლების სამსახურმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის საფუძველზე, შეიმუშავა „საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია", რომლის მიზანია აამაღლოს გადასახადის გადამხდელთა ნებაყოფლობითი გადახდევინების მაჩვენებელი. აღნიშნული სტრატეგიის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქონების გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები. პროექტის ფარგლებში ხდება წინასწარ დაგეგმილი ღონისძიებების შედეგად გადასახადის გადამხდელების მხრიდან საგადასახადო კანონმორჩილების დონის ზრდა. შესაბამისად, ყოველწლიურად იზრდება არა მხოლოდ დეკლარანტთა რაოდენობა, არამედ მათი მხრიდან დეკლარირების სიზუსტის მაჩვენებელიც. მიმდინარეობდა სტრატეგიით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, არაკანონმორჩილი გადასახადის გადამხდელების მიმართ, რომლებიც პოზიტიურად არ რეაგირებენ შემოსავლების სამსახურის მხრიდან გაგზავნილ გამაფრთხილებელ შეტყობინებებზე, დაიგეგმა შესაბამისი საგადასახადო კონტროლის ღონისძიებები. ამასთან, კანონმორჩილი გადამხდელებისთვის დეკლარირების გამარტივების მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა ქონების გადასახადის დაბეგვრის სისტემის სრულყოფის მიმართულებით.
- განხორციელდა გადასახადის გადამხდელთა გარკვეული ტიპის განცხადებების ელექტრონულ ფორმატში გადატანა. შედეგად, გადასახადის გადამხდელს საშუალება აქვს შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე პირადი გვერდიდან ელექტრონულად გააკეთოს განაცხადი: გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის კორექტირების, საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის, ნებართვა/სერტიფიკატის საჭიროების დადგენის, აღრიცხვის მოწმობაში ცვლილების შეტანის, საბაჟო გაფორმების ორგანოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის ზედმეტად/შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნების, საქონლის გასხვისების თაობაზე.
- გადამხდელთა მომსახურება მოძრავი სერვის-ცენტრის RS CAR-ის საშუალებით მიმდინარეობდა საქართველოს მაშტაბით. აღნიშნული სერვისით საშუალებით მომსახურების მიწოდება

განხორციელდა 39 დისლოკაციაზე. სხვადასხვა ტიპის სერვისებით ისარგებლა 4 665 ვიზიტორმა, გაიცა 3 271 კონსულტაცია, დარეგისტრირდა 1 688 განაცხადი.

- სსიპ - შემოსავლების სამსახურმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით, პროექტის - ,,გადავიხადოთ გადასახადი უკეთესი მომავლისათვის" ფარგლებში ჩაატარა შეხვედრები საჯარო სკოლებში საგადასახადო საკითხებზე მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების მიზნით. სულ ჩატარდა 51 შეხვედრა თბილისის 42 საჯარო სკოლაში. ტრენინგებს დაესწრო დაახლოებით 1 400 მოსწავლე.
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებზე, ჩატარდა საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პრეზენტაცია, 4 სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში.
- გაიმართა საინფორმაციო-საკონსულტაციო ხასიათის 5 შეხვედრა საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე პირებთან, გადასახადის გადამხდელებს მიეწოდათ ინფორმაცია დასმულ საკითხებზე განხორციელებული სამუშაოების შესახებ, გაეცნოთ დაგეგმილი და ბოლო პერიოდში განხორციელებული კანონპროექტები, ნორმატიული და ქვენორმატიული აქტები.
- გამარტივდა საბაჟო პროცედურები გადამხდელისათვის ფოთის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული ერთი საბაჟო საწყობიდან იმავე რადიუსში განლაგებულ მეორე საბაჟო საწყობამდე კონტეინერის და მასში განთავსებული საქონლის გადაადგილების შემთხვევაში. გადაადგილებაზე საბაჟო კონტროლი განხორციელდება სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით გადამზიდი კომპანიის წარმომადგენლის საბაჟო ორგანოში მისვლის გარეშე.
- შემუშავდა სახმელეთო (საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლისათვის გახსნილი) საბაჟო გამშვები პუნქტების ტექნოლოგიური სქემებისა და არასატარიფო კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებული სხვადასხვა პროცედურული სახელმძღვანელოების პროექტები.
- შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში შეიქმნა პროგრამული მოდული, რომლის საშუალებით საბაჟო დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელდება პირის/სატრანსპორტო საშუალების სასაზღვრო კონტროლზე აყვანა/მოხსნა.
- გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი" აღიჭურვა შტრიხკოდების წამკითხველი პორტატული კომპიუტერებით, ხოლო საბაჟო გამშვებ პუნქტთან „წითელი ხიდი" მდებარე სპეციალურ ავტოსადგომს გადაეცა რიგების მართვის რეგულირების კამერები.
- დასრულდა საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ყაზბეგი" სტაციონარული რენტგენის სკანერის საოპერატორო შენობის მშენებლობა.
- IT სისტემებში TIR რისკების მართვის და დამატებითი IT ინსტრუმენტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ხელი მოეწერა სამმხრივ მემორანდუმს შემოსავლების სამსახურს, საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის კავშირს - IRU და საქართველოს საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის გადამზიდავთა ასოციაციას - GIRCA შორის.
- ყაზბეგსა და ლაგოდეხში გაიხსნა 2 ახალი სპეციალური ავტოსადგომი ,,ტირ-პარკი", შედეგად, მოცემულ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით საერთო ჯამში ოპერირებს 10 ერთეული სპეციალური ავტოსადგომი, რომლებიც უზრუნველყოფენ საზღვრებზე სატვირთო ავტომობილების რიგების ეფექტურ რეგულირებას.
- დასრულდა საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფის" (ადლია) ევროსტანდარტების შესაბამისად სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის მიმართულებით სრული აღჭურვა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ერთობლივი მართვის საპილოტე პროექტის (UNDP) „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი" ფარგლებში მიმდინარეობდა სგპ „წითელი ხიდის" ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

- დაიწყო ევროკავშირის ტექნიკური დახმარების დამმობილების პროექტი „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთებისა და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ „NCTS“ იმპლემენტაციის მიზნით. აღნიშნული პროექტი საშუალებას იძლევა საქართველოს საბაჟო ადმინისტრაციის მიერ გაცემული დოკუმენტით, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს გარანტიას, განხორციელდეს ტვირთის გადაზიდვა ევროკავშირსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის სივრცეში შემავალ ქვეყნებში (EFTA - ისლანდია, ნორვეგია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია), ასევე თურქეთის რესპუბლიკაში, სერბეთსა და მაკედონიაში.

5.3 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ✓ სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

- მომზადდა ძირითადი ეკონომიკური ტენდენციების ამსახველი 2018 წლის პირველი კვარტლის ანგარიში და „საჯარო კერძო თანამშრომლობის“ კანონის პროექტი და წარედგინა პარლამენტს განხილვისათვის;
- დამტკიცდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა;
- შემუშავდა ინტერაქციული ვებ-პორტალის კონცეფცია და მოხდა პორტალის სატესტო რეჟიმში გაშვება. აღნიშნული პორტალის საშუალებით სამოქალაქო საზოგადოებას, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მიერ ინიცირებული რეფორმების შემუშავების პროცესში, გაეცნონ დაგეგმილ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს და კითხვარის საშუალებით დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია;
- მიმდინარეობდა მუშაობა გადახდისუუნარობის ახალ კანონმდებლობაზე, ლიზინგის მარეგულირებელი ჩარჩო კანონმდებლობის შემუშავებასა და სასარგებლო წიაღისეულის ეფექტიანი მართვის რეფორმაზე;
- მომზადდა რეგიონის ქვეყნების და მათი საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენის შეფასების ამსახველი ანგარიში, ექსპორტის დივერსიფიკაციის შეფასების მეთოდოლოგია და ექსპორტის დივერსიფიკაციის ტენდენციების ამსახველი ანგარიში;
- მიმდინარეობდა მუშაობა წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების შესწავლასა და იმ რეფორმებისა და პოლიტიკის ინიციატივების შემუშავებაზე, რომელთა განხორციელება შესაძლებელია საქართველოს რეალობის გათვალისწინებით;
- შემუშავდა ქვეყნის ძირითადი გამოწვევების და მათი ანალიზის ამსახველი ანგარიში. მიმდინარეობდა მუშაობა აღნიშნული გამოწვევების გადაჭრის გზების განსაზღვრის შესახებ, რომელიც შემდგომ გამოყენებულ იქნება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში;
- მომზადდა ეკონომიკური შეფასებები, შენიშვნები და წინადადებები სხვადასხვა ნორმატიული აქტების პროექტებზე;
- განხილული იქნა და მომზადდა შენიშვნები/წინადადებები მსოფლიო ბანკის დოკუმენტის პროექტთან ,,Country Partnership Framework for the Period FY18-FY22" დაკავშირებით, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტთან დაკავშირებით და აგრეთვე, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სამოქმედო გეგმის პროექტზე;
- მომზადდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის 2017 წლის შესრულების ანგარიში;

- მომზადდა შენიშვნები და ჩასწორებები „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის (2016-2020)“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებულ შეფასების დოკუმენტზე. გაიმართა შეხვედრები OECD-ს მისიასთან მათ მიერ „SME Policy Index 2018“ ახალი კვლევის დაწყებისა და ამ კვლევის ფარგლებში საქართველოს შეფასებასთან მიმართებით. დამუშავდა OECD-ის კვლევის „SME Policy Index“-ის მეთოდოლოგია;
- განხორციელდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შესწავლა. ქალთა მეწარმეობის ქვესაბჭოს ფარგლებში მომზადდა პრეზენტაცია ქალთა მეწარმეობისა და დასაქმებულ ქალთა სტატისტიკის თაობაზე;
- შრომის ბაზრის კვლევების თემატიკის განსაზღვრის მიზნით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო სტრუქტურების, სოციალური პარტნიორების, ბიზნეს ასოციაციების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. აღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შერჩეულ სამომავლო კვლევებზე ტექნიკური დავალებები;
- მომზადდა რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი „საქართველოში დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე“;
- ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა შრომის ბაზრის პროგნოზირების მეთოდოლოგიის შემუშავებაზე. განახლდა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემაში განთავსებული ინფორმაცია;
- შეივსო მსოფლიო ბანკის „Doing Business” 2019 წლის კითხვარები - ბიზნესის დაწყება, ქონების რეგისტრაცია, გადახდისუუნარობა, მშენებლობის ნებართვა და შრომის ბაზრის რეგულაციების შესახებ. შევსებული კითხვარები გაიგზავნა მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგის ორგანიზაციაში;
- მომზადდა ინფორმაცია შემდეგ რეიტინგებზე: „Heritage Foundation“-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“, საერთაშორისო გამჭვირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსი“, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „ინკლუზიური განვითარების ინდექსი“, ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი და მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი „კანონის უზენაესობის ინდექსი“. შეფასდა საქართველოს გაუმჯობესებული და შემცირებული პოზიციები რეიტინგების სხვადასხვა მიმართულებებით. მომზადდა ინფორმაცია, სადაც შეფასდა საქართველოს პოზიციები INSEAD-ის (The Business School for the World) „გლობალური ინოვაციის ინდექსის“ რეიტინგის ინდიკატორებსა და კომპონენტებში;
- საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა სტრატეგიის პროექტი „მსოფლიო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესების სტრატეგია 2019-2023 წლებისთვის“, სადაც განისაზღვრა სამოქმედო გეგმის კონცეფცია, რაც ითვალისწინებს სტრატეგიის ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობებს სხვადასხვა მიმართულებებით;
- მომზადდა 2017 წლის საგარეო სავაჭრო ბრუნვის და 2018 წლის პირველი კვარტალის ვრცელი ანალიზი, სტრუქტურულ ჭრილში. გარდა ამისა, მომზადდა 2018 წლის იანვრის, თებერვლის, აპრილის და მაისის ყოველთვიურად განახლებული სავაჭრო ბრუნვის ანალიზი;
- საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ზრდის/კლების ტენდენციების გამოვლენის მიზნით. 2017 წლისა და 2018 წლის 5 თვის სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად მომზადდა საქართველოს სავაჭრო პარტნიორებთან ორმხრივი სავაჭრო ბრუნვის ანალიზი სტრუქტურულ ჭრილში;
- მომზადდა: პრიორიტეტული სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საიმპორტო ბაზრების ანალიზი იმ პროდუქციის გამოვლენის მიზნით, რომლის ექსპორტის ზრდა/შეთავაზება შესაძლებელია საქართველოს მხრიდან; ვრცელი ინფორმაციები სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ; ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;

- ქვეყნის 5 რეგიონში: (იმერეთი, რაჭა, სამეგრელო, ქვემო ქართლი, კახეთი) გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივ მეწარმეებთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების ფარგლებში გატარებული და დაგეგმილი რეფორმების თაობაზე;
- ამოქმედდა: საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შსახებ შეთანხმება; თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი შვეიცარიასა და ლიხტენშტაინთან; სრულად ამოქმედდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრ ქვეყნებთან;
- დასრულდა მოლაპარაკებები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების განხორციელების მიზნით;
- ხელი მოეწერა: „საქართველოსა და ჩინეთის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულს ჰონგ-კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებას; ერთობლივ დეკლარაციას „საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიზანშეწონილობის კვლევის დაწყების თაობაზე“; შეთანხმებას „საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარების და დაცვის შესახებ“;
- გაიმართა ეკონომიკური თანამშრომლობის ორმხრივი მთავრობათაშორისი კომისიები და მაღალი რანგის სხვა ღონისძიებები: ქ. მინსკში საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-4 სხდომა და ვაჭრობის საკითხებზე ერთობლივი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მე-3 სხდომა; ქ. თბილისში საქართველო-უზბეკეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-8 სხდომა; ქ. ბუქარესტში საქართველო-რუმინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის მე-2 სხდომის ექსპერტთა შეხვედრა და სხვა;
- კაპიტალის ბაზრის რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობდა შესაბამისი სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიებების განხორციელება;
- პარლამენტში წარდგენილ დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონის პროექტთან დაკავშირებით გაიმართა საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგი. მიმდინარეობდა სამუშაოები დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული საპენსიო სააგენტოს სტრუქტურის და ბიუჯეტის (Road Map) განსაზღვრაზე, დონორ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან IT ინფრასტრუქტურის შექმნაზე და დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ანალიტიკური მასალების მომზადებაზე;
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით მომზადდა მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი;
- გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UN Environment) მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა მწვანე ზრდის ეროვნულ სტრატეგიაზე, რომელიც აქცენტს გააკეთებს მხოლოდ წინასწარ შერჩეულ რამდენიმე სექტორზე (ტურიზმი, მშენებლობა და სოფლის მეურნეობა);
- მიმდინარეობდა მუშაობა ენერგოეფექტურობის საკითხებზე და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით მომზადდა რეგულაციის პროექტი „შენობებისთვის, შენობის ნაწილებისთვის ან შენობის ელემენტებისთვის ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნების დადგენის შესახებ“ და რეგულაციის შესაბამისი დანართი „საქართველოში დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი რაიონებისთვის მინიჭებული საერთო კლიმატური ზონის მიხედვით“;
- მიმდინარეობდა მუშაობა საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერგიის მოხმარების აღმნიშვნელი მარკირების კანონმდებლობის შემუშავებაზე ევროდირექტივების შესაბამისად;
- გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მხარდაჭერით მიმდინარეობდა მუშაობა პროექტზე „სათბური გაზების გამოყოფის შემცირება საქართველოს სამრეწველო სექტორში ენერგო ეფექტურობის გაუმჯობესებით“;
- ენერგომენეჯმენტის სისტემების თაობაზე წინასწარ შერჩეული კომპანიებისთვის (ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერ, თბილისის სატრანსპორტო კომპანია, რუსთავის აზოტი და საქართველოს ინდუსტრიული

ჯგუფის კომპანიები: საქინვესტი, საქნახშირი და ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა) ჩატარდა ტრენინგი.

- თბილისისა და ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობის პროექტის ფარგლებში მიმდიონარეობდა ინვესტორის შერჩევასთან დაკავშირებული შესაბამისი სამუშაოები;
- დამტკიცდა სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის ფორმა და მისი გაცემის წესი;
- მიმდინარეობდა მუშაობა საგზაო უსაფრთხოების ამაღლების საკითხებზე. დამტკიცდა საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმა;
- გაიმართა საგზაო უსაფრთხოების უწყებათაშორისი კომისიის მეხუთე და მეექვსე სხდომები. კომისიის მეხუთე სხდომაზე განხილულ იქნა 2017 წლის სამოქმედო გეგმის ბოლო 6 თვის ანგარიში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების ეფექტიანობის ანგარიში და მისი რეკომენდაციები, საგზაო უსაფრთხოების 2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების პროგრესი და სხვა. კომისიის მეექვსე სხდომაზე კომისიაში წარმოდგენილი თითოეული სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებმა მოწვეული სტუმრების (ევროკავშირის დელეგაციის, მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის (ADB), იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (JICA) და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები) წინაშე წარადგინეს პრეზენტაციები და გააცნეს მათ თავიანთი უწყების ფარგლებში საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული აქტივობები;
- მიმდინარეობდა მოლაპარაკებები: საქართველოსა და საუდის არაბეთის სამეფოს საავიაციო ხელისუფლებებს შორის „საქართველოსა და საუდის არაბეთის სამეფოს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების“ თაობაზე; საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საავიაციო ხელისუფლებებს შორის ,,საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების" თაობაზე;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების, მშენებლობის განხორციელების ეტაპების, არსებული შენობა-ნაგებობების ან/და მათი ნაწილების საექსპერტო სამუშაოების ჩასატარებლად განხორციელდა 107 ექსპერტთა კანდიდატურის შეთანხმება;
- მომზადდა „საქართველოში შენობების მინიმალური ენერგეტიკული მახასიათებლების მოთხოვნებზე რეგულაციის ჩარჩო-დოკუმენტი“.
- გერმანიასა და საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა სადემონსტრაციო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ბათუმში საჯარო შენობების (ძირითადად საბავშვო ბაღების) ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით მოდერნიზებისათვის სხვადასხვა უახლესი ტექნოლოგიების ტესტირებას;
- ევროკოდების თარგმნის სარედაქციო კოლეგიის მიერ ხორციელდებოდა შემდეგი ევროკოდების თარგმნა/რედაქტირების სამუშაოები: ევროკოდი 8 „სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება“ (ნაწილი 2 - ხიდები (რედაქტირება); ნაწილი 3 - შენობების შეფასება და განახლება-გაძლიერება (რედაქტირება); ნაწილი 4 - სილოსები, რეზერვუარები და მილსადენები (რედაქტირება); ნაწილი 5 - საძირკვლები, დამჭერი კონსტრუქციები და გეოტექნიკური ასპექტები (რედაქტირება); ნაწილი 6 - კოშკები, ანძები და საკვამურები (რედაქტირება); სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება (საბოლოო რედაქტირება)); ევროკოდი 4 „ლითონისა და ბეტონის კომპოზიტური კონსტრუქციების დაპროექტება“ (ნაწილი 1-1: ზოგადი წესები და წესები შენობებისათვის (თარგმნა და რედაქტირება); ნაწილი 1-2: ზოგადი წესები - ცეცხლმედეგი კონსტრუქციების დაპროექტება (თარგმნა და რედაქტირება));
- ჩატარდა „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო"-ს 25 სხდომა და განხილულ იქნა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტები (გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) და პროექტები სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I დ ა II სტადიაზე (ჯამში 613 პროექტი);

- დასრულდა და საქართველო მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიისა და დიდი მიტარბის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია;
- დასრულდა მესამე ეტაპის სამუშაოები მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის თემის 11 სოფლის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციაზე და მიმდინარეობდა აღნიშნული დოკუმენტაციის დამტკიცების პროცედურები. გარდა ამისა, მიმდინარეობდა მუშაობა ონის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმაზე;
- მიმდინარეობდა მესამე ეტაპის სამუშაოები ახმეტის მუნიციპალიტეტისა და სოფლების (ომალო, დართლო, ფარსმა, გირევი, დოჭუ, ჯვარბოსელი, შენაქო, დიკლო, ინდურთა, ეთელთა, ზემო ალვანი, ქვემო ალვანი), ქალაქ თელავისა და თელავის ცენტრალური უბნისათვის, ფოთში-მალთაყვის უბნისა და უშგულის თემის 4 სოფლისათვის (ჟიბიანი, ჩვიბიანი, მურყმელი, ჩაჟაში);
- მიმდინარეობდა მეოთხე ეტაპის სამუშაოები განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავებაზე (უწერა, მრავალძალი, ნიკორწმინდა, ჭრებალო, წესი, კურორტ შოვისა და შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსი) და პირველი ეტაპის სამუშაოები კურორტ ლებარდეს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავებაზე;
- დაიწყო მუშაობა ევროკომისიასთან და მსოფლიო ბანკთან საქართველოს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის პროექტის შემუშავებაზე;
- გრძელდებოდა ელექტრონული კომუნიკაციების, ელექტრონული კომერციის და ფოსტის მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების სამუშაოები AA/DCFTA-ით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან;
- გრძელდებოდა მუშაობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის (HDM)“ პროექტის EU4Digital ქსელების სხვადასხვა აქტივობებზე;
- მომზადდა შენიშვნები და წინადადებები „2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამასთან“ დაკავშირებით და მსოფლიო ბანკის დოკუმენტის პროექტთან ,,Country Partnership Framework for the Period FY18-FY22" დაკავშირებით;
- მიმდინარეობდა მუშაობა შპს „კავკასუს ონლაინთან“ და საქართველოს ინტერნეტ საზოგადოებასთან (ISOC Georgia) „.GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრირების“ ახალ მოდელთან დაკავშირებით;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. ჟენევაში ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის სათაო ოფისში გამართულ სამუშაო შეხვედრაში „WORKSHOP ON THE FUTURE OF CABLE TV“, ქ. ლონდონში საერთაშორისო ორგანიზაციის ,,ინტერნეტ საზოგადოების (ISOC)'' მიერ ორგანიზებულ ინტერნეტ საინჟინრო სამუშაო ჯგუფების „Policymakers Programme“ მუშაობაში, ქ. კოპენჰაგენში „European Conference of Postal and Telecommunications Administration“-ის (CEPT) ფარგლებში გამართულ Com-ITU-ს ჯგუფების სამუშაო შეხვედრაში;
- მიმოქცევაში იქნა გაშვებული საქართველოს საფოსტო მარკები შემდეგ თემებზე: „საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წელი“, „ევროპა 2018 - საქართველოს ხიდები“, „საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25 წელი - 2017“, „საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი ცხოველები“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წელი“ და „საქართველოს ეროვნული გმირები“, „საქართველოს ღვაწლმოსილი პიროვნებები“, „ზამთრის XXIII ოლიმპიური თამაშები - პიონჩანგი 2018“, „III ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები - ბუენოს-აირესი 2018“, „43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა - ბათუმი 2018“ და „საქართველო - ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წელი“;
- 2018 წლის 1 ივნისიდან საქართველო ITU-ს დსთ-ს არეა ოფისიდან ევროპის რეგიონალურ ოფისში გადავიდა. აღნიშნული ცვლილება საქართველოს ტელეკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს აძლევს შემდგომი განვითარების მიმართულებების დასახვისა და კოორდინირებული ქმედებებით მათი იმპლემენტაციის, ევროპის ქვეყნებთან ერთად ევროპოს რეგიონული ინიციატივების კოორდინაციის პროცესში ჩართვის და ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების შესაძლებლობას;

- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. პრაღაში გამართულ ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) ევროპის რეგიონის მიერ ორგანიზებულ რეგიონალური განვითარების ფორუმში (RDF), სადაც განხილულ იქნა ITU-ს 2017 წელს გამართული მსოფლიო ტელეკომუნიკაციების განვითარების კონფერენციაზე (WTDC-17) დამტკიცებული ევროპის რეგიონის ინიციატივები და მათი გადაწყვეტის გზები;
- ICT სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა ICT კლასტერების შექმნის მხარდაჭერის პროექტზე;
- მიმდინარეობდა მუშაობა „რადიომოწყობილობების სამომხმარებლო ბაზარზე დაშვების, განთავსების, ექსპლუატაციაში გაშვებისა და შესაბამისობის შეფასების (სერტიფიცირების) ტექნიკური რეგლამენტის“ პროექტზე;
- ქ.თბილისში ჩატარდა მე-11 ევროპული დიალოგი ინტერნეტ მმართველობის საკითხებზე „EuroDIG 2018“, სადაც მონაწილეობა მიიღო ევროპის ქვეყნების სახელმწიფო ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის და საერთაშორისო ორგანიზაციების 600-მდე წარმომადგენელმა. ფორუმზე განიხილებოდა სატელეკომუნიკაციო სფეროში არსებული ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა ინტერნეტში, გამოხატვის თავისუფლება, საავტორო უფლებების დაცვა, მონაცემთა დაცვის შესახებ რეგულაციები (GDPR), კიბერუსაფრთხოება, ინტერნეტთან და კონტენტთან წვდომა, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, სათემო ინტერნეტიზაცია, დომენები, ინტერნეტში ბავშვების დაცვა, ციფრული ეკონომიკა, ელექტრონული კომერცია, ბლოკჩეინი, ციფრული წიგნიერება, ინოვაციები და ინტერნეტთან დაკავშირებული სხვა აქტუალური საკითხები.
- გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა ლუხუნი 2- ჰესზე და მარელისი-ჰესზე;
- შეფასებულ იქნა საქართველოს მთავრობასა და ინვესტორ კომპანიებს შორის, გაფორმებული მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებებით წარმოდგენილი საქართველოში განსახორციელებელი ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებები და დაიწერა შესაბამისი დასკვნები 24 პროექტზე;
- მიმდინარეობდა ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირების 2017 წლის გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მონიტორინგი. დასრულდა 42 დასახლებული პუნქტის გაზიფიცირების სამუშაოები და ჯამში 8 856 პოტენციურ აბონენტს მიეცა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის საშუალება;
- მიმდინარეობდა „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმის“ 2018-2028 გეგმის შესრულების მონიტორინგი;
- შემუშავდა სამინისტროს მართვას დაქვემდებარებული ენერგეტიკული კომპანიების საქმიანობის მონიტორინგის ერთიანი ფორმა;
- განხორციელდა ელექტროენერგიისა და გაზის ბალანსების ყოველთვიური ანალიზი;
- EBRD-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა ენერგოეფექტურობის პირველად კანონმდებლობაზე ევროკავშირის EU/2012/27/EU დირექტივის შესაბამისად;
- ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტის ღონისძიებებზე მიმდინარეობდა საკვანძო, ინსტიტუციონალური მოწყობის საკითხების განხილვა;
- ნორვეგიის მთავრობის, ნორვეგიის წყლის რესურსებისა და ენერგეტიკის დირექტორატის მხარდაჭერით დაიწყო „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების“ შესახებ კანონპროექტის მომზადება ევროკავშირის 2009/28/EC დირექტივის შესაბამისად;
- დანიის მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარეობდა „ენერგოეფექტურობისა და მდგრადი ენერგეტიკის ხელშეწყობის“ პროგრამის განხორციელება;
- გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ესპანური ნავთობისა და გაზის კომპანია „PERSOL“-თან არსებული გეოლოგიური მასალის ტექნიკურ დამუშავებაზე. მემორანდუმის საფუძველზე „PERSOL“

მოამზადებს ანგარიშს, სადაც მოცემული იქნება მტკვრის აუზის ნახშირწყალბადების პოტენციალის შეფასება და რეკომენდაციები მისი შემდგომი ათვისებისათვის;

- დაიწყო მოლაპარაკება „ExxonMobil International Limited"-ის შვილობილ კომპანია „Esso Exploration international Limited"-თან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, რომელიც ითვალისწინებს დასავლეთ საქართველოში მდებარე სალიცენზიო ბლოკების შესახებ სააგენტოში არსებული გეოლოგიური მასალების დამუშავების საფუძველზე ნახშირწყალბადების პოტენციალის შეფასებას;
- დაიწყო 2013 წლის 8 თებერვალს შპს „Elenito Georgia"-სთან XIH სალიცენზიო ბლოკზე გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურა;
- დამტკიცდა: შპს „Georgia Oil and Gas Limited"-ის განაცხადი მაგნიტოტელური სამუშაოების ჩასატარებლად XIM, XIN, XIG, VIII da XIC სალიცენზიო ბლოკებზე; შპს „Schlumberger Rustaveli Oil Company"-ის განაცხადი ჭაბურღილის XIB სალიცენზიო ბლოკზე; შპს „Frontera Eastern Georgia"-ს განაცხადი მეორე ლულის ბურღვაზე სალიცენზიო ბლოკზე; დამტკიცდა შპს „Kura Basin Operating Company"-ის განაცხადი მნიშვნელოვანი კაპიტალური რემონტის ჩატარებაზე XIE სალიცენზიო ბლოკსა და ნინოწმინდის ფართობზე;
- V სალიცენზიო ბლოკზე დაიწყო „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესებით" გათვალისწინებული სკოპინგის პროცედურა;
- ჩატარდა გასვლითი შემოწმება საქმიანობის ლიცენზიის მქონე შპს „ზდ ნავთობკომპანიის" მიერ მიღებული პროდუქტის (დიზელი) საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რის შედეგად კომპანია დაჯარიმდა მიღებული ნავთობპროდუქტების სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო;
- შპს „ენ ვი პი ჯორჯია" დაჯარიმდა „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესებით" დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, ხოლო შპს „მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეიშენალ ბი.ვი." დაჯარიმდა აღნიშნული წესებით გათვალისწინებული ანგარიშების წარმოუდგენლობის გამო. შპს „სტრეიტ ოილ ენდ გეზ ლიმიტედს" გაუუქმდა ლიცენზია VIA სალიცენზიო ბლოკზე, რაც გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.

5.4 სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

- შემუშავდა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019-2022 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომლებიც მოიცავს პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელ პროგრამებსა და ღონისძიებებს პროგრამული ბიუჯეტის მომზადების განახლებული მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად.
- საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2018-2021 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი;
- მომზადდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა დადგენილება „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ", რომლის მიხედვითაც ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით ეტაპობრივად წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.
- ჩატარდა ფინანსთა სამინისროს საბიუჯეტო დეპარტამენტისა და შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტის ერთობლივი შეხვედრა სამინისტროების წარმომადგენლებთან ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით, საბიუჯეტო პროცესის განმავლობაში მათ მიერ ეტაპობრივად მოსამზადებელი ინფორმაციის, მათ შორის დადგენილებით

განსაზღვრული სიახლეების განხილვის მიზნით.

- მომზადდა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს 2017 წლის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში.
- საქართველოს მთავრობას წარედგინა ინფორმაცია 2019-2022 წლების ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მხარჯავ დაწესებულებებს მიაწოდა ინფორმაცია 2019-2022 წლებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის პირველადი საორიენტაციო ზღვრული მოცულობების შესახებ.
- 2017 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განხორციელდა სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA - Public Expenditure and Financial Accountability) თვითშეფასება საჯარო ფინანსების მართვის სფეროში ჩართული უწყებების მონაწილეობით. ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა 2017 წლის PEFA-ს ვალიდაცია და მიმდინარე წლის ივნისში გამოიცა ბეჭდური სახით. შეფასების შედეგებით საქართველოს შეფასება უფრო მაღალია 24 ქვეყნის საშუალო შეფასებასთან შედარებით (რომლებიც 2016 წლის PEFA-ს მეთოდოლოგიით არის შეფასებული) 31 ინდიკატორიდან 29 ინდიკატორის შემთხვევაში. ამასთან, 2012 წლის შეფასებასთან შედარებით 28 ინდიკატორიდან 27 ინდიკატორის შეფასების შედეგი გაუმჯობესებულია, რაც ადასტურებს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის წარმატებით განხორციელებას საქართველოში.
- ჰოლანდიელი ექსპერტის ჩართულობით მომზადდა ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს პროექტის ინგლისური ვერსია, განახორციელდა სახელმძღვანელოს თარგმნა, ასევე, მისი ადაპტაციის მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრები სამინისტროებთან;
- USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“- ს მხარდაჭერით გაიმართა ტრენინგი საქართველოს საჯარო სექტორის შიდა აუდიტის მენეჯერებისათვის თემაზე: „თაღლითობის აღკვეთა“, „თაღლითობის ფაქტის გამოვლენა“, „ეფექტური ანგარიშის წერა.“ ღონისძიებას ესწრებოდნენ საჯარო სექტორის შიდა აუდიტორები.
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის „საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა რეგიონალური სემინარი საქართველოსა და სომხეთის საჯარო სექტორის შიდა აუდიტის მენეჯერებისათვის „მაღალი ხარისხის აუდიტორული საქმიანობის განხორციელების არსებული საკითხები და მოთხოვნები“, რომლის ფარგლებშიც საფუძველი ჩაეყარა ქვეყნებს შორის გრძელვადიანი უწყებათაშორისი ინსტიტუციური დამეგობრების ფორმატს.
- შემუშავდა და USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ მხარდაჭერით დაიბეჭდა „საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებისათვის ტერმინთა განმარტების“ სახელმძღვანელო. რომელიც გადაეცა საქართველოს საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებს, შიდა აუდიტის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე.
- პროექტის „გამართული შიდა კონტროლის სისტემა ეფექტური თვითმმართველობისათვის“ ფარგლებში, ჰარმონიზაციის ცენტრმა, USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) მხარდაჭერით, განახორციელა სამუშაო შეხვედრა ზუგდიდის, ბათუმისა და თელავის მუნიციპალიტეტების მერებთან, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან და რეგიონების სხვა მუნიციპალური ერთეულების შიდა აუდიტის სუბიექტების წარმომადგენლებთან, შიდა აუდიტის სუბიექტების ინსტიტუციურად გაძლიერებისა და მათი საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით.
- დაიწყო ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) პილოტური აუდიტორული შემოწმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით. პილოტურ პროექტს წინ

უძღოდა ჰარმონიზაციის ცენტრის ორგანიზებით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ისა და პროექტის ,,საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში“ მხარდაჭერით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის ტრენინგი.

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ -ისა და პროექტის ,,საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში“ მხარდაჭერით დაიწყო 2 პილოტური აუდიტორული შემოწმება საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით საქართველოს შინაგან საქმეთა და კულტურისა და სპორტის სამინისტროში.
- „გამართული შიდა კონტროლის სისტემა ეფექტური თვითმმართველობისათვის“ ფარგლებში, ჰარმონიზაციის ცენტრის, USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) მხარდაჭერით დაწყებულია 3 სისტემური აუდიტის პილოტური პროექტი ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ზუგდიდის, ქობულეთისა და თელავის მუნიციპალიტეტებში.
- სახელწიფო ვალი აკმაყოფილებს ვალის მდგრადობის ძირითად ინდიკატორებს. სამინისტროს ვებგვერდზე შეთანხმებული პერიოდულობით ხდებოდა ინფორმაციის განთავსება სახელმწიფო ვალის, მიზნობრივი გრანტების, საგარეო საკრედიტო რესურსიდან გაცემული სესხებისა და დონორების მხარდაჭერით მიმდინარე ინვესტიციური პროექტების შესახებ.
- გრძელდებოდა მოლაპარაკებები დონორებთან/განვითარების პარტნიორებთან განსაზღვრული პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტებისა და პროგრამების დაფინანსების მიზნით შეღავათიანი ფინანსური რესურსის მისაღებად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის ხელსაყრელი მაჩვენებლების მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით, ხორციელდებოდა თითოეული სესხის ფინანსური პარამეტრების შერჩევა. 2018 წლის 6 თვის განმავლობაში გაფორმდა 20 ხელშეკრულება, მათ შორის: 2 სასესხო. 2 საგრანტო, 2 ქვესასესხო, 4 სხვა სახის (ფინანსური თანამშრომლობის, წარმომადგენლობის, ჩარჩო შეთანხმებები) და 10 არსებულ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის ხელშეკრულება;
- ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების 26 აუქციონი, გამოშვებული იყო 830.0 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები.
- 2018 წლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე ე. წ. ბენჩმარკ ბონდების რეგულარული ემისია დაიწყო. ორი კვარტლის განმავლობაში განხორციელდა 470.0 მლნ ლარის სახაზინო ობლიგაციების (2, 5 და 10 წლის ვადის მქონე) ემისია, რაც სრულად ბენჩმარკ ბონდებს წარმოადგენს. აღნიშნული ინსტრუმენტი წარმოადგენს გამსხვილებულ ემისიებს წინასწარ ცნობილი პერიოდულობით და თანაბარი მოცულობებით (ერთიანი დაფარვით). საქართველოს ბაზრის სიდიდის გათვალისწინებით თითოეული ვადიანობისთვის ბენჩმარკ ბონდის მოცულობა განისაზღვრა დაახლოებით 240.0 მლნ ლარით. ბენჩმარკ ბონდები ზრდის ინვესტორების დაინტერესებას საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდების მიმართ და ხელს უწყობს ბაზრის განვითარებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობის ზრდას;
- დარგობრივ ჭრილში ეკონომიკური აქტივობის შეფასების მიზნით მიმდინარეობდა საწარმოთა დეკლარირებული ბრუნვების ყოველთვიური კალენდარული კორექტირებული მონაცემების ანალიზი, დღგ-ს მონაცემთა ბაზის მიხედვით.
- ყოველთვიურად მზადდება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე თავსდება ანალიტიკური და ინფორმაციული მასალა - „საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა“ და „მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები“;
- მიმდინარეობდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი რიგი საწარმოების წმინდა მოგების განაწილების შესახებ სხვადასხვა უწყებებიდან შემოსული წინადადებებისა და მასალების მომზადება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ

წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომაზე განსახილველად.

- საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ მირებულ იქნა საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვით:
  - ✓ შეიცვალა მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეგულაციები, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეებისთვის 100 000 ზღვარი გაიზარდა 500 000 ლარამდე, ხოლო დაბეგვრის წნეხი - 5 პროცენტიდან შემცირდება 1 პროცენტამდე, რითაც მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვნად გაიზარდება საშუალო და მცირე ბიზნესის წილი;
  - ✓ ორგანიზაციების დაბეგვრა 2019 წლიდან განხორციელდება მოგების გადასახადის ახალი რეჟიმის პრინციპებით;
  - ✓ სრულად გათავისუფლდება აქციზისაგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირადი გამოყენებისათვის იმპორტირებული სატრანსპორტო საშუალებები;
  - ✓ საქართველოდან სატრანსპორტო საშუალებების 90 დღის განმავლობაში ექსპორტისას იმპორტიორს მიეცა უფლება ეძლევა დაიბრუნოს მსუბუქ ავტომობილსა და მოტოციკლზე გადახდილი აქციზის 100 პროცენტის ოდენობა;
  - ✓ მეწარმეებს 5 სხვადასხვა საგადასახადო დოკუმენტის ნაცვლად შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ ერთიანი საგადასახადო დოკუმენტი;
- საერთაშორისო დაბეგვრის კუთხით:
  - ✓ ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება მოლდოვას რესპუბლიკასთან და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება საუდის არაბეთის სამეფოსთან.
  - ✓ BEPS-ის მე-6 ღონისძიების (საგადასახადო შეთანხმებების ბოროტად გამოყენებისა აღკვეთა) შეფასების ფარგლებში ჩაუტარდა ანალიზი საქართველოს მიერ გაფორმებულ და ძალაში შესულ „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებიდან გამომდინარე მომზადდა საბაჟო კოდექსის პროექტი, რომლის მიღებით საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა დაუახლოვდება ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებს, რაც გაამარტივებს საქართველო-ევროკავშირს შორის საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურებს.
- OECD-ის გლობალ ფორუმის სამდივნოსგან მიღებული კითხვარი გლობალური ფორუმის ახალი (2016) წლის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული შეფასებების მე-2 რაუნდის ფარგლებში, საქართველოს შეფასებისთვის მოსამზადებლად გაიგზავნა უწყებებში შესავსებად. მიმდინარეობდა უწყებების მიერ კომპეტენციის ფარგლებში შევსებული კითხვარის ანალიზი.
- დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და მრავალმხრივი საგადასახადო ინსტრუმენტი (MLI) გაეგზავნა საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისთვის.
- სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) ამოქმედდა გადასახდელების აღრიცხვისათვის პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების (ინვოისების) მოდული, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის ხარჯების დარიცხვის და საკასო ოპერაციების ბუღალტრული გატარებების ავტომატიზაციას და ასახვას ხაზინის მთავარ წიგნში. აღნიშნული მოდულის გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით გადამზადდა ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლები.
- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2018 წელს დასანერგი სტანდარტების (IPSAS 25, IPSAS 28, IPSAS 29, IPSAS 30 და IPSAS 32) ანალიზის საფუძველზე დამტკიცდა აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიაში

შესაბამისი ცვლილებები. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ 2017 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდება აღნიშნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სახაზინო სამსახურსა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის და აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, GIZ-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტმა შეისწავლა აღრიცხვის და ანგარიშგების კუთხით ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში არსებული სიტუაცია და მოამზადა IPSAS სტანდარტების დანერგვისათვის დეტალური გზამკვლევი.

- ფულადი სახსრების მართვის ეფექტიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხაზინამ წარმატებით განახორციელა სადეპოზიტო აუქციონები ბლუმბერგის სისტემის გამოყენებით. აღნიშნული აუქციონების ჩატარება ხდება „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის“ შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ხაზინამ ბლუმბერგის სისტემაში გამართა სულ 33 აუქციონი.

5.5 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

- eBudget ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა - განახლდა ანგარიშგებების ნაწილი (გენერირების შესაძლებლობა სისტემის სხვა მოდულში. პარალელურად, ისტორიული ანგარიშების ჩამოტვირთვა, გენერირებული რეპორტის ამოცნობისა და ხელახალი გენერირების საჭიროების მოხსნის ფუნქციონალი). დასრულდა კონსოლიდაციის მოდულის გადაწერა ახალ ტექნოლოგიაზე. იურიდიული პირების ანგარიშგების სისტემაში (eGLE) დასრულდა 2018 წლის სამუშაო პერიოდის გახსნასთან დაკავშირებული სამიგრაციო სამუშაოები. დასრულდა კონფიგურაციის მოდულის ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერის 60 საკითხი. დასრულდა სახელმწიფო ვალის მართვის სისტემის (eDMS) ინტეგრაციასთან დაკავშირებული ამოცანის დეველოპმენტის ფაზა, მიმდინარეობდა ტესტირება. TFS პორტალზე განთავსდა და დასრულდა 48 ჰოტფიქსი და 16 ხარვეზი.
- eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა - შეიცვალა მენიუს პუნქტების მართვა, კონვერტაციის ტიპის საგადახდო მოთხოვნის და მობრუნებების დამუშავების პროცესი, მწვანე დერეფნის ფუნქციონალი. სისტემას დაემატა ახალი მოდულები (არასახელფასო დაკავებები, რაიონის კოდებზე გაწერილი სახაზინო კოდები, შეტყობინების გაგზავნის ფუნქციონალი და სხვ.). მხარჯავების პორტალს დაემატა პირდაპირი ჩარიცხვების ჩანართი. სისტემას დაემატა საბილინგო გადარიცხვების მოდული, რომელშიც ჩაერთო სსიპ - სერვისების განვითარების სააგენტო. დასრულდა სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროდან შეტყობინებების, სააღსრულებლო ფურცლებლის და ინკასოს ელექტრონულად მიღების სერვისის ტესტირება. მიმდინარეობდა მუშაობა ეროვნული ბანკიდან საინკასო გატარებების მიღების და სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროდან მიღებული საინკასო დავალებებთან დაკავშირების ფუნქციონალის და ინკასოს დამუშავების პროცესის ავტომატიზაციის დანერგვაზე. პორტალს go.mof.ge დაემატა SMS ავტორიზაციის საშუალება. დასრულდა ხელშეკრულების და ვალდებულების გაერთიანების რეფორმის ანალიტიკა.
- eDMS სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა - განხორციელდა DMNAT-ის მონაცემთა ბაზის სრული მიგრაცია. შემუშავდა ახალი სერვისები (პირველადი დოკუმენტების გენერირება, ინვოისების ავტომატური შექმნა, გაგზავნა და სხვა) eTreasury სისტემასთან. ჩატარდა

პროექტების სტრუქტურის რეფაქტორინგი. შემუშავდა და სტაბილიზაციის ფაზაშია ინფორმაციის ავტომატური მიმოცვლის სერვისები eBudget სისტემასთან.

- eHRMS ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა - დაემატა პროფესიული საჯარო მოხელეების რეზერვების მართვის, თანამდებობრივი სარგოს ცვლილებისა და პროფესიული საჯარო მოხელის კლასების ასახვის ფუნქციონალები. დაინერგა SMS ავტორიზაციის მეთოდი. განახლდა სამუშაო აღწერილობის, შვებულებების, სიახლეების მართვის, დანიშვნების და ანგარიშგებების ფუნქციონალები. ანგარიშგებების მოდულს დაემატა სტრუქტურის ძებნის შესაძლებლობა. ასევე, შესაძლებელი გახდა პირადი ბარათის ანგარიშგების დინამიურად აწყობა.
- eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა - ჩატარდა სისტემის ვერსიის 3 განახლება (კომუნიკატორის მოდული, კვალიფიციური ელექტრონული შტამპისა და სამახსოვრო ბარათის ფუნქციონალები და სხვა). განახლდა ორი საინტეგრაციო სერვისი.
- eAuction ელექტრონული აუქციონი - სისტემას დაემატა 24 ახალი ფუნქცია და ანგარიშგების სხვადასხვა ფორმა. სისტემის მობილურ აპლიკაციას დაემატა სამი ახალი ფუნქცია (ლოტების სია, პროფილის დათვალიერება, რედაქტირება). რეალურ და/ან სატესტო გარემოში განთავსდა სისტემის 10-მდე კომპონენტი და განხორციელდა ინტეგრაციები სხვადასხვა სისტემასთან.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, ხორციელდება გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (IMS) ხუთი პროექტი. ასევე, შემუშავებული, განთავსებული და მხარდაჭერილია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების 10-მდე მეტი ვებგვერდი, პორტალი და/ან ონლაინ-პლატფორმა.
- ჩატარდა ტრენინგების, სემინარების და კონსულტაციების ციკლი, კერძოდ: საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument) - 29 ორგანიზაცია, 750 მომხმარებელი; ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა (eHRMS) – 17 ორგანიზაცია, 54 მომხმარებელი; სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა (eTreasury) - 393 მომხმარებელი; სულ - 1197 მომხმარებელი.
- ცხელი ხაზი 1551-ით გაწეულ იქნა 41 180 სატელეფონო მომსახურება. გაწეულ იქნა 39 427 სატელეფონო ან online კონსულტაცია, მ.შ.: eDocument – 15 803, eTreasury – 22 770, eHRMS - 459, სხვა სისტემები - 395. სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი მოემსახურა 1 753 ტექნიკურ გამოძახებას და გაწია შესაბამისი მომსახურება.
- განხორციელდა eDocument სისტემის ძირეული განახლება 232 ორგანიზაციაში 21 050 მომხმარებლისთვის.
- ფინანსთა სამინისტროს ICT ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა - ჩატარდა ქსელური ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაცია, ქსელური ნაკადების დაყოფა და ფილტრაცია, აუტენთიფიცირების სისტემის (ePassport) მონაცემთა ბაზის განახლება SQL 2012 ვერსიამდე, ინტერნეტ პროქსი სერვერების მაღალმდგრად რეჟიმში გადაყვანა, ორფაქტორიანი აუტენთიფიკაციის სისტემის მომზადება, მიგრაციის დაგეგმვა, მონაცემთა სარეზერვო კოპირების სისტემის ოპტიმიზაცია, გრაფიკული ფაილების ბაზიდან გატანის მექანიზმების ტესტირება და მონაცემთა შენახვის სისტემების ოპტიმიზაცია.

5.6 სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

- სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში აღმოჩენილი ქონებიდან სახელმწიფო ქონებად დარეგისტრირდა 1 493 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი;

- თბილისში სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა 474 ობიექტი, ხოლო რეგიონულ მომსახურების ცენტრებში 1 995 ობიექტი (საერთო ფართობი შეადგენს 97 565 ჰა-ს);
- 711 გამოცხადებული აუქციონიდან შედგა 460 აუქციონი, ჩაიშალა 195 აუქციონი და შეწყდა 4 აუქციონი;
- მიმდინარეობდა სამუშაოები სახელმწიფო ქონების მართვის სისტემის ერთიანი ელექტრონული პორტალის შექმნა/დანერგვაზე და აგრეთვე, სახელმწიფო ქონების მართვის სისტემის სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის მოდულის ხარვეზების აღმოფხვრაზე;
- მიმდინარეობდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის პროცესი. საწარმოების მინიმიზაციის მიმართულებით დასრულდა 7 გაკოტრების საქმისწარმოება, განხორციელდა 9 საწარმოს შერწყმა, მართვის უფლებით გადაცემულია 1 საწარმო. დასრულდა 2 საწარმოს პრივატიზების პროცესი;
- განხორციელდა 8 კონტრაჰენტის გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოსგან;
- მიწის მიკუთვნებისა და საკუთრების ზედდების თაობაზე გადაწყვეტილება იქნა მიღებული 415 საკითხზე;
- 38 უძრავი ქონება გადაეცა სახელმწიფო უწყებებზე/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ხოლო 548 ობიექტი - თვითმმართველ ერთეულებს. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიეცა თანხმობა 144 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციაზე;
- სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 1 017 უძრავი ქონება გადასცა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს;
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 103 ბენეფიციარისათვის 34 მლნ ლარის ჯამური ღირებულების უძრავი ქონების გადაცემა;
- განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, „სოფლიდან გაუსვლელად“ პროგრამის ფარგლებში სოფლებსა და გამგეობებში, სააგენტოს რეგიონულ მომსახურების ცენტრებში და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 54 რეგიონულ ცენტრში გავრცელდა 44 300 ბუკლეტი 211 გამოცხადებული აუქციონის შესახებ;
- უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობის/დაცვის ღონისძიებები;
- განხორციელდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აზომვითი სამუშაოების დაფინანსება. ანაზღაურდა 460 ამზომველის მიერ შესრულებული 270 415 აზომვითი ნახაზის მომზადების საფასური.

5.7 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- მიმდინარეობდა სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისი სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა, მართვა, წარმოება, გავრცელება და ანგარიშგება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

5.8 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- ეროვნული ანგარიშების სისტემის წარმოებისათვის საჭირო ფორმატით დამუშავდა ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებიდან მოზიდული მონაცემები და მონაცემთა ბაზები, ფორმირებული და გავრცელებული იქნა საბოლოო გამომავალი ცხრილები;
- განისაზღვრა 2017 წლის IV კვარტალის, 2018 წლის I კვარტალის და 2017 წლის წლიური (წინასწარი) ეკონომიკის მთლიანი გამოშვება, შუალედური მოხმარება და მთლიანი შიდა პროდუქტი, წარმოების მეთოდით მიმდინარე ფასებში ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (NACE) სექციების მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ ფასებში, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ინდექსები;
- გაანგარიშდა 2017 წლის IV კვარტალის, 2018 წლის I კვარტალის და 2017 წლის წლიური (წინასწარი) ეროვნული შემოსავალი და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატული მაჩვენებლები მიმდინარე ფასებში, მთლიანი შიდა პროდუქტი დანახარჯებისა და შემოსავლების მეთოდით მიმდინარე ფასებში, სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა, მონეტარული სისტემის, ფინანსური ბაზრის და ფისკალური სტატისტიკის მონაცემები;
- გამოქვეყნდა 2016 წლის კაპიტალის ოპერაციების ანგარიში მიმდინარე ფასებში;
- გაანგარიშდა 2017 წლის დეკემბრის და 2018 წლის იანვარ-მაისის ეკონომიკური ზრდის ტენდენციების წინასწარი შეფასებები და გამოქვეყნდა ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებლები;
- გამოქვეყნდა ელექტრონული ვერსია სტატისტიკური პუბლიკაციის - „საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2016“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- განხორციელდა სამომხმარებლო, მწარმოებელთა (ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი, ექსპორტის ფასების ინდექსი, მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსი და მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატვირთო გადაზიდვებზე) და იმპორტის ფასების ინდექსების ყოველთვიური გაანგარიშება;
- განხორციელდა 2017 წლის საერთაშორისო შედარებების პროგრამისთვის საინფორმაციო ბაზის მომზადების სამუშაოები;
- განხორციელდა მშენებლობის ღირებულების ინდექსის 2018 წლის პირველი კვარტალის მონაცემების გაანგარიშება;
- გაანგარიშდა 2017 წლის IV კვარტლის, 2017 წლის წლიური (წინასწარი) და 2018 წლის I კვარტლის წინასწარი მონაცემები საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ;
- დამუშავდა და გავრცელდა 2016-2017 წლების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის ამსახველი მონაცემები ინტეგრირებულ ფორმატში (ახალი პროდუქტი);
- დამუშავდა 2017 წლის დეკემბრისა და 2018 წლის იანვარ-მაისის მონაცემები საგარეო ვაჭრობის შესახებ;
- განხორციელდა საწარმოთა 2017 წლის IV და 2018 წლის I კვარტლის გამოკვლევის საველე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება, შეწონვა და ანალიზი. აგრეთვე საწარმოთა 2017 წლის წლიური გამოკვლევის, სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების გამოკვლევის, ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების გამოკვლევის, საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამიკვლევის, საფოსტო-საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის საველე სამუშაოები და მონაცემთა დამუშავება; არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევის საველე სამუშაოები; 2018 წლის II კვარტლის საწარმოთა გამოკვლევის შერჩევის სამუშაოები;
- ჩატარდა სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის 2017 წლის IV, 2018 წლის I კვარტლის და 2017 წლის წლიური გამოკვლევის საველე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი; 2018 წლის II კვარტლის გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები (გამოსაკვლევ საწარმოთა სიის დაზუსტება);
- განხორციელდა ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზების ყოველთვიური გამოკვლევის საველე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება და მის საფუძველზე ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაცია;

- განხორციელდა ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე;
- ჩატარდა ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის და არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების საველე სამუშაოები;
- განხორციელდა საწარმოებში ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის საველე სამუშაოები;
- ჩატარდა საწარმოთა ინოვაციური აქტივობის და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები (მეთოდოლოგიური და შერჩევის სამუშაოები). დაიწყო კვლევის საველე სამუშაოები;
- განხორციელდა 2017 წლის IV და 2018 წლის I კვარტლის მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და დამთავრებული მშენებლობის შესახებ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი;
- განხორციელდა საწარმოთა წლიური გამოკვლევის მოდულების „სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურა, 2017 წელს“ და „დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით, 2017 წელს“ საველე სამუშაოები და მონაცემთა დამუშავება;
- დასრულდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული გარე მიგრაციის მონაცემების დამუშავება, გამოქვეყნდა 2017 წლის ემიგრანტების და იმიგრანტების რიცხოვნობის განაწილება სხვადასხვა ჭრილში;
- 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაანგარიშდა მოსახლეობის რიცხოვნობა და გამოქვეყნდა მოსახლეობის რიცხოვნობა (2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და 2017 წლის საშუალო წლიური რიცხოვნობა) სხვადასხვა ჭრილში;
- დასრულდა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მიღებული 2017 წლის გარდაცვალების მიზეზების შესახებ ინდივიდუალური მონაცემთა ბაზების კოდირება და დამუშავება-ანალიზი, გამოქვეყნდა 2017 წელს გარდაცვლილთა რიცხოვნობის განაწილება გარდაცვალების ძირითადი მიზეზების მიხედვით;
- დასრულდა შრომის სტატისტიკური გამოკვლევის 2017 წლის IV კვარტლის და წლიური, 2018 წლის I კვარტალის, 2017 წლის დეკემბრის, 2018 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით ყოველთვიური გამოკვლევის მონაცემების მოპოვება, პირველადი მასალების ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლი, მოზიდული მასალის კომპიუტერში ჩაწერა, მონაცემთა ბაზის კორექტირება, 2017 წლის IV და 2018 წლის I კვარტლების არასამეწარმეო და სამეწარმეო სფეროს მონაცემთა ბაზების გაერთიანება და ფორმირება, 2018 წლის II კვარტლისა და 2018 წლის ყოველთვიური გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები. 2017 წლის IV და 2018 წლის I კვარტლების მონაცემების გავრცელება;
- განხორციელდა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევის 2018 წლის I და II კვარტლის საველე სამუშაოები. 2017 წლის დეკემბრის თვის და 2018 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით პირველადი მასალის კომპიუტერში ჩაწერა, ლოგიკური კონტროლი და კოდირება. 2017 წლის IV და 2018 წლის I კვარტლების მონაცემთა ბაზის კორექტირება. 2017 წლის IV და 2018 წლის I კვარტლის მონაცემების გავრცელება;
- დასრულდა სამუშაო ძალის გამოკვლევის 2018 წლის I და II კვარტალების საველე სამუშაოები. 2018 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით პირველადი მასალის კომპიუტერში ჩაწერა, ლოგიკური კონტროლი და კოდირება. 2017 წლის წლიური და 2018 წლის I კვარტლის მონაცემების გავრცელება;
- დასრულდა უცხოელ ვიზიტორთა კვლევის 2018 წლის I და II კვარტლების და ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევის 2017 წლის დეკემბრის და 2018 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით საველე სამუშაოები. უცხოელ ვიზიტორთა კვლევის 2017 წლის დეკემბრის და 2018 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით თვეების და ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევის 2017 წლის ნოემბრის და დეკემბრის და 2018 წლის იანვრიდან აპრილის ჩათლით პირველადი მასალების კომპიუტერში ჩაწერა და ლოგიკური კონტროლი. ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის

კვლევის 2017 წლის IV და 2018 წლის I კვარტლების მონაცემთა ბაზის კორექტირება. ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის და უცხოელ ვიზიტორთა კვლევების 2017 წლის IV კვარტლის, 2017 წლის წლიური და მონაცემების გავრცელება;

- ჩატარდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის 2017 წლის დასკვნითი და 2018 წლის საწყისი და პირველი კვარტალის გამოკითხვების საველე სამუშაოები, მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერა და ლოგიკური კონტროლი, ასევე 2017 წლის აკვაკულტურის მეურნეობების საპილოტე გამოკვლევის საველე სამუშაოები. ჩატარდა 2017 წლის წყალმომმარაგებელი საწარმოების გამოკვლევის საველე სამუშაოები და დამუშავდა მონაცემები. სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის 2018 წლის საწყისი და I კვარტალის გამოკითხვები და 2017 წლის აკვაკულტურის მეურნეობების საპილოტე გამოკვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა მონაცემთა შეგროვების ახალი მეთოდით - მონაცემთა შეგროვება ანდროიდ ტაბლეტების გამოყენებით (CAPI). ჩატარდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის 2017 წლის რაუნდის, ასევე 2018 წლის საწყისი და პირველი კვარტალის გამოკითხვების მონაცემთა ბაზის გაწმენდისა და ჰარმონიზაციის სამუშაოები და დამუშავდა მონაცემები;
- მომზადდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკის 2017 წლის წლიური და კვარტალური საბოლოო მონაცემები, ასევე 2017 წლის IV კვარტლის და 2018 წლის I კვარტლის მონაცემები სასურსათო უსაფრთხოების შესახებ.

5.9 სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (პროგრამული კოდი 38 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

- კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, სამსახურში შესული ინფორმაციის ანალიზის და მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, სამსახურის მიერ გამოვლინდა და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სავარაუდო შემთხვევებზე 59 საქმე გადაეცა შესაბამის სამართალდამცავ უწყებებს;
- ევროკავშირის შესაბამის დირექტივასთან (Directive (EU) 2015/849 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing) საქართველოს კანონმდებლობის აპროქსიმაციის მიზნით სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი კანონის პროექტი, რომელიც ევროპის საბჭოს ხელშეწყობით შეთანხმდა ევროკავშირის ექსპერტებთან და მათი მონაწილეობით შედგა შესაბამისი სემინარი დაინტერესებული უწყებებისა და კერძო სექტორისათვის;
- საერთაშორისო მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ევროპის საბჭოს ექსპერტების მონაწილეობით, მიმდინარეობდა მუშაობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ერთიანი დოკუმენტის მოსამზადებლად;
- სამსახურის წარმომადგენელი მონაწილეობდა ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის ჩეხეთის რესპუბლიკის მეხუთე რაუნდის შეფასებაში.

5.10 სსიპ - კონკურენციის სააგენტო (პროგრამული კოდი 43 00)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - კონკურენციის სააგენტო

- სააგენტოში მიმდინარეობდა 5 სასაქონლო ბაზრის მოკვლევა (საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი) ბაზარზე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე;
- მიმდინარეობდა საქონლის/მომსახურების 6 ბაზრის (სასტუმროების ონლაინ დაჯავშნის, ჩვილბავშვთა კვების, ავტო დაზღვევის (CASCO), ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების, ბენზინის, დიზელის, საავტომობილო გაზის და თხილის) მონიტორინგი;
- მონაწილეობა იქნა მიღებული 8 სასამართლო დავაში სააგენტოს მიერ მიღებულ 7 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. დავები ეხებოდა როგორც სახელმწიფო უწყებების სარჩელებს, ასევე ეკონომიკური აგენტების სარჩელებს;
- კონკურენციის სამართლის შესახებ საჯარო და კერძო სექტორის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, გაიმართა 6 სემინარი/კონფერენცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების და ბიზნეს-სუბიექტების წარმომადგენლების მონაწილეობით. სემინარების სამიზნე აუდიტორიას ასევე წარმოადგენდნენ საქართველოს ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წარმომადგენლები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები და სხვა. სემინარების/ტრენინგების უმეტესობა ჩატარდა ევროკავშირის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ პროექტის ფარგლებში;
- სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, ჩატარდა 4 ტრენინგი, რომელსაც დაესწრო სააგენტოს 25-მდე თანამშრომელი. ტრენინგები ევროკავშირის პროექტის ფარგლებში იქნა ორგანიზებული, კონკურენციის სამართლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა კონცენტრაციები, სახელმწიფო დახმარება, ჯარიმების დაკისრებისა და დაანგარიშების წესი, ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული და დისკრიმინაციული ბარიერები. ღონისძიებებს უძღვებოდნენ ევროპის მოწინავე ქვეყნებიდან მოწვეული ექსპერტები.

5.11 ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 23 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

- მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესის გამარტივების მიზნით, სამსახურმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა „მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო“.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა 3 ღონისძიება, რომელსაც საზოგადოებრივი დაინტერესების პირების, I და II კატეგორიის საწარმოებისა და მათი მომსახურე აუდიტორული ფირმების 600-მდე წარმომადგენელი დაესწრო.
- მსს ფასს სტანდარტის (IFRS for SMEs) შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით გაიმართა 5 ღონისძიება. ღონისძიებებს 220-მდე დაინტერესებული პირი დაესწრო.
- დამტკიცდა „მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი“, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი“ და „ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების ნიმუშები“. დაიწყო მუშაობა თვითსწავლების სახელმძღვანელოს შემუშავებაზე, რაც ემსახურება სტანდარტის დანერგვის პროცესის მაქსიმალურ გამარტივებას.
- შემუშავდა ანგარიშგების წარდგენის ჩანართის ადმინისტრირების ტექნიკური დავალება და ანგარიშგებების პორტალის ოპტიმიზაციის ტექნიკური დავალება.
- ითარგმნა დარედაქტირდა და სამოქმედოდ იქნა შემოღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტების) 2018 წლის გამოცემა. ასევე წინასწარ ითარგმნა და დარედაქტირდა ახალი სტანდარტი - ფასს 16- რომელიც 2019 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში.
- სუბიექტების მიერ ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის სამსახურისთვის წარდგენის წესში

არსებული ნორმები კიდევ უფრო დაიხვეწა და შესწორდა ანგარიშგებების წარდგენის პროცესში გამოვლენილი ტექნიკური ხასიათის ხარვეზები.

- სამსახურის ორგანიზებითა და მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის (CFRR) მხარდაჭერით ფასს სტანდარტებისა (IFRS) და მსს ფასს სტანდარტის (IFRS for SMEs) შესახებ ჩატარდა სემინარი. ღონისძიებას ფასს სტანდარტებით მომუშავე 200-ზე მეტი სპეციალისტი, ტრენერი და აუდიტორი დაესწრო.
- ანგარიშგების წარდგენისა და გასაჯაროების პროცესის შესახებ სამსახურმა პრეზენტაციები გამართა, რომლებზეც განხილულ იქნა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი მოთხოვნები ანგარიშგებასთან დაკავშირებით და რეალურ რეჟიმში განხორციელდა ანგარიშგებების წარდგენის ტექნიკური პროცესის დემონსტრაცია. პრეზენტაციებს დაესწრო საწარმოთა 500-მდე წარმომადგენელი.
- გამოქვეყნდა სამსახურის 2017 წლის წლიური ანგარიში.
- საანგარიშო პერიოდისთვის აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ერთიან სახელმწიფო რეესტრში სრულად რეგისტრირებულია 436 აუდიტორი და 239 აუდიტორული ფირმა.
- მიმდინარეობდა 6 აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.
- სამსახურის ინიციატივით და მსოფილო ბანკის ორგანიზებით გაიმართა 2 შეხვედრა პროფესიული ორგანიზაციების და აუდიტორული ფირმების წარმომადგენლებთან განგრძობითი განათლების სწავლების სრულყოფისა და გაუმჯობესებისთვის.
- დაიწყო განახლებული პროფესიონალი ეთიკის კოდექსის (IESBA code) ქართულ ენაზე თარგმნა.
- სამსახურის ინიციატივით და მსოფილო ბანკის ორგანიზებით გაიმართა 2 შეხვედრა პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტების შესაბამისი სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარების შესახებ.

5.13 სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

- დაიწყო ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტის (CIB) მესამე ეტაპის განხორციელება. ე.წ. „Framework Contract“ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) მხარდაჭერა საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემებში“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემების ძირითადი პროცესების იდენტიფიცირება. მიმდინარეობდა პროცესების დეტალური სქემების შემუშავება/შეთანხმება;
- მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO/IEC 17025 მოთხოვნების შესაბამისად, განხორციელდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფუნციონირებისა და ეფექტურობის ყოველწლიური ანალიზი/მიმოხილვა;
- მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ განყოფილებებში მიმდნარეობდა ეტალონების მზადყოფნა/შენახვასთან დაკავშირებული მუდმივი მეტროლოგიური სამუშაოები, მათ შორის გაზომვის საშუალებების დაკალიბრება, საერთაშორისო და ორმხრივ შედარებებში მონაწილეობა;
- მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ უკვე აღიარებულ სფეროებში (ელექტრობა, მასა, ტემპერატურა) საერთაშორისო აღიარების შენარჩუნებისა და დიაპაზონის გაზრდის მიზნით და აგრეთვე, ახალ სფეროებში (ტენიანობა, მცირე მოცულობა, სიგრძე, რადიაციული გაზომვები, წნევა) აღიარების მოპოვებისათვის მიმდინარეობდა შემდეგი სამუშაოები:
  - ✓ მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ხარისხის ფორუმზე მოეწყო სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პრეზენტაცია, მომზადდა და COOMET-ის ხარისხის კომიტეტს წარედგინა წერილობითი პრეზენტაცია. COOMET-ის ხარისხის

ფორუმის ფარგლებში, გერმანიის მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტში PTB ჩატარდა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ზეპირი პრეზენტაცია;

- ✓ მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები ეტალონებისა და სხვა გაზომვის საშუალებების მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული მოწყობილობები გაიგზავნა დასაკალიბრებლად სხვადასხა ქვეყნების მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტებში (ჩეხეთი, გერმანია, ბელორუსი და უკრაინა);
- ✓ სააგენტოს ეტალონური განყოფილებები მონაწილეობდნენ საერთაშრისო შედარებებში შემდეგი მიმართულებებით: ტემპერატურა, ტენიანობა, მცირე მოცულობა;
- ✓ მიმდინარეობდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაციის აკტუალიზაცია როგორც მენეჯმენტის ნაწილში, ასევე ლაბორატორიულიპროცედურებში;

- მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო აღიარების მიღწევის მიზნით შეძენილ იქნა აღჭურვილობა ელექტროტექნიკური ეტალონური ლაბორატორიისათვის. ტვინინგ პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა ეტალონური თერმოჰიგრომეტრი და დაკალიბრდა დიდი ბრიტანეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში. დაგეგმილია აღნიშნული ეტალონური აპარატურით საერთაშორისო შედარებებში მონაწილეობა ტენიანობის სფეროში;
- საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და „ASTM International"-ს შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რაც ხელს შეუწობს საქართველოში მოქმედი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებულ პირებისათვის ASTM-ის 12 000-ზე მეტ სტანდარტზე ხელმისაწვდომობას;
- ტვინინგ პროექტის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ცნობადობის ამაღლების სემინარი ადგილბრივი მეწარმეებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. სემინარის ფარგლებში სააგენტოს მეტროლლგიიის ინსტიტუტისა და სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეებს გააცნეს DCFTA ტექნიკური ბარიერები, ვაჭრობაში საქართველოს ვალდებულებები და ბენეფიტები, სააგენტოს მიღწევები, განვითარებული სერვისები და გამოწვევები. გარდა ამისა, სემინარის მონაწილეებს საკუთარი ქვეყნების გამოცდილება გაუზიარეს ლიტველმა და ლატვიელმა ექსპერტემა;
- საერთაშორისო/ევროპულ სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დამტკიცდა 2018 წლის საქართველოს სტანდარტების პროგრამა (პირველი ნაწილი) და ტექნიკური კომიტეტების გადაწყვეტილების საფუძველზე განისაზღვრა ქართულ ენაზე 2018 წლის განმავლობაში „იდენტური თარგმნის" მეთოდით მისაღები სტანდარტების სია;
- ჩატარდა ტრენინგი ,,ისო 50001-ენერგო მენეჯმენტის სისტემებზე" სააგენტოსა და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) ორგანიზებითა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მხარდაჭერით, სადაც მონაწილეობა მიიღეს ენერგო-ეფექტურობის, ელექტროენერგიის სფეროში მოქმედმა ორგანიზაციებმა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებულმა პირებმა;
- ევროკავშირის ტვინინგის პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა ევროკავშირი-საქართველოს DCFTA მოთხოვნების შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით" ფარგლებში გაიმართა საჯარო ლექცია ,,საერთაშორისო სტანდარტიზაციის სისტემების შესახებ" საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, რომელსაც უძღვებოდა ლატვიის სტანდარტების ინსტიტუტის ხელმძღვანელი;
- მეტროლოგიის ინსტიტუტის გეომეტრიული ეტალონური განყოფილების მიერ შემუშავებულ იქნა დაკალიბრების პროცედურა 01LP-5.4-01: „100 მმ-მდე ნომინალური სიგრძის ბრტყელ პარალელური კიდურა საზომების დაკალიბრების პროცედურა". მომზადდა პროცედურის ინგლისურენოვანი ვერსია საერთაშორისო აღიარებაზე წარდგენის მიზნით;
- მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიურ ეტალონურ განყოფილებაში დანიის ეროვნული მეტროლოგიური ინსტიტუტის ექსპერტთან ერთად განხილულ იქნა საკითხები ISO 17025-ის მოთხოვნების შესრულების შესაბამისობის შესახებ. ასევე, ჩაატარდა ტრენინგი და განხილულ იქნა

კონდუქტომეტრიისა და pH-მეტრიის ეროვნული ეტალონების მოდერნიზაციისა და ეტალონური ბაზის განახლებასთან დაკავშირებული საკითხები;

- დარეგისტრირდა და დამტკიცდა 4 ტიპის გაზომვის საშუალება. განხორციელდა 102 591 ერთეული გამზომი საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება (627 ელექტრო მრიცხველი, 76 712 აირის მრიცხველი და 25 252 წყლის მრიცხველი);
- დარეგისტრირდა დაკანონებული გაზომვის საშუალების 24 ტიპი. განხორციელდა 165 580 ერთეული გამზომი საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება (286 ელექტრო მრიცხველი, 123 305 აირის მრიცხველი და 41 989 წყლის მრიცხველი);
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 2) „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სტანდარტად მიღებულ იქნა ევროპული სტანდარტის „EN 13432:2000-Packaging - Requirements for packaging recoverable through composting and biodegradation - Test scheme and evaluation criteria for the final acceptance of packaging“ ქართულენოვანი ვერსია;
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 3) „სასურსათო კომიტეტი“ წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სტანდარტად მიღებულ იქნა: ისო 12966-1:2014 „ცხოველური და მცენარეული ცხიმები და ზეთები -მეთილის ეთერების ცხიმოვანი მჟავის გაზური ქრომატოგრაფია“; ისო 13884:2003 „ცხოველური და მცენარეული ცხიმები და ზეთები - მცენარეული ცხიმებისა და ტრანს იზომერების განსაზღვრა ინფრაწითელი სპექტროსკოპიით“; ისო 18743:2015 „სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - Trichinella-ს მატლის აღმოჩენა ხორცში გამოხარშვის ხელოვნური მეთოდით“; ისო 18744:2016 „სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - Cryptosporidium-ის და Giardia-ს აღმოჩენა და გადათვლა ახალ ფოთლოვან ბოსტნეულში და კენკრაში“;
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა ერთი ნოტიფიკაცია საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების შესახებ;
- საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO/TBT) ეროვნული საინფორმაციო ცენტრის მიერ საქართველოში მოქმედ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციისათვის დაიგზავნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ 93 ნოტიფიკაცია;
- საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა სულ 1 001 სტანდარტი, მათ შორის: ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 28; ენ (ევროპული სტანდარტი) - 952; ენ (ქართულენოვანი) – 2; იეკ (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია) – 4; ეტსი (ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტი) – 10; ისო (ქართულენოვანი) – 5;
- სტანდარტების დეპარტამენტის მიერ გაიცა სულ 175 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 83; გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) – 9; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 38; სსტ (საქართველოს სტანდარტი) - 7; სსტ ისო (ქართულენოვანი) – 36; იეკ (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია) – 2.

5.14 აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

- აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ, აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად გაიცა 48 აკრედიტაციის მოწმობა, მათ შორის: ინსპექტირების ორგანო - 33 (სამშენებლო სფეროს ინსპექტირების ორგანო - 6, დაკანონებული გამზომი საშუალებების დამამოწმებელი პირი - 2; ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ინსპექტირების ორგანო - 17 და სხვა - 8); საგამოცდო

ლაბორატორია - 13, პროდუქტის სერთიფიკაციის ორგანო - 1 და პერსონალის სერთიფიკაციის ორგანო - 1.

- აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად გეგმური მონიტორინგი გაიარა 31-მა აკრედიტირებულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა, მათ შორის: საკალიბრებელი ლაბორატორია - 1, ინსპექტირების ორგანო - 9, საგამოცდო ლაბორატორია - 19, სამედიცინო ლაბორატორია - 1 და პროდუქტის სერთიფიკაციის ორგანო - 1;
- დამატებით სფეროში აკრედიტაცია გაიარა 8 შესაბამისობის შემფასებელმა პირმა, მათ შორის: სამშენებლო სფეროს ინსპექტირების ორგანო - 1, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ინსპექტირების ორგანოს ფილიალის აკრედიტაცია - 5, საგამოცდო ლაბორატორია - 1 და სხვა - 1;
- აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნების დარღვევის გამო, აკრედიტაციის სფერო შეუმცირდა 3 შესაბამისობის შემფასებელ პირს (ინსპექტირების ორგანო - 3);
- შესაბამისობის შემფასებელი პირების მიერ გატარებული შესაბამისი ღონისძიებების თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგით აკრედიტაცია აღუდგა 2 პირს (ინსპექტირების ორგანო - 1 და საგამოცდო ლაბორატორია - 1);
- ჩატარადა ტრეინინგი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 01 დეკემბრის N511 დადგენილებით დამტკიცებულ „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნები“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად;
- განხორციელდა 13 პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაცია და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მათთან გაფორმდა ხელშეკრულებები „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობების თაობაზე“ დანართი 1-ის შესაბამისად;
- გაიმართა პრეზენტაცია განახლებული ISO/IEC 17025:2017 სტანდარტის მიხედვით, სადაც მონაწილეობა მიიღეს აკრედიტირებულმა შესაბამისობის შემფასებელმა ორგანოებმა და დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებმა. აღნიშნული პრეზენტაციის შემდეგ აკრედიტაციის ცენტრის ლაბორატორიის ტექნიკურმა კომიტეტმა შეიმუშავა განახლებულ სტანდარტზე გადასვლის გარდამავალი დებულება;
- ჩატარდა აკრედიტაციის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც დაეთმო უსაფრთხო გარემოს და აკრედიტაციის, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების როლს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ხარისხის ინფრასტრუქტურის, აკრედიტირებული პირების და აკრედიტაციით დაინტერესებული ორგანოების წარმომადგენლებმა;
- შვეიცარიულმა კომპანია „SGS Société Générale de Surveillance SA“-მა, რომელიც კონსულტაციას უწევს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროგრამის იმპლემენტაციის საკითხებში, წარმოადგინა D, D1 და E ანგარიშები (D ანგარიში - „საკომუნიკაციო სტრატეგიის შემოთავაზება ან საზოგადოების სათანადო ცოდნისა და ჩართულობის მიწოდება აღნიშნულ პროექტში“; D1 ანგარიში - „საკომუნიკაციო სტრატეგიისა და საკომუნიკაციო გეგმის შემოთავაზება“ და E ანგარიში - „სათანადო სამოქმედო სტრატეგიის შემოთავაზება“). აღნიშნული ანგარიშების იმპლემენტაცია დაიწყო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების საქმიანობაში.

6. ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

6.1 საკანონმდებლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01)

6.1.1 საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს პარლამენტის აპარატი

- მიღებულია: 175 კანონი; 12 საკადრო დადგენილება; მიღებულია 1 რეზოლუცია.
- რატიფიცირებულია 28 საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება, მემორანდუმი, და კონვენცია;
- პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციებმა მონაწილეობა მიიღეს 46 საპარლამენტო ასამბლეაში, პარლამენტმა უმასპინძლა 19 ოფიციალურ დელეგაციას, გაიმართა 117 შეხვედრა საერთაშორისო პარტნიორებთან.

6.1.2 საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს პარლამენტის აპარატი

- უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით ფრაქციების საკუთარ პოლიტიკური კურსის გამოხატვის, პარლამენტისა და მისი ორგანოების საქმიანობის სრულყოფაში მონაწილეობის, კანონშემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროები უზრუნველყოფენ ამომრჩევლებთან მუშაობის ორგანიზების, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების საქმიანობაში და ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტის წევრის მონაწილეობას.

6.1.3 საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 01 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს პარლამენტის აპარატი

- ადმინისტრაციული მხარდაჭერის საფუძველზე განხორციელდა საპარლამენტო საქმიანობის ღიაობა, ინფორმაციის გამჭირვალობა და ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, ანგარიშვალდებულება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.

6.2 არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

- ჩატარდა 2018 წლის 28 აპრილის და 13 მაისის შუალედური არჩევნები;

- 2018 წლის 28 აპრილს და 13 მაისის შუალედური არჩევნებისათვის ჩატარდა საოლქო სარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები;
- გაიმართა შეხვედრები საკანონმდებლო ცვლილებებზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;
- მიმდინარეობდა პროექტების „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და „ვესაუბრებით ამომრჩეველს” ახალი 2018 წლის ეტაპი;
- განხორციელდა სარემონტო სამუშაოები საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ცესკოში და შეძენილ იქნა შენობა სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის. ასევე, განახლდა კომპიუტერული ტექნიკა საოლქო საარჩევნო კომისიებში;
- ჩატარდა ტრენინგი „სამართლებრივი წერა“ საოლქო სარჩევნო კომისიებისთვის.

6.3 პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 19 კვალიფიციური პოლიტიკური პარტია და ასევე, მათ მიერ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული და ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელების მიზნით;
- გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 23 არასამთავრობო ორგანიზაცია.

6.4 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი

- 2018 წლის აუდიტორული გეგმით განისაზღვრა 106 აუდიტის ჩატარება, მათ შორის: 85 ფინანსური/შესაბამისობის აუდიტი, 14 ეფექტიანობის აუდიტი, 2 უწყებათაშორისი სისტემური შესაბამისობის აუდიტი და 5 IT აუდიტი. მიმდინარე პერიოდში დასრულებულია 11 და მიმდინარეობს 52 ფინანსური/შესაბამისობის აუდიტი, დასრულებულია 2 და მიმდინარეობს 5 ეფექტიანობის აუდიტი, 2 სისტემური შესაბამისობის აუდიტი, წინასწარი შესწავლის ეტაპზეა 1 IT აუდიტი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურმა აუდიტორმა, საქართველოს პარლამენტის კომიტეტის პლენარულ სხდომაზე წარადგინა აუდიტის სამსახურის მოხსენება „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“. ასევე, მომზადდა და პარლამენტს წარედგინა ანგარიში 2015-2017 წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შედეგების შესახებ, მოეწყო სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის საკომიტეტო და პლენარული განხილვები საქართველოს პარლამენტში;
- აუდიტის მართვის სისტემის (AMS) გამოყენებით მიმდინარეობს 15 აუდიტი;
- საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით მიმდინარეობს მოქალაქეთა მომართვების მონიტორინგის მოდულის დამატება, ასევე დაიწყო მოქალაქეების ანონიმურად მომართვის მექანიზმის მომზადება;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანალიტიკური ვებ-პლატფორმა „ბიუჯეტის მონიტორი“ გახდა გაეროს მსოფლიო სამიტის ჯილდოს (World Summit Awards) გამარჯვებული საკონკურსო კატეგორიაში

„მთავრობა და მოქალაქეთა ჩართულობა“. „ბიუჯეტის მონიტორი“ ჟიურისა და მონაწილეების მიერ შეფასდა როგორც „მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ინოვაციური ციფრული გამოგონება და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გლობალურ კონგრესზე ქ. ვენაში, 2018 წლის WSA გამარჯვებულის დიპლომი და სპეციალური პრიზი გადაეცა. ბიუჯეტის მონიტორის გაცნობის მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტში და GIPA-ში გაიმართა შეხვედრა სტუდენტებთან და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებთან.

- გაიმართა 2 შეხვედრა პარლამენტის კომიტეტებთან ბიუჯეტის მონიტორისა და სხვა საკითხების შესახებ;
- ეთიკის კონტროლის სისტემის გასაძლიერებლად მიმდინარეობს პოლიტიკის შემუშავება. მოეწყო IntoSAINT კეთილსინდისიერების, თვითშეფასების სამუშაო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავს სას-ის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას და მართვას;
- შემუშავდა საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებული უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელო, მომზადდა კვლევითი ანალიტიკური პუბლიკაცია „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლების მართვა“.

6.5 საარჩევნო გარემოს განვითარება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

- გაიმართა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2017 წლის საქმიანობის პრეზენტაცია;
- ცესკოს თანამშრომლები საანგარიშო პერიოდში დააკვირდნენ არჩევნებს სხვადასხვა ქვეყნებში;
- საოლქო სარჩევნო კომისიებს ჩაუტარდათ ტრენინგები ანგარიშგების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, ასევე ცესკოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე - შესაძლებლობების ზრდა IT მიმართულებით.

6.6 სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი

- მომზადდა და დამტკიცდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2017 წლის პროგრესის ანგარიშის პროექტი, განახლებული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები ყველა მიმართულებით;
- მომზადდა ერთიანი ანგარიში, რომელიც მოიცავს მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფინანსური შეთანხმების 2017 წლის ზოგადი და კონკრეტული პირობების შესრულების დამადასტურებელ ინფორმაციასა და შესაბამის მასალებს. აღნიშნული ანგარიში ევროკავშირის დელეგაციას 2018 წლის ივნისში წარედგინა;
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნო მუშაობდა სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების პროექტზე სისხლის სამართლის კოდექსის სისტემური და მასშტაბური გადასინჯვის მიზნით. კანონპროექტის მიზანია კოდექსის შესაბამისობაში მოყვანა ლიბერალიზაციის სისხლის სამართლის პოლიტიკასა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან;
- მუშაობა დასრულდა 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის 2017 წლის მონიტორინგის ჩარჩოსა და მონიტორინგის ანგარიშზე. ორივე დოკუმენტი ანტიკორუფციული საბჭოს წევრებს გაეგზავნა. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო მუშაობდა კორუფციული რისკების

მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს მომზადებაზე, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ინფორმაციული კვლევა. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ იმუშავა, აგრეთვე, პროგრესის შესახებ ინფორმაციის მომზადებაზე ევროსაბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) შეფასების მესამე რაუნდისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის მეოთხე (OECD-ACN) მონიტორინგის რაუნდის ფარგლებში;

- განხორციელდა „ღია მმართველობა – საქართველოს“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა. გაიმართა „ღია მმართველობა – საქართველოს“ ფორუმის ოთხი სამუშაო შეხვედრა, რომელთა ფარგლებშიც დაიგეგმა ახალი, რიგით მეოთხე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი. ღია მმართველობის სამდივნომ ფორუმის წევრ უწყებებს გააცნო სამოქმედო გეგმის შემუშავების 5-თვიანი პროგრამა. სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით გაიმართა საჯარო კონსულტაციები რეგიონებში მთელი ქვეყნის მასშტაბით. აქტიურად ტარდებოდა ფორუმის შეხვედრები, სადაც განიხილებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები და საჯარო დაწესებულებების პოზიციები. გაიმართა რეგიონების წარმომადგენელთათვის გაფართოებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წევრები. საქართველოს რიგით მეოთხე სამოქმედო გეგმა მზად არის დასამტკიცებლად;
- მომზადდა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) პირველი საპილოტო ანგარიში ევროკავშირის პროექტ „საკანონმდებლო ზემოქმედების შეფასება, კანონშემოქმედებითი პროცესი და წარმომადგენლობითი უნარების გაძლიერების“ ფარგლებში;
- განხორციელდა კანონშემოქმედებითი საქმიანობის ყოველწლიური გეგმით განსაზღვრული და სხვა სახის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, ასევე, საქართველოს პარლამენტში ინიცირებული ყველა საკანონმდებლო აქტის პროექტის, საქართველოს მთავრობისა და სხვა ცალკეული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის სამართლებრივი ექსპერტიზა და არსებითი დახმარება გაეწია სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობასთან დაკავშირებით ცალკეული საკანონმდებლო აქტის, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების პროექტების შესწორების, მათი შინაარსის თაობაზე რეკომენდაციების მიწოდებისა და სამართლებრივი კონსულტაციების სახით;
- საქმიანობა წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

  - ✓ ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების ასახვის მიზნით გრძელდებოდა მუშაობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტსა და გამომდინარე კანონპროექტებზე;
  - ✓ მიმდინარეობდა მუშაობა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტზე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების აღკვეთის მიზნით; დაიწყო საჯარო კონსულტაციები;
  - ✓ მედიაციის სფეროს განვითარებისა და მედიაციის საკანონმდებლო რეგულირების მიზნით, კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, შემუშავდა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები;
  - ✓ დასრულდა მუშაობა აღსრულების კოდექსის ახალ პროექტზე, საჯარო კონსულტაციების პროცესის ჩათვლით, ამ სფეროს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით;
  - ✓ მიმდინარეობდა მუშაობა საერთო სასამართლოების სისტემაში კომერციული და საგადასახადო კოლეგიების/პალატების შექმნის კონცეფციაზე და ამ მიზნით დონორებთან/პოტენციურ დონორებთან კოორდინაციაზე, ასევე, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე;
  - ✓ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოდერნიზაციის და მასში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, „GIZ“-ის მხარდაჭერით, იუსტიციის სამინისტროსა და ამ სფეროში

მოღვაწე პროფესორებისა და პრაქტიკოსი იურისტების ჩართულობით, მიმდინარეობდა მუშაობა ადმინისტრაციული სამართლის რეფორმაზე;

- ✓ გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერითა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართულობით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის გადახედვაზე ამ სფეროს ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ✓ შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ კანონმდებლობის სრულყოფისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ 2006 წლის კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით;
- ✓ შემუშავდა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და გამომდინარე კანონპროექტები, რომლებიც საქართველოს პარლამენტშია ინიცირებული;
- ✓ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით შემუშავდა გვარის შეცვლასთან დაკავშირებული რეგულაციები, რითაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა გვარის შეცვლის საფუძვლები და აღმოიფხვრა საკანონმდებლო ხარვეზები.

- ჩატარდა საჯარო მოხელეებისათვის განკუთვნილი ტრენინგები ევროკავშირის სამართალთან დაკავშირებით, რომლებსაც დაესწრო სხვადასხვა საჯარო უწყების ასამდე წარმომადგენელი;
- ევროკავშირის სამართლის წყაროებთან დაახლოების მიზნით გაცემული იქნა 21 დასკვნა საკანონმდებლო აქტების, ხოლო 26 დასკვნა – კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესახებ;
- სახელმწიფოთაშორისი საჩივრის – „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)“ – ფარგლებში დამუშავდა და სტრასბურგის სასამართლოს მიეწოდა არაერთი დამატებითი მტკიცებულება. ამასთან, მოსმენისთვის მომზადდა სახელმწიფოს პოზიციის ამსახველი კომპლექსური დოკუმენტები. სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის წინაშე ჩატარდა ზეპირი მოსმენა, სადაც საქართველო წარდგა მტკიცებულებებით გამყარებული პოზიციით.
- ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ ინდივიდუალურ საჩივრებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის პოზიციის წარდგენის მიზნით დამუშავდა 19 საქმე (მათ შორის, 16 საქმეზე გაიგზავნა საქართველოს მთავრობის პოზიცია);
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს I წინასასამართლო პალატის გადაწყვეტილების შესაბამისად, ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისს მიეცა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ფარგლებში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება. მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, განხორციელდა შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები სასამართლოს მიერ მოწოდებული თხოვნების შესრულებისა და გამოძიების ეფექტიანად წარმართვის მიზნით;
- სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა რიგ ხელშეკრულებების პროექტებს როგორც საერთაშორისო საჯარო, ასევე კერძო სამართლის მიმართულებით;
- აქტიურად მიმდინარეობდა ორმხრივი საინვესტიციო და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების შემუშავებისა და მოლაპარაკებების პროცესი: უნგრეთთან ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ტექსტის შემუშავება და მოლაპარაკება; კანადასთან ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ტექსტის შემუშავება და მოლაპარაკება; იაპონიასთან ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მეორე რაუნდში მონაწილეობა; კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა. მიმდინარეობდა მუშაობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიისა და შვეიცარიაში რეგისტრირებული ორგანიზაცია „საერთაშორისო დავების გადაწყვეტის ცენტრის“ ერთობლივი პროექტის – „ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის საინვესტიციო დავების მოგვარების სისტემის რეფორმა“ – ფარგლებში;

- საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ამერიკის საელჩოს სახელმწიფო დეპარტამენტისადმი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით 2017-2018 წლებში შესრულებული საქმიანობების შესახებ შედგა ანგარიშგება;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის (EU-ACT: EU Action Against Drugs and Organized Crime) ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებისა და პროექტის კოორდინატორების მონაწილეობით. შეხვედრაზე სამთავრობო უწყებებმა წარმოადგინეს ნარკომანიასთან ბრძოლის მიმართულებით არსებული საჭიროებები და მხარეთა კონსულტაციებით დაიგეგმა 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, რომელთა ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს „EU-ACT“ პროექტი;
- კოორდინაცია გაეწია იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის (ROADMAP2EU) შემუშავების პროცესს;
- წარმოებაში იყო ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავებისა და არასრულწლოვანთან ურთიერთობის უფლების განხორციელების 11 საქმე. აქედან ორ საქმეზე საქართველოს ცენტრალური ორგანო თანამშრომლობს საბერძნეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებთან, ხოლო თითო საქმეზე – თურქეთის რესპუბლიკის, საფრანგეთის რესპუბლიკის, ერაყის, რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანის, იტალიის რესპუბლიკისა და ესპანეთის სამეფოს ცენტრალურ ორგანოებთან. მუშაობა დასრულდა ორ საქმეზე – ერთი უკრაინასთან და ერთი საბერძნეთთან მიმართებით;
- ჰააგის 1980 წლის კონვენციის იმპლემენტაციის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილება/დაკავების საერთაშორისო საქმეებზე სარეკომენდაციო სახელმძღვანელო;
- მომზადდა ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილება/დაკავების საერთაშორისო საქმეებზე მიმართვიანობის (რეფერირებისა) და აღსრულების პროცედურების პროექტი, რომელიც დამტკიცდება მთავრობის დადგენილებით. აღნიშნული მექანიზმის დასამტკიცებლად შემუშავდა, ასევე, საკანონმდებლო ცვლილებები 7 ნორმატიულ აქტში: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში, „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში;
- სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროში მოქმედი ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა და გამოიცა პრაქტიკული სახელმძღვანელო სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ;
- გაიმართა ნარკომანიასთან ბრძოლის საბჭოს სხდომა, სადაც განხილულ იქნა საქართველოს ეროვნული ნარკოპლატფორმის საკანონმდებლო პაკეტი, ცვლილებათა ძირითადი არსი და შემოთავაზებული რეგულაციები;
- უწყებათაშორისი საბჭოს მორიგ შეხვედრაზე საბჭოს წევრებმა განიხილეს, მოიწონეს და ერთხმად მხარი დაუჭირეს ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის შექმნის საკითხს;
- მომზადდა რამდენიმე ანგარიში საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის მიწოდების მიზნით: Mini-Dublin Statistics; გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისისათვის (OHCHR) ანგარიში; ARQ (Annual Report Questionnaire)c – გაერო-ს დანაშაულსა და ნარკოტიკებთან ბრძოლის ოფისის (UNODC) მიერ მოწოდებულ 4-ნაწილიან კითხვარზე მომზადდა ანგარიში ნარკოპოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, პრევენციული ღონისძიებებისა და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების საკითხზე: HONLEA (Heads of National Drug Law Enforcement for Asia-Pacific) - ანგარიში მომზადდა HONLEA-ს მიერ 2016 წელს გაცემული

რეკომენდაციების - Our Joint Commitment to Effectively Addressing and Countering the World Drug Problem – შესრულების თაობაზე;

- მომზადდა ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული საქმიანობების შესახებ; შემუშავდა ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში მომზადდა სჰს 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში. ცნობიერების ამაღლების მიზნით სტუდენტებისთვის გაიმართა „ეროვნული შეჯიბრი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში“;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მომზადდა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის 2017-2018 წლების შესრულების შუალედური (2017 წლის) ანგარიში; ასევე, ანგარიში დამატებითი ოქმის შესრულების თაობაზე „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“; ანგარიში მონობის თანამედროვე ფორმების, მისი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის მიერ შედგენილი კითხვარის საფუძველზე თემაზე „Gender dimensions of contemporary forms of slavery, its causes and consequences“. „იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ“ №29 კონვენციის შესრულების თაობაზე ანგარიშის მომზადების მიზნით დამუშავდა ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის სტრატეგიული მიზნების განხორციელებისა და სტატისტიკური მონაცემების თაობაზე; 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებებისა და ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის დახვეწის კუთხით ჩატარდა თემატური კვლევები და შესწავლილ იქნა სხვა სახელმწიფოთა პრაქტიკა; ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფს (GRETA) მიეწოდა დამატებითი ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მიერ 2016 წელს საქართველოს მიმართ გამოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში მომზადდა ანგარიში ბავშვის უფლებების შესახებ გენერალური ასამბლეის 72/245 რეზოლუციის შესრულების თაობაზე;
- ტრეფიკინგთან ბრძოლის საუწყებათაშორისო საბჭოს სამდივნომ მიგრაციის სამთავრობო კომისიაში წარადგინა ანგარიში მიგრაციის სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2017 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელებული საქმიანობების შესახებ;
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში მომზადდა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაერო-ს კონვენციის შესრულების მე-6 პერიოდული ანგარიში და „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების 2017 წლის ანგარიში; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში მომზადდა ანგარიში ევროპის საბჭოს რეკომენდაციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ქვეყანაში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დიკსრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ;
- „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში შემუშავდა საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; მომზადდა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 სამოქმედო გეგმა; შემუშავდა პანკისის ხეობასთან დაკავშირებით 2018 წლის

სამოქმედო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა იუსტიციის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.

6.7 ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

- საარქივო მომსახურება შეუფერხებლად მიეწოდებოდა მოქალაქეებს, სხვადასხვა სახელმწიფო და კომერციულ ორგანიზაციას. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების, გამოცდილების გაზიარების, ასევე, ეროვნულ არქივში დაცული მასალის პოპულარიზაციის მიზნით ეროვნულ არქივს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა უცხოელ კოლეგებსა და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ლევილის მამულის უკანასკნელი არქივის დაბრუნებისა და საქართველოს ეროვნულ არქივში მამია და ქრისტიანე ბერიშვილების ფონდის შექმნის მიზნით სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივსა და მამია ბერიშვილის შთამომავალ ტიერი ბერიშვილს შორის გაფორმდა მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად, ეროვნულ არქივს გადაეცემა ლევილის მამულის უკანასკნელი არქივი მისი შენახვის, დაცვისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ ბეჭდვით გამოცემებზე: „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ მეორე ტომი; ესტატე მირიანაშვილის მოგონებები; წმიდა გიორგის ილუსტრირებული ცხოვრება; ნოე რამიშვილის ალბომი; თედო ხოშტარიას მოგონებები; დავით გორგაძის „მოგზაურობა ჯოჯოხეთში“; „საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები“;
- განხორციელდა შემდეგი პროექტები:

  - ✓ სტუდენტური პროექტი „საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის კვლევა არქივის დოკუმენტების მიხედვით“;
  - ✓ სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა ვორქშოფი „დაზგის გარეშე წიგნის აკინძვა“;
  - ✓ სამეცნიერო ფორუმი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ: მოდელი ევროპისთვის?“ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან;
  - ✓ პირველი რესპუბლიკის შესახებ ყოველკვირეული რუბრიკა „იმედის დილაში“;
  - ✓ პროექტი „ელექტრონული კარტოგრაფია“ (რუკების აღწერილობა);
  - ✓ საგანმანათლებლო პროექტი „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს მასშტაბით 374 საჯარო სკოლამ;
  - ✓ არქივების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პროექტი „არქივის ღია კარი“.
- მიმდინარეობდა მუშაობა 2018 წლის საერთაშორისო კონფერენციისათვის „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“.
- საანგარიშო პერიოდში ეროვნული არქივის მიერ გაიმართა:

  - ✓ გამოფენა „UNESCO“-ს რეესტრში შეტანილი ქართული ხელნაწერები“;
  - ✓ გამოფენა „საქართველო და უკრაინა 100 წლის წინათ“;
  - ✓ პოლონურ-ქართული კომისიის ისტორიკოსთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია და გამოფენა „ამიერკავკასიის რესპუბლიკისა და სეიმის 100 წლისთავი“;
  - ✓ იტალიელ ალპინისტ და ფოტოგრაფ ვიტორიო სელას მიერ სვანეთსა და რაჭაში გადაღებული ფოტოების გამოფენა (ფოტოფესტივალ „ქოლგას“ ფარგლებში);
  - ✓ ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზე 2010 წელს ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ქუმარიტაშვილისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია;

- ✓ საქართველოს სახალხო არტისტის, ,,სუხიშვილების“ ანსამბლის ყოფილი სოლისტის, თენგიზ უთმელიძის პერსონალური გამოფენა „სუხიშვილები“;
- ✓ გამოფენა „აქ ერთად ვართ“ (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად);
- ✓ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა;
- ✓ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის, ნოე რამიშვილის შესახებ ალბომის პრეზენტაცია;
- ✓ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების პრეზენტაცია;
- ✓ გამოფენა „ფოტოდღიურები. XX საუკუნის 90-იანები“;
- ✓ გამოფენა „ბერტა ფონ ზუტნერი – ავსტრიელი ნობელიანტი ქალი მშვიდობის დარგში – ცხოვრება საქართველოში“ (ავსტრიის საელჩოსთან ერთად);
- ✓ საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ ექსპოზიციები იუსტიციის სახლებში (ლაგოდეხი, ყვარელი, გურჯაანი, გორი, თბილისი);
- ✓ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის საიუბილეო გამოფენა (ვილნიუსი, ლიტვის სახელმწიფო არქივის საგამოფენო სივრცე);
- ✓ ჩატარდა საჯარო ლექციები: დიმიტრი სილაქაძე – „რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი (ნაკლებად ცნობილი ბრძოლების ისტორია)“; მიხეილ ბარნოვი – „ჯერონიმოს ბოლო ომი – აპაჩების სამხედრო წინააღმდეგობის დასასრული ველურ დასავლეთში“.

- ეროვნული არქივის ელექტრონულ სერვისებს დაემატა ელექტრონული კატალოგი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრების ელექტრონული საძიებელი;
- ეროვნული არქივის რესტავრატორები კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თავადი ჩარტორისკების ბიბლიოთეკაში დაცულ უნიკალურ ქართულ ხელნაწერებს გაეცნენ, შეისწავლეს მათი დაზიანების ხარისხი, რის შემდეგაც შემუშავდა სარესტავრაციო მეთოდიკა და გეგმა;
- გაიხსნა 140 მაყურებელზე გათვლილი მულტიფუნქციური, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კინოდარბაზი, რომელიც საქართველოში ერთადერთი კინოთეატრია, სადაც ფილმის პროექცია კინოფირიდანაც შესაძლებელია. განახლებულ კინოდარბაზში ციფრულ აპარატურასთან ერთად დამონტაჟდა პროექტორი, რომელიც კინოფირზე გადაღებული ფილმების მაქსიმალური ხარისხით ჩვენებას უზრუნველყოფს. თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო დარბაზის აუდიო- და აკუსტიკური სისტემაც;
- ეროვნული არქივის ცენტრალური საექსპერტო შემმოწმებელი კომისიის გადაწყვეტილებით, შეძენილ იქნა მოქალაქე ალექსანდრე თარხნიშვილის საკუთრებაში არსებული 22 ერთეული უნიკალური გრამფირფიტა, ხოლო მოქალაქე ალექსანდრე რეხვიაშვილისაგან – 1929-1930 წლების მოზარდ მაყურებელთა თეატრის 78 ფოტო, თეატრის 1933 წლის აფიშა, 1929 წლის საგასტროლო ბუკლეტი და 1929-1930 წლების სეზონის პლაკატი;
- ცენტარალიზაციის პროექტის ფარგლებში დასრულდა საარქივო დოკუმენტების გადატანა და სტელაჟებზე განთავსება ქუთაისის ცენტრალური არქივის ძველი შენობიდან ახალ შენობაში;
- „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით პასუხის სახით გაიგზავნა 62 ათას წერილზე მეტი; ეროვნული არქივისათვის მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე მომზადდა 16 564 საარქივო ცნობა;
- ეროვნული არქივის უნიკალური საარქივო მასალებთან მუშაოების მიზნით მკვლევართა დარბაზში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 1 382 მკვლევარი (მათ შორის, 68 უცხოელი);
- თანამშრომელთა პროფესიული ზრდისა და განვითარებისათვის ეროვნული არქივის 71-მა თანამშრომელმა გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. საარქივო საქმის სპეციფიკას გაეცნო პროფესიული კოლეჯის 12 სტუდენტი;

- მიმდინარეობდა მუშაობა ეროვნული საარქივო ფონდის ციფრულ მატარებლებზე გადატანის მიმართულებით, რაც საშუალებას იძლევა, არ დაზიანდეს საარქივო დოკუმენტის დედანი ხშირი გამოყენებით და შენარჩუნდეს პირველადი სახე. დასკანირდა ეროვნული საარქივო ფონდის 370 ათას გვერდზე მეტი. მიმდინარეობდა ელექტრონულად შენახული ფაილების აწყობა-დამუშავება, ტექნიკური და შინაარსობრივი შემოწმება. სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური საფონდო მასალის ციფრულ მატარებლებზე გადატანისათვის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ციფრულ მატარებლებზე გადატანილ იქნა 16 ათასი ფაილი, ხოლო საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, საარქივო მასალებიდან ციფრულ მატარებლებზე გადატანილ იქნა 76 400 ფაილი;
- ელექტრონულად შენახულ იქნა 2 369 ერთეული ფოტოდოკუმენტი, 250 ერთეული კინოდოკუმენტი და 211 ფონოდოკუმენტი.
- დიდი მოცულობის სამუშაო განხორციელდა ქაღალდისფუძიანი დოკუმენტების რესტავრაციის (გეგმა შესრულდა 178,5%-ით), მმართველობითი დოკუმენტების აღწერის (101,5%), ანაწერების გადამუშავების (115%), კატალოგიზაციისა (168,3%) და მიზნობრივი შემფასებელი ექსპერტიზის (182%). გეგმაზომიერად მიმდინარეობდა აუდიოვიზუალური დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფისა და მათზე სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნა-გაუმჯობესების სამუშაოები.

6.8 სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური (პროგრამული კოდი 36 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

- იურიდიული დახმარების სამსახურმა წარმოებაში მიიღო 8 047 საქმე. აქედან 6 199 საქმე განეკუთვნებოდა სისხლის სამართლის დარგს, 1 421 საქმე - სამოქალაქო სამართლის დარგს, 427 საქმე - ადმინისტრაციულ სამართალს. გაწეულ იქნა 14 797 კონსულტაცია, შედგენილ იქნა 1 002 იურიდიული დოკუმენტი.
- შრომით და ქონებრივ დავებთან დაკავშირებით ძალაში შევიდა ცვლილებები საქართველოს კანონებში „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ და „იურიდიული დახმარების შესახებ“. შესაბამისად ამ დღიდან უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფილია ძალადობის მსხვერპლი ნებისმიერი ბენეფიციარი, გადახდისუნარიანობის მიუხედავად. იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი გახდა უძრავ ნივთებთან და შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ დავებზე, რაც ათასობით მოქალაქეს მატერიალური პირობების დაცვის შესაძლებლობას აძლევს.
- თბილისში გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის განახლებული ადმინისტრაციული ოფისი და შედგა ახალი ვებ-გვერდის (www.legalaid.ge) პრეზენტაცია. აქვე ინტეგრირებულია ვებგვერდის ვერსია ნაკლებადმხედველი და მხედველობის არმქონე პირებისათვის, რაც გაუმჯობესებულ მომსახურებას უზრუნველყოფს, როგორც იურიდიული დახმარების მიმღებ პირთათვის, ასევე იურისტებისათვის.
- ამერიკის შეერთებული შტატების საერთშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (EWMI/PROLoG) ორგანიზებით, იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების ხელმძღვანელებმა, საკონსულტაციო ცენტრების წარმომადგენლებმა და მენეჯმენტის წევრებმა გაიარეს ტრენინგი თემაზე „ეფექტური კომუნიკაცია და კონფლიქტის მოგვარება“. ასევე, სამსახურის თანამშრომლები დაესწრნენ სხვადასხვა სემინარს, რომელიც ორგანიზებული იყო სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი კომისიის მიერ.
- იურიდიული დახმარების ბიუროებში აქტიურად მიმდინარეობდა გასვლითი კონსულტაციები და საინფორმაციო შეხვედრები. საანაგარიშო პერიოდში განხორციელდა 18 შეხვედრა, ჩატარდა

იმიტირებული სასამართლო პროცესი ქალაქ ფოთში. ევროკავშირის დაფინანსებით, „150 000-ე ბენეფიციარის“ კამპანიის ფარგლებში, თბილისის მეტროპოლიტენის 5 სადგურში განთავსდა იურიდიული დახმარების სამსახურის სარეკლამო ბანერები.

- ჩატარდა 34 საინფორმაციო გასვლითი კონსულტაცია და საინფორმაციო შეხვედრა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთან მთელი ქვეყნის მასშტაბით.
- ამოქმედდა სატელეფონო კონსულტაციების ქოლ-ცენტრი. მოქალაქეებს შეუძლიათ კვალიფიციური იურისტების კონსულტაციის მიღება.
- პროექტ „იურიდიული კლინიკის“ ფარგლებში გაიმართა ტრენინგები სტუდენტებისათვის ქუთაისსა და თბილისში. ქუთაისში ჩატარდა ორი იმიტირებული სასამართლო პროცესი.
- ქ. ბორჯომში იურიდიული დახმარების სამსახურის სტრატეგიის - „მუდმივი პროფესიული გადამზადების და განვითარების“ ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები დაესწრნენ ტრენინგს თემაზე „ეფექტური კომუნიკაცია და კონფლიქტის მოგვარება“.
- თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ლაგოდეხში ევროკავშირის წამომადგენლობისა და გაეროს განვითარების პროგრამის ორგანიზებით აღინიშნა „ევროპის დღეები“, სადაც იურიდიული დახმარების სამსახურის სპეციალური სტენდით იყო წარმოდგენილი.
- მიწის ნაკვეთების გამარტივებული რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტთან დაკავშირებით ჩატარდა მედიაკამპანია და 19 საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა საქართველოს ყველა რეგიონში.

6.9. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 41 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

- მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2017 წლის ანგარიში;
- სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებითა და მონაწილეობით ჩატარდა სხვადასხვა სახის შეხვედრები და ღონისძიებები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკითხებზე;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 8 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელდა 15 ვიზიტი, 4 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში - 9 ვიზიტი, 18 პოლიციის სამმართველოში - 18 ვიზიტი, 8 დროებითი მოთავსების იზოლატორში - 8 ვიზიტი, 37 ბავშვთა სახლში - 37 ვიზიტი, ევროპის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ფრენის მონიტორინგის მიზნით - 2 ვიზიტი;
- ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა 11 ვიზიტი (ქალთა მე-5, მე-8, მე-11 და მე-2). მონიტორინგი განხორციელდა სკოლებსა (საჯარო, კერძო) და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში. შემოწმდა მინდობა - რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართული 17 ოჯახი. განხორციელდა ვიზიტები სსიპ ,,სოციალური მომსახურების სააგენტოს'' 6 რაიონულ განყოფილებაში;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ შემოვიდა 4 574 განცხადება, აქედან დასაშვებად იქნა ცნობილი 3 584 განცხადება. განცხადებები სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი - 54, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 196, სისხლის სამართლის მართლსაჯულების დეპარტამენტი - 1201, რეგიონული დეპარტამენტი - 942, ბავშვის უფლებების ცენტრი - 490, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი - 266, შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 115, ანალიტიკური დეპარტამენტი - 95, თანასწორობის დეპარტამენტი - 200, თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი - 25;

- კონსულტანტის მომსახურებით ისარგებლა 1 943 ვიზიტორმა. შემოსული ზარების რაოდენობამ შეადგინა საქალაქო ტელეფონზე - 5 982, ხოლო ცხელ ხაზზე - 3 525;
- მომზადდა რეკომენდაციები და წინადადებები;
- ჩატარდა ადამიანის უფლებათა შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებები (ტრენინგები);
- სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობისა და აღნიშნული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ორგანიზებულ სხვადასხვა სახის სამუშაო შეხვედრებში/კონფერენციებში, როგორც საქართველოს მოსახლეობასთან, ისე სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან;
- ტოლერანტობის ცენტრი კოორდინირებას უწევდა სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების მუშაობასა და სხვადასხვა აქტივობას;
- მომზადდა, დარედაქტირდა, ითარგმნა, მედიაში და სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებში გავრცელდა 163 რელიზი, მომზადდა 311 მედია მონიტორინგის მასალა, ჩატარდა 8 პრეს - კონფერენცია. საინფორმაციო სივრცეში სახალხო დამცველისა და აპარატის წევრების სატელევიზიო/რადიო ინტერვიუების რაოდენობამ შეადგინა 1 086. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკით ისარგებლა 69 სტუდენტმა და 48 თანამშრომელმა;
- მომზადდა და გამოქვეყნდა სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ამსახველი ანგარიშები.

6.10 იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - იუსტიციის სახლი

- მომხმარებელთათვის დროული და ეფექტიანი მომსახურების მიწოდების მიზნით მოეწყო მომსახურების ახალი სივრცე, სადაც გაერთიანდა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კადასტრისა და დოკუმენტების დედანში გაცნობის, აგრეთვე, ცალკეული მარტივი პროცედურის სერვისები. ყოველივე ამან შეამცირა მოლოდინის დრო შესაბამის სერვისებზე, რაც დადებითად აისახა ფილიალის სამუშაო პროცესზე;
- 2017 წლის იდუმალი მომხმარებლის კვლევის ფარგლებში მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, შემუშავდა თანამშრომელთა დამოკიდებულებების ანალიზის დოკუმენტი; ასევე, შეიქმნა თანამშრომელთათვის სასურველი და საჭირო ტრენინგების ბაზები. ფილიალების სამუშაო პროცესებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული საკითხების გათვალისწინებით, მოხდა მენეჯერებისთვის მომხმარებლის კმაყოფილებაზე დადებითად და უარყოფითად მოქმედი ფაქტორების გაცნობა და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;
- ინდივიდუალურ/ჯგუფურ შეხვედრებზე თანამშრომლებისგან მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეიქმნა 2018 წლის იდუმალი მომხმარებლის კვლევის ინსტრუმენტების (კითხვარების) საბოლოო ვერსიები;
- სტუდენტებისა და მოტივირებული ახალგაზრდების მოზიდვის მიზნით მონაწილეობა იქნა მიღებული კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმში, ასევე, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან, დაიგეგმა საჯარო ლექცია, დაინტერესებული სტუდენტები გაეცნენ იუსტიციის სამინისტროს სისტემის სერვისებს, დასაქმების პერსპექტივებსა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს;
- მომსახურების მაღალი ხარისხის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით ფილიალების და სატელეფონო ცენტრის თანამშრომლებს ჩაუტარდათ სხვადასხვა ტრენინგი;
- მომზადდა 30-მდე საინფორმაციო ბანერი ონლაინ მედიისთვის. წინა ხაზის საშუალებით გაგრძელდა ევროპაში უვიზო მიმოსვლის საინფორმაციო კამპანია ბეჭდური მასალის დარიგების გზით; განხორციელდა უძრავი ქონების რემონტის დაზღვევის პოპულარიზაციის კამპანია ბეჭდური მასალის

მოქალაქეებისთვის გადაცემის საშუალებით. განახლდა საიმიჯო ბროშურა და ვებგვერდი. მომხმარებელთან უკუკავშირის სისტემის დახვეწის მიზნით შემუშავდა „მომხმარებლის ხმის“ სტენდის განახლებული დიზაინი;

- დასრულდა ქუთაისის იუსტიციის სახლში ავტომობილების პარკირების დამატებითი ფართის მოწყობის სამუშაოები, ხოლო თბილისის იუსტიციის სახლში დასრულდა საზოგადოებრივი საპირფარეშოს სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები, შეიცვალა გაგრილების სისტემის მდორე გაშვების აგრეგატი და საშვთა ბიუროს შემოსასვლელი დერეფნიდან მომსახურების სივრცეში გამავალი 5 ერთეული კარი; გარემონტდა რეცეფციის კუთხე და სხვ. 12 ფილიალში განთავსდა სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სტენდები და გადაიხურა თბილისის იუსტიციის სახლში არსებული წრიული მონიტორი;
- ჩატარდა ახალქალაქის ფილიალის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების დადგენის საინჟინრო ექსპერტიზა; სახურავის ჰიდროსაიზოლაციო, გათბობა-გაგრილების და სავენტილაციო სისტემების მონტაჟის, წყალკანალიზაციის, მეტლახის და კაფელის დაგების სამუშაოები; მიმდინარეობდა მარტვილის იუსტიციის სახლის ფილიალის სამშენებლო სამუშაოები: მოეწყო მონოლითური ფუნდამენტი, პანდუსები შშმ პირთათვის, დაისხა იატაკის მონოლითური ფილა; დასრულდა ლითონკონსტრუქციების, გადახურვისა და ტიხრების მოწყობის სამუშაოები, დამონტაჟდა გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის სისტემები; მოეწყო ხონის ფილიალის მონოლითური ფუნდამენტი; მიმდინარეობდა ჰიდროსაიზოლაციო და რანდკოჭების მოწყობის სამუშაოები; სენაკის იუსტიის სახლის მშენებლობის ფარგლებში, დასრულდა სადემონტაჟო, ფუნდამენტის მოწყობის, ლითონკონსტრუქციების, გადახურვისა და საქვაბის სამშენებლო სამუშაოები, დაეგო მონოლითური ფილა; ჩატარდა ბოლნისში იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის საინჟინრო და გეოლოგიური კვლევის ანგარიშის საინჟინრო ექსპერტიზა, ასევე, სამშენებლო პროექტის ექსპერტიზა; ჩატარდა ხაშურში იუსტიციის სახლის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის საინჟინრო ექსპერტიზა და გეოლოგიური კვლევის ანგარიშის საინჟინრო ექსპერტიზა.

6.11 ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

- მიმდინარეობდა „my.gov.ge“-ს ფუნქციონალის ახალი ვერსიის ტექნიკური რეალიზაციის პროცესი (შესრულდა სამუშაოების 90%). ახალ ვერსიაში ფიზიკური პირის ანგარიში დაკავშირებულია მასთან ასოცირებული იურიდიული პირების ანგარიშებთან და შესაძლებელია სხვა მომხმარებლებისათვის წარმომადგენლობითი უფლების მინიჭება;
- დასრულდა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო რეესტრის 21 სერვისის ბიზნესპროცესის აღწერა; მათ შორის, რეალიზებულია 14 სერვისი;
- „ბიზნესსახლის“ პროექტის ფარგლებში შეიქმნა სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს 19 სერვისის ბიზნესპროცესის აღწერის პირველადი დოკუმენტაცია; მათ შორის, დასრულდა 3 სერვისის ტექნიკური რეალიზაციის პროცესი, ხოლო 3 სერვისზე ტექნიკური სამუშაოები თითქმის დასრულდა (ჩატარდა 95%-ის მოცულობით);
- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან ტექნიკურად რეალიზებულია 2 სერვისი. მიმდინარეობს 1 სერვისის ტექნიკური რეალიზაციის პროცესი, ხოლო 4 სერვისისათვის დასრულდა ბიზნესამოცანის ჩამოყალიბების პროცესი;
- დასრულდა სამუშაოები მდგრადი განვითარების გეგმების მონიტორინგის სისტემის (SDG) ფუნქციონალის აღწერის მიმართულებით;
- ძალაში შევიდა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“

საქართველოს კანონის ის პუნქტები, რომლებიც გარკვეული სახის ვალდებულებებს ადგენს ელექტრონული კომუნიკაციისათვის. ზემოთქმულის უზრუნველსაყოფად „my.gov.ge“-ს მიმდინარე ვერსიაში მოხდა ელექტრონული ხელმოწერის საშუალების ინტეგრაცია;

- 12 იუსტიციის სახლში მოეწყო პორტალის (my.gov.ge) კუთხეები, სადაც მოქალაქეებს მისი გაცნობისა და ადგილზე რეგისტრაციის საშუალება ეძლევათ;
- ელექტრონული ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით ევროკავშირის აღმოსავლეთპარტნიორობის ქვეყნებში შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისთვის ვებსაიტების მოსამზადებელი პლატფორმის პირველადი დოკუმენტი;
- სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT.GOV.GE) მიერ საცდელ რეჟიმში დაინერგა ქსელური ნაკადის ანალიზის სისტემა „Cisco Stealth Watch“, რომელიც „Netflow“ ნაკადის ანალიზის საშუალებას იძლევა. ანალიზი უტარდებოდა შემდეგი ორგანიზაციების ქსელურ ნაკადს:
    - ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
    - ✓ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო;
    - ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
    - ✓ საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
    - ✓ სსიპ - სმართ ლოჯიქი;
    - ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
    - ✓ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.
- შპს „ჯორჯიან ქარდის“ თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები კიბერჰიგიენაში; განხორციელდა შეღწევადობის ტესტირება კომერციული ორგანიზაციის შპს „NOVA“-ს კუთვნილ ვებაპლიკაციაზე (www.oppa.ge);
- ჩატარდა 6 ვებაპლიკაციის შეღწევადობის ტესტირება:
    - ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (www.moe.gov.ge);
    - ✓ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო (www.nsc.gov.ge);
    - ✓ საქართველოში ფართოზოლოვანი, ოპტიკურბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა (www.opennet.ge);
    - ✓ საქართველოს პროკურატურა (www.pog.gov.ge);
    - ✓ სსიპ - იუსტიციის სახლი (www.psh.gov.ge);
    - ✓ სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.publish.matsne.gov.ge).
- სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფმა (CERT.GOV.GE) წარმატებით ჩაატარა რიგით მესამე ეროვნული კიბეროლიმპიადა „Cyber Cube 2018“. ოლიმპიადაზე მონაწილეობა მიიღო 130-ზე მეტმა მოსწავლემ და სტუდენტმა. ჯგუფის მონაწილეობით შეიქმნა ოლიმპიადისთვის კიბერსავარჯიშოები, გაიმართა ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურა;
- კიბერუსაფრთხოების ბიუროს გუნდმა მონაწილეობა მიიღო აშშ-ის მიჩიგანის შტატის ეროვნული გვარდიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კიბერსწავლება „პეინტბოლში“ და აშშ-ის სხვადასხვა შტატის ეროვნული გვარდიისა და მათი პარტნიორი ქვეყნების 9 გუნდს შორის საპატიო მესამე ადგილი დაიკავა. სწავლების სცენარი ითვალისწინებდა როგორც თავდაცვითი, ისე თავდასხმითი ოპერაციების წარმოებას არასაიდუმლო და ღია კოდის მქონე პროგრამული უზრუნველყოფების გამოყენებით;
- სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფმა (CERT.GOV.GE) რეაგირება მოახდინა საქართველოს კიბერსივრცეში დაფიქსირებულ 617 ინციდენტზე;
- ჩატარდა 3 ტრენინგი:
    - ✓ „ინფორმაციული უსაფრთხოება: შესავალი, დანერგვა, აუდიტი“ – ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 16-მა პირმა;
    - ✓ „ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა: შიდა აუდიტორი“ – ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 13-მა პირმა;

- ✓ „ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა“ – ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 13-მა პირმა.

6.12 მიწის ბაზრის განვითარება (WB) (პროგრამული კოდი 26 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

- მთლიანად აზომილი იქნა 21 880 მიწის ნაკვეთი, საკუთრების უფლება რეგისტრირებული იქნა 6 514 მიწის ნაკვეთზე, სარეგისტრაციო წარმოება მიმდინარეობდა 15 366 მიწის ნაკვეთზე;
- განხორციელდა მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტი, აზომილი იქნა: ჯიმითში - 2 412 მიწის ნაკვეთი (რეგისტრირებულია 1 828 მიწის ნაკვეთი), მზისგულში - 1 270 მიწის ნაკვეთი (რეგისტრირებულია 930), არხილოსკალოში - 2 341 მიწის ნაკვეთი (რეგისტრირებულია 1 871), არბოშიკში - 3 440 მიწის ნაკვეთი (რეგისტრირებულია 1 459), სალხინოში - 2 817 (რეგისტრირებულია 426), მანგლისში - 4 500 მიწის ნაკვეთი, ხოლო საგურამოში – 5 100 მიწის ნაკვეთი.
- საგურამოსა და სალხინოს საპილოტო არეალებში მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ჩატარდა 2 საინფორმაციო ფორუმი.

6.13 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (პროგრამული კოდი 51 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

- ინსპექტორის აპარატის მიერ კონსულტაცია გაწეულ იქნა საჯარო და კერძო პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე (გაიცა 3 147 კონსულტაცია); 185 დავალება და რეკომენდაცია გაიცა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისათვის მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების გატარების მიზნით; განხილულ იქნა და რეაგირება განხორციელდა 186 მოქალაქის განცხადებაზე;
- განხორციელდა 54 ორგანიზაციის შემოწმება (ინსპექტირება), განცხადებების განხილვისა და ინსპექტირებების განხორციელების შედეგად გამოვლინდა 138 სამართალდარღვევის ფაქტი, დაჯარიმდა 34 ორგანიზაცია, 31 ორგანიზაციას მიეცა გაფრთხილება;
- ჩატარდა საქართველოს სახელით დასადები 18 საერთაშორისო შეთანხმებების ექსპერტიზა და მომზადდა შესაბამისი დასკვნები/ რეკომენდაციები. ასევე, განხილულ იქნა სხვა სახელმწიფოში მონაცემთა გადაცემის შესახებ 4 განცხადება;
- სამართლებრივ აქტებზე მომზადდა 19 დასკვნა;
- პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე აპარატის მიერ ჩატარდა 20 ტრენინგი და საინფორმაციო შეხვედრა 480 საჯარო მოსამსახურის, კერძო სექტორის წარმომადგენლის, ჟურნალისტის, სტუდენტის და სხვა დაინტერესებული პირის მონაწილეობით;
- განახლდა რეკომენდაციის ტექსტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. ასევე შემუშავდა ჯანდაცვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ რეკომენდაციები.

6.15 საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- ჩატარდა სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო 9 დაწესებულებაში;
- მიმდინარეობდა 108 საჯარო სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო სასწავლო პროგრამა, გადამზადდა 28 ტრენერი;
- „არჩევნების მიმოხილვა და პროცედურების ზოგადი სასწავლო კურსი“ ფარგლებში ტრენინგი გაიარა 12 მონაწილემ (მათ შორის, კაცი - 5, ქალი - 7);
- საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური გაძლირების ხელშეწყობის მიზნით საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის განხორციელა ახალი სასწავლო პროგრამა „ტრენერის პროფესიული უნარების განვითარება“; სასწავლო პროგრამა საარჩევნო ადმინისტრაციის 108 მოხელემ გაიარა (მათ შორის ქალი - 49, კაცი - 59);
- განხორციელდა პროექტები: „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“ და „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები";
- საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი თანამშრომლებისთვის გაიმართა ტრენინგი თემაზე „არჩევნების მიმოხილვა და პროცედურების ზოგადი სასწავლო კურსი“;
- გაიმართა სასწავლო კურსი „სამართლებრივი წერა და საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ წარმოება“;
- ჩატარდა ტრენინგი “ეფექტურ კომუნიკაციასა და ანგარიშების მომზადების გაუმჯობესებაში”, ასევე, ტრენინგი საქართველოს პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისთვის თემაზე „საარჩევნო სისტემები და გენდერული კვოტირება“;
- დასრულდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები.

6.17 ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 26 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სმართ ლოჯიქი

- სრული IT სერვისების მიწოდების თაობაზე ხელშეკრულება გაფორმდა 6, ხოლო არსებული ხელშეკრულებები გაგრძელდა 9 ორგანიზაციასთან. გარდა ამისა, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურთან გაფორმდა ხელშეკრულება VoiP სერვერით მომსახურებაზე, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან ქსელური ჩართვის მომსახურებაზე და შპს „ეკოსერვის ჯგუფთან“ ვირტუალური სერვერის განთავსების მომსახურებაზე. სულ მიმდინარე პერიოდში სსიპ - სმართ ლოჯიქის მომსახურებაში ჩართულ ორგანიზაციათა რაოდენობა შეადგენს 43 ერთეულს;
- სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით მიმდინარეობდა სამუშაოები რიგ პროგრამულ უზრუნველყოფებზე:
  - ✓ დასრულდა სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროგრამის ძირითად ნაწილზე მუშაობა, მიმდინარეობს შექმნილი ვერსიისა და შესაბამისი სტატისტიკური მოდულების ტესტირება;
  - ✓ დამზადდა და განთავსდა ვებგვერდი „OGP“-ის 2018 წლის გლობალური სამიტისათვის; ასევე, შეიქმნა მისი ადმინისტრირების მოდული, რომლის მეშვეობითაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საშუალება აქვს, განაახლოს ინფორმაცია;
  - ✓ დაიწერა გადახდისუუნარობის მქონეთა საქმისწარმოების პროგრამის ამოცანა. ამ აპლიკაციის მეშვეობით განხორციელდება გადახდისუუნარო ფიზიკური ან იურიდიული პირის საქმისწარმოების სრული ციკლი.
- „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომზადდა რისკების მოპყრობის გეგმა და მოხდა ყველა აქტივისა და მათი საფრთხეების ინდივიდუალურად შეფასება. ასევე, აქტივის მფლობელებთან ერთად განხორციელდა აღნიშნული საფრთხეების შესაბამისი არსებული და

სასურველი კონტროლების იდენტიფიცირება. მომზადდა კონტროლის მექანიზმების გამოყენებადობის განაცხადი (SoA), რაც გულისხმობს ორგანიზაციის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემისთვის გამოსადეგი და გამოყენებადი კონტროლის მიზნებისა და მექანიზმების დოკუმენტირებულ განაცხადს. რისკების მოპყრობის გეგმაში მოხდა კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის საზომების განსაზღვრა;

- თანამედროვე IT ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნის მიზნით შესრულდა შემდეგი სამუშაოები:
  - ✓ სარეზერვო სასერვეროში ჩატარდა გარკვეული აპარატურული და სისტემური საკონფიგურაციო სამუშაოები, დაიხვეწა სარეზერვო ასლების განთავსების სისტემა. რეალურ გარემოში ამუშავდა „Active Direcoty"-ს სერვისისა და „Microsoft Exchange"-ს დამატებითი საიტი, რაც უზრუნველყოფს მათ ბაზასთან მომხმარებლების წვდომას ძირითად სასერვეროში განთავსებული სერვისის დაზიანებისას;
  - ✓ განახლდა ორგანიზაციის თანამშრომლების შიდა ქსელთან წვდომის სერვისი. დაინერგა ახალი სისტემა „AnyConnect VPN"-ის გამოყენებით, რომელმაც გააუმჯობესა მომხმარებელთა დისტანციური მუშაობის ხარისხი;
  - ✓ შესრულდა „Office 365"-ის კონფიგურაცია სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსათვის", ტესტირების რეჟიმშია რამდენიმე სისტემა „Microsoft Azure"-ის გარემოში;
  - ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა მიგრაციის პარალელურად გაიმართა ქსელური ინფრასტრუქტურა და სამუშაო ადგილები.
- მიმდინარეობდა სათავო ოფისის ძირითადი კონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოები.

7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

7.1 განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

- მიმდინარეობდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის" ფარგლებში სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა. საკუთრებაში ბინები გადაეცა 779 ოჯახს;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით:
  - ✓ მიმდინარეობდა დევნილთა განსახლების ობიექტებში და ახალაშენებულ კორპუსებში ელექტროენერგიის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის, წყლის, სანიაღვრე და სავენტილაციო სისტემების მიერთება-მოწყობის და სახურავის გადახურვის სამუშაოები;
  - ✓ ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 273 საცხოვრებელი სახლი.
- განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 48 ბინის გამოსყიდვა;
- ქ. თბილისის მერიასთან და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან თანადაფინანსებით სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 19 ობიექტს;
- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 4 010 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 910 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 50-დან 300 ლარამდე);

- დასრულდა მენაშენეებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში, რუსთავის გზატკეცილი N18-22, ვაზისუბნის დასახლება IV მიკრო/რაიონი პატარაძის ქუჩაზე და დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე. მიმდინარეობდა ბინების შესყიდვა: ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. მარნეულსა და ქ. ქუთაისში;
- დასრულდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის სამხედრო დასახლებაში მდებარე კორპუსი N5-ის ღია აივნების გადახურვისა და კორპუსი N6-ის საძირკვლის გამაგრება-გაძლიერების, შიდა სარემონტო და ეზოს კეთილმოწყობის, ხოლო კორპუსი N1-ის და კორპუსი N14-ის სახურავის გადახურვის სამუშაოები. ასევე, ერედვისა და თიღვის მუნიციპალიტეტებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთათვის, გრძელვადიანი განსახლების ფარგლებში გადაცემული კოტეჯების იატაკების აღდგენა რეაბილიტაცია, ქ. წალკაში, იოანიდის ქ. N38-ში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტის სახურავისა და დაზიანებული კარ-ფანჯრების სარეაბილიტაციო სამუშაოები, დუშეთის რაიონში, ბაზალეთის ტბის მიმდებარედ მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტზე (შვიდსართულიანი კორპუსი) ლიფტის მოწყობის სამუშაოები და დიდი დიღმის IV მ/რ-ში 22-ე კორპუსში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტის სახურავის გადახურვის სამუშაოები;
- ახალაშენებულ კორპუსებში გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 395 ოჯახი (ქ. ზუგდიდში - 240 ოჯახი, ქ. თბილისში - 115 ოჯახი, დაბა ვაზიანში - 40 ოჯახი).
- მიმდინარეობდა II ეტაპის მშენებლობა ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. N53-ში (სამი შეწყვილებული თექვსმეტსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი), III ეტაპის მშენებლობა ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქ. N7-ში (სამი თორმეტსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი), I ეტაპის (ორი ათსართულიანი) საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა ქ. წყალტუბოში სოფ. გვიშტიბში და ქ. მცხეთაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ორი ათსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა.
- მიმდინარეობდა ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. N86-ში (ყოფ. საავადმყოფოს შენობა, სამი კორპუსი) მდებარე შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, ქ. თბილისში, კონსტიტუციის ქ. N6, ჩუბინაშვილის ქ. N52, თვალჭრელიძის მე-3 შესახვევი N7-ში, ბორჯომის ქ. N8/10-ში სახურავის რეაბილიტაცია. აღმაშენებლის N21-ში რბილი და ქანობიანი სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ქ. სამტრედიაში, ვაჟა-ფშაველას ქ. N25-ში სახურავისა და წყალ/კანალიზაციის რეაბილიტაცია.

7.2 იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 34 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები

- სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შეძენილ იქნა 94 საცხოვრებელი სახლი, ასევე, 20 სტიქიით დაზარალებული ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა საკომპენსაციო თანხით (თითოეულ ოჯახზე 50,0 ათასი ლარის ოდენობით);
- „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამის ფარგლებში 6 არასამთავრობო ორგანიზაციაზე გაიცა გრანტები (სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების დაფინანსება, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა, საცხოვრისით დროებით უზრუნველყოფა).

- ხორციელდებოდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების განხილვა. აპლიკაციების განხილვის შედეგად ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭა - 12 პირს, ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა - 9 პირს, ხოლო თავშესაფრის (ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი) მინიჭებაზე უარი განეცხადა 342 პირს. საქმის წარმოება პირადი განცხადების საფუძველზე შეწყდა 81პირზე, ხოლო პროცედურებზე გამოუცხადებლობის გამო - 15 პირზე;

7.3 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 22 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი მართავდა ინტენსიურ შეხვედრებს და მჭიდროდ თანამშრომლობდა პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. სახელმწიფო მინისტრის აპარატში, ასევე იმართებოდა ორმხრივი შეხვედრები ადგილობრივ არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ევროკავშირის, ევროსაბჭოს, გაეროს და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან;
- ჩატარდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 44-ე რაუნდი. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მჭიდროდ თანამშრომლობს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რომელიც საქართველოს დელეგაციას თავმჯდომარეობს. აქტიური მონაწილეობა იქნა მიღებული ჟენევის დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფში, რომელშიც განიხილება ჰუმანიტარული საკითხები:
  - ✓ გამყოფ ხაზებზე რუსი სამხედროების მიერ ხელოვნური ბარიკადების აღმართვის შედეგად მოსახლეობისათვის წარმოქმნილი მძიმე ჰუმანიტარული და სოციალური გამოწვევები;
  - ✓ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა;
  - ✓ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა;
  - ✓ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ადამიანის უფლებების, მათ შორის განსაკუთრებით გალის მოსახლეობის უფლებების, უხეში დარღვევების ფაქტები;
  - ✓ ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა ახალგორსა და გალის რაიონში;
  - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნება;
  - ✓ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა.
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი მონაწილეობას იღებდა ერგნეთსა და გალში გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში (ერგნეთსა და გალში ჩატარდა ხუთ-ხუთი შეხვედრა). აღნიშნულ ფორმატში განიხილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ადამიანის უფლებების დარღვევების, მათ შორის უკანონო დაკავებებისა და პატიმრობის ფაქტები, ყაჩაღობის, ძალადობის, თანხის გამოძალვის მიზნით გატაცების, მკვლელობისა და ქონების მისაკუთრების შემთხვევების, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის საკითხები. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რაეგირების მექანიზმის მუშაობის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურთან;
- მიმდინარეობს უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების სამმხრივი ფორმატის მუშაობა (თბილისი, მოსკოვი, ცხინვალი. ფორმატში შუამავლის როლს ასრულებს წითელი ჯვარი);

- მიღებულ იქნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები 884 ადამიანის განცხადება საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან სამედიცინო დახმარების შუამდგომლობის თაობაზე. აფხაზეთის რეგიონს მიეწოდა იმუნიზაციის ვაქცინები, დიაბეტის და ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრეპარატები;
- აპარატის თანამშრომლები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ და მონაწილეობდნენ ქალთა უფლებების დამცველ და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მომზადებულ შეხვედრებში.
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებდა ევროინტეგრაციის საკითხთა ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესახებ მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგიითა და 2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.
- მიმდინარეობდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ნდობის აღდგენის პროექტების განსახორციელებლად მოდალობების ფარგლებში სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროექტებზე თანხმობის ბრძანებების გაცემა. ევროსაბჭოს ნდობის აღდგენის პროექტების ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე ქართულ-აფხაზური შეხვედრა;
- სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით მომზადდა სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც მოიცავს სამ მიმართულებას: ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის განათლების შესაძლებლობების განვითარება; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის სახელმწიფოებრივ სივრცეში სხვადასხვა მომსახურების მიღების გამარტივება;
- გაგრძელდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტების, პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება;
- მომზადდა და სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიას წარედგინა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2018 წლის სამოქმედო გეგმა;
- გაიმართა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშისა და 2018 წლის სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია, რომელსაც სახალხო დამცველის აპარატთან არსებული უმცირესობათა საბჭოს და სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის წევრები ესწრებოდნენ;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში, არაქართულენოვანი სკოლებისათვის გამოცხადდა კონკურსი „ჩემი პირველი ქართული როლი“;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მონაწილეობით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების/გოგონებისთვის ქალთა ეკონომიური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ქ. მარნეულში;
- გაიმართა „1+4” სტაჟირების განახლებული პროგრამის პრეზენტაცია სხვადასხვა უნივერსიტეტში, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.
- არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები განათლების სფეროში არსებული სიახლეების შესახებ (შეხვედრები ჩატარდა: გარდაბნის მუნიციპალიტეტის, ასევე ახალქალაქის მუნიციპალიტეტის - კუმურდოს, დილისკას, კულიგამის, ტურცხის, კარწახის და სულდეს, ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის - სოფელ ლამბალოს, იორმუღანლოსა და დუზაგრამის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან);
- გაიმართა პროექტის „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის“ შედეგების პრეზენტაცია;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ქ. ფოთში გაიმართა ვაინახური კულტურისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს წევრებმა და ახალგაზრდებმა;
- აპარატის ინიციატივით პანკისის ხეობის სხვადასხვა სოფლის სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან გაიმართა შეხვედრა, სადაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო მინისტრის

აპარატის საქმიანობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პროექტების შესახებ;

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით გამოცხადდა კონკურსი ქვემო ქართლში მცხოვრები ქალებისთვის სასწავლო/ტრენინგ კურსში „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ ბიზნესი“ მონაწილეობის მისაღებად. სასწავლო კურსში, რომლის მიზანიც მეწარმეობის შესახებ თეორიული ცოდნის ამაღლება და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერებაა, მონაწილეობა მიიღო თექვსმეტმა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა ქალმა.
- ევროკავშირის შესახებ გავრცელებული 10 მითის შესახებ საინფორმაციო მასალა ითარგმნა აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.
- გაიმართა, პროექტის „ახალგაზრდა ევროპელი ელჩების“ მონაწილე ტრენერების დაჯილდოებისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ტრენერებმა, სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით, სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების 50 სოფელში ჩაატარეს 70-მდე ტრენინგი. საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია მიიღო 1 700-მდე მონაწილემ;
- ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში გაიმართა სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიის პრეზენტაცია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით, ქვემო ქართლის 7 მუნიციპალიტეტში ჩატარდა 17 შეხვედრა, ხოლო კახეთის რეგიონის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 5 მუნიციპალიტეტში 13 საინფორმაციო შეხვედრა. დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, სოციალური და ეკონომიკური პროგრამის შესახებ;
- აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით და სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით გაიმართა საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების შეხვედრა წალკაში ადგილობრივ მოსახლეობასთან გენდერული თანასწორობისა და ოჯახური ძალადობის საკითხებზე და ამ მიმართულებით არსებულ სერვისებზე;
- გაგრძელდა არაქართულენოვანი გამოცემების „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“ მხარდაჭერა. გაზეთები გავრცელდა რეგიონებსა და თბილისში;
- ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიმართულებით მიმდინარეობდა თანამშრომლობა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ექსპერტებთან.

35 7.4 საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 34 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

- „სოციალურად დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში შემოვიდა 84 განაცხცადი. მიმდინარეობდა მათი დამუშავება. USAID - ის მიერ დაფინანსებული პროექტი „ზრდა საქართველოში,“ ერთად შეიმუშავა საგრანტო პროგრამა სამინისტროს სახლის შესყიდვის პროგრამის ფარგლებში განსახლებული დევნილებისათვის. პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, ჯამში შემოვიდა 40 განაცხადი. ადგილზე მონიტორინგისა და კომისიური წესით განხილვის შემდეგ დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 18 განაცხადზე.
- სააგენტომ პარტნიორ ორგანიზაციასთან, „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“, ერთად შეიმუშავა მეწარმე სუბიექტთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროგრამა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება დევნილი მეწარმე სუბიექტებისათვის 5 000-დან 10 000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებების შესყიდვა. ყველა დაფინანსებული მეწარმე სუბიექტი ვალდებულია დაასაქმოს მინიმუმ 1 დევნილი, ეკომიგრანტი ან ადგილობრივი მოწყვლადი პირი. პროგრამა

ხორციელდება მარნეულის, თეთრიწყაროს, სენაკის, ფოთისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა აქტიური საინფორმაციო კამპანია და გამოცხადდა პირველადი საპროექტო იდეების კონკურსი. პირველ ეტაპზე შემოვიდა 67 განაცხადი.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით განახლდა „დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა“ და გამოცხადდა საპროექტო განაცხადების მიღება. პროგრამის ფარგლებში შემოვიდა 84 განაცხადი.
- განხორციელდა სამი საინფორმაციო კამპანია, რომელთა ფარგლებშიც ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები რეგიონებში (10-ზე მეტი შეხვედრა), გაიგზავნა მოკლეტექსტური შეტყობინებები დევნილებთან (სულ 1 619 273 შეტყობინება). ასევე, განხორციელდა მოხალისეების ჩართულობით საინფორმაციო კამპანიის პირველი ეტაპი, რომლის ფარგლებშიც სააგენტომ შეარჩია, დაატრენინგა და ინფორმაციის გავრცელების პროცესში ჩართო 5 მოხალისე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. გარდა ამისა, გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელთან თანამშრომლობითაც დაიბეჭდა 4 000 ფლაერი, 1 300 განაცხადის ფორმა (სხვადასხვა პროგრამისთვის), 1 000 მონიტორინგის ფორმა (სხვადასხვა პროგრამისთვის) და 1 პორტატული ბანერი.

8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

8.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
- ✓ ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი

- მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ფარგლებში დაფინანსდა სპორტის 41 სახეობაში 85 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 135 სასწავლო - საწვრთნელი შეკრება, მონაწილეობა იქნა მიღებული 88 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაში.
- ქართველმა სპორტსმენებმა საერთაშორისო ასპარეზზე მოიპოვეს 140 ოქროს, 133 ვერცხლის, 144 ბრინჯაოს, ჯამში 417 მედალი.
- საქართველომ უმასპინძლა მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს:
  - ✓ ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი ჭადრაკში;
  - ✓ თბილისის გრან-პრი ძიუდოში;
  - ✓ მსოფლიო რბენა „Wings for Life“ 2018;
  - ✓ ჭიდაობის გრან-პრი (ბალავაძე - კარტოზია);
- მიმდინარეობდა მზადება მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამართვისათვის (ქ. ბათუმი) და ევროპის სპორტის მინისტერიალი-2018-ის ჩასატარებლად (ქ. თბილისი);
- სპორტის საერთაშორისო დღის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავის აღსანიშნავად სპორტის 20-მდე სახეობაში ჩატარდა მასობრივი სპორტული ღონისძიებები, ასევე, 12 მასობრივ სპორტული ღონისძიება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისათვის. აღნიშნულ ღონისძიებებში ჯამში 20 000-მდე პირი მონაწილეობდა.
- დასრულდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელშიც 100 000-ზე მეტი სკოლის მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.
- მუშავდება სპორტული ღონისძიებების გამართვის სტანდარტი, შეიქმნა პროექტი, სადაც გაწერილია გამართვის წესი, სპორტული ორგანიზაციების ვალდებულებები, რეკომენდაციები, მონიტორინგის განხორციელების წესი და სხვა საკითხები.

- უწყებათაშორისი კომისიის თემატური ჯგუფის ფარგლებში გრძელდება მუშაობა სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შემუშავებულ კანონპროექტზე, რის ფარგლებშიც დაგეგმილია ცვლილებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.
- გასულ წელს სამინისტრომ მოიპოვა ევროკომისიის ინიცირებული ღონისძიების „ევროპის სპორტის კვირეულის“ საქართველოში გამართვის უფლება, რომელიც ერთი კვირის მანძილზე მთელი ქვეყნის მასშტაბით სპორტული და სხვა ტიპის აქტივობებით იქნება აღნიშნული. ამ მიზნით, მიმდინარე წელს სამინისტროში შექმნა საორგანიზაციო ჯგუფი და დაიწყო აღნიშნული ღონისძიების დაგეგმვის პროცესი. ამავე ფარგლებში, გაიმართა სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტი EWoS საორგანიზაციო ჯგუფის შეხვედრაზე.
- „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წწ) სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში საბაზისო დაფინანსება მიიღო ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე 79-მა საფეხბურთო კლუბმა. კლუბების ფინანსური სტიმულირების კომპონენტით სტიმულირება გაეწია ეროვნული ლიგა 1-2-3 ში მონაწილე 25 საფეხბურთო კლუბს. კლუბების საპრიზო და პრემიალური ფონდის კომპონენტით დაფინასება მიიღო 20-მ საფეხბურთო კლუბმა.
- საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციასთან ერთობლივი თანამშრომლობით საქართველოს მაშტაბით მიმდინარეობდა მოყვარულ ფეხბურთელთა შორის ჩემპიონატი, სადაც 400-დე გუნდის 8000-დე ფეხბურთელი ღებულობს მონაწილეობას;
- ჩატარდა ფუტსალის ჩემპიონატი და ზამთრის თასი, რომლშიც მონაწილეობა მიიღეს ეროვნული ჩემპიონატის 20-მა კლუბმა და ბავშვთა 20-მა გუნდმა, საქართველოს, ევროპის სხვადასხვა ქვეყნების და UEFA-ს ნაკრებმა გუნდებმა.
- კლუბების ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში საფეხბურთო კლუბებს გადაეცა სპორტული ინვენტარი (სავარჯიშო და სათამაშო ბურთები);
- განხორციელდა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ქალთა ფეხბურთში მონაწილე კლუბების მხარდამჭერი პროგრამა.
- საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დასრულდა მსაჯთა აკადემიის პირველი ნაკადის სწავლება. მიმდინარეობს მწვრთნელების PRO ლიცენზიის კურსი და ასევე „სერტიფიკატი საფეხბურთო მენეჯმენტში“ პროექტი ჯიპასთან ერთად.

8.2 საქართველოში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 3302)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- ✓ სსიპ ორგანიზაციები

- დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები შემდეგი ღონისძიებების ჩასატარებლად: თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი; საერთაშორისო ქრისტიანული ფილმების ფესტივალი „წმ. ანდრეას ჯვარი“; თბილისის საერთაშორისო ფოტო ფესტივალი; ტრადიციული რეწვისა და დიზაინის საერთაშორისო სამიტი - ეთნოფესტი; თბილისის სცენოგრაფიის ბიენალე; ბელორუსის რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეების ფარგლებში ანსამბლ „ერისიონის“ კონცერტი; „შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი“; რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი; ფესტივალი „არტგენი“; ბათუმის კლასიკური მუსიკალური ფესტივალი; ფესტივალი „ღამის სერენადები“;
- მიმდინარეობდა: დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „CineDoc“; საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა; თანამედროვე ხელოვნების გალერეა; თეა გვეტაძის პერსონალური გამოფენა „გარდასახვა - თეა მერლანი“; ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“; ძმები ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „Fest I Nova“.

- განხორციელდა: კავკასიის თანამედროვე მუსიკის დაჯილდოვება „ფენიქსი“, სასულიერო მუსიკის მსოფლიო ფესტივალში „ქეთევანი“ ანსამბლის „აღსავალი“ მონაწილეობა, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში ქართული ლიტერატურისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში სამი ქართველი მწერლის მონაწილეობის მხარდაჭერა, თბილისის ჯაზ-ფესტივალი, თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი, თბილისის მოდის კვირეული, ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა თბილისის საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი, საბავშვო ფილმების ფესტივალი „ოქროს პეპელა“, ფოტოკვირეული „ქოლგა თბილისი ფოტო“, თბილისის მერსედეს ბენცის მოდის კვირეული, SOFA - კინოაგენტების სკოლა, თანამედროვე მუსიკის საღამოები, UNESCO - ს სათაო ოფისში პიანისტ ელისო ბოლქვაძისა და ანსამბლ „ბასიანის“ კონცერტი, ქ. ბრიუსელში საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავი ღონიძიება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე პიანისტ გიგი ჭიპაშვილის და ვოკალისტ მარიამ ჯომარდიძის მონაწილება; აშშ-ში პროექტი „Georgian Overtones“ - საქართველოს 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება; თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი და კონკურსი;
- „ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში ქართველი ხელოვანების მონაწილეობა“ კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 12 პროექტი.
- ხელი შეეწყო შემდეგ ღონისძიებებს/პროექტებს: კონკურსი „ლიტერატურული ჟურნალი“, „ლიტერატურული პრემია „ლიტერა“, თბილისის წიგნის მე-20 საერთაშორისო ფესტივალი, თბილისის მე-4 საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალი, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს თელავში, კონკურსს „თარგმნილი პიესა-2018“, ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მონაწილეობას იაპონიაში აზიის ქვეყნების საბავშო თეატრების ფესტივალში და სერბეთში, ქ. ბელგრადში საერთაშორისო ფესტივალში „სლავია-2018“ მონაწილეობა, ჯანსუღ კახიძის სახელობის მე-4 საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალი, საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის საქმიანობა, საქართველოს ყრუთა კავშირის პროექტი „ჟესტური სამყარო“, საქველმოქმედო კავშირი „კეთილი ფონდი“ პროექტი „ვაჩუქოთ შეხება“; კონკურსი „შშმ პირთა ინტეგრირებული შემოქმედებითი აქტივობების (კონცერტი, გამოფენა, დადგმა) ხელშეწყობა“, 2 კონკური: „თბილისსა და რეგიონებში გამოფენების ხელშეწყობა“ და „სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობა“, 64 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება, კონკურსი „თარგმნილი პიესა 2018“ (გამოვლინდა 3 გამარჯვებული პიესა); თბილისის ვოკალისტთა პირველი საერთაშორისო კონკურსი, პროექტის „ქართული კინომემკვიდრეობის დაბრუნება“ 2018 წლის პირველი ეტაპი (11 ფილმი);
- გაიმართა თბილისის მე-11 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი (მონაწილეობდა 4 ქვეყნის კინოსკოლის 22 წარმომადგენელი, გაიმართა კინოჩვენებები, მასტერკლასები, დაჯილდოების ცერემონია). ფილმი „მზის გოგონები“ წარსდგა კანის კინოფესტივალზე;
- გამოიცა: ჟურნალების „არილი“, „საუნჯე“ და „დილა“ 6-6 ნომრი, ჟურნალების „თეატრი“ და „მუსიკა“ - 2 ნომერი, ზ. ფალიაშვილის ოპერის „დაისი“ კლავირი, წიგნი-ალბომი „ოზურგეთის თეატრი - 150“.
- მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები შემდეგი ღონისძიებების ჩასატარებლად: კონკურსი „საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა ტრადიციული დღესასწაულებისა და საიუბილეო ღონისძიებების მხარდაჭერა“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო კონკურსი, ლიტერატურული კონკურსი „წერო“, ფესტივალი „თბილისის წიგნის დღეები“, გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსი, ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „პრემია პოეზიის მთარგმნელებისათვის“, კონკურსი „ახალი ქართული პიესა 2018“, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“; ოსკარზე წარსადგენი ქართული ფილმის სარეკლამო კამპანიის ხელშესაწყობა; ასევე, რეგიონის 5 თეატრის სადადგმო და საგასტროლო, თბილისის 2 თეატრის საგასტროლო, ცხინვალის თეატრის საქმიანობის ხელშეწყობა, 7 თეატრში ახალ დადგმებზე მოსამზადებელი სამუშაოები;

- მიმდინარეობდა დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში სახელოვნებო სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა; ოტია იოსელიანის საკვირაო სკოლის დაფინანსება; პროექტი „ცოცხალი წიგნები“;
- განხორციელდა: საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“; კომედიის ფესტივალი; კავკაზ ჯაზ ფესტივალი; საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა რეგიონალური კონკურსი.
- დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები: საჯარო დაფინანსების სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლისათვის; მასობრივი სპორტისა და ხელმისაწვდომობის სტრატეგიის დოკუმენტის და „ფიზიკური აღზრდის შესახებ კანონის“ დამტკიცებისთვის; ევროპის საბჭოს სპორტის შესახებ გაფართოებული წილობრივი შეთანხმების (EPAS) სპორტზე პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის ორგანიზებისთვის; სსიპ - შემოქმედებითი საქართველოს მეშვეობით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს კულტურული მარშრუტების მობილურ აპლიკაციაზე; გაერო-ს კონტრტერორისტული კომიტეტის ვიზიტისთვის.
- „საქართველოში სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს“ მიმდინარეობდა ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა „მასობრივი სპორტისა და ხელმისაწვდომობის სტრატეგიის“ დოკუმენტზე ;
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მიზნობრივ ჯგუფებთან ჩატარდა შეხვედრები „ფიზიკური აღზრდის შესახებ კანონის“ და „მასობრივი სპორტისა და ხელმისაწვდომობის სტრატეგიის“ დოკუმენტების შესამუშავებლად;
- საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და საქართველოს პარლამენტს (ან საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტს) შორის თანამშრომლობის ოთხმხრივი მემორანდუმის ხელმოსაწერად განხორციელდა შესაბამისი პროცედურები;
- „მწვრთნელები კონტინენტის გარშემო“ (Coaches Across Continents - CAC) ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, მიმდინარობდა მოლაპარაკებები საქართველოს რეგიონებში სპორტის სხვადასხვა სახეობებში მწვრთნელებისთვის ტრენინგ პროგრამების ჩასატარებლად;
- კულტურის ობიექტების ელექტრონული რუკისთვის მომზადდა კითხვარი/პასპორტი კულტურის ობიექტების ინფარსტრუქტურული, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობისა და საგანმანათლებლო სერვისების შესახებ;
- მუშავდება BSEC-ის წევრი-ქვეყნების თანამედროვე ლიტერატურის ანთოლოგიის გამოცემასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები;
- კულტურის და სპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ გაფორმდა შემდეგი დოკუმენტები: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კვიპროსის რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი 2018-2022; ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კორეის რესპუბლიკის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს შორის სპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და უკრაინის კულტურის სამინისტროს შორის 2019-2023 წლებისთვის თანამშრომლობის პროგრამა
- მიმდინარეობდა შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურები თანამშრომლობის დაახლოების 35 დოკუმენტზე.
- მომზადდა ასოცირების შეთანხმების 2017 სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; მომზადდა ასოცირების შეთანხმების 2018 სამოქმედო გეგმა; კულტურის სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების შიდაუწყებრივი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და კულტურისა და სპორტის პოლიტიკის განახლებულ ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2017 წლის ანგარიში;
- ჩამოყალიბდა სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის 2020-2030 წლების დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა;
- დამტკიცდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის „ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის“ ინსტრუმენტის “TAIEX-ის ღონისძიებათა (სასწავლო ვიზიტი, ვორქშოპი) სააპლიკაციო განაცხადი.
- შემუშავდა კულტურის სფეროში მონაცემთა ბაზის ფორმატი;

- კულტურისა და სპორტის პოლიტიკის ვებგვერდის განახლება;
- მოხდა BSEC-ის ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის შექმნის პროექტის BSEC-ის მუდმივმოქმედ საერთაშორისო ბიუროში წარდგენა; გაიმართა BSEC-ის წევრი-ქვეყნების თანამედროვე ლიტერატურის ანთოლოგიის გამოცემასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებზე კონსულტაციები სხვადასხვა უწყებებთან; მომზადდა ინფორმაცია BSEC-ის წევრი-ქვეყნებთან კულტურის სფეროში არსებული ურთიერთობების შესახებ და მიეწოდა საქართველოს პარლამენტს;
- 2020 წელს ჯაზის საერთაშორისო დღის ქ. თბილისში მთავარი ღონისძიების გამართვის მიზნით, სხვადასხვა უწყებებთან ერთად მომზადდა შესაბამისი განაცხადი და წარედგინა UNESCO-ში;
- მიღებულია საქართველოს კულტურული მარშრუტების 4 პროექტის განაცხადი, რომლებიც განსახილველად გაეგზავნათ ევროპის საბჭოს წევრებს;
- გაიმართა დარგობრივი (სპორტულ ფედერაციებთან) და რეგიონული (ქ.თელავი, ქ.გორი, ბოლნისის მუნიციპალიტეტი) სამუშაო შეხვედრები მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის განსახილველად და დასახვეწად;
- გაიმართა რეგიონული სამუშაო შეხვედრები „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის განსახილველად ქ. თელავში, ქ. გორსა და ბოლნისის მუნიციპალიტეტში;
- 2018 წლის კულტურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმების დამტკიცებასთან დაკავშირებით ადგილობრივ ხელისუფლებებთან დამყარდა კომუნიკაცია;
- ესტონეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავისა და ორივე ქვეყნის დამოუკიდებლობის 100 წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოში გაიმართა ესტონეთის რესპუბლიკის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი;
- BSEC-ის მუდმივმოქმედ საერთაშორისო ბიუროში წარედგენა BSEC-ის ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის შექმნის განახლებული პროექტი;
- მოძიებულ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში ქართული კულტურის ცენტრის ფუნქციონირების საკითხთან დაკავშირებით არსებული მასალები და მიეწოდა საქართველოს პარლამენტს;
- ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების გაფართოებული წილობრივი შეთანხმების (EPA) მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2021 წელს საქართველო კულტურული მარშრუტების ფორუმს უმასპინძლებს;
- ქსელში გაეშვა ვებ-გვერდი www.culturalroutes.gov.ge;
- ლიტერატურული პროგრამის ფარგლებში მომზადდა პროექტები: „ლიტერატურული პროგრამა გერმანიის მასშტაბით, 250-მდე ღონისძიება“, „PR სააგენტოს მომსახურება/ პრომო მასალების დიზაინი“, „ქართველი ილუსტრატორების პროგრამა/ შტრუველპეტერის მუზეუმში ილუსტრატორების გამოფენა“, „კოორდინატორის მომსახურება/ღონისძიებების დაგეგმარების ონლაინ პროგრამის სააბონენტო გადასახადი“, საქართველოს გამომცემელთა ასოციაციის პროგრამა;
- მოეწყო თბილისის წიგნის ბაზრობა საქართველოში;
- განხორციელდა ლიტერატურული ღონისძიებები გერმანიის 15 ქალაქში, ქართველი ილუსტრატორების პროგრამა, ფრანკფურტის PR კომპანიის ფარგლებში; საზღვარგარეთ გამოიცა 100-ზე მეტი წიგნი.
- მიმდინარეობდა ლიტერატურული პროგრამის ფარგლებში 360-ზე მეტი აქტივობის მომზადება.
- კულტურული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ფესტივალის მსვლელობისას Books at Berlinale, შვერინის კინოფესტივალის ფარგლებში ქართული ფილმების რეტროსპექტივა, ჰამბურგში საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრისა და პიანისტ დუდანა მაზმანიშვილის კონცერტი.
- კულტურული პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს 85-ზე მეტი ღონისძიების მომზადება, მათ შორის: 10 მუსიკალური ღონისძიება (კონცერტი, პერფორმანსი), 25 თეატრალური სპექტაკლი, უორქშოპი, მასტერკლასი, პიესების კითხვა, 25კინოაქტივობა (კინოჩვენებები, პრეზენტაციები), 11

გამოფენა, სემინარები, უორქშოპები, მდინარის ფესტივალის ფარგლებში საქართველოს მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგენის პროექტი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება 10 მუსიკალური და თეატრალური პერფორმანსი.

8.4 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- ✓ საქართველოს მუზეუმები;
- ✓ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

- მიმდინარეობს: სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახლ - მუზეუმის საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაციის პროექტის მომზადება; სსიპ - დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის II ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სსიპ - აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში სოციალური საწარმოს მოწყობა შშმ პირებისთვის; სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის როსტომისეული სასახლისა და კარის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშოები; სსიპ - ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის კომპლექსში შემავლი ილიას კოშკის რეაბილიტაცია, ბიბლიოთეკის, ფონდსაცავის, სააქტო დარბაზის, ვესტიბიულის ჭერისა და ბეღელის რეაბილიტაციის პროექტის მომზადება, ეზოში არსებული სველი წერტილის მოწესრიგების სამუშაოები; საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემისა (egmc.gov.ge) და კულტურული მარშრუტების ვებ-გვერდის შენახვა; ევროკომისიის ინიციატივით, 2018 წლის კულტურული მემკვიდრეობის წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების ხელშეწყობა; სამუზეუმო ფასეულობათა რესტავრაცია-კონსერვაცია.
- განხორციელდა: ევროკომისიის ინიციატივით, 2018 წლის კულტურული მემკვიდრეობის წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების ხელშეწყობის ფარგლებში - საერთაშორისო ფორუმი „მუზეუმები საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის“; სსიპ - დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში საექსპოზიციო სტენდების შემოსაფარგლავი მოწყობილობის (ბარიერების) შეძენა;
- მუზეუმების პოპულარიზაციისა და სამუზეუმო ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის გააქტიურების მიზნით, მოეწყო გამოცემების პრეზენტაციები, შეხვედრები, გამოფენები, ჩატარდა საჯარო ლექციები ადგილობრივი და მოწვეული მეცნიერების მიერ;
- სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა და დაინერგა საგანმანათლებლო პროგრამები, აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ახალი ექსპოზიციების მოწყობაზე (თელავის ისტორიული მუზეუმი, ბოლნისის ახალი სამუზეუმო სივრცე);
- მიმდინარეობდა მუშაობა სამუზეუმო კოლექციების აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში ექსპონატების აღრიცხვა-სისტემატიზაციაზეთან დაკავშირებით. დღემდე სისტემაში აღრიცხულია 12 000-ზე მეტი ექსპონატი;
- მომზადდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შემდეგი ძეგლების რეაბილიტაციის საპროექტო და წინასაპროექტო დოკუმენტაცია: სოფ. ოძისი, ერისთავების სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი (II ეტაპი); სოფ. შატილის N6 კოშკის საძირკვლის გაძლიერების პროექტი; ბებრიციხის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაციის პროექტი; ჯ. კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის დაზიანებული ფასადის რესტავრაციის პროექტი I (კვლევითი) ეტაპი; ქ. თბილისი, ისნის ქ. 24, სახცოვრებელი სახლის დროებითი გამაგრების პროექტი; ალამინის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის დამცავი პავილიონის მოწყობის პროექტი; ჭიშურას ხიდის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი; სოფ. ალექსეევკა, წმ. კვირიკე და ივლიტას სახელობის ეკლესიის სახურავის გამოცვლის პროექტი; ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის

სკანირებული მეთოდით ანაზომები (I ეტაპი); ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის ინფრასტრუქტის განვითარების პროექტი; სამთავროს დედათა მონასტრის მონაზონთა კელიების რეკონსტრუქციის პროექტი; გელათის გზის საყრდენი კედლის რეაბილიტაციის პროექტი; ოფრეთის ხიდის რეაბილიტაციის პროექტი; უჯარმის ციხის ინფრასტრუქტურისა და კოშკის გამაგრების პროექტი; უფლისციხის კოტეჯების რეაბილიტაციისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი; გორის ციხის რეაბილიტაციის პროექტი I ეტაპი; სოფ. ფცა, კოშკის რეაბილიტაციის პროექტი; გრაკლიან გორაზე არქეოლოგიურ კვლევებთან დაკავშირებით, თიხისა და ალიზის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევითი ანალიზი. გრაკლიანის არქეოლოგიური ზონის ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი;

- სოფელ ჩარგალში ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის საგამოფენო შენობის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის წინასაპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების მიზნით ტერიტორიის ტოპო-გეოდეზიური მიმდინარეობდა გადაღება და საბაზისო-საყრდენი დოკუმენტის შექმნა.
- მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება: ხრესილის თემი, სოფ. ახალდაბა, ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი და სკოლის რეაბილიტაციის პროექტი; სვეტიცხოვლის გალავნის დასავლეთი ნაწილის რეაბილიტაციის პროექტის კორექტირება; სოფ. დიდგორსა და თელოვანს შორის, ნაოქიანის ხევის პირას მდებარე წმ. გიორგის სახელობის მცირე დარბაზული ეკლესიის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი; ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. N9, სახურავის რეაბილიტაციის პროექტი; ქ. თელავი, ახოსპირელის ქ. N6, საცხოვრებელი სახლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი; ქ. თელავი, ბატონის ციხის ტერიტორიაზე მდებარე სანკვანძის მოწყობის პროექტი; ბებრიციხის რეაბილიტაციის III ეტაპი; სოფ. ოძისი, ერისთავების სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი (III ეტაპი); სოფ. ფხელშე, ეკლესიის რეკონსტრუქციის პროექტი; ვარძიის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის შენობის პროექტის კორექტირება; ერკეთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის სუბსტრუქციის რეაბილიტაციის პროექტი; უფლისციხის კოტეჯების რეაბილიტაციისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი II ეტაპი;
- გაფორმდა ხელშეკრულებები შემდეგი ძეგლების რეაბილიტაციის/კონსერვაციის საპროექტო და წინასაპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით: ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის სკანირებული მეთოდით ანაზომების მომზადება II ეტაპი; ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მდგომარეობის მულტიდისციპლინარული კვლევა - მონიტორინგი და საკონსულტაციო მომსახურეობა; ატენის სიონის დასავლეთი აფსიდის კედლის მხატვრობის საპროექტო კვლევა და დოკუმენტაციის მომზადება; სოფ. ლამისყანა, ჯამბაკურ-ორბელიანთა მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტის კორექტირება; სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის შენობის რეაბილიტაციის პროექტის კორექტირება; პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტის კორექტირების და ახალი ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის 3D ლაზერული სკანირება და აზომვითი დოკუმენტაციის შედგენა; ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის სარეაბილიტაციო კვლევითი და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; კაწარეთის სამების სამონასტრო კომპლექსის ტექნიკური კვლევითი დოკუმენტაციის მომზადება;
- გაფორმდა ხელშეკრულებები შემდეგი ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის, კოსერვაციისა და არქეოლოგიური შესწავლის მიზნით: დოლოჭოპის სამნავიანი ბაზილიკის კონსერვაცია; ატენის სიონის ქვის კონსერვაციის სამუშაოები; ფიტარეთის ტაძრის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები II ეტაპი; ბებრისციხის ჩრდილო-დასავლეთ კოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოები; საფარას სამონასტრო კომპლექსის IV ეტაპის (წმ. გიორგის სახელობის ტაძრის) სარეაბილიტაციო სამუშაოები; მცირე ჯვრის ტაძრის ინტერიერის ქვის კონსერვაცია; მეტეხის ტაძრის დასავლეთ ფასადის ქვის კონსერვაცია; ტოლაანთსოფლის სკოლის შენობის რეაბილიტაცია II ეტაპი; შატილის № 6 სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების II ეტაპი; სოფელ ნიკორწმინდაში მდებარე წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოები; ზემო სვანეთში მდებარე კოშკების და მაჩუბების რეაბილიტაცია; სოფ. იელი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია; მესტია,

ლაღამის მაცხოვრის ეკლესია, მინაშენის და გალავანის აღდგება; სოფ. სვიტორი, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის და კარის ეკლესიის რეაბილიტაცია; უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - განვითარება; ქ. ყვარელი, ილია ჭავჭავაძის კოშკის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები; ისნის ქ. № 24-ში მდებარე შენობის დროებითი გამაგრების სამუშაოები; სოფ. ოძისი დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების II ეტაპი; უჯარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია-კონსერვაცია; გრაკლიანი გორის არქეოლოგია; სოფ. სვენეთთან, გუდაბერტყის არქეოლოგია; „დიდნაურის" ნაქალაქარის არქეოლოგია; სოფ. ზიარის (ადგილი „ქოდალო") ტერიტორიის არქეოლოგია; სოფელ მელაანის სამხრეთით მდებარე არქეოლოგიური ობიექტი - მელიღელე II-ის არქეოლოგია; სოფელ ნავდარიანთკარის არქეოლოგია; პ. ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფ. ზემო მსხალგორის წმ. გიორგის სახელობის კომპლექსის არქეოლოგია; სვერის ციხის არქეოლოგია; გორის ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ხვამლის მთის არქეოლოგია; სოფ. ძალისის ტერიტორიის არქეოლოგია; არმაზისხევის არქეოლოგია; სოფელ ციხესულორის ტერიტორიის არქეოლოგია; სოფელი ციხევდავის ტერიტორიაზე მდებარე სამაროვნის არქეოლოგია; ჭუბერის ტემი, სოფელი ლახამის ტერიტორიის არქეოლოგია; ნოქალაქევის ნაქალაქარის არქეოლოგია; ხუნწის ციხის არქეოლოგია; ვარზიის მუზეუმ-ნაკრძალის.

- თუშეთის ათი ციხე-სოფლის ტოპოგრფიული გეგმის შედგენის მიზნით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი რესტავრაცია-რეაბილიტაციის და კოსერვაციისა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით:
- დასრულდა შემდეგი ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, კოსერვაცია და არქეოლოგიური შესწავლა: კვაუთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის სამღვდლო-სადიაკვნო და აღსავლის 3 კარის შესაცვლელად საზეინკლო მომსახურება; სოფ. ალექსეევკა (დრიანეთი), წმ. ივლიტას და კვირიკეს სახელობის ეკლესიის სახურავის რეაბილიტაცია; წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის ჩრდილოეთი მონაკვეთის (ჩრდილოეთი მკლავისა და ჩრდილო-დასავლეთ მკლავებს შორის სივრცის) მოხატულობაზე ჩასატარებელი საკონსერვაციო სამუშაოები.
- გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი შემდეგი ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის, კოსერვაციისა და არქეოლოგიური შესწავლის მიზნით: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის №125-ში მდებარე ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტირული ცენტრის შენობის ფასადის რეაბილიტაციის I ეტაპი; სოფ. ჩარგალი, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები; სოფ. საღამო, იოანა წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიის სამხრეთ მინაშენის რეაბილიტაციის II ეტაპი; სოფელ ცვანეს მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგია; თრელიგორების არქეოლოგია; სოფელ კალაურში მდებარე იოანე ნათლისმცემელის სახელობის ტაძრის ტერიტორიის არქეოლოგია; შორაპნის ციხის არქეოლოგია;
- მომზადდა მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ საკონსერვაციო მდგომარეობის შესახებ ანგარიში დადგენილი წესით მიეწოდა მსოფლიო მემკვიდრეობის სამდივნოს განსახილველად;
- შემუშავდა მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების არეალის სივრცული განვითარების პროექტის ტექნიკურ დავალებაზე, რომლის პროექტის მომზადებაშიც აქტიურად იყო ჩართული მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი, მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების არეალში კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონების პროექტები;
- მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის სახელმძღვანელო პრინციპების 172-ე მუხლის თანამხმად, მომზადდა და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს განსახილველად მიეწოდა მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების, გელათის სამონასტრო კომპლექსისა და მათ ბუფერულ არეალებში დაგეგმილი სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო პროექტები;
- დამკვირვებლის სტატუსით, ეროვნულმა სააგენტომ მონაწილეობა მიიღო იუნესკოს სათაო ოფისში, იუნესკოს ცენტრსა და ევროსაბჭოს ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებულ კონფერენციაში თემაზე: ევროპული არტ ბაზრის გაძლიერება კულტურული ფასეულობების უკანონო მიმოქცევასთან ბრძოლაში.

- მონაწილეობა იქნა მიღებული იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და სომხეთის კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ რეგიონალურ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც მიეძღვნა რელიგიური ხასიათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების მართვის პრინციპების შემუშავებას.
- ევროპის საბჭოს ევროპის ლანდშაფტების კონვენციის ფარგლებში, ევროპის საბჭოს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამონაწილეობით საქართველოში გაიმართა უწყებათაშორისო სამუშაო მრგვალი მაგიდა ევროპის ლანდშაფტების კონვენციის საქართველოში განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით;
- მიღებულ იქნა მონაქილეობა ქალაქ ლუქსემბურგში გამართულ ევროსაბჭოს ფორუმის მუშაობაში მემკვიდრეობის საკითხებზე ეროვნულ დონეზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით. ფორუმზე გაიმართა მსჯელობა 25 ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად კულტურული მემკვიდრეობის 21-ე საუკუნის გამოწვევებზე: ისტორიული ურბანული არეალების დაცვისა და განვითარების პოლიტიკურ ხედვებზე, სამართლებრივ ბერკეტებზე, მიდგომებსა და გამოცდილებაზე. ასევე გაიმართა პრეზენტაციები, რომელთა ძირითადი აქცენტი მიმართული იყო ინდუსტრიული მემკვიდრეებისადმი. განხორციელდა რამოდენიმე ინდუსტრიული მემკვიდრეობის მონახულება. აღსანიშნავია, რომ საქართველომ პირველად მიიღო აღნიშნულ ფორუმზე მონაწილეობა.
- გრძელდება მუშაობა 1900 წელს პარიზის საერთაშორისო გამოფენისთვის მომზადებული წიგნის „საქართველოს სიძველენი“-ის რეტროსპექტირულ გამოცემაზე, რომელიც ევროსაბჭოს მიერ გამოცხადებულ კულტურული მემკვიდრეობის წლის ფარგლებში გამოიცემა. დამუშავდა საქართველოს სხვადასხვა არქივებში არსებული მასალები; მიმდინარეობს ტექსტის თარგმანი და წიგნის აუთენტური დეკორის დამუშავება;
- პოლონეთის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლობითი დელეგაცია სამუშაო ვიზიტით პოლონეთს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში მოხდა ფიროსმანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენის ოფიციალური გახსნა. გამოფენაზე ექსპონირებული იქნა ნიკო ფიროსმანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენების აფიშები/პოსტერები, რომელიც დაცულია მირზაანის მუზეუმში. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, კრაკოვის ეროვნულ მუზეუმთან მოხდა წინასწარი შეთანმხება იქ დაცული შუასაუკუნეების პერიოდის ქართული ხელნაწერების კონსერვაციის მიზნით საქართველოში დროებითი გამოგზავნის თაობაზე. მიმდინარეობს სამუშაოები ეროვნულ არქივთან აღნიშნული ხელნაწერების კონსერვაციის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.
- პოლონეთის მხარესთან კულტურისა და განათლების სფეროში გააქტიურებული ინსტიტუციური ურთიერთობების საფუძველზე, ქ. ქუთაისში საზეიმოდ გაიხსნა სტეფან კრუკოვსკის სახელობის პოლონურ-ქართული ინტერდისციპლინარული კვლევითი ცენტრი.
- ქართულ-ებრაულ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას არამატერიალური მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა. აღნიშნიშნულთან დაკავშირებით, ბააზოვის სახელობის ებრაული ისტორიის მუზეუმში გაიმართა პრეზენტაცია და მიღება საქართველოსა და პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობით;
- ლაიფციგის კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობის პროგრამის შესამუშავებლად, ეროვნული სააგენტოს მხრიდან სამუშაო ვიზიტი განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც დაზუსტდა ფორუმში მონაწილეობის მიღების წესები, ფორმატი, პირობები და შესაძლებლობები. აღნიშნული ფორუმი, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ყოველწლიური ფორუმია ევროპაში, რომელიც იუნესკოს მხარდაჭერით ტარდება და წარმოაჩენს სფეროში საერთაშორისო დონეზე უახლეს მიღწევებსა და წარმატებებს. საქართველოსთვის ამ ფორუმში მონაწილეობა უდიდესი მნიშვნელობისაა, რადგანაც, ეძლევა უნიკალური შესაძლებლობა წარმოაჩინოს ჩვენი უნიკალური მემკვიდრეობა და მოიზიდოს წამყვანი ფონდები/კომპანიები უნიკალური ნიმუშების კვლევისა და დოკუმენტირებისათვის.

- ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ჰუვერის კაშხალის ცენტრალურ ადმინისტრაციასა და ენგურჰესის ტურისტული საიტის მმართველ უწყებას შორის პარტნიორობის სამომავლო გეგმებს განსაზღვრავს.
- საქართველოში სამუშაო ვიზიტი განახორციელა გეო საინფორმაციო სისტემებში ერთ-ერთმა წამყვანმა იტალიურმა კომპანიამ „Gruppo servizi topografici snc"- კაცხის სვეტის ლაზერ-სკანირებული მეთოდით ანაზომების მოსამზადებლად. იტალიური ჯგუფი კაცხის სვეტის ლაზერ სკანირებულ ანაზომებს საქართველოს მხარეს მოუმზადებს და გადასცემს უსასყიდლოდ, რაზედაც მომზადდა და ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ სამმხრივ ხელშეკრულებას - ეროვნულ სააგენტოს, იტალიურ კომპანიასა და საქართველოს საპატრიაქროს შორის. იტალიური კომპანიის მიერ განხორციელებული პირველადი სამუშაოების შედეგად გამოვლენილ მონაცემებზე დაყრდნობით, ეროვნულმა სააგენტომ უკვე დაიწყო ძეგლის დაცვის სტრატეგიულ ნაბიჯებზე მუშაობა.
- იტალიის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს ინიციატივითა და თანადაფინანსებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სხვა უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, პროფესიული კვლალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გაიარეს სერტიფიცირებული სასწავლო ტერინიგები იტალიის რესტავრაციისა და კონსერვაციის უმაღლესი სასწავლებელში, შემდეგი კურსები: სამგანზომილებიანი დოკუმენტირების ტექნიკა და ინსტრუმენტები; არქეოლოგიის პრევენციული კონსერვაცია და არქეოლოგიური აღმოჩენების პირველადი დახმარება.
- გაგრძელდა მუშაობა აზერბაიჯანისა და საქართველოს საზრვარზე მდებარე ისტორიული ძეგლის: წითელი ხიდის რეაბილიტაციის სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად; ეროვნული სააგენტოს მხრიდან შემუშავებულ იქნა იმ აუცილებელ სამუშაოთა ნუსხა, რომლის განხორციელებაც აუცილებელია სრული სარეაბილიტაცი პროექტის მოსამზადებლად და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით მიეწოდა აზერბაიჯანულ მხარეს; საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ უწყებათაშორის შეხვედრაზე ეროვნულმა სააგენტომ წარუდგინა ქართულ ინსტიტუციებს ინფორმაცია როგორც ძეგლის შესახებ, ასევე ამ საკითზე აზერბაიჯანულ მხარესთან თანამშრომლობის ეტაპობრივი შედეგები; განსაზღვულ იქნა საჭიროებები; ეროვნული სააგენტოს მიერ მასალების პაკეტი გადაცემულ იქნა უწყებებისათვის შემდგომი რეაგირებისათვის
- აზერბაიჯანული პროექტის „Lets Gobustan!"-ის მოწვევის საფუძველზე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ჯგუფი სამუშაო ვიზიტით აზერბაიჯანში იმყოფებოდა. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა გობუსტანის მაგალითზე, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის გამორჩეულ კომპლექსურ საიტს წარმოადგეს, კულტურული მემკვიდერეობის ძეგლების ინსპექტირებისა და დაცვის გამოცდილების გაზიარება და ამ მიმარრთულებით ურთიერთთანამშრომლობის დაფუძნება.
- კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების 4 წლიანი პროგრამის პირობების შესაბამისად, თურქეთის კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ექსპერტთა ჯგუფი ოშკის სარეაბილიაციო სამუშაოების პირველი ეტაპის მონოტორინგის მიზნით, სამუშაო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკის ერზრუმის პროვინციაში (ისტორიულ ტაო–კლარჯეთში) იმყოფებოდა. ოშკის რეაბილიტაციის პროექტის მოსამზადებელი ეტაპი, რომელსაც ქართველი სპეციალისტების აქტიური ჩართულობით თურქეთის მხარე სრულად უზრუნველყოფს, ტაძრის კონსტრუქციული ნაწილის სრულფასოვან შესწავლას და სათანადო რეკომენდაციების საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას გულისხმობს. წინა სარეაბილიტაციო ეტაპი ტაძრის გუმბათის ყელის კონსტრუქციულ გამაგრებასაც მოიცავს, რასაც თურქი არქიტექტორ-რესტავრატორები ქართველი კოლეგების მიერ გადაცემული პროექტის მიხედვით მომზადებული ძალოვანი ხარაჩოს მეშვეობით განახორციელებენ. თურქეთში წარგზავნილი

სამეცნიერო ჯგუფის წევრების დასკვნის მიხედვით, ოშკის ტაძარზე მიმდინარე მასშტაბური პროცესი კვალიფიციურად ვითარდება.

- გრძლედება ქართული წამრომავლობის მემკვიდრეობის არქეოლოგიური კვლევა და შემდგომი კომსერვაციის მრავალწლიანი პროექტი და მიმინარეობდა 2017 წელს ქართული ჯგუფის მიერ ალამინოსის ოლქში აღმოჩენილი არქეოლოგიური ობიექტის გადახურვის კომპლექსური სამუშაოები.
- ქსნის ხეობიდან იძულებით გადაადგილებულთა ჩასახლებებში 2017 წელს განხორციელებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის საფუზველზე მიმდინარეობდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ბარათების მომზადება.
- „ცხავატური მეთუნეობას“ მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვდრეობის ძეგლის სტატუსი.
- მიმდინარეობს სამუშაო-საინფორმაციო შეხვედრები, საქართველოში იუნესკოს 2003 წლის კონვენციის „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით. სამუშაო შეხვედრები, ტრეინინგები და სემინარები ჩატარდა ქართულ ხორბალთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან; საქართველოს აბრეშუმის მუზეუმის თანამშრომლებთან; ხალხური რეწვის ასოცოაციის წევრებთან; ქართული ცხენოსნობის ტრადიციებთან დაკავშირებით ცხენოსნობის ფედერაციასთან; ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს თანამშრომლებთან;
- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებს „ცხავატური მეთუნეობა“, „ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიცია“ და განესაზღვრა ეროვნული კატეგორია;
- დასრულდა პროექტი „ვასურათებთ მსოფლიო ხალხთა ზღაპრებს“, რომლის ფარგლებში საქართველოს არაქართულენოვან სკოლებთან ჩატარდა ზღაპრების კითხვა და დასურათება. პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა ილუსტრირებული ზღაპრების კრებული. გაიმართა პროექტის შედეგების პრეზენტაცია. საზეიმოდ დაჯილდოვდნენ პროექტის მონაწილე მოსწავლეები. მოეწყო მათი ნამუშევრების გამოფენა.
- მიმდინარეობდა: მოსწავლეთა ტრადიციული კონკურსი „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“; მოსამზადებელი სამუშაოები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის მიერ 2018 წელს დაგეგმილი „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის ძირითადი პრინციპების“ თემაზე მრგვალი მაგიდის ჩასატარებლად; მუშაობა იუნესკოში წარდგენილი ელემენტის „ქართული ჭიდაობა“ განხილვაზე წარსადგენი ბროშურის შესაქმნელად;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის რეკომენდაციით 98 ობიექტს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა:ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს, ქ. ყვარელში; ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს, სოფ. საგურამოში; ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმს დაბა სტეფანწმინდაში, მოდინახეს ციხეს ქალაქ საჩხერესთან.
- ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად რეკომენდაცია გაეწია - ვანის ნაქალაქარს, ინწობის იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსს - ფიქლებს, ზ. ფალიაშვილის სახ. სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრს, ნასოფლარ აგეურთას, გირევს, დაქიურთას, ძველ დიკლოს-ციხე-სოფელს, ნასოფლარ ინდურთას, სოფ. კვავლოს, სოფ. ფარსმას, ნასოფლარ წაროს, ნასოფლარ ჭონთიოს და ნასოფლარ ჰეღოსა ბობნევის წმ. იოანე მახარებლის ეკლესიას.
- განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების და ძეგლების ინვენტარიზაცია/მონიტორინგი (სულ 170 ძეგლი/ობიექტი);
- განხორციელდა მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ ობიექტებზე – სააღრიცხვო ბარათების შედგენა და მომზადება (სულ 90 სააღრიცხვო ბარათი);
- მიმდინარეობს ფარავნის ყორღანული ველის ინვენტარიზაცია;

- მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის გეოსაინფორმაციო მონაცემთა ბაზის ახალ სისტემაზე გადაყვანა. მონაცემთა ბაზის ახალ სისტემაზე გადაყვანის შედეგად სააგენტო მიიღებს სისტემას, რომელიც პასუხობს თანამედროვე ტექნოლოგიების სტანდარტებს, არის მუდმივად განვითარებადი და განახლებადი, იყენებს მობილური ტექნოლოგიების შესაძლებლობებს.
- გრძელდება სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის საცავის და გის კომპლექსური მონაცემთა ბაზის ერთიან სისტემაში ინტეგრირების შედეგად შეიქმნება ერთიანი დოკუმენტაციის სივრცე. გის კომპლექსური ბაზის სტრუქტურიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდება ყველა ტიპის დოკუმენტის ატვირთვა და წინასწარ განსაზღვრული სტანდარტული ფორმების მიხედვით სტრუქტურიზირება. შედეგად შეიქმნება ინფორმაციის მოძიებისა და დათვალიერების მოქნილი საძიებო სისტემა.
- მიმდინარეობდა საზოგადოებრივი გეოსაინფორმაციო პორტალის განახლება. საზოგადოებრივი პორტალის განახლების შედეგად ნებისმიერი მსურველისთვის ინტერაქტიულ რეჟიმში გახდება ხელმისაწვდომი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ დოკუმენტაცია (სააღრიცხვო ბარათი, ბრძანება სტატუსის მინიჭებაზე, სანებართვო დოკუმენტაცია და ა.შ.) და შეიქმნება მონაცემთა ბაზისთვის ინფორმაციის მოწოდების მოქნილი მოდული;
- გრძელდება თანამშრომლობა ოპერატორებთან, რაც გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის გის მონაცემთა ბაზაში დიდი რაოდენობის, განახლებული მონაცემების ინტეგრირებისა და არსებული მონაცემების რედაქტირებას.
- მუდმივ რეჟიმში გრძელდება გის კომპლექსური მონაცემთა ბაზის შევსება/განახლების პროცესი.
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგნეტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატს შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში დადებული საგრანტო ხელშეკრულებით მიმდინარე პროექტის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის შექმნა და განვითარება“ ფარგლებში ქ. ქუთაისში მუზეუმ-ნაკრძალებისა და მუზეუმების თანამშრომლებისთვის ჩატარდა პირველი კომპლექსური, სპეციალიზირებული სწავლების კურსი უძრავი და მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის, ზოგადი დამცავი ზონის, კედლის მხატვრობის და ქვაზე კვეთილობის დოკუმენტირების მიმართულებით. კურსი მოიცავდა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საველე საპილოტე სწავლებებს. ჩატარდა მოწვეულ ექსპერტებთან ერთად თეორიული სწავლებები როგორც მუზეუმ-ნაკრძალის სივრცეში, ისე ველზე.
- კულტურული მემკვიდრეობის საცავის მონაცეთა ბაზაში აიტვირთა 248 ძეგლის/ობიექტის სააღრიცხვო ბარათი/პასპორტი. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში დაემატა 36 ძეგლი.
- კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის მრავალწლიანი მოლაპარაკებების შედეგად გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია თანამშრომლობა საქართველოს ეროვნული სივრცითი ინფორმაციული სისტემის განვითარების მიზნით და მონაცემთა გაცვლის მუდმივმოქმედი სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით. თანამშრომლობა მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ გეოინფორმაციული მონაცემების ინტეგრირებას ერთიან საინფორმაციო სივრცეში. საჯარო რეესტრი იღებს ვალდებულებას სააგენტოს მიაწოდოს სერვისის სახით საქართველოს საბაზო რუკები და რეგისტრირებული ნაკვეთები. თანამშრომლობის შედეგად მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდება საჯარო რეესტრის ინფორმაციასთან ერთად მუდმივად განახლებული ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მათ შორის მის ადგილმდებარეობაზე, სტატუსზე, დამცავი ზონების არეალებზე, ნებართვებზე და სხვა სივრცით ინფორმაციაზე.
- ეტაპობრივად ხორციელდება კვადროკოპტერის საშუალებით ძეგლების/ობიექტების და მათი არეალების აეროგადაღებების წარმოება, მიღებული მასალების დამუშავება და დამუშავებული მასალების ფაილ სერვერზე განთავსება. განხორციელდა აზეულას - კოჯრის ქოროღლის ციხის, თელავის ისტორიული ნაწილის, კუმურდოს, აწყურის ციხის, აწყურის, თისელის, ვარძიის, თბილისის მეტეხის, მცხეთის ჯვრის, სამთავროს ველის, კალაუბნის, გელათის, გეგუთის, ნოქალაქევის,

ნიკორწმინდის და თაბუკაშვილის N5-ში მდებარე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შენობის აეროგადაღებები; მოხდა შემდეგი ძეგლების ფოტოფიქსაცია და ფაილსერვერზე განთავსება: ალავერდის კომპლექსი; პანკისის ხეობის რამოდენიმე ძეგლი; ეროვნული მუზეუმის რომანოვების კოლექციის ფოტოფიქსაცია გამოცემისთვის; ვარძიის კომპლექსი;

- ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 170 და გარდაცვალებიდან 125 წელი შესრულებასთან დაკავშირებით გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმთან ერთად, ლიტერატურის მუზეუმის დროებით საგამოფენო სივრცეში მოაწყო გამოფენა - ,,ალექსანდრე ყაზბეგი - სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი". გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა მუზეუმების (საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი, ლიტერატურის მუზეუმი) ფოტოფონდში, ასევე საქართველოს ეროვნულ არქივში და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული საარქივო ფოტომასალა;
- დაიწყო ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში დაცული კოლექციის ინტეგრირება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთიან საინფორმაციო მონაცემთა ბაზაში, მუზეუმში დაცულია 4 686 ექსპონატი.
- უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში მიმდინარეობს კვლევითი პროექტი - „ტენის ზეგავლენა ქანზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური მდგომარეობის გაუარესება". პროექტის ფარგლებში უფლისციხეში დამონტაჟდა მონიტორინგის სისტემა, რომელიც პერიოდულ მონაცემებს იძლევა კლიმატზე, ტენიანობაზე, ქარის მიმართულებაზე.
- მიმდინარეობს უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის წყლით უზრუნველყოფის სისტემისა და ავტოსადგომის მოწესრიგება;
- მიმდინარეობს ინტერდისციპლინარული კვლევა - ,,ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები სამთავროს სამაროვნიდან.
- ქ. ტალინში ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ესტონელი მოზარდები გაეცნენ პროგრამას „კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებს";
- განხორციელდა საორგანიზაციო მუშაობა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. დუისში კულტურული მემკვიდრეობის სკოლის დასაფუძნებლად.
- კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის ძეგლის ეფექტურად წარმოჩენისა და 3D ანიმაციის მეშვეობით ძეგლზე დაგეგმილი სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო და არქეოლოგიური კვლევის პროცესების სრულყოფილად ასახვის მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულება ალავერდის საკათედრო ტაძრის შესახებ საინფორმაციო-შემეცნებითი ვიდეორგოლის (2-3 წუთი ქრონომეტრაჟი) მომზადების მიზნით;
- ქვემო ქართლში: მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების ქართული და აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეებისთვის განხორციელდა სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტი.
- შემუშავდა ახალი შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამა „დამწერლობა ქართული", რომელიც პოპულარიზაციას უწევს ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის პოპულარიზაციას. მისი პრეზენტაცია მოეწყო ქუთაისში, დ. ნაზარიშვილის სახლ-მუზეუმში, დედაენის დღეს;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფორმატში, უკვე განხორციელდა პირველი ერთობლივი ღონისძიება. აღნიშნულ კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ გალის რაიონის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული მოზარდები (40-მდე მოსწავლე) და აგრეთვე, სენაკის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების ცენტრის" სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები, მთლიანად ქართულ და აფხაზურ არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას დაეთმო, რაც თავისთავად, ჩვენი ქვეყნის ერთიანი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.
- ფიროსმანის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მირზაანში ჩატარდა სტუდენტური კვირეული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: თბილისის ი.ჯავახიშვილის სახ.

სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ა. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ, შ.რუსთაველის სახ. კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტმა და კახეთის საჯარო სკოლების დესპანებმა. წარმოდგენილი იყო სტუდენტთა და მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივობები.

- კახეთის საჯარო სკოლებში (ახმეტა, ყვარელი, გურჯაანი,საგარეჯო,ლაგოდეხი) 8 ეტაპად განხორციელდა საპილოტე პროექტის „კახეთის მოსწავლეები-კულტურული მემკვიდრეობის დესპანები'' კრებულების გამოცემის მოსამზადებელი სამუშაოები .
- უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში მოხდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის უფლისციხის ფონდში დაცული 222 ექპონატის გადატანა (დროებითი რეჟიმი). კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ, VI-VII საუკუნეებით დათარიღებულ, სანათლავს (ემბაზი).
- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლების რეესტრში რეგისტრირებულია 4222 მოძრავი ძეგლი.
- ჩატარდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუზეუმო მიმართულების სამსახურის მიერ ინიცირებული რიგით V სამეცნიერო კონფერენცია - „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა".
- აქცია „ღამე მუზეუმში" კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებმა და მუზუმ-ნაკრძალებმა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით აღნიშნეს.
- გაიმართა საქართველოს მართლმადიდებული ეკლესიის ავტოკეფალური მმართველობის აღდგენის 100 წლისთავისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის აღსაყდრებიდან 40 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, საერთაშორისო კონფერენცია ,,რელიგია და საზოგადოებრივი ცხოვრება".
- გაიმართა ICOM საქართველოს მიერ ICOM ევროპასთან თანამშრომლობით შემუშავებული საერთაშორისო პროექტი ,,მუზეუმები საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის". პროექტი ხორციელდება საქართველოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანაორგანიზატორობით.
- გრძელდება ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ვირტუალური რეალობის სადემონსტრაციო ექსპოზიციის შექმნა, რომელიც მოიცავს საინფორმაციო ხასიათის 360 გრადუსის ხედვის/გამოსახულების მქონე ვიდეო რგოლებს. პროექტის მიზანია ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალი გახდეს ინკლუზიური ტურიზმისათვის ადაპტირებული გარემო, სადაც ყველა ვიზიტორს საშუალება ექნება მიიღოს სრული ინფორმაცია ძეგლის შესახებ.
- კულტურის სფეროში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროცესების მონიტორინგის, ანალიზისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განხორციელებულ პროექტებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნით, მიმდინარეობს მედია-მონიტორინგი.

8.5 კულტურასა და სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი - 33 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

- მიმდინარეობს: რაგბისა და ფეხბურთის სახეობების განვითარების მიზნით თბილისში-7, ხოლო ქუთაისში-3 სტანდარტული ბუნებრივ და ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობა.
- მიმდინარეობს: სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის ფასადის რეაბილიტაცია; საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და

ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი - ხელოვნების სასახლის ფასადისა და ინტერიერის რეაბილიტაცია; სსიპ - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ სსიპ - შემოქმედებითი საქართველოს სარგებლობაში არსებული, ისნის ქ. N24-ში მდებარე შენობის გამაგრებითი სამუშაოები; საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის შენობის რეაბილიტაციისთვის საჭირო სარემონტო სამუშაოების შესყიდვის პროცედურები (გამოცხადებულია ტენდერი); სსიპ – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ (სარგებლობაში არსებული შენობის ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქ.N26) სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა;

- გამოცხადდა: სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ სსიპ – საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის სარგებლობაში არსებული შენობის (დავით აღმაშენებლის გამზირი N125) დაზიანებული ფასადის აღდგენის სამუშაოების შესყიდვისთვის საჭირო ელექტრონული ტენდერი; სსიპ - ქ. ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის სარგებლობაში არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ელექტრონული ტენდერით შესყიდვა.

8.7 კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი - 33 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

- სახელმწიფო სტიპენდია გაიცა: 33 ოლიმპიური ჩემპიონისთვის და 741 სპორტსმენისთვის, მწვრთნელისა და საექიმო პერსონალისთვის;
- სახელმწიფო სოციალური დახმარება გაიცა: 411 ვეტერანი სპორტსმენის და სპორტის მუშაკისთვის და 319 მაღალმთიან რეგიონებში დასაქმებული სპორტის მწვრთნელისთვის.
- სტიპენდიები გაიცა: 148 საქართველოს სახალხო არტისტის, სახალხო მხატვრების და რუსთაველის პრემიის ლაურეატისთვის.
- სოციალური დახმარება გაიცა: 25 ლიტერატურისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისთვის.

8.10 ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (32 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი;
✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი.

- მოსწავლეებში სამთო-სათხილამურო სპორტის პოპულარიზაციის და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით, დაბა ბაკურიანში განხორციელდა ბანაკი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრებმა 11-14 წლის 399-მა მოსწავლემ;
- ,,ახალგაზრდული ფესტივალი–2018" პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს გამაჯანსაღებელი დარბაზი შშმ პირთათვის, რომლითაც ისარგებლა დღის ცენტრებისა და ინდივიდუალურად მოვარჯიშე 117 -მა ბენეფიციარმა;
- სახელობო წრეებში (მინანქარი, თექა, ქსოვა, ხატვა) მონაწილეობდა 9-25 წლის 50 ბენეფიციარი, ხოლო პროექტის „არტკლუბი“ ფარგლებში ჩართული იყო 29 ახალგაზრდა (მათ შორის, 3 ბენეფიციარი

დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან), რომლებმაც შეისწავლეს ფერწერა, გრაფიკა, გაიუმჯობესეს საკომუნიკაციო და სახელოვნებო უნარ-ჩვევები;

- ,,ახალგაზრდული ფესტივალი – 2018" პროგრამის ფარგლებში უშუსა და ხრიდოლის ჯგუფებს რეგულარულ ვარჯიშებთან ერთად შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ შიდა ტურნირებში. ჩატარდა შიდა ტურნირები ხრიდოლსა და უშუში. სულ ღონისძიებებში სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებიდან ჩართული იყო: ხრიდოლი -186 ბენეფიციარი, უშუ - 36 ბენეფიციარი;
- „სპორტი ბარიერების გარეშე“ პროექტის ფარგლებში საქართველოს 10 ქალაქში ჩატარდა ტურნირი სპორტის ოთხ სახეობაში (მინიფეხბურთი, კალათბურთი, სპრინტი (60 მეტრზე გარბენი) და ჭადრაკი). რეგიონულ ეტაპზე პროექტში მონაწილეობა მიიღო 496 ბენეფიციარმა, ხოლო გამარჯვებულ 288 მონაწილეს საჩუქრებთან ერთად გადაეცათ ანაკლიის ბანაკის საგზურები;
- პროექტ „CYNC სივრცის“ (CYNC- Children and Youth National Center) თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო დაწესებულების 230 მოსწავლეს ცენტრის ბაზაზე ჩაუტარდათ სხვადასხვა აქტივობები და ტრენინგები შემდეგ თემაზე: ,,სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა“, ,,აქტიური მოქალაქეობა, მოხალისეობა“, ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი“ და ,,მეგობრობა ბულინგის ნაცვლად“;
- გაიხსნა ანაკლიის „მომავლის ბანაკი“, რომელმაც 7-დღიან მოსამზადებელ ტრენინგზე უმასპინძლა 220 ლიდერს;
- „ნორჩ მაშველთა კლუბის“ პროექტის ფარგლებში შეირჩა და გადამზადდა 120 მოსწავლე. გამარჯვებული 21 საუკეთესოდან გადამზადების ეტაპის შემდეგ 7 მონაწილე გაემგზავრა „ნორჩ მაშველთა“ საერთაშორისო პროფილურ ბანაკში, აზერბაიჯანში, სადაც გამართულ ტურნირებში გუნდურად მოიპოვეს II საპრიზო ადგილი.

9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრჩეში ინტეგრაცია

9.1 საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- ✓ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები (წარმომადგენლობები);
- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თარგმნის ბიურო.

- მიმდინარეობდა მუშაობა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობის, ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების, საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში მუშაობის, ეკონომიკური დიპლომატიის, ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს კულტურის პოპულარიზაციისა და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების შესახებ ინფორმირების მიმართულებით;
- დიდი ყურადღება ექცეოდა საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან მუშაობას, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვას;
- გაიმართა მრავალი მნიშვნელოვანი მაღალი დონის ოფიციალური თუ სამუშაო ორმხრივი ვიზიტები ამერიკის, ევროპის, მეზობელი, ახლო აღმოსავლეთის, აზიის ქვეყნებში.

9.1.1 საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- გრძელდებოდა მუშაობა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხზე საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის და მხარდაჭერის მობილიზებისთვის. რეგულარულად ხდებოდა პარტნიორი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირება ოკუპირებულ რეგიონებში განვითარებულ უკანონო პროცესებზე, უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით შექმნილ მდგომარეობაზე, რუსეთის ოკუპაციის პოლიტიკის და ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯების შესახებ, რაც გამოიხატება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების რუსეთის სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სივრცეში ეტაპობრივ ინტეგრაციაში. სამინისტროსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების აქტიური მუშაობით, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მუდმივად იმყოფებოდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმების მიერ ქართველთა ეთნიკური წმენდისა და დისკრიმინაციის მიზნით გადადგმული ნაბიჯები. აქტიურად ხდებოდა საკითხის დაყენება სხვადასხვა ორმხრივ, თუ მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატებში, სადაც ხაზი ესმებოდა რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების აუცილებლობას;
- დაიწყო მუშაობა პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად „ოთხოზორია-ტატუნაშვილის“ სიით გათვალისწინებული პირების მიმართ სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით;
- ჩატარდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 43-ე და 44-ე რაუნდები. განხილვის მთავარ საგანს წარმოადგენდა არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფა და რუსეთის მიერ ძალის არგამოყენებისა და მის უზრუნველსაყოფად ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის აუცილებლობის, ასევე ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხები. თანათავმჯდომარეებმა და აშშ-ის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს ადგილზე არსებული რთული უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული ვითარების გადაწყვეტის მნიშვნელობას და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების აუცილებლობას;
- მიმდინარეობდა მუშაობდა არაღიარების პოლიტიკის განმტკიცების, რისკების ნიველირებისა და საზღვარგარეთ საოკუპაციო რეჟიმების უკანონო კონტაქტების აღკვეთის მიმართულებით. განხორციელდა შესაბამისი ქმედებები სირიის რეჟიმის მხრიდან ცხინვალსა და სოხუმში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოხმაურების უზრუნველყოფისთვის. გაგრძელდა ინტენსიური მუშაობა პარტნიორების ძალისხმევის მობილიზებისთვის მომავალში მსგავსი რისკების თავიდან ასაცილებლად მოწყვლად ქვეყნებთან დახმარების მიზნით;
- გრძელდებოდა მუშაობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გაძლიერებისა და მანდატის სრულად შესრულების უზრუნველსაყოფად. ინტენსიური იყო თანამშრომლობა მისიის წარმომადგენლებთან, საოკუპაციო ხაზთან ვითარების ესკალაციის პრევენციის მიზნით;
- გრძელდებოდა ძალისხმევა ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშესაწყობად საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობის და ახალი სამშვიდობო ინიციატივის მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის;
- ქ. ბათუმში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, ჩატარდა მე-15 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მაღალი დონის უცხოელმა სტუმრებმა.
- მომზადდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;

- ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მიერ მოწონებული იქნა ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუქის კონცეფცია, ხოლო დამტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- გრძელდებოდა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კოორდინაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის და „პარტნიორობა მობილობისთვის“ ფარგლებში;
- დამტკიცდა საქართველოს 2018 წლის წლიური ეროვნული პროგრამა;
- ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა მუდმივი წარმომადგენლების დონეზე, სადაც წარადგენილ იქნა 2018 წლის წლიური ეროვნული პროგრამა და აქცენტი გაკეთდა საქართველოს მიერ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიღწეულ პროგრესზე, ასევე განხილული იქნა შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით ნატო- საქართველოს თანამშრომლობის ასპექტები;
- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ბრიუსელის ნატოს სამიტზე საქართველოსთვის სასურველი შედეგების უზრუნველყოფის, ასევე შავი ზღვის რეგიონში ნატოს ძალისხმევაში საქართველოს უფრო აქტიურად ჩართვის საკითხებზე;
- ნატოს შტაბ-ბინაში, სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის კომიტეტის ფარგლებში, გაიმართა ალიანსის წევრი ქვეყნების შეხვედრა საქართველოს, ფინეთისა და შვედეთის წარმომადგენლებთან, სადაც განხილული იქნა საქართველოს საგანგებო სიტუაციების სამსახურის რეფორმა და ტოტალური თავდაცვის მიდგომა;
- კვლავ მნიშნელოვანი ყურადღება ექცეოდა ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას საქართველოსა და აშშ-ს შორის, რომლის ფარგლებშიც შედგა არაერთი ორმხრივი ვიზიტი და გაიმართა მნიშვნელოვანი შეხვედრები;
- გაიმართა საქართველო-შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფის (EWG), ასევე დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრები;
- გრძელდებოდა ურთიერთობის გაღრმავება ევროპის (50-ზე მეტი ორმხრივი ვიზიტი), მეზობელი რეგიონის (23-მდე ორმხრივი ვიზიტი), აზიისა და ოკეანეთის (15-მდე ორმხრივი) ვიზიტი, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის (25-ზე მეტი ორმხრივი ვიზიტი) ქვეყნებთან. ასევე, გაგრძელდა თანამშრომლობა ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან;
- საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით ხელი მოეწერა 4 ორმხრივ შეთანხმებას, ძალაში შევიდა 23 ორმხრივი და 14 მრავალმხრივი ხელშეკრულება და შეთანხმება, ინიცირებული იქნა 2 მრავალმხრივი შეთანხმება; გაფორმდა 8 შეთანხმება საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- სამინისტრო ეკონომიკური დიპლომატიის ფარგლებში აგრძელებდა მუშაობას პარტნიორ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის, ქართული ღვინისა და ტურისტული პოტენციალის უკეთ გაცნობის კუთხით. სამინისტრო ჩართული იყო ასევე, საერთაშორისო ფორუმებში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობისა და სხვა სახის მაღალი დონის ვიზიტების, ბიზნეს-ფორუმების მომზადების საკითხებში. საანგარიშო პერიოდში გაიმართა 12-მდე ბიზნეს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში;
- მიმდინარეობდა მუშაობა კულტურული დიპლომატიის მიმართულებით. გაიმართა თსუ-ს დაარსებიდან 100 წლის იუბილეს გახსნის ცერემონია, რომელიც აღინიშნა UNESCO-ს მონაწილეობით; პირველად მიუნხენის კონფერენციის თანაორგანიზებით, 54-ე კონფერენციის ფარგლებში გაიმართა საქართველოსადმი მიძღვნილი ღონისძიება, თემატური პანელი - „ქართული პოლიტიკა და ლიტერატურა"; კულინარიის დიპლომატიის ძირითადი სახელმძღვანელო მიმართულებების შემუშავების მიზნით, შედგა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა;
- სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული საზღვარგარეთ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კოორდინაციაში. საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით, მომზადდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზღვარგარეთ დაგეგმილი ღონისძიებების კალენდარი, ასევე მოხდა საელჩოების უზრუნველყოფა ცესკოს გამოცემით „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“;

- საკონსულო დეპარტამენტის ქოლ-ცენტრის მიერ სატელეფონო კონსულტაცია გაეწია 17 791-მდე მოქალაქეს, ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული მეილების რაოდენობამ შეადგინა -7 098, ხოლო საკონსულო ლეგალიზაციის განხორციელების მიზნით წარმოდგენილი იქნა 2 391 დოკუმენტი; გაცემული იქნა 239 დიპლომატიური და 161 სამსახურებრივი პასპორტი; დეპარტამენტმა 14 მეზღვაურის დახმარების მიზნით გაწია სამუშაო, მათ შორის საქმე დასრულდა 10 მეზღვაურის შემთხვევაში, მიმდინარეა 4 საქმე; საქართველოში გადმოსვენებულ იქნა 186 საქართველოს მოქალაქის ცხედარი; e-VISA პორტალის მეშვეობით დარეგისტრირდა 18 279 განაცხადი, აქედან: უარყოფითად დასრულებულია - 4 477 განაცხადი (შეწყვეტილია 35), დასრულებულია დადებითად - 13 767 განაცხადი; www.geoconsul.gov.ge-ის მეშვეობით დარეგისტრირდა 4 423 განაცხადი, საიდანაც 2006 უარყოფითად, ხოლო 2 354 დადებითად იქნა დასრულებული. დაინიშნა 6 საპატიო კონსული და გაიმართა საპატიო კონსულების საკოორდინაციო საბჭოს რიგით მე-7 და მე-8 სხდომა;

9.1.2 საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში.

9.1.3 საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო

- ბიურომ საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით, თარგმნა და დაამოწმა 19 382 გვერდი და განხორციელდა 251 საათი სინქრონული თარგმნით მომსახურება.

9.1.4 დიასპორული პოლიტიკა (პროგრამული კოდი 28 01 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- მიმდინარეობს მუშაობა ანაკლიის მომავლის ბანაკში თანამემამულე მოზარდების მონაწილეობის (გათვალისწინებულია 14-18 წლის ასაკის 144 მოზარდის მონაწილეობა საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნიდან) და „იყავი საქართველოს ახალგაზრდა ელჩი“ პროექტებზე;
- გაიმართა თანამემამულის კომისიის 6 სხდომა, დადებითი დასკვნა გაიცა 85 კანდიდატზე, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა დიასპორული ორგანიზაციების საჭიროებათა კატალოგის განახლება;
- ლევილის მმართველი საბჭოს საქმიანობის ფარგლებში მიმდინარეობდა ფრანგულ საკონსულტაციო-საზედამხედველო კომპანიის Scoping-თან ერთად ლევილის მამულში დროებით მობინადრე

პირებისთვის საცხოვრისი ბინების არქიტექტურული კონკურსის გამოცხადება და ლევილის მამულის საპროექტო-სანებართვო სამუშაოების განხორციელება;

- საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სახელმძღვანელოების მომზადების მიზნით მოხდა ერთიანი სასწავლო პროგრამის შემუშავების ინიცირება და ტენდერის გამოცხადება, მომზადდა საკვირაო სკოლების სასწავლო პროგრამების მეორე დონის სახელმძღვანელო;
- გაიმართა შეხვედრები დიასპორის ცალკეულ წარმომადგენლებთან და დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, როგორც ადგილსამყოფელ ქვეყნებში (იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, თურქეთი, უკრაინა), ისე მათი ვიზიტის დროს საქართველოში;

9.2 ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება (პროგრამული კოდი 28 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

- ცენტრის ორგანიზებითა და მხარდაჭერით მიმდინარეობდა მუშაობა ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებისთვის საქართველოს მოსახლეობის მაღალი და გაცნობიერებული მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაიგეგმა და გაიმართა 270-მდე შეხვედრა/ღონისძიება როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში - მათ შორის, საჯარო დისკუსიები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, საზაფხულო სკოლები, სასწავლო ვიზიტები და საინფორმაციო კამპანიები, სადაც 11 000-მდე მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. შეხვედრების ძირითადი თემები გახლდათ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი, უვიზო მიმოსვლა, თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები და გააქტიურებული ანტიდასავლური პროპაგანდა;

10. სოფლის მეურნეობა

10.1 ერთიანი აგროპროექტი (პროგრამული კოდი 31 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

10.1.1 სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (პროგრამული კოდი 31 05 01)

- მიმდინარეობდა ერთიანი აგროპროექტის პროგრამით დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტიანი განხორციელება.

10.1.2 შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი 31 05 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის ფარგლებში გაცემულია 1 სესხი 36.0 ათასი აშშ დოლარის და 1 485 სესხი 96 871.4 ათასი ლარის ოდენობით (5 თვის პერიოდში);
- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებიდან სულ გაცემულია 31 475 სესხი, მათ შორის:

    - ✓ საბრუნავი საშუალებების კომპონენტისთვის - 470 073.9 ათასი ლარი და 26 401.9 ათასი აშშ დოლარი;
    - ✓ ძირითადი საშუალებების კომპონენტისთვის - 649 079.6 ათასი ლარი და 196 071.2 ათასი აშშ დოლარი;
    - ✓ შეღავათიანი აგროლიზინგი - 8 804.7 ათასი ლარი და 996.6 ათასი აშშ დოლარი;
    - ✓ აწარმოე საქართველოში - 20 856.2 ათასი ლარი და 23 939.6 ათასი აშშ დოლარი;

- შეიქმნა 2 ახალი და გადაიარაღდა/გაფართოვდა 35 საწარმო.

10.1.3 აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 31 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში წინასწარი მონაცემებით გაიცა 5 688 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ შეადგინა 54 543.2 ათასი ლარი, ხოლო სააგენტოს პრემიის წილმა - 2 818.8 ათასი ლარი. დაზღვეული მოსავლის ფართობმა შეადგინა 6 331.7 ჰექტარი;
- 2014-2017 წლებში აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაიცა 68 879 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ შეადგინა 465 587.5 ათასი ლარი, სააგენტოს გადახდილი პრემიის წილი 29 384.4 ათასი ლარი. დაზღვეული მოსავლის ფართობმა შეადგინა 59 857 ჰექტარი. ანაზღაურებული ზარალის ოდენობამ - 29 695.7 ათასი ლარი.

10.1.4 დანერგე მომავალი (პროგრამული კოდი 31 05 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- დამტკიცებულია 1 200 ჰექტარზე გასაშენებელი 200 ბაღის პროექტი, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა 6 949.0 ათასი ლარით.
- სულ 2015-2018 წლებში დამტკიცდა 891 განაცხადი, საიდანაც 2 სანერგე მეურნეობის კომპონენტის ფარგლებში. ბაღების საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 5 473 ჰექტარს (საიდანაც უკვე გაშენებულია 5 406 ჰექტარი), თანადაფინანსების ოდენობა - 29 097.7 ათას ლარს. სანერგე მეურნეობის ფართობი შეადგენს 4 ჰექტარს, თანადაფინანსება - 85.5 ათას ლარს.

10.1.5 ქართული ჩაი (პროგრამული კოდი 31 05 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის ფარგლებში გაფორმდა 9 ხელშეკრულება. პლანტაციების ჯამური ფართობი შეადგენს 250 ჰექტარს, რეაბილიტაციის ჯამური ღირებულება - 624.2 ათას ლარს, საიდანაც სააგენტს თანადაფინანსებაა 414.5 ათასი ლარი.

10.1.6 სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 31 05 06)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- დამტკიცდა 3 პროექტი გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტში და პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 2 988.0 ათას ლარს, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსება - 1 170.2 ათას ლარს. შემნახველ საწარმოთა კომპონენტის ფარგლებში დამტკიცდა 8 პროექტი, ჯამური ღირებულებით - 11 369.3 ათასი ლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა - 4 469.7 ათასი ლარი.

10.2 სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 31 07)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“,
- ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“

10.2.1 სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 31 07 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“

- პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექპლუატაციის, მექანიკური სატუმბი სადგურებისა და სხვა ჰიდროკვანძების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების და კომპანიის მიმდინარე ხარჯების ანაზღაურება;
- ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების განხორციელების შედეგად გაიწმინდა 1 229 კილომეტრი სიგრძის სარწყავი და სადრენაჟო არხი, შეკეთდა ან შეიცვალა 7.4 კილომეტრი მილსადენი, შეკეთებულია მსხვილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა 25 ერთეული, განხორციელდა 1 283 სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ერთეულის რემონტი ან შეცვლა ახლით (ფარები, ურდულები, წყალგამყოფი კვანძები, ტუმბოები, ელექტრო და მექანიკური მოწყობილობები და სხვა).

10.2.2 ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი (პროგრამული კოდი 31 07 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- პროექტის ინფრასტრუქტურული კომპონენტის ნაწილში მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები შემდეგი საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციაზე:

- ✓ ზედა რუს სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, „არაშენდას“ შტოს და პირველი რიგის გამანაწილებელ არხებზე ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა და რეაბილიტაცია ქარელის მუნიციპალიტეტში, ხელშეკრულების ღირებულება 5 972.0 ათასი ლარი;
- ✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის და სათავე ნაგებობის ელექტრო-მექანიკური მოწყობილობების რეაბილიტაცია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ხელშეკრულების ღირებულება 10 735.0 ათასი ლარი;
- ✓ ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის ალგეთის წყალსაცავის კაშხლის და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მონიტორინგის სისტემის აღდგენა, მაგისტრალური არხის, „ხაიშის“ და „მარაბდის“ მასივებზე წყალგამყვანი მილსადენების რეაბილიტაცია, ხელშეკრულების ღირებულება 17 469.0 ათასი ლარი.

10.2.3 სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (IFAD, GEF) (31 07 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- მოეწყო ხეხილის 4, ბოსტნეულის 2, კენკროვანი კულტურის 3, დაფნის 1, ვერმიკომპოსტის 1, კონსერვაციული სოფლის მეურნეობის 1 და ქარსაცავის 2 სადემონსტრაციო ნაკვეთი კახეთის, შიდა ქართლის, აჭარის და სამეგრელოს რეგიონებში, თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩაუტარდათ 1 408 ფერმერს.
- გაცემულია 230 მცირე და დიდი გრანტი. (224 პირველადი წარმოებისათვის და 6 გადამამუშავებელი საწარმოსთვის)
- დასრულდა გორის მუნიციპალიტეტში ტირიფონის სარწყავი სისტემის გ-3 გამანაწილებელის არხის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ძევერა-შერთულის საირიგაციო სისტემის მაგისტრალური არხის ბოლო მონაკვეთისა და შიდა ქსელების რეაბილიცია (ლოტი 3ბ);
- მიმდინარეობდა ქვემო ალაზნის, სარწყავი სისტემის გ 35 გამანაწილებელი არხის და მისი სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია/მოდერნიზაციისათვის დეტალური პროექტის მომზადება;
- დასრულდა შიდა ქართლში (ქარელი, გორი) და სამეგრელოში (ხობი) სოფლის მცირე ინფრასტრუქტურის (გზები და ხიდები) რეაბილიტაციის დეტალური პროექტის მომზადება;
- მიმდინარეობდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, სოფელ გიორგეთში, შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია.

10.3 სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი 31 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“;
- ✓ სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“

- პროგრამის ფარგლებში განხორციელებული იქნა: გეგმური ინსპექტირება - 2 470 ბიზნესოპერატორთან, არაგეგმური ინსპექტირება - 477 ბიზნესოპერატორთან (მათ შორის 126 ბიზნესოპერატორის აღიარების მიზნით), გადამოწმება - 3 183 ბიზნესოპერატორთან;

- ინსპექტირება განხორციელდა ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოებში, რძისა და რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების, თევზისა და თევზპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, პურისა და პურფუნთუშეულის საწარმოებში, საზოგადოებრივი კვების (რესტორანი, მზა კერძები, საშაურმე, სწრაფი კვება) ობიექტებში, საბავშვო ბაგა-ბაღის სამზარეულოსა და სკოლის ბუფეტებში, საკონდიტროებში, სასურსათო მაღაზიებსა და მარკეტებში და სურსათის მწარმოებელ სხვა პროფილის ბიზნესოპერატორებთან;
- მონიტორინგის ფარგლებში სათანადო წესით აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგად სულ შეფასდა 1 451 ნიმუში/სინჯი, დარღვევა გამოვლინდა 92 ნიმუშში;
- დოკუმენტური შემოწმება განხორციელდა 3 950 საზოგადოებრივი კვების (რესტორანი, მზა კერძები, საშაურმე, სწრაფი კვება) ობიექტებში, საბავშვო ბაგა-ბაღის სამზარეულოსა და სკოლის ბუფეტებში, სასურსათო მაღაზიებსა და მარკეტებში, ხორცის სარეალიზაციო ობიექტებსა და სურსათის მწარმოებელ სხვა პროფილის ბიზნესოპერატორებთან;
- სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილ შეუსაბამომებსა და დარღვევებზე „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს შესაბამისად დაჯარიმდა 1 469 ბიზნესოპერატორი:
- ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე დაკვირვება მიმდინარეობს ბიზნესოპერატორის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნასთან შეუსაბამო სურსათის/ცხოველის საკვების - ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზარზე უკვე განთავსებულის ამოღება/გამოთხოვაზე, სააგენტოს მიერ გაცემული მითითებების შესრულებასა და სურსათის/ცხოველის საკვების განადგურებაზე. (ზედამხედველობა განხორციელდა 309 ობიექტზე);
- ვადაგასული სურსათის გამოყენებისა და რეალიზაციის ფაქტების გამოვლენის შედეგად სააგენტოს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით განადგურდა: ხორცი და ხორცპროდუქტები - 8 751 კგ, სხვა მყარი სურსათი - 3 476 კგ, თხევადი სურსათი - 13 961 ლ, კვერცხი - 1 020 ც, ფორმა №2 -ის გარეშე ხორცი - 3 267 კგ.;
- ჯილეხის დაავადებაზე ქვეყანაში არსებული რისკების გათვალისწინებით დაიგეგმა და მიმდინარეობდა ჯილეხის პროფილაქტიკური ვაქცინაცია, წინასწარი მონაცემებით ვაქცინირებულია 34 018 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 34 355 სული წვრილფეხა პირუტყვი 2 079 სული ცხენი;
- ცოფის დაავადებაზე პროფილაქტიკური ღონისძიებების მიზნით, ვაქცინირებულია 15 891 სული შინაური ხორცისმჭამელი ცხოველი;
- ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგოდ (წინასწარი მონაცემებით) ვაქცინირებულია 5 640 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგოდ (წინასწარი მონაცემებით) ვაქცინაცია/რევაქცინაცია ჩაუტარდა 68 340 სულ წვრილფეხა პირუტყვს;
- ბრუცელოზის დაავადებასთან ბრძოლის გრძელვადიანი სრატეგიის მიხედვით ვაქცინირებულია 17 706 სული მსხვილფეხა პირუტყვი.
- ბრუცელოზის დაავადებაზე დეტექციის მიზნით სეროლოგიური გამოკვლევები ჩაუტარდა 2 792 სულ მსხვილფეხა პირუტყვს;
- თურქულის დაავადების საწინააღმდეგოდ რისკიების გათვალისწინებით პროფილაქტიკური ვაქცინაცია წინასწარი მონაცემებით ჩაუტარდა 273 671 სულ მსხვილფეხა და 228 630 სულ წვრილფეხა პირუტყვს.
- იდენტიფიცირებულია 60 152 სული მსხვილფეხა და 2 215 სული წვრილფეხა პირუტყვი და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში სულ დარეგისტრირებულ იქნა 76 790 სული მრპ და 3 320 სული წრპ. ხოლო დარეგისტრირებულია 6 937 სადგომი;
- კალიების წინააღმდეგ კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში დამუშავდა 7 500 ჰექტარი ფართობი;
- ბაზარზე განთავსებული პესტიციდების ხარისხის ლაბორატორიული კვლევებისათვის აღებულია ქიმიკატების 210 ნიმუში;

- უარყოფითი ლაბორატორიული შედეგის საფუძველზე დაჯარიმდა 1 მეწარმე, მარკირების წესის დარღვევაზე - 23 მეწარმე, ვადაგასულ პესტიციდზე - 1 მეწარმე, ბიზნესოპერატორის ეკონომიკური საქიანობის რეგისტრაციიის არქონაზე - 2 მეწარმე;
- ქვეყნის ტერიტორიის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის დადგენის მიზნით ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა 47 ნიმუშს, კვლევების შედეგად გამოვლინდა შემდეგი საკარანტინო ორგანიზმები:
    - ✓ ციტრუსოვანთა შავი ფრთათეთრა (Aleurodecantus woglum) პუპარიუმის ფაზაში;
    - ✓ ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრე (Erwinia amylovora) - 3 შემთხვევაში (ქვემო ქართლი);
- ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით შეძენილი და ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნა 17 პრეპარატი;
- ბიზნესოპერატორების საქმიანობის ინსპექტირების მიზნით შემოწმებული იქნა 30 ობიექტი;
- სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული პრეპარატების გამოყენების წესების დაცვაზე მონიტორინგის მიზნით შემოწმებული იქნა 1 ობიექტი;
- აზიური ფაროსანას გავრცელების დადგენისა და ღონისძიებების დაწყების ვადების განსაზღვრის მიზნით ქვეყნის მასშტაბით დაიწყო ფერომონების დამონტაჟება, საანგარიშო პერიოდში დამონტაჟებულია 8 000 ფეომონიანი დამჭერი;
- შეწამვლითი ღონისძიებები მიმდინარეობდა 150 ერთეული შემასხურებელი აგრეგატის გამოყენებით მავნებლის გავრცელების კერებში;
- აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ დასავლეთ საქართველოში შეწამვლითი ღონისძიებები 22 მუნიციპალიტეტის 360 სოფელში ჩატარდა 265 000 ჰექტარ ფართობზე:
    - ✓ თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავდა 250 000 ჰა ფართობი;
    - ✓ ცივი შესხურებით დამუშავდა 10 000 ჰა ფართობი;
    - ✓ სატრაქტორო აგრეგატებით დამუშავდა 5 000 ჰა ფართობტყის პერიმეტრზე, ბუფერულ ზონებში, დამონტაჟებულია 50 ათასამდე „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგური.

10.4 მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 31 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

- ღვინის ლაბორატორიული კვლევის ფარგლებში ინსპექტირების პროცესში აღებულ იქნა 123 ნიმუში 15 სხვადასხვა კომპანიიდან. 4 კომპანიიდან აღებული 15 ნიმუში არ შეესაბამებოდა დადგენილ ნორმებს. აღნიშნულ კომპანიებს სერტიფიკატის გაცემაზე უარი ეთქვათ;
- მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების 12 გამოფენა მსოფლიოს 11 ქვეყანაში, გაიმართა 130 დეგუსტაცია-პრეზენტაცია და 2 ფსტივალი;
- ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 148.3 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა - ზრდამ გასული წლის ექვს თვესთან შედარებით 21%-ი შეადგინა;
- ადგილწარმოშობის და ასევე სუფრის საექსპორტო ღვინოების საინსპექციო კონტროლი განხორციელდა 15 კომპანიაში. საექსპორტო პარტიებიდან შემოწმდა 123 ნიმუში. ინსპექტირების შედეგად 4 კომპანიაში 15 ნიმუში არ შეესაბამებოდა ლაბორატორიის მიერ ლოტზე გაცემულ ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებს, რის შედეგედაც აღნიშნულ კომპანიებს სერთიფიკატების გაცემაზე უარი განეცხადათ;
- ქვევრის ღვინის მწარმოებლები მონაწილეობდნენ ბუნებრივი ღვინოების გამოფენებზე. ქალაქ ანჟეში („Les Penitentes“) და ქალაქ სომურში (’’La Dive Boutteille”);
- ტოკიოსა და ოსაკაში ქართული ღვინის მასშტაბური პრეზენტაცია გაიმართა. გამართულ ღონისძიებებში ჯამში 35 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 100-მდე დასახელების ღვინო იყო

წარდგენლი. ქართული ღვინის პრეზენტაცია-სემინარს ტოკიოში 350, ხოლო ოსაკაში 300-მდე ღვინის პროფესიონალი დაესწრო (დისტრიბუტორები, იმპორტიორები, სომელიეები, რესტორატორები);

- ზაკოპანესა და კრაკოვში გაიმართა ქართული ღვინის წარდგენა. ზაკოპანეში ქართული ღვინის დეგუსტაცია სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობების თასის გათამაშების ფარგლებში მოეწყო, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა მიეცა დაეგემოვნებინათ სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინოები;
- კრაკოვში ქართული ღვინო ქალაქის მთავარ მოედანზე მდებარე ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში დააგემოვნეს. ღონისძიებაზე მოწვეული იყო 200-მდე სტუმარი. დეგუსტაციაზე მუზეუმის წესების თანახმად, წარდგენილი იყო სხვადასხვა ქართული კომპანიების მხოლოდ თეთრი ღვინოები;
- ქართული ღვინის კომპანიები კვების პროდუქტებისა და სასმელების 43-ე საერთაშორისო გამოფენაზე ,,FOODEX JAPAN 2018" მონაწილეობდნენ, რომელიც ტოკიოში ჩატარდა. აღნიშნულ გამოფენაზე 10 ღვინის კომპანიაა მონაწილეობდა. ასევე, ტოკიოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „Wine and Gourmet Japan 2018" ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანია მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის სემინარი-დეგუსტაცია „საქართველო - ღვინის აკვანი" გაიმართა;
- ქალაქ ფუკუოკაში, ქართული ღვინის მასშტაბური პრეზენტაცია გაიმართა. დეგუსტაცია-სემინარს 100-მდე ღვინის პროფესიონალი დაესწრო;
- ლონდონში ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენა ,,RAW WINE" (The Artisan Wine Fair) ჩატარდა, რომელშიც საქართველოდან ქვევრის ღვინის მწარმოებელი მცირე მარნები მონაწილეობდნენ. ასევე, ლონდონში პრესისა და ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაცია („Press and Trade Tour") გაიმართა და მასზე წარმოდგენილი იყო 100-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების კლასიკური და ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინოები;
- აშშ-ს ექვს ქალაქში ქვევრის ღვინის დეგუსტაციები გაიმართა (ქართველი მეღვინეები საკუთარ ღვინოებს აშშ-ში თავად წარადგენდნენ). ქართული ღვინის დეგუსტაციები ჩატარდა საქართველოს მეღვინეობის 8-ათასწლიან ტრადიციებზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის „ჩვენს ძარღვებში ღვინო სჩქეფს" (OUR BLOOD IS WINE) ჩვენების ფონზე;
- დიუსელდორფში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა „ProWein-2018" ჩატარდა, სადაც ქართული ღვინის მწარმოებელი 26 კომპანია მონაწილეობდა;
- ქალაქ ჩენგდუში „ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა" (The 98th China Food & Drinks Fair) გაიმართა, გამოფენაში ქართული ღვინის მწარმოებელი 32 კომპანია მონაწილეობდა;
- ქალაქ კრაკოვში, ქართული ღვინის დეგუსტაციები მოეწყო, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინოები. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო სადეგუსტაციო სტენდები, რის შედეგადაც ორ ქართულ კომპანიასთან ხელშეკრულება უკვე გააფორმეს ახალმა იმპორტიორებმა. ასევე, ქალაქ კრაკოვში გამართულ ღვინის საერთაშორისო კონკურსში „GALICJA VITIS - 2018" ქართულმა ღვინოებმა უმაღლესი ჯილდოები - 2 ტროფი და 9 ოქროს მედალი მოიპოვა. კონკურსზე წარდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 5 კომპანიის 18 სახეობის ღვინო. კონკურსი ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ეგიდით იმართება;
- ვარშავაში ჩატარდა ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი (Skin Cintact). ქართული ღვინის წარდგენას ჟურნალისტები, იმპორტიორები და ღვინის მწერლები დაესწრნენ. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 9 კომპანია;
- ქართული ღვინო კოპენჰაგენში გამართულ ყოველწლიურ ღვინის გამოფენაზე ,,Copenhagen Wine Fair" იყო წარმოდგენილი. საქართველო აღნიშნულ გამოფენაში პირველად მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის სემინარი-დეგუსტაციაც მოეწყო. გამოფენის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების 15 სახეობის პროდუქცია;
- სტოკჰოლმში გამართულ საკვებისა და სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „GastroNord 2018" ქართული ღვინის მწარმოებელი 9 კომპანია მონაწილობდა, რომელთაც გამოფენაზე სხვადასხვა სახეობის ღვინო, ასევე ჭაჭა და ბრენდი წარადგინეს;

- თბილისში ქვევრის ღვინის მეორე საერთაშორისო კონკურსი გაიმართა. კონკურსზე წარდგენილი იყო 70 როგორც დიდი კომპანიის, ასევე მცირე და საშუალო საოჯახო მარნის 200-მდე ღვინის ნიმუში, რომლებიც ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან შემდგარმა ჟიურიმ შეაფასა;
- ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანია ,,Marq Energie Consulting''-ის ორგანიზებით, მაისის დასაწყიში, საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით პოპულარული გამოცემების - '"Wine and Spirits" და „Dow Jones" ჟურნალისტები ეწვიენ. ტურის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები ქართლში, იმერეთში, სამეგრელოსა და კახეთში;
- ამერიკელი ღვინის პროფესიონალების 9-კაციანი ჯგუფი მაისის დასაწყისში საქართველოში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში თბილისში დეგუსტაცია („Speed tasting") მოეწყო, სადაც ქართული ღვინის მწარმოებელ 30-მდე კომპანიას შესაძლებლობა მიეცა წარედგინა საკუთარი პროდუქცია და კონსულტაციები მიეღოთ სტუმრებისგან. ჯგუფის წევრები ესტუმრნენ ქართული ღვინის მწარმოებლებს ქართლსა და კახეთში;
- საქართველოს „ღვინის კლუბის" ორგანიზებით, რიგით მე-9 „ახალი ღვინის ფესტივალი" მთაწმინდის პარკში გაიმართა. ფესტივალში მონაწილე ღვინის მწარმოებლებმა სტუმრებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 2017 წლის მოსავლის ღვინოები დააგემოვნებინეს. ფესტივალზე სულ 200-მდე მონაწილე, მათ შორის, 70 ახალი ღვინის საწარმო იყო წარმოდგენილი;
- იტალიის მეღვინეობით ცნობილ პიემონტეს რეგიონში გამართულ ღონისძიებაზე „მსოფლიოს ყველაზე მშვენიერი და მნიშვნელოვანი მევენახეობის ლანდშაფტების მქონე ქვეყნის" საპატიო სიგელი საქართველოს გადაეცა;
- ბერლინში მიმდინარე ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე ,,RAW WINE" (The Artisan Wine Fair) ქვევრის ღვინის მწარმოებელი 8 კომპანია მონაწილეობდა;
- ჰონგ-კონგში საერთაშორისო გამოფენა "Vinexpo HK- 2018" გაიმართა, რომელზეც ქართული ღვინის მწარმოებელი 13 კომპანია იყო წარმოდგენილი;
- აშშ-ს რამდენიმე ქალაქში ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაციები გაიმართა. სააგენტოს, ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოში, ჰიუსტონსა და პორტლენდში ღვინის პროფესიონალებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინოები;
- იაპონიის ქალაქ უცუნომიაში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა, ღონისძიებას 50-მდე სტუმარი დაესწრო: დისტრიბუტორები, რესტორნებისა და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლები. სტუმართაგან 14-მა უკვე გამოთქვა მზადყოფნა, რომ ქართული ღვინო დაამატოს საკუთარი გაყიდვების სიას;
- ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-11 საერთაშორისო გამოფენა WinExpo Georgia-2018 გაიმართა. მასში 12 ქვეყნის 150-მდე კომპანია მონაწილეობდა: საქართველო, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრია, აშშ, გერმანია, უნგრეთი, უკრაინა, სომხეთი და რუსეთი. WinExpo Georgia რეგიონში სფეროს ერთ-ერთი უმსხვილესი გამოფენაა, რომელიც ფოკუსირებულია ღვინოზე, ალკოჰოლურ სასმელებზე და მათი წარმოებისთვის საჭირო მასალებსა და მომსახურეობებზე. გამოფენის ფარგლებში ღვინის მე-10 საერთაშორისო კონკურსი ჩატარდა. საერთაშორისო ჟიურის წევრებმა „ტროფის", ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი ღვინოები რამდენიმე კატეგოორიაში გამოავლინეს. კონკურსზე 60 კომპანიის 250-მდე ნიმუში იყო წარდგენილი;
- თბილისში, საერთაშორისო სომელიეთა ასოციაციის 49-ე ყოველწლიური გენერალური ასამბლეა გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა: საუკეთესო ქვევრის ღვინოების თემატური დეგუსტაცია, საფერავის ძირითადი მახასიათებლების დადგენის საერთაშორისო სესია, მასტერ-კლასი ქართულ ღვინოზე, პროფესიული დეგუსტაცია „სრულიად საქართველოს საუკეთესო ღვინოები ერთ სივრცეში", ნანა ჯორჯაძის ფილმის „ღვინის ნულოვანი მერიდიან" პრემიერა და სხვა ღონისძიებები;
- 2018 წლის პირველ ნახევარში, საქართველოდან მსოფლიოს 48 ქვეყანაში ექსპორტირებულია 38,2 მლნ ბოთლი ღვინო (0,75 ლ), რაც 21%-ით აღემატება 2017 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 90,3 მლნ აშშ დოლარია, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 28% შეადგინა;

- ექსპორტის ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: რუსეთი - 24 022.1 ათასი ბოთლი, უკრაინა - 4 191.2 ათასი ბოთლი, ყაზახეთი - 1 652.3 ათასი ბოთლი, პოლონეთი - 1 573.3 ათასი ბოთლი, ლატვია - 906.0 ათასი ბოთლი, ესტონეთი - 294.9 ათასი ბოთლი, გერმანია - 286.1 ათასი ბოთლი, აშშ - 188.8 ათასი ბოთლი, ლიეტუვა - 188.1 ათასი ბოთლი, ყირგიზეთი 140.4 ათასი ბოთლი, იაპონია - 130.6 ათასი ბოთლი, დიდი ბრიტანეთი - 46.9 ათასი ბოთლი, ნიდერლანდები - 38.8 ათასი ბოთლი, სამხრეთ კორეა - 31.7 ათასი ბოთლი, ჩეხეთი - 30.5 ათასი ბოთლი და სხვა;
- სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 190-მა კომპანიამ განახორციელა;
- საქართველოდან მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია 8.4 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 23%-ით აღემატება გასული წლის ექვსი თვის მონაცემებს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა 17.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა - ზრდამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან 6% -ი შეადგინა. ასევე, მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია 178.0 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ზრდამ შეადგინა 100%-ი. სულ ექსპორტირებულია 530 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ჭაჭა, რაც 116%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. სულ, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა წლის პირველ ნახევარში 148.3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 21%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს;
- მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების 12 გამოფენა მსოფლიოს 11 ქვეყანაში, გაიმართა 130 დეგუსტაცია - პრეზენტაცია, ფესტივალი 2;
- კადასტრის სამუშაო ჯგუფმა საკადასტრო მონაცემების შეკრების, ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგისათვის შეიმუშავა ტექნიკური სახელმძღვანელო დოკუმენტები;
- კახეთის რეგიონის ადგილობრივი მევენახეებისა და მეღვინეების ინფორმირების მიზნით, მომზადდა საინფორმაციო ლიფლეტი და პოსტერი. სისტემატურ რეჟიმში მიმდინარეობდა თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების ვენახების კადასტრის მონაცემთა ბაზის კორექტირება და გამართვა;
- შვიდი არქეოლოგიური ნიმუში - მცენარეული ნაშთები წიპწებისა და მერქნის სახით, გაიგზავნა C14 მეთოდით დათარიღებისათვის ისრაელში, ვეისმანის ინსტიტუტის D-REAMS ლაბორატორიაში. ეს ნიმუშები აღებულია 2017 წელს შულავერის კულტურის (ძვ. წ. 6000-5000 წლები) ძეგლებიდან („გადაჭრილი გორა“ და „შულავერის გორა“) და სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლებიდან („თრელი გორები“, „ძალისი“, „დედოფლის გორა“, „დიღომი“);
- მილანის უნივერსიტეტის მკვლევარების მიერ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალს „Science of the Total Environment“ გამოსაქვეყნებელად გადაეცა პროექტის ფარგლებში მომზადებული სტატია „Influence of climate cycles on grapevine domestication and amcient migrations in Eurasia”;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ჯგუფის მიერ, ტორონტოს უნივერსიტეტის არქეოლოგებთან ერთად განხორციელდა არქეოლოგიური გათხრები ძეგლებზე „გადაჭრილი გორა“ და „შულავერის გორა“ მევენახეობა - მეღვინეობასთან დაკავშირებული ახალი მასალის მოპოვების მიზნით. აღმოჩენილია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური არტეფაქტები. მათ შორის, პირველად აქამდე წარმოებულ გათხრებს შორის, მთლიანი თიხის ჭურჭელი. შესრულდა ველზე მოპოვებული ამ არტეფაქტებისა და კონტექსტების გრაფიკულ და ელექტრონულ ფორმატში დამუშავება, განხორციელდა საანალიზო ნიმუშების აღება პალინოლოგიური, პალეობოტანიკური, რადიოკარბონატული, მოლეკულური, ბიო-მოლეკულური, ლითოლოგიური, ფიტოლიტური და სხვა ტიპის ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის, რომლებიც შესრულდება საქართველოსა და უცხოეთის პარტნიორ ინსტიტუტებში. გათხრების ბოლოს ძეგლი დაკონსერდა;
- მოპოვებული არქეოლოგური მასალის შემდგომი ეტაპის ლაბორტორიული კვლევების გაგრძელება შეთანხმდა ქართველ და უცხოელ მკვლევარებთან;
- ველური ვაზის დაფესვიანების ხარისხის დადგენის მიზნით, დაიწყო ლაბორატორიული კვლევები კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, რომლის შედეგებიც გამოყენებული იქნება ამ მცენარის მინდვრის კოლექციის გაშენების დროს;

- პროექტის შედეგების პოპულარიზაციისა და ფართო აუდიტორიის გაცნობის მიზნით, მომზადდა და წარდგენილი იყო მოხსენების რეზიუმე ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) 41-ე მსოფლიო კონგრესისათვის სათაურით: „Progress for Research of Grape and Wine Culture in Georgia, the South Caucasus“.

10.5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 31 06)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

- სტატუსი მიენიჭა 52 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით სულ საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულია 1 230 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. კამერალური მონიტორინგი ჩაუტარდა 188 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. არაგეგმური მონიტორინგი ჩატარდა 52 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. 94 კოოპერატივს შეუწყდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;
- „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმებით მოძიებულ იქნა გორის რაიონის სოფელ ბერბუკში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის 2 500 m^2 ნაკვეთი, რომელიც უსასყიდლოდ უვადო სარგებლობის უფლებით გადაეცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს. სააგენტოს მიერ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდება თაფლის საწარმოსათვის განკუთვნილი საწარმო-ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც პროგრამით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. საწარმოში შესაძლებელი იქნება დღეში არანაკლებ 2 ტონა თაფლის გადამუშავება;
- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სააგენტოს მიერ გამოცხადდა პროგრამაში რეგისტრაცია 2018 წლიდ 25 იანვრიდან 26 მარტამდე. პროგრამის ფარგლებში კაპიტალური ინვესტირების ხელშეკრულება გაფორმდა 13 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან, რომლებსაც განესაზღვრათ 4 თვიანი ვადა საწარმოების ასაშენებლად, რის შემდეგაც მათ გადაეცემათ შესაბამისი აღჭურვილობა.

10.6 სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 31 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევვითი ცენტრი

- საკოლექციო ჯოგის შექმნის მიზნით (ქართული მთის ჯიშის ტიპიური ინდივიდები), დუშეთის მუნიციპალიტეტის უკანაფშავის თემის სოფლებში მოძიებული იქნა 24 სული პირუტყვი, ხოლო ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფლებში - 58 სული;
- ახალქალაქის და ნინოწმინდის კავკასიური წაბლა ჯიშის საცდელ ბაზებზე 275 სული პირუტყვი დაჯგუფდა ჯიშურობის, განვითარების, ტიპიურობის და სამეურნეო-სანაშენე დანიშნულების მიხედვით. შესწავლილი იქნა რძის 7 მაჩვენებელი;
- კვლევისათვის გადარჩეულია 150 სული ტიპიური კავკასიური წაბლა და შვიცურთან ნაჯვარი ფური და დმანისის სოფელ განთიადის სასელექციო ფერმაში 20 სული კავკასიური წაბლა ჯიშის ფური, რომლებზედაც მიმდინარეობდა სამეურნეო-ბიოლოგიური მაჩვენებლების კვლევა;

- შემუშავებულ იქნა სანაშენო მუშაობის სტანდარტები;
- მიღებულია კახური ღორის 73 გოჭი, ინტროდუცირებული ჯიშებიდან - 27 გოჭი;
- შესასწავლად 15 ნერბიდან აღებულ იქნა რძის ნიმუშები;
- მიღებულია ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი 26 ბატკანი;
- თევზის 1 000 ნაჯვარი მოზარდეული გადაყვანილი იქნა ახალ ბიოტბორში;
- დადგინდა ადგილობრივი ქათმის 5 პოპულაციის 200 ფრთის კვერცხდების ინტენსივობა, საინკუბაციო კვერცხის მასა;
- შესწავლილია ჯავახური ბატის საინკუბაციო კვერცხის მასა;
- გატარებულ იქნა 30 ფუტკრის ოჯახის დაავადებების საწინააღმდეგოდ პრევენციული ღონისძიებები. ფუტკრის სანაშენე ოჯახების რაოდენობა გახდა 35, გამოყვანილ იქნა 100 განაყოფიერებული დედა ფუტკარი.
- გაისინჯა 65 ჯიშის გრენა დაავადებებზე; გამოყოფილია ჰემოლიმფიდან და გრენიდან დნმ-ი; 650 კოლოფიდან შეირჩა 300 საუკეთესო ნადებების ჭია;
- თიანეთის, ახმეტის, თელავისა და კასპის მუნიციპალიტეტებში კოპროლოგიურად გამოკვლეულ იქნა 73 ღორი, 107 კახური ღორი, 120 მსხვილფეხა პირუტყვი, 30 თხა, 30 თუშური ცხენი;
- კოპროლოგიურად იქნა გამოკვლეული შინაური პირუტყვის სინჯები;
- შემდგომი კვლევებისთვის დასათესად მომზადდა თამბაქოს 6 და სელის 2 ნიმუში;
- დაითესა 94 კასეტა პომიდვრის, ბადრიჯნის, წიწაკის, ყვავილოვანი კომბოსტოს და ბროკოლის კულტურები;
- დაირგო ხახვის ბოლქვი მარნეულის და წილკნის ბაზაზე, აღირიცხა აღმოცენების დასაწყისი;
- მომზადდა სათესლე მასალები და შედგენილია ბიოპრეპარატების გამოყენების სქემა თითოეული კულტურისათვის;
- გამრავლებულია 4 632 ცალი კარტოფილის სინჯარის მცენარე;
- დაითესა შვრია, თეთრი დიკა, შავფხა, საგაზაფხულო ხორბლის და ქერის 10 ჯიში;
- ლექიდან მოიხსნა 128 დასახელების ღვინო, ჩაუტარდა სულფიტაცია და მომზადდა ჩამოსხმისათვის;
- აღებული იქნა ქართული ვაზის ჯიშების საკვირტე მასალა, მოხდა მიღებული შედეგების დამუშავება;
- ჩატარდა დაკვირვება ხეხილში 80-მდე ჯიშის 5 ფენოლოგიური ფაზის მიმდინარეობაზე. მოეწყო 3 ექსპედიცია თხილის ჯიშებზე დაკვირვების მიზნით;
- დაირგო ხეხილის სხვადასხვა ჯიშის 3 000 კალამი (ჯიღაურას სადედე ბაღში);
- ჩატარდა ფიტოსანიტარული მონიტორინგი აბაშის, სენაკის და ზუგდიდის სოფლებში;
- საკოლექციო ნარგაობას შეემატა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობის - ქართული ნუშის (Amygdalus georgica) 5 ნერგი, აგროსატყეო საკოლექციო ნარგაობა შეივსო 35 ნერგით;
- მომზადდა 24 განსხვავებული ფორმისა და სახეობის ვერხვის 500-ზე მეტი კალამი, რომელიც დაირგო ჯიღაურას საცდელ ბაზაზე, კოლექციაში დარგული იქნა თუთის 28 ნამყენი ნერგი, ხოლო სადედე-საკალმე პლანტაციაში 72 ნერგი;
- ჩატარდა კარტოფილის ამღები კომბაინის მანქანების საველე გამოცდა;
- დაინტერესებულ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია აზიური ფაროსანას ბიოლოგიასა და მისი კონტროლის საშუალებების შესახებ;
- დამუშავდა 10 სანერგე მეურნეობის შესახებ ინფორმაცია;
- მიღებულ იქნა დაწმენდილი ვაშლის სიდრის საკვლევი ნიმუში 80 ლიტრის და დაწმენდილი ვაშლის ძმრის საკვლევი ნიმუში 65 ლიტრის ოდენობით;
- ჩატარდა 7 დასახელების გადამუშავებული პროდუქტის ნიმუშების დეგუსტაცია (ნექტარი, სიროფი, გაყინული ხილი);
- თიანეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში აღწერილ იქნა ოჯახურ პირობებში, დამბალხაჭოს ტრადიციული წესით დამზადება;

- გორის მუნიციპალიტეტში სოფელ შინდისში აღებულია 44 ნიადაგის ნიმუში, აგრეთვე მცენარეთა ნიმუშები და სიმინდის მარცვლის 13 ნიმუში საანალიზოდ; მიკროელემენტების შემცველობაზე გამოკვლევულია სიმინიდს მარცვლის 30 ნიმუში;
- ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში აღებულია 51 ნიმუში 13 მუნიციპალიტეტიდან. ნიადაგის ნაყოფიერების შესასწავლად და რეკომენდაციების გასაცემად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკიდან აღებულია 20 ნიმუში, ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა ნიადაგის ნაყოფიერების განმსაზღვრელ ძირითად მახასიათებლებზე. მიღებულია ნიადაგის ლაბორატორიული კვლევის შედეგები;
- ოთხ სათბურში შეფასებულია ნიადაგის ნაყოფიერება, მომზადებულია 2 რეკომენდაცია.

11. სასამართლო სისტემა

11.1 სასამართლო სისტემა (პროგრამული კოდები 07 00–10 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი;
- ✓ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
- ✓ საქართველოს უზენაესი სასამართლო.

- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭირვალობის და საჯაროობის პროცესის გასაუმჯობესებლად;
- ჩატარდა მოსამართლეთა შესარჩევი ერთი კონკურსი, რომლის შედეგადაც მიმდინარე წლის 18 იანვარს დაინიშნა 34 მოსამართლე;
- საბჭოს მიერ შეფასდა 37 მოსამართლე, აქედან 14 მოსამართლე შეფასების პროცედურის დასრულების საფუძველზე გამწესდა უვადოდ. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე უვადოდ დაინიშნა 44 მოსამართლე;
- საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამა სრულად ამოქმედდა ყველა საერთო სასამართლოში.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული გადაწყვეტილებით ახლებურად ჩამოყალიბდა საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნისა და უფლებამოსილების წესი, განახლდა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა, განისაზღვრა საგამოცდო ტესტსა და წერითი გამოცდის ტესტში სამართლის შესაბამისი დარგების მიხედვით დავალებების რაოდენობა, დადგინდა საგამოცდო ტესტის დავალებების სირთულე, განისაზღვრა გამოცდის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ნორმები;
- 41 ნაფიცი მსაჯული და 182 ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები უზრუნველყოფილ იქნენ კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;
- დასრულდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარი სასამართლო დარბაზის აკუსტიკის გამუჯობესების სამუშაოები, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგენერატორო შენობის და მისი მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოები, ქუთაისის სააპელაციოს (შესაბამისი სტანდარტით მოეწყო არასრულწლოვანთა დაკითხვის ოთახი), ქუთაისის საქალაქოს,

თელავისა და სენაკის რაიონული, აბაშის (მათ შორის მოეწყო შშმ პირთა გადასაადგილებელი პანდუსი), ხონის, ჭიათურისა და ქედის მაგისტრატი სასამართლოს შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

- მიმდინარეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ფლიგელის სამშენებლო სამუშაოები. ასევე, თბილისის სააპელაციოს, თბილისისა და რუსთავის საქალაქო, მცხეთისა და გორის რაიონული, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, თიანეთისა და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოს საკონფერენციო დარბაზში დამონტაჟდა აუდიო-ვიდეო აპარატურა;
- საერთო სასამართლოების ინფორმაციულ-ტექნოლოგიური (IT) ინფრასრტუქტურის გაძლიერებისა უსაფრთხოების გაზრდის მიზნით შეძენილ იქნა 2 ერთეული ბლეიდ ტიპის სერვერი, ქსელის მარშრუტიზატორები, ქსელური მოდულები და ანტივირუსის პროგრამული პაკეტი;

12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

12.1 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 31 01)

12.1.1 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 31 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა:
  - ✓ შესაბამისი პროგრამების შემუშავება;
  - ✓ სოფლის მეურნეობის განვითარების და სოფლის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად სამოქმედო გეგმების შემუშავება;
  - ✓ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;
  - ✓ საერთაშორისო ორგანიზაციების საწევრო გადასახადის გადახდა;

12.1.2 სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში (პროგრამული კოდი 31 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა:
  - ✓ რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი პოლიტიკის გატარებაში სამინისტროს ხელშეწყობა;
  - ✓ სამინისტროს პროგრამების შესახებ მოსახლეობის სისტემატიური ინფორმირება, დაინტერესებული პირებისათვის დარგის შესაბამის საკითხებზე კონსულტაციების გაცემა;
  - ✓ ტრენინგებისა და სწავლებების ორგანიზება.

12.1.3 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 31 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- ქ. ბერლინში, დაგეგმილ საერთაშორისო გამოფენაზე „მწვანე კვირეული-2018“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ტრადიციულად მონაწილეობა მიიღო. ,,მწვანე კვირეული 2018-ში“ სხვადასხვა ქვეყნის 1 600-ზე მეტი კომპანია მონაწილეობდა, რომლებიც 100 000-ზე მეტ სხვადასხვა დასახელების სასურსათო პროდუქციას წარუდგინეს მომხმარებელს. საქართველოს სტენდზე 19 კომპანია იყო წარმოდგენილი - შემდეგი პროდუქციით: ღვინო, ჭაჭა, ლიმონათი, წვენი, ჩაი, ჩურჩხელა, ტყლაპი,, ჯემი, სუნელი და საწებლები. სამინისტროს მხარდაჭერით წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულო, დამზადდა ქართული ტრადიციული კერძები;
- ქ. ბაქოში, აგროსამრეწველო სექტორის მე-12 საერთაშორისო გამოფენაზე „Caspion Agro 2018” რვა ქართულმა კომპანიამ საკუთარი პროდუქცია წარადგინა. ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო შპს „თაფლიკაცის“, „გიუაანოს“, „მადლიანი 2017-ის“, „კულას“, „ნუტრიმაქსის“, „მზა ჩითილის“, „ველინგტონის“, „თამარის“ მიერ წარმოებული ქართული პროდუქცია.

12.1.4 გარემოზე ზემოქმედების შეფასების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 31 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა: გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და გარემოს დაცვის ნორმების გათვალისწინებით, ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობებზე შესაბამისი საექსპერტო დასკვნების მომზადება დაქირავებული ექსპერტების მიერ.

12.1.5 გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 31 01 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე (აღინიშნა „დედამიწის საათი“) საქართველოს კორპორატიული სპორტის ფედერაციის მხარდაჭერით, ველოტური და გარბენი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა პროფესიონალმა და მოყვარულმა ველომრბოლელებმა მიიღეს;
- ,,დედამიწის საერთაშორისო დღე“-სთან დაკავშირებით, 300 არაგველის სახელობის სკვერში, გამწვანების აქცია გაიმართა, რომლის ფარგლებში სკვერში ურბანული გამწვანების სტანდარტის მიხედვით, ნეკერჩხალისა და მუხის სახეობის ნერგები დაირგო;
- აღინიშნა „ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე“, მოსწავლეებმა მოინახულეს ეროვნული საშენი მეურნეობა და მოისმინეს მიმოხილვა ბიომრავალფეროვნების დღესა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით. საღამოს სტუდენტებს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში ჩაუტარდათ სემინარი;
- ,,გარემოს დაცვის მსოფლიო დღე“-სთან დაკავშირებით გარემოსდაცვის მსოფლიო დღის სლოგანს ,,შევამციროთ პლასტიკით დაბინძურება'' წარმოადგენდა. ღონისძიების ფარგლებში, წიგნის მაღაზიათა ქსელის „ბიბლუსი“ სამ ფილიალში აქცია გაიმართა, ,,ბიბლუსი''-ს ქსელის მომხმარებლებს ბიოდეგრადირებადი პარკების გამოყენების მნიშვნელობაზე მიეწოდათ ინფორმაცია და საჩუქრად მაისურები და მრავალჯერადი გამოყენების ნაჭრის ჩანთები გადაეცათ. აღნიშნულ დღეს ქალაქ მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია მოეწყო.

12.2 დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 31 09)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

- განხორციელდა GPS მოწყობილობების დაყენება სააგენტოს კუთვნილ 110 ერთეული სხვადასხვა მარკის ავტომანქანაზე, მოტო ტრანსპორტსა და წყალმცურავ საშუალებებზე;
- ვიზიტორთა რაოდენობამ დაცულ ტერიტორიებზე შეადგინა 372.2 ათასი (მათ შორის 153.5 ათასი უცხოელი), რაც 16 %-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს;
- დაიგეგმა და განხორციელდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით ეკოსაგანმანათლებლო და საინფორმაციო შეხვედრები სამიზნე ჯგუფებისთვის;
- დასრულდა მაჭახელას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის პროექტის შემუშავება. დოკუმენტი განთავსდა და პრაქტიულად გავრცელდა სააგენტოს ვებგვერდზე;
- დასრულდა ალგეთის ეროვნული პარკისათვის მენეჯმენტის გეგმის პროექტი შემუშავების პროცესი, დოკუმენტი და ინფორმაცია პროაქტიულად გავრცელდა სააგენტოს ვებდგვერდზე, გაიმართა დოკუმენტის საჯარო განხილვა.
- დამტკიცდა მაჭახელას ეროვნული პარკის, კოლხეთის და კაცობურის ტყის მართვის გეგმები;
- პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეებისათვის შეძენილ იქნა სპეციალური აღჭურვილობა და ქიმიკატები, რის შედეგადაც განხორციელდა სტალაქტიდებისა და სტალაგმიტების ქლორით დამუშავების სამუშაოები;
- დასრულდა ყაზბეგისა და ალგეთის ეროვნული პარკების ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა და ავეჯით მოწყობა;
- დასრულდა კინტრიშის დაცული ტერიტორიების საგამოფენო დარბაზის მოწყობა;
- დასრულდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები სათაფლიის ტურისტულ ობიექტზე, ხოლო დასრულების პროცესშია პრომეთეს ტურისტულ ობიექტზე;
- მომზადდა პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეებში არსებული სპეციფიკური განათების სისტემის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღვრიცხო დოკუმენტაცია;
- დაცული ტერიტორიების განვითარება (CNF)-ის ფარგლებში დონორის მიერ შეძენილი უნიფორმით უზრუნველყოფილი იქნა 10 ადმინისტრაციის თანამშრომელი;
- სააგენტოს თანამშრომელთა მიერ მომზადდა ნავენახევის და საწურბლიას მღვიმეების ტურისტული ობიექტების შემოღობისა და წყალმომარაგების სისტემის მოსაწესრიგებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაცია. შესაბამისად ორივე ობიექტზე სამუშაოები დასრულებულია;
- დაცულ ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის, უკანონო ქმედებების აღკვეთისა და პატრულირების გამჭვირვალობის მიზნით შეძენილ იქნა 177 ფოტოხაფანგი;
- შეძენილ იქნა ფერომონები 2 სახეობის მავნებლების (ექვსკბილა ქერქიჭამია (Ips sextendatus) და მბეჭდავი ქერქიჭამია (Ips typographus)) წინააღმდეგ ბრძოლის განსახორციელებლად და განთავსდა ისინი ყაზბეგისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკების ტერიტორიაზე.

12.3 გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 31 08)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

- გარემოსდაცვითი მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განხორციელდა რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) 1 480 ინსპექტირება (არაგეგმიური შემოწმება, დათვალიერება-შესწავლა), მათ შორის 119 - საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების ინსპექტირება;
- ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგად, გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 4 398 ფაქტი, მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 4 148 ფაქტი, სისხლის სამართლის - 250 ფაქტი;
- მიმდინარე მონაცემებით სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 2 072.1 ათასი ლარი, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად, გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ - 2 199.1 ათასი ლარი;
- „ცხელ ხაზზე - 153“ შემოვიდა 4 604 ზარი, მათ შორის, ინფორმაციული ხასიათის - 3 408 ზარი, რომელზეც გაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია. ასევე 1 196 შეტყობინება - გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, რაზედაც დეპარტამენტის მიერ ხორციელდება რეაგირება და კანონმდებლობით დადგენილი ზომების გატარება;
- მიმდინარეობდა მუშაობა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ზედნადების სისტემასთან ინტეგრირების მიზნით, რაც უზრუნველყოფს ხე-ტყის/პირველადი გადამუშავების პროდუქტის მოძრაობის კონტროლისა და მიკვლევადობის გაუმჯობესებას, დოკუმენტების გაყალბების რისკის მინინუმამდე შემცირებას.

12.4 სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 31 10)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

- მიმდინარეობდა სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა, სატყეო უბნების ფართობების და საზღვრების დაზუსტება, სამცველოების ელექტრონული Shp-ფაილების მომზადება;
- სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების შესახებ მომზადდა ინფორმაცია (სატაქსაციო დახასიათება):
    - ✓ 250,0 ჰექტარ ფართობზე - სასოფლო სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებით ტყითსარგებლობისათვის;
    - ✓ 32 865.0 ათას მ^2 ფართობზე - ტყის ფონდის ტერიტორიაზე წიაღით სარგებლობის განხორციელებისთვის (აქედან ტყის ფონდშია 12 487.0 ათას მ^2);
    - ✓ 1 178.6 ათას მ^2 ფართობზე - ტყის ფონდის ტერიტორიაზე სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის მიზნით;
- ტყის ფონდის ტერიტორიაზე სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის მიზნით, განხორციელდა ტყის ფონდიდან ამოსარიცხი ფართობების შესწავლა და გაიცა თანხმობა - 293.7 ათას მ^2 ფართობზე. ტყის ფონდიდან ამორიცხვაზე უარი გაცემულია 1 743.3 ათას მ^2 ფართობზე.
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, დარეგისტრირდა 100 კვ.მ. მიწის ფართობი, სახელმწიფო საკუთრებად, როგორც სახელმწიფო ტყის ფონდი.
- რეგიონალური სატყეო სამსახურების თანამშრომელთა მიერ გამოვლენილ იქნა 1 727 სამართალდარღვევის ფაქტი, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 989 ფაქტი, სისხლის სამართლის - 171 ფაქტი, ხოლო 567 ფაქტზე დაიწერა საველე აქტი და გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში. უკანონოდ მოპოვებული რესურსის მოცულობამ შეადგინა 18 126.76 მ^3, გარემოზე მიყენებულმა ზიანის ოდენობამ შეადგინა 2’421.7 ათასი ლარი.
- შიდა კონტროლის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შერჩევითი წესით შემოწმებული იქნა ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული ტყის ფონდის ტერიტორია. შემოწმების

შედეგად გამოვლინდა უკანონო ჭრის ფაქტები. აღრიცხული უკანონო ჭრის საერთო რაოდენობამ შეადგინა 4 218.31 მ³, ხოლო გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა - 507.3 ათასი ლარი.

- ტერიტორიული სატყეო სამსახურების მიერ დახურული იქნა 115 ტყეკაფი, ხოლო 2 წლის ვადის გასვლის გამო გაუქმებულ იქნა - 1 294 ტყეკაფი.
- მიმდინარეობდა მუშაობა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფა-განვითარებისათვის. ასევე, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სისტემის ადმინისტრირება, სისტემის მომხმარებელთათვის პრაქტიკული და მეთოდური დახმარების გაწევა;
- სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება მიენიჭა 40 სუბიექტს;
- სატყეო სამეურნეო გზების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობდა საველე სამუშაოები რეგიონების მიხედვით;
- გადაუდებელი აუცილებლობით (ხანძრით, სტიქიური უბედურებით ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებით) გამოწვეულ შემთხვევებთან დაკავშირებით, გამოიცა სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება 82 მ³ I ხარისხის ხე-ტყის გაცემის შესახებ;
- „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მოსახლეობისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით სააგენტოს მიერ გამოიყო 438 მ³ მრგვალი ხე-ტყე (მორი);
- გრძელვადიანი დანიშნულებით (იჯარები) ტყითსარგებლობასთან დაკავშირებით განხილულ იქნა 38 განცხადება, რაზედაც მიმდინარეობს საქმის წარმოება. აქედან 12 განმცხადებელს უარი ეთქვა გრძელვადიანი დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მოპოვებაზე;
- ხანძრის შედეგად სოფელ დაბის მიმდებარედ განადგურებული ტერიტორიის აღდგენის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
    - ✓ შესწავლილი იქნა და მომზადდა ნახანძრალი ტერიტორიის გეოლოგიური დასკვნა;
    - ✓ განხორციელდა ნახანძრალი ტერიტორიის ნიადაგური პირობების მდგომარეობის შესწავლა, (შედგენილი იქნა შესაბამისა დასკვნა) და დეტალური შესწავლა ტყის აღდგენისათვის (243 ჰა ფართობზე);
    - ✓ მიმდინარეობდა ნახანძრალ ტერიტორიაზე ტყის აღდგენის პროექტის დამუშავება.
    - ✓ ტყის აღდგენის ღონისძიებების განხორციელების მიზნით შედგენილი იქნა ტექნიკური დავალებები და შეძენილი იქნა აღსადგენი ფართობებისათის შესაღობი მასალა (ეკლიანი მავთული, ბოძი, სამაგრი);
    - ✓ განხორციელდა მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება, გამოთიბვა) ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოს ტერიტორიაზე (სოფ. დაბის მიმდებარედ) არსებულ ტყის დროებით (სასკოლო) სანერგეში 0,5 ჰა ფართობზე;
    - ✓ ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოში, ნახანძრალ ტერიტორიაზე, შეიღობა 750 გრძ.მ. და აღდგენილი იქნა 1 900 გრძ.მ. ასევე გაიწმინდა 2017 წლის აგვისტოს ხანძრის შედეგად დამწვარი ტერიტორიის განსაზღვრული მონაკვეთები 5,0 ჰა ფართობზე;
    - ✓ განხორციელდა მოვლის ღონისძება ბორჯომის სატყეო უბნის ბორჯომის სატყეოს ტერიტორიაზე ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის განსაზღვრულ 27,7 ჰა ფართობზე (პლატო);
    - ✓ განხორციელდა მოვლის ღონისძიება ახალციხის სატყეო უბნის ურაველის სატყეოში მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში 0,06 ჰა ფართობზე;
    - ✓ განხორციელდა თესვის ღონისძიება ბაკურიანის სატყეო უბნის ციხისჯვრის სატყეოს ტერიტორიაზე არსებულ ტყის დროებით სანერგეში 0,08 ჰა ფართობზე (სანერგის მეორედ ბრუნვა);
- ქვემო ქართლის რეგიონში შესწავლილი იქნა ტყის მოვლა-აღდგენის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ტყის აღდგენისათვის განსაზღვრული ფართობები დმანისის სატყეო უბნის ტერიტორიაზე;

- შედგენილი და დამტკიცებული იქნა ქვიშხეთი-სურამის სატყეო ტერიტორიაზე ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული პროექტი 10 ჰექტარზე;
- გურიის რეგიონში განხორციელდა ტყის აღდგენის ღონისძიებები ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოს კვ. №1,2-ის ტერიტორიაზე, კერძოდ:
    - ✓ ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა - 1.2 ჰექტარ ფართობზე;
    - ✓ ტყის გაშენება - 1.0 ჰექტარ ფართობზე;
    - ✓ აკაციის პლანტაციის გაშენება - 2.0 ჰექტარ ფართობზე;
    - ✓ მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება) ჩაუტარდა 1.0 ჰექტარ ფართობს.
- შედგენილი და დამტკიცებული იქნა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტი ჩოხატაურის სატყეო უბნის, ბახმაროს სატყეოს ტერიტორიას 2.0 ჰექტარ ფართობზე;
- იმერეთის რეგიონში განხორციელდა გეოლოგიური კვლევა გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის სპეციალისტთან ერთად, ტყიბულის სატყეო უბნის საწირეს სატყეოში 23.5 ჰექტარ ფართობზე;
- კოლხეთი-ჩხოროწყუს სატყეო უბნის ხეთის სატყეოში მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში განხორციელდა კოლხური ბზის დაკალმება/დარგვა (5 000 ცალი), ასევე, ამავე სანერგეში არსებული იფნის თესლნერგების 0.3 ჰა ფართობზე მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება).
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში კოლხეთის სატყეო უბნის ხეთის სატყეოში მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში განხორციელდა 5 000 ცალი ბზის კალმის დარგვა;
- იმერეთის რეგიონში განხორციელდა ბზის ალურათი დაავადებული კოლხური ბზის კორომების შეწამვლა 63 ჰექტარ ფართობზე და ბზის დაავადებულ კორომებში განთავსებულ იქნა ფერომონიანი მწერმჭერები 497 ცალი;
- სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში განხორციელდა ბზის ალურათი დაავადებული კოლხური ბზის კორომების შეწამვლა 317 ჰექტარ ფართობზე. ასევე, ბზის დაავადებულ კორომებში განთავსებული იქნა ფერომონიანი მწერმჭერები 300 ცალი;
- რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში: განხორციელდა ბზის ალურათი დაავადებული კოლხური ბზის კორომების შეწამვლა 170 ჰექტარ ფართობზე და ბზის დაავადებულ კორომებში განთავსებულ იქნა ფერომონიანი მწერმჭერები 469 ცალი;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ქერქიჭამიით დაზიანებული ნაძვნარ კორომებში მიმდინარეობდა (შეძენილი 6 000 ცალი) ფერომონიანი მწერმჭერების განთავსება;
- სანიტარული ჭრის განხორციელების მიზნით მომზადდა ტექნიკური დავალებები მერქნული რესურსის დამზადების მიზნით: ქვემო ქართლის რეგიონში (150 მ3), შიდა ქართლის რეგიონში (2 300 მ3), სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (3 306.8 მ3), კახეთის რეგიონში (250 მ3), სამეგრელო-ზემო სვანთის რეგიონში (675 მ3).
- დასრულდა სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველსაყოფად საველე სამუშაოები სულ 133.314 კმ-ზე: მ.შ. მოსაწყობი -18.88 კმ, სარეაბილიტაციო - 114.434 კმ-ზე;
- საჯარო სკოლებისთვის გადაცემული იქნა 1 805.34 მ3 მერქნული რესურსი.
- სააგენტოს მიერ სპეციალური ჭრის ფარგლებში დამზადდა 7 895.82 მ3 მერქნული რესურსი: კახეთის რეგიონში-2 804.98 მ3; სამეგრელოს რეგიონში 2 345.45 მ3 (მ.შ. სანიტარული - 576.7მ3); იმერეთის რეგიონში 512.01 მ3; სამცხე-ჯავახეთში - 1 487.85 მ3 (მ.შ. სანიტარული ჭრის ფარგლებში -1 013.58 მ3); რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში -745.53 მ3 მერქნული რესურსი;
- სპეციალური და სანიტარული ჭრის შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (მრგვალი ხე-ტყე (მორი-შეშა) საკუთრებაში გაცემის მიზნით გამოცხადდა 183 ელექტრონული აუქციონი; გაყიდულმა მერქნულმა რესურსმა შეადგინა 9 503.0 ათასი მ3; აუქციონის საბოლოო გასაყიდმა ჯამურმა თანხამ შეადგინა 1 853.2 ათასი ლარი;
- რეალიზებული და გადაცემული იქნა 10 503.4 მ3 მერქნული რესურსი: მათ შორის რეგიონების მიხედვით: იმერეთი - 786.5 მ3; გურია - 155.4 მ3 ქვემო ქართლი - 250 მ3 (შეშა) კახეთი - 1 454.8 მ3;

სამცხე-ჯავახეთი (სპეც. ჭრა) – 453.9 მ3 მერქნული რესურსი; რაჭა - 882.4 მ3; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 5 185.6 მ3 (მ.შ. მაღალმთიანი-პირდაპირი მიყიდვის წესით - 753.5 მ3); სამცხე (სანიტარული) – 1 334.8 მ3 მერქნული რესურსი;

- საბიუჯეტო ორგანიზაციების მერქნული რესურსით მომარაგების ღონისძიების ფარგლებში, პირველი ივლისის მდგომარეობით გაფორმებულია - 1 151 ხელშეკრულება 25 875 მ3 მოცულობაზე, საიდანაც 3 000 მ3 - ით უკვე მომარაგდა 142 საბიუჯეტო დაწესებულება;
- გურიის რეგიონში ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმის შედგენის მიზნით მიმდინარეობდა 2017 წელს დაწყებული სამუშაოების დასრულების ღონისძიებები (ოზურგეთის 22 227 ჰა ფართობზე და ლანჩხუთის 11 445 ჰა ფართობზე).

12.5 გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 31 12)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი

- სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით ცენტრმა ტრენინგები გამართა კახეთის რეგიონის საგარეჯოს, სიღნაღის, ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების საბავშვო ბაღების აღმზრდელებისა და მეთოდისტებისათვის. (ტრენინგი მოიცავდა შემდეგ გარემოსდაცვით თემებს: „ბიომრავალფეროვნება ჩვენ გარშემო“; „წყლისა და ენერგიის დაზოგვა“; „ნარჩენების მართვა“); ტრენინგების შედეგად გადამზადდა აღნიშნული ბაღების 136 წარმომადგენელი. მონაწილეებს დაურიგდათ სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში ცენტრის მიერ შემუშავებული დამხმარე სახელმძღვანელო აღმზრდელთათვის („სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“);
- გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა ლექცია-სემინარები თემებზე: დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა და მართვა, ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, თანამედროვე გარემოსდაცვითი პრობლემები, წყლის რესურსები, მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვა კლიმატის ცვლილება და ეკოსისტემური სერვისები, საქართველოს ბიომრავალფეროვნება, გარემოსდაცვითი განათლება. გარემოსდაცვითი თემატიკით ჩატარებული ლექცია/სემინარები მოისმინა 405 - მა მოსწავლემ, 60-მა პედაგოგმა და 107-მა სტუდენტმა;
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კამპანიის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტი, რომელიც ელექტორნული ფორმით განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე და ასევე გავრცელებულია სოციალური ქსელის მეშვეობით. ჩატარდა 8 ლექცია და სასწავლო კურსი, სასწავლო კურსი გაიარა სხვადასხვა კომპანიის 26-მა გარემოსდაცვითმა მმართველმა
- სკოლის მოსწავლეებმა მოისმინეს ლექცია-სემინარი წყლის რესურსების მნიშვნელობისა და მათი დაზოგვის აუცილებლობის შესახებ;
- მომზადდა და დაიბეჭდა კითხვარი „ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევი“, რომელიც ურიგდებათ ლექცია-სემინარებზე დამსწრე სკოლის მოსწავლეებს. ეკონაკვალევის მეშვეობით მოსწავლეებს გარემოზე საკუთარი ზემოქმედების გამოთვლა შეეძლებათ;
- გაიმართა საქართველოში კლიმატის მწვანე ფონდისთვის (GCF) მზადყოფნისა და მოსამზადებელი პროგრამისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა 70-მდე მოწვეული სტუმარი.
- პროექტის - „ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა სასოფლო ტერიტორიებზე მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით“ ფარგლებში, აღინიშნა გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. ღონისძიებას დაესწრო 65 პირი;
- ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, გაიმართა დისკუსია თემაზე - საქართველოს

ბიომრავალფეროვნება, რომელსაც დაესწრო 52 პირი, ასევე, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდა საველე ლექცია ეროვნულ საშენ მეურნეობაში ბიომრავალფეროვნების შესახებ (ღონისძიებას დაესწრო 41 მოსწავლე);

- გაიმართა საქართველოს კანონის პროექტის „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ საჯარო განხილვა, რომელსაც დაესწრო 53 მონაწილე;
- ცენტრის ორგანიზებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის, გეოსაინფორმაციო სისტემაში (GIS) ეფექტური მუშაობისთვის (დაესწრო 15 მონაწილე);
- პროექტის „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში" ფარგლებში განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრათა ციკლი - „გარემოსდაცვითი მართვა და გადაწყვეტილებები რიოს კონვენციების განხორციელების გაუმჯობესებული მონიტორინგისთვის''. საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. ჯამში ღონისძიებებს დაესწრო 203 პირი;
- განახლდა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე არსებული გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ბაზა, სადაც 300-ზე მეტი ორგანიზაციის შესახებ არის ინფორმაცია ხელმისაწვდომი.

12.6 ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა (პროგრამული კოდი 31 13)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

- ფიზიკური დაცვით უზრუნველყოფილია სოფელ საკაძესთან არსებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორია და რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავი;
- სააგენტოსა და შვედეთის რადიაციულ მარეგულირებელ ორგანოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში მიმდინარეობს დაბა ანასეულთან მდებარე ტერიტორიაზე არსებული ყოფილი ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების კვლევითი ინსტიტუტის ტერიტორიის რადიოლოგიური შესწავლა, გეოლოგიური მონაცემების ანალიზი რადიონუკლიდების დისტრიბუციის შესაძლო მარშრუტების შესასწავლად და ასევე, აქტივობების განსაზღვრა არსებული სიტუაციის რადიოლოგიურად უსაფრთხო მდგომარეობაში გარდაქმნის მიზნით;
- ევროკავშირისა და შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით დაწყებულია პროექტი - „რადიოაქტიური ნარჩენების მართვა საქართველოში“. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული რადიოაქტიური ნარჩენების ერთად თავმოყრას და შემდგომ მათი უსაფრთხოების კონტროლს. დაგეგმილია სიტუაციური ანალიზი, რადიაციული ნარჩენების საცავის მშენებლობის პროექტირება და მშენებლობა;
- საქართველოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი ინფრასტრუქტურის შესწავლას და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სააგენტომ ატომური ენერგიის საერთაშორისო მისიას (integrated Regulatory Review Service (IRRS)) უმასპინძლა;
- ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაზე გაიცა 37 ლიცენზია, გაუქმდა 6 ლიცენზია, ლიცენზიის მფლობელ 49 ობიექტს მიეცა ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების უფლება, ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 80 ნებართვა მაიონებელი გამოსხივების წყაროების იმპორტ-ექსპორტსა და შეძენა-გადაცემაზე;
- განხორციელდა 60 გეგმური და 5 არაგეგმური ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის ინსპექტირება, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ

მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის მიზნით. გამოვლენილ დარღვევებზე შედგა 28 სამართალდარღვევის ოქმი;

- განხორციელდა რეაგირება 14 რადიაციულ ინცინდენტზე (მ.შ. ერთი კრიმინალური შემთხვევა).

12.7 ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 31 11)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობა

- პროგრამის ფარგლებში კონტეინერებიდან ქოთნებში გადაირგო კვიპაროსის, კედარის, იტალიური ფიჭვის, ვერცხლისფერი ნაძვის და ელდარის ფიჭვის 11 200 ცალი ნერგი, ხოლო სხვადასხვა დასახელების 1 800 ცალი ნერგი;
- რეალიზებული იქნა 69 412 ცალი ნერგი, რომლის ღირებულებამ თანმდევ მომსახურებასთან ერთად შეადგინა 308.2 ათასი ლარი. ამასთან, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებზე უსასყიდლოდ იქნა გაცემული სხვადასხვა დასახელების 8 987 ცალი ნერგი.
- მთაწმინდის ფერდობზე ნახანძრალი ტერიტორიის აღდგენა-გამწვანების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება სს ,,უძრავ ქონება“-სთან (m2), რომლის ფარგლებშიც გაიწმინდა ტერიტორია დამწვარი ხეებისგან, ამოღებული იქნა 3 000 ორმო და მიყვანილი იქნა წყალი მოსარწყავად, დაირგო სხვადასხვა სახეობის 3 000 ცალი ნერგი და გაკეთდა წვეთოვანი სარწყავი სისტემა.
- კონტეინერებში დაითესა უხრავი 3 500 ცალი, ქართული ნეკერჩხალი 500 ცალი, 10 000 ცალი საღსაღაჯის თესლი და 6 000 ცალი თელადუმას თესლი;
- ქოთნებში გადაირგო სხვადასხვა დასახელების ,,წითელი ნუსხის“ სახეობის ნერგები, კერძოდ: ძელქვა, ელდარის ფიჭვი, ქართული ნეკერჩხალი და ქართული ნუში სამ ლიტრიან ქოთნებში - სულ 2 220 ცალი. ხოლო ერთ ლიტრიან ქოთნებში კაკალი, მუხა აღმოსავლეთის, ბალამწარა, საღსაღაჯი, მუხა კოლხური, პონტოს მუხა და ძელქვა - სულ 720 ცალი;
- ღია გრუნტის სანერგეში გადარგული იქნა ძელქვის სკოლა - 0.1 ჰექტარზე;
- ,,საქართველოს წითელი ნუსხის“ სახეობის ნაკადულის კალმახის საშენიდან მოხდა 200 ცალი ნაკადულის კალმახის ლიფსიტის გაშვება;
- ,,საქართველოს წითელი ნუსხის“ სახეობის ნაკადულის კალმახის გამრავლების პროგრამის ფარგლებში ქვირითიდან გამოიჩეკა აღმოსავლეთის და დასავლეთის პოპულაცია დაახლოებით 8 000 ცალი;
- ორნიტოფერმაში მიღებულია 4 850 კაკბის კვერცხი, აქედან გამოჩეკილია 2 430 კაკაბი. ასევე მიღებულია 1 445 ხოხბის კვერცხი, საიდანაც უკვე გამოჩეკილია 410 ხოხბის ლაპი;
- ორნიტოფერმაში გაკეთდა 13 ახალი ვოლიერი, მოეწყო ფრინველთა შესაფარებელი მცირე ზომის ფარეხები და ჩაუტარდა შეკეთება ძველ ვოლიერებს. საწიწილედან ღია ვოლიერში გადაყვანამდე ფრინველის მოსათავსებლად დამატებით აშენდა სამი დახურული ვოლიერი, სადაც ამ ეტაპზე გადაყვანილია 630 კაკაბი და 70 მოზარდი ხოხობი. ღია ვოლიერებში მოეწყო მზისგან დამცავი ბადეები და საწვიმარი ქოხები;
- ფრინველებს ეტაპობრივად ჩაუტარდათ სადერატიზაციო და სადეზინფექციო სამუშაოები.